ჯემალ ხარიტონაშვილი

# ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები

წიგნი I

საქპროფგამი
თბილისი
1997

კაცობრიობას დასაბამიდან დღემდე არსებითად ერთნაირი პრობლემები აწუხებდა და აწუხებს. მათი გამოვლენის ფორმები კი ყოველთვის განსხვავებული იყო. ამიტომ ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შორის გენეტიკური კავშირურთიერთობის შემეცნება, გონებრივ მემკვიდრეობათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენა, მეცნიერული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური თემაა. ეს ეხება ეკონომიკურ იდეათა აღმოცენების, განვითარებისა და სრულყოფის მეცნიერულ პროცესსაც.

წინამდებარე ნაშრომში გაკეთებულია ცდა გაანალიზებულ იქნას კაცობრიობის ისტორიაში არსებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მოძღვრებები, გამოვლენილი იქნას მათი გენეტიკური კავშირი თანამედროვეობასთან.

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პ.ბ. ლემონჯავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ე.გ. ჩადუნელი

რედაქტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ჯ. ა. კახნიაშვილი

მე-3 გვ-ზე მოცემულია ეკონომიკური მოძღვრებების განვითარების სქემა*.

- - - - -

* სქემაში ნაწილობრივ გამოყენებულია პ.სამუელსონისა და უ.ნორდჰაუსის მიერ ჩამოყალიბებული ჩონჩხი. იხ. პ.სამუელსონი, უ. ნორდჰაუსი სახალხო მეურნეობის თეორია, ტI და II, კიოლნი ,

## მსოფლიო ეკონომიკური აზრი ჩასახვიდან პირველ თეორიულ სისტემებამდე



თავისუფალი დროის ყოველი წუთი
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს

*კონ ფუ ცი*

# შესავალი

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ეკონომისტთა ერთი ნაწილიც კი იმეორებდა იმას, „ფილოსოფიის ისტორია ბრძნული აზრების ისტორიაა, ეკონომიკური აზრის ისტორია კი ეკონომიკური იდეების სასაფლაოაო". თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები საფუძვლიანად აცლიან ნიადაგს ამ თეზისის მეორე ნაწილს.

ეკონომიკური აზრის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური იდეები დავიწყებას არ ეძლევა. ცხოვრება პერიოდულად დღის წესრიგში აყენებს წინარე პერიოდში არსებული ეკონომიკური იდეების ახლებურად გამოყენების საჭიროებას.

ეკონომიკური იდეების მემკვიდრეობითობა განსაკუთრებული რელიეფურობით წარმოჩინდება ეკონომიკური ლიბერალიზმის მოძღვრებაში. მასში ცხადად ვლინდება ეკონომიკურ იდეათა სესხების საკითხი. უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში, ეკონომისტები ბევრჯერ მიუბრუნდნენ თავისუფალი მეწარმეობის თეორიებს. რამდენიმეჯერ შეიცვალა დამოკიდებულება ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეისადმი. გარკვეულ პერიოდებში იგი საყოველთაოდ აღიარებული იყო. იყო დროც, როდესაც ეს მოძღვრება ავანსცენიდან ჩამოდიოდა და მისი მიმდევრები პროტექციონული თეორიებიდან სესხულობდნენ მოქმედების პრინციპს. მაგალითად, XX საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთგერმანელმა ეკონომისტებმა გადაიღეს ნეოკეინსური მოდელი.

უკანასკნელ ხანებში კვლავ აღორძინდა ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპი საბაზრო ეკონომიკის მოძღვრებაში. მას ფართოდ იყენებენ გერმანიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან. ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპის დანერგვის ცდას ჩვენშიც აქვს ადგილი. მაგრამ არც პროტექციონისტული პრინციპია დავიწყებული. სუვერენიტეტის გზაზე დამდგარი საქართველოს პირველი მთავრობის ერთ-ერთი ეკონომიკური ღონისძიება იყო საგარეო ვაჭრობის რეგლამენტაცია, რაც პროტექციონიზმის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. მომდევნო მთავრობამ

კი წარმოებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციაში აიღო გეზი.

ბევრი სხვა მაგალითის მოტანაც შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ ძველი ეკონომიკური მოძღვრებები ახალი ძალით და ფორმით წარმოჩინდებიან ხოლმე სხვადასხვა სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური მოძღვრებების სათანადო ცოდნა. იგი საშუალებას იძლევა სხვადასხვა დასაშვები ვარიანტიდან, საჭიროების შემთხვევაში დროულად იქნას ამორჩეული ესა თუ ის მოძღვრება და მისი სათანადო რეალიზაციით მოხდეს საკაცობრიო პროგრესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

ეკონომიკურ იდეათა სესხება გაზიარებას, თუ სათანადოდ იქნა მითითებული სესხების წყარო, ყოველგვარ სესხებასთან შედარებით ის უპირატესობა გააჩნია, რომ აქ არაფრის ჩასესხება არ სჭირდება. ნასესხები იდეების დროულად და საქმიანად გამოყენებას კი მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია.

ეკონომიკურ მოძღვრებებს ყველაზე მეტად უნდა ჰქონდეს ობიექტური სახე, რათა ეფექტურად ემსახუროს საზოგადოების განვითარებას. აქედან გამომდინარე ნაშრომში შევეცდებით შეძლებისდაგვარად მიუკერძოებლად ლოგიკური თანმიმდევრობით გავაშუქოთ განსახილველი პრობლემები.

# ნაწილი I

# მსოფლიო ეკონომიკური აზრი ჩასახვიდან პირველ თეორიულ სისტემებამდე.

## თავი I. ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრი

ეკონომიკური აზრის ყველაზე ადრეული კვალი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაშია გამოვლენილი. აღმოსავლეთის ქვეყნები მიჩნეულია მსოფლიო კულტურის სამშობლოდ. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ძალით, აქ ძალიან ადრე მოხდა მოსახლეობის კონცენტრაცია. მცენარეული და ცხოველური სამყაროს სიმდიდრე, ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, აადვილებდა მონადირეობის, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების აღმოცენებას. ძველი აღმოსავლეთის ხალხები ადრე გახდნენ მიწათმოქმედნი და ამით მიაღწიეს საწარმოო ძალების განვითარების მაღალ დონეს. საწარმოო ძალების განვითარება შესაძლებლობას იძლეოდა შექმნილიყო პროდუქციის ნაჭარბი. ზედმეტი პროდუქტები თანდათანობით თავს იყრიდა გარკვეულ პირთა ხელში. ქონებრივმა დიფერენციაციამ შემდგომში საზოგადოებაში წარმოშვა მონები და მონათმფლობელები, აღმოცენდა სახელმწიფო. სახელმწიფომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკურ ისტორიაში. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ირიგაციული სისტემების მშენებლობა და მათით სარგებლობა სახელმწიფოს ჩინოვნიკთა ხელმძღვანელობით ანდა კონტროლით ხდებოდა. წარმოიშვა სახელმწიფოებრივი მონოპოლიის სისტემა. მსხვილ მასშტაბებს მიაღწია სახელმწიფოებრივმა მონათმფლობელობამ, რომელიც სახელმწიფოებრივი დესპოტიზმის არსებითი საყრდენი იყო. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო მეურნეობა ძირითადად ნატურალური იყო. მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა ვაჭრობამ. სასაქონლო წარმოება, რომელიც მონათმფლობელურ რეჟიმს ემსახურებოდა, იმავდროულად შლიდა ნატურალურ-მეურნეობრივ ტრადიციებს, მერყევი ელემენტი შეჰქონდა ეპოქის ეკონომიკურ ურთიერთობებში. წარმოიშობოდა ეკონომიკური წინააღმდეგობები, ˙აღმოცენდა მწვავე პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც ცდილობდა ეკონომიკური აზრი. შექმნილმა სიტუაციამ ხელი შეუწყო ეკონომიკური აზრის ნაადრევ განვითარებას. შემონახული დოკუმენტები მეტყველებენ მის დიდ სიმწიფეზე, ეკონომიკური პრობლემებისა და მებრძოლი კლასების ინტერესების

ღრმა გაგებამდე ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრი. ხშირად ვითარდებოდა მსხვილ სახალხო აჯანყებებთან კავშირში, რომელთა მსვლელობაც წამოაყენებდა ხოლმე ფრიად რადიკალურ პროექტებს. ამიტომ ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრი უნდა ვეძიოთ არა იმდენად სწავლულთა ტრაქტატებში, რამდენადაც სახალხო აჯანყებების მოთხოვნებში, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებში, რეფორმათა პროექტებში და ა. შ. აღნიშნული პერიოდის ეკონომიკური აზრი გამოვლენილია აგრეთვე, იმ დროის შექმნილ იურიდიულ კოდექსებსა და სასულიერო კრებულებში. ეს ძეგლები თავიანთი პრობლემის განხილვის პროცესში მრავლად ეხებიან ეკონომიკურ ნორმატივებს.

## 1. ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის ეკონომიკური აზრი.

ეგვიპტის ისტორიაში ეკონომიკური აზრი თავის გამოხატულებას პოულობდა უკვე მესამე ათასწლეულში ჩვენს წელთა აღრიცხვამდე. მასზე წარმოდგენას იძლევა იმ პერიოდის სამონასტრო მეურნეობა. მის თავისებურებას წარმოადგენდა სათემო მეურნეობის თვისებების შერწყმა მიწათმფლობელობასთან. იმ პერიოდის ეკონომიკურ აზრში მსჯელობა მიდიოდა პირველყოფილ თემსა და მონობას შორის კომპრომისის შესაძლებლობაზე. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე XX—XVIII საუკუნეებში ეგვიპტის ეკონომიკურ ცხოვრებაში სერიოზული ძვრები მოხდა. იგი გამოიხატა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებით, აგროკულტურის ფართობის გაფართოებით, კერძო მონათმფლობელობის ექსპანსიით, სავალო მონობის არაჩვეულებრივი გავრცელებითა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით. ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია ეკონომიკური აზრის განვითარებაზე. იმ ეპოქის ეკონომიკური აზრი საგულისხმოდაა გადმოცემული „იპუვერის გამონათქვამებში", რომლებშიც გაბატონებული კლასის თვალთახედვით მკაფიოდაა ასახული სოციალური აფეთქება ეგვიპტეში, რომელიც ჩვ. წელთა აღრიცხვამდე XVIII საუკუნის შუახანებში დაიწყო. იპუვერი იძლევა გაბატონებული კლასის მოთხოვნილებათა მკაფიო ფორმულირებას, კრიტიკული სიტუაციის პირობებში.

შუამდინარეთის ისტორიაში ეკონომიკური აზრის ყველაზე ადრეული გამოვლინება შეინიშნება მეფე ურუკაგინას რეფორმებში, ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის შუახანებში. ამ პერიოდის ეკონომიკური აზრი აშკარად ასახავდა თემური საწყისების ბრძოლას მონობის ექსპანსიასთან. თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ურუკაგინამ აღადგინა თემის უფლება მიწაზე, პირუტყვზე

და ა. შ. ამასთან შემოფარგლა დიდგვაროვანთა უფლებები.

ურუკაგინამ შეამცირა დაკრძალვის ქირა. ხელოსნებს აუკრძალა სხვადასხვა მოსაკრებლების გადახდევინება. მისი დადგენილების თანახმად დიდგვაროვანს უფლება არ ჰქონდა „ზედმეტად შესულიყო და გამოსულიყო მეომრის ბაღში" თუ უფროსი განიზრახავდა რაიმე ეყიდა მეომრისაგან. მაშინ იგი ვალდებული იყო გადაეხადა „კარგი ვერცხლი". ხოლო როცა შესყიდვა არ შედგებოდა, უფროსს ეკრძალებოდა გულისწყრომის გამომჟღავნება. ურუკაგინამ გამოსცა ბრძანება. რომელიც ლაგაშის მოქალაქეს იცავდა სიცოცხლის საშიშროებისაგან, გაყიდვისაგან, ქურდობისაგან და ა. შ. მან სასჯელი დააწესა, რათა ძლიერს არ ეწყენინებინა ობოლისა და ქვრივისათვის. ურუკაგინას რეფორმების ლაიტმოტივს წარმოადგენდა საკუთრებითი გარანტიების გაძლიერება. ეს რეფორმები შემთხვევითი არ ყოფილა შუმერის ისტორიაში. მათ უნდა უზრუნველეყოთ არსებული წინააღმდეგობების შერბილება. მართლაც, ამ რეფორმებმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყო კლასობრივი კონფლიქტების შერბილება, მაგრამ ურუკაგინას მიერ დასახული ამოცანები მეტისმეტად წინააღმდეგობრივი იყო და ამუხრუჭებდა ეკონომიკური განვითარების მსვლელობას. თვით რეფორმატორი დაეცა მეზობელი ქალაქის მმართველებთან ბრძოლაში და მისი რეფორმებიდან მოგონებაღა დარჩა ეკონომიკური აზრის ისტორიაში. მისმა მემკვიდრეებმა გეზი აიღეს მონათმფლობელური წყობილების გამტკიცებისაკენ. მათ მიერ დამყარებულმა დესპოტურმა რეჟიმმა დააჩქარა მოსობის ექსპანსია და თემის დაშლა. შემდგომში, როდესაც წარმოიშვა ბაბილონის სამეფო, მასში უფრო პროგრესირებადი გახდა ეს პროცესი: ყველაზე მეტად დამკვიდრდა სავალო მონობა; კვლავ გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობები, შეიქმნა რთული სიტუაცია; საჭირო გახდა კანონმდებლობის გზით შერბილებულიყო ეს წინააღმდეგობანი.

ჩვენს წელთა აღრიცხვამდე *XVIII* საუკუნეში ბაბილონის მეფე ჰამურაბმა შეიმუშავა კოდექსი, რომელშიც შეეცადა რამდენადმე შეეზღუდა სავალო მონობა, მით უფრო აერიდებინა კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავება. ამ კოდექსის თანახმად, სავალო მონობის სოციალური სტატუსი გამოცხადებული იყო დროებით მდგომარეობად. სამი წლის შემდეგ ასეთი მონა თავისუფალი ხდებოდა, ხოლო მისი ვალი გაბათილებული იქნებოდა. იკრძალებოდა დავალიანებულ გადამხდელთა სიკვდილი. მოუსავლიანობის შემთხვევაში მოიჯარე ერთი წლით თავისუფლდებოდა საიჯარო ქირის გადასახადისაგან. დაწესდა საიჯარო გადასახადის ნორმა. ამავე დროს კოდექსი მონობას აკანონებდა როგორც ნორმალურ

მდგომარეობას და სასტიკ რეპრესიებს აწესებდა მონების გაპარვისათვის და უბრალოდ მათ მიერ მონათმფლობელთა ურჩობისათვის.
კოდექსი სიკვდილის განაჩენს აწესებდა საკუთრების ხელყოფისათვის. იგი სიკვდილით დასჯას მოითხოვდა ქურდობისა და ძარცვისათვის*
მთლიანობაში ჰამურაბის კოდექსი განამტკიცებდა მაშინდელი ბაბილონის მონათმფლობელურ რეჟიმს და ესწრაფოდა მხოლოდ მონათმფლობელური წინააღმდეგობის შერბილებას.
საკუთრების დაცვის ჰამურაბისეული მიდგომა, შეიძლება გაზიარებული, გამოყენებული იქნას დღევანდელ საქართველოშიც.

## 2. ძველი ინდოეთის ეკონომიკური აზრი.

ძველი ინდოეთის ეკონომიკურ აზრზე წარმოდგენას იძლევა უპირველესად ლოცვების, რელიგიური ჰიმნებისა და მაგიური შელოცვების კრებული „ვედი", რომლის ტექსტიც მთელი ათასწლეულის მანძილზე ითხზვებოდა და დამთავრებული რედაქცია ჩვენს წელთა აღრიცხვამდე *VII* საუკუნეში შეიქმნა. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში შეიქმნა ორი პოემა „მაჰაბჰარატა" და „რამაიანა"** ამ დოკუმენტებში აისახა ტომური წყობილებისა და მონათმფლობელური ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყისი სტადიის პერიოდის ეკონომიკური შეხედულებები.
ძველ ინდოეთის ეკონომიკური აზრის თავისებურებანი რამდენადმე უფრო მკაფიოდ აირეკლა მანუს კანონებში. ისინი ასახავენ ინდოეთის სოციალ-ეკონომიკურ პირობებს ჩვენს წელთა აღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში. მანუს კანონები მონობას მიიჩნევდა სრულიად ნორმალურ მოვლენად. ისინი უარყოფენ მონის უფლებას საკუთრებაზე, და მოითხოვდნენ მონათმფლობელებისადმი მათ სრულ დამორჩილებას. მანუს კანონების ეკონომიკურმა იდეებმა კასტური მიმართულება მიიღეს. გაბატონებული კასტების პრივილეგირებული მდგომარეობა მის მიერ გამართლებულია მათი კეთილშობილური წარმოშობით. მანუს კანონებში ჩამოთვლილია ოთხი კატეგორიის კასტა - ბრაჰმანი, ქშატრი, ვაიში და შუდრა. ამათგან უმაღლესია ბრაჰმანების და ქშატრიების კასტები. დაბალი კასტებია ვაიშები და შუდრა. შუდრას არ ჰქონდა საკუთრება, იგი გაჩენილია ბრაჰმანის სამსახურისათვის.
ძველი ინდოეთის ეკონომიკური აზრი განსაკუთრებით

- - - - - - -

*ბაბილონის მეფის ჰამურაბის კოდექსი, თბ., 1934.

**რამაიანა, ინდური ეპოსი, თბ., 1951.

თვალნათლივაა ასახული თხზულებაში „არტჰაშასტრა" (მეცნიერება პოლიტიკის შესახებ). მის ავტორად თვლიან მეფე ჩანდრაგუპტის (321-297 წ. წ. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე). მრჩევლის კაუტილიას. ტრაქტატი ასახავს ინდოეთის ეკონომიკური აზრის მონათმფლობელურ მიმართულებას და მის კასტურ იდეებს. მონობისა და კასტების არსებობის მართლზომიერება ავტორთან ეჭვს არ იწვევს.

„არტჰაშასტრა" ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ფართოდ ჩარევის მომხრეა. მასში ნორმალურ მოვლენადაა მიჩნეული მევახშეობა. „არტჰაშასტრაში" შეინიშნება მსჯელობა ვაჭრობაზე. ლაპარაკია ფასების რეგულირებაზე იმ მხრივ, რომ საქონელი ბაზარზე მიაწოდონ სეზონის მიხედვით, რათა ფასებმა არ აიწიოს საქონლის სიმცირის გამო. როგორც ვხედავთ აქ საქმე ეხება საქონელთა მარაგების შექმნას. „არტჰაშასტრაში" ზუსტად იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის პუნქტები. ამ დოკუმენტში მოცემულია აგრეთვე, მოთხოვნანი სარწყავი სისტემის განვითარებისათვის და ა. შ.

„არტჰაშასტრაში" გამოთქმული აზრი ვაჭრობის რეგულირების. სასაქონლო მარაგების შექმნის შესახებ დიდ აქტუალობას იძენს ჩვენს სინამდვილეშიც.

### 3. ძველი ჩინეთის ეკონომიკური აზრი.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ყველაზე მომწიფებული ეკონომიკური აზრი ჩინეთში აღმოჩნდა. ჩინეთმა ჩვენს წელთა აღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში მატერიალური და სულიერი კულტურის ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. მის ტერიტორიაზე აღმოცენდა რთული პოლიტიკური წარმონაქმნები, მაღალი განვითარება მიიღო საწარმოო ძალებმა. ძველმა ჩინეთმა კაცობრიობის მატერიალური კულტურის საგანძური გაამდიდრა ფაიფურის, თოფის წამლის, ქაღალდის. მეაბრეშუმეობის განვითარებითა და სხვა აღმოჩენებით. იგი ითვლება ბევრი ეკონომიკური იდეის სამშობლოდაც. ჩინეთის ეკონომიკურმა აზრმა რადიკალური მიმართულება შეიძინა. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა იმდენად შორს წავიდა, რომ წარმოიშვა სახელმწიფო მონოპოლიის მართლზომიერების პრობლემა. გამოჩნდა პოლიტიკურ-ეკონომიკური სახიათის სპეციალური ტრაქტატები. მიმდინარეობდა დისკუსია ეკონომიკურ თემაზე, რაც ეკონომიკური აზრის დიდ სიმწიფეზე მეტყველებს. ძველი ჩინეთის ეკონომიკურ აზრში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თემისა და მონობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. გარდა ამისა მასში განხილულია აგრეთვე. ფინანსური

პოლიტიკის, ქაჯრობისა და სხვა მრავალი საკითხი.

ძველ ჩინეთში მრავალი ეკონომიკური მიმდინარეობა არსებობდა, რომელთა შორის ყველაზე გავლენიანი იყო კონფუციანელობა. მისი ფუძემდებელი იყო ერთ-ერთი მთავრის სასახლის მაღალი რანგის მოხელე კონ ფუ ცი. (551-473 წ. წ. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე). მან თავისი მოძღვრება გადმოსცა წიგნში „ლუნ-იუი" („საუბრები და მსჯელობანი"), რომელშიც იცავდა ვალისა და ვალდებულებების, ძველი ანდერძისა და ღიდებულთა პრივილეგიების იდეებს. მისი აზრით ყოველმა ადამიანმა განსაზღვრული ადგილი უნდა დაიკავოს ცხოვრებაში და ცნოს თავისი ვალდებულებანი ოჯახის, სახელმწიფოსა და კაცობრიობის ურთიერთობაში. კონ ფუ ცი აიდეალებდა ძველებურს და ისწრაფვოდა სათემო პატრიარქალური ურთიერთობის აღდგენისაკენ. მაგრამ ის არც მონობას კიცხავდა.

კონ ფუ ცის ძალიან წინააღმდეგობრივი შეხედულებები გააჩნდა, რაც დამახასიათებელი იყო თემური წყობილების რღვევისა და მონათმფლობელური წყობილების ჩამოყალიბების პერიოდისათვის. კონ ფუ ცი წუხს პირველზე და ებრძვის მეორეს, მაგრამ ის კავშირში იყო არისტოკრატიასთან. ამიტომ მონებს მოუწოდებდა ბედისადმი მორჩილებისაკენ, თვინიერებისაკენ, მოვალეობის შესრულებისაკენ და უფროსთა პატივისცემისაკენ. მონათმფლობელური საზოგადოება საჭიროებდა მორალურ სიმტკიცეს და კონ ფუ ციც ამისკენ ისწრაფოდა. ამით იგი გაბატონებულ კლასებს ემსახურებოდა.

კონ ფუ ცის დასაშვებად მიაჩნდა სიმდიდრის დაგროვება, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი მასის მიანის მიუყენებლად. იგი კიცხავდა განცხრომის მიმდევრებს. რეკომენდაციას უწევდა ზომიერ მოხმარებას, სიმდიდრის განაწილების შედარებით თანსწორობას, თუმცა ის არ იყო თანასწორობის მომხრე. ასეთ მიდგომას ღღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა. კონ ფუ ცის შეხედულებებში შეიმჩნეოდა სოციალური უტოპიის ელემენტებიც. იგი ოცნებობდა საყოველთაო კეთილდღეობის ეპოქის დადგომაზე, როდესაც კერძო საკუთრება კერპი არ იქნებოდა.

როგორც ეხედავთ, კონ ფუ ცი იყო მონათმფლობელური წყობილების გენეზისის ეპოქისათვის დამახასიათებელი გარდამავალი პერიოდის ფიგურა. ის ურიგდებოდა მას, მაგრამ გამოდიოდა მორალური სენტენციებით, რომლებშიც ირეკლებოდა წარსულის ეკონომიკური შეხედულებანი*. მიუხედავად ამისა, კონ ფუ ცის შეხედულებანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ არა მარტო

- - - - - -

*ეკონომიკური აზრის ისტორია, ნაწ.I, ი.დ. უდალცოვისა და ფ.ი.პოლიანსკის რედაქციით, მოსკოვი, 1961, გვ. 23-24 (რუს).

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ შუა საუკუნეების აღმოსავლეთშიც. უფრო მეტიც, დღესაც შეინიშნებიან თანამედროვე კონფუციანელები ჩინეთში, ტაივანსა და ჰონკონგში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში ჩინეთში კონფუციანელობის განვითარებით გამოვიდა მენ-ძი (372-289). იგი თავის მოძღვრებაში ისწრაფოდა შეეზღუდა მდიდართა თვითნებობა, მოეწესრიგებინა მიწათსარგებლობა და ა. შ. მენ-ძი პირველ ადგილზე აყენებდა ხალხს, ხოლო სახელმწიფოს უკანასკნელზე. იგი გამოდიოდა მძიმე გადასახადების წინააღმდეგ. ამ ბეჯითი კონფუციანელის აზრით, დაუშვებელია სახელმწიფოს მეტისმეტად ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში. ვაჭრობა თავისუფალი უნდა იყოს, ლიკვიდირებული უნდა იქნეს ბაჟის აღება და ა. შ. მენ-ძი მართებულად თვლიდა შრომის დანაწილებას ფიზიკურ და გონებრივ შრომად. მისივე კანონზომიერებას წარმოადგენდა ადამიანთა განსაკუთრებული ფენის არსებობა, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს და მისდევენ მეცნიერებას. ის შეუთავსებლად თვლიდა მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას, გამოდიოდა შრომის ფართოდ დანაწილების მოთხოვნით. მთლიანად მენ-ძის შეხედულებებისათვის დამახასიათებელი იყო იდეური ილუზიები.

იდეური ილუზიების წინააღმდეგ გადაჭრით გამოვიდა ეკონომიკური აზრის მიმართულება, რომელიც უფრო მჭიდრო კავშირში იყო მონათმფლობელობასთან. ისინი უარყოფდნენ გათანაბრებითი მიწათსარგებლობის სისტემას და მოითხოვდნენ მიწაზე კერძო საკუთრების დაწესებას. ჩინეთის ეკონომიკური აზრის ამ მიმართულებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ცინის სამთავროს მინისტრის შან იანის რეფორმებში, რომლებიც გატარდა დაახლოებით 350 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იგი ატარებდა აგრარული გადატრიალების ხასიათს. ის საჯაროდ აცხადებდა მიწაზე კერძო საკუთრებას, მიწის ყიდვა-გაყიდვის ნებართვით. დაწესდა რანგთა ტაბელი. დიდგვარიანი ხალხი, სამხედრო დამსახურების უქონელნი, დიდებულთა სიიდან გარიცხულნი და ადამიანები, რომლებიც გაღარიბდნენ ზარმაცობისაგან და ჩავარდნენ მონობაში. შეიცვალა მიწის გადასახადი სახელმწიფოს სასარგებლოდ. ის განისაზღვრებოდა დასამუშავებელი ფართობის მიხედვით, მოსავლის 1/10-ის ნაცვლად.

ამრიგად, შან-იანის რეფორმები ჩინეთის ეკონომიკის ძირეულ პრობლემებს ეხებოდა. საკითხი ასეთი კუთხით იდგა: თემი იყოს თუ მონობა, ძველი წყობის შენარჩუნებაზე იქნას კურსი აღებული თუ გაბატონებულთა ინტერესები გატარებულიყო. რეფორმებმა საკითხი მებატონეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. მიწაზე კერძო საკუთრების დამყარებამ განამტკიცა მონათმფლობელური რეჟიმის პოზიციები.

დააჩქარა საწარმოო ძალების განვითარება. მაგრამ ეს მიღწეული იქნა ხალხთა ფართო მასის ინტერესების შებღალვით. მიუხედავად ამისა, შან-იანის ღონისძიებანი პროგრესულ ხასიათს ატარებდა და მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ახალი ფურცელი ჩაწერა ძველი ჩინეთის ეკონომიკური აზრის ისტორიაში. საკითხს თუ უფრო ფართო სპექტრით მივუდგებით, ანალოგიური პრობლემები შეიძლება ჩვენს დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაშიც დავინახოთ და საუკუნეთა გამოცდილება ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ, მომავლის უკეთ კონსტრუირების მიზნით.

მონათმფლობელური წყობილების დამცველი კონფუციანელობის წინააღმდეგ გამოვიდნენ მოაზროვნენი, რომლებიც აკრიტიკებდნენ საზოგადოებრივ წყობილებას. კონფუციანელების კრიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მო დი (479-403 წ.წ.ჩ.წ.ა.) ის თვლიდა რომ ბუნებისაგან ყველა ადამიანი თანასწორია და ილაშქრებდა დიდებულებისა და მდიდრების მხრიდან ყოველგვარი ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. მო დის სიტყვებით მიწათმოქმედნი და ხელოსნები თავისი ბუნებით არაფრით არ განსხვავდებიან დიდებულებისა და მდიდრებისაგან. იგი აღიარებდა რომ ყოველ საზოგადოებაში ადამიანთა შორის შესაძლოა საზოგადოებრივი და ქონებრივი  მდგომარეობის განსხვავება, მაგრამ ცალკეული ადამიანების მდგომარეობა ყოველთვის არ უნდა რჩებოდეს უცვლელი, ერთ ადგილზე გაყინული. ის გადაჭრით ილაშქრებდა მონობის წინააღმდეგ და კიცხავდა საზოგადოებრივ სისტემას, სადაც დასაშვებია ადამიანების მონებად გადაქცევა, როგორც დატყვევების გზით ისე დაკაბალების დახმარებით. მო დი ილაშქრებდა ფუფუნების წინააღმდეგ, რომელსაც მისი მტკიცებით მიჰყავდა ადამიანური ძალების დასუსტებისაკენ, გადასახადებისა და მოსაკრებელთა გადიდებისაკენ. ადამიანთა სიკვდილისაკენ შიმშილითა და სიცივით. ის დასკვნას აკეთებდა, რომ ფუფუნება აბრკოლებს ადამიანთა მოდგმის გამრავლებას.

მო დი გამოვიდა სასოფლო სამეურნეო და  ხელოსნური შრომით დაკავებული უშუალო მწარმოებლების თავისუფლების ინიციატივით და ყველას მოუწოდებდა დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის, რათა ერთობლივი მეცადინეობით მიეღწიათ დამოუკიდებელი მდგომარეობისა და  კეთილდღეობისათვის.

უნდა ითქვას, რომ კონფუციანელებს კრიტიკოსები შემდგომშიც არ მოკლებიათ, მათ შორის თანამედროვე პერიოდშიც. მიმდინარე საუკუნის 60-იან წლებში ჩინეთში მიმდინარე „კულტურული რევოლუციის“ წლებში ისტორიის არქივიდან ამოქექეს და გაანალიზეს კონ ფუ ცის შეხედულებანი. პარალელი გაავლეს კონ ფუ ცის იდეებსა და *XX* საუკუნის 60-იანი წლების ჩინეთის ზოგიერთი ხელმძღვანელის

შეხედულებების შორის და ეს პარტიის ლიდერები ფიზიკურად მოსპეს (ლიუ, შაო ცი, ლინ ბიაო და მათთან ერთად ათობით მილიონი ჩინელი).

ძველი ჩინეთის ეკონომიკური აზრი ძალიან მკაფიოდ აისახა საინტერესო ტრაქტატში „გუან-ძი" რომლის ავტორად მიჩნეულია გუან-ჩჟუნი. ამ ტრაქტატში აღიარებულია საზოგადოებრივი კანონზომიერების არსებობა (შემდგომში მას ეკონომისტებმა ბუნებრივი წყობა უწოდეს). მაგრამ დაშვებულია სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ბუნებრივი მოვლენების გავლენის პარალიზება. პროდუქტების სიუხვის ანდა შიმშილის გამომწვევი მოსავლიანი და მოუსავლიანი წლების უმტკივნეულოდ ცვლა. აღნიშნულ ტრაქტატში რეკომენდირებულია ბრძოლა სპეკულაციასთან, მარცვლეულის მარაგების შექმნის გზით, რომელიც სტაბილური ფასების დაწესების შესაძლებლობას იძლეოდა. გუან-ჩჟუნის აზრით, როდესაც შესაძლებელი იქნება კერძო პირთა ხელში სიმდიდრის კონცენტრაციისა და მდიდართა ძლიერების თავიდან აცილება, მოგება სახელმწიფოს საკუთრებად იქცევა და ხალხთა მასები მასზე დამოკიდებული აღმოჩნდება. თუ მიწათმოქმედება განვითარდება სახელმწიფოს მდგომარეობა მტკიცე გახდება და მას შესაძლებლობა მიეცემა შეამციროს გადასახადები და შრომითი ბეგარა. ტრაქტატში წამოყენებულია თეზისი „სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს ხალხის გამდიდრება" მეტისმეტი გადასახადები საშიშად ითვლება, რამდენადაც იგი ამბოხებებსა და შინა ომებს წარმოშობს.

როგორც ვხედავთ ეს საინტერესო რეკომენდაციები განმარტავს ძველი ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, სადაც სახელმწიფო უდიდეს როლს თამაშობდა ეკონომიკის განვითარებაში. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ირიგაციული მშენებლობის პრობლემა და სხვა გლობალური საკითხების გადაჭრა მხოლოდ ფართო სახელმწიფოებრივ საფუძველზე იყო შესაძლებელი.

# თავი II. ანტიკური საბერძნეთისა და რომის ეკონომიკური აზრი

ანტიკურ სამყაროზე მსჯელობის დროს გასახსილება ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის საზოგადოებები. ამ ქვეყნებში მაღალ დონეს მიაღწია ეკონომიკური აზრის განვითარებამ, რაც განპირობებული იყო მონათმფლობელური წარმოების წესის მაღალი დონით¹. ანტიკური საზოგადოების მოაზროვნეების წინაშე ეროვნულები პრობლემები იდგა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იცავდა მონათმფლობელობას და ესწრაფოდა კლასობრივი წინააღმდეგობების შერბილებას, მონათმფლობელური ძალაუფლების გაძლიერებას. ამასთან ერთად, იყვნენ რიგი მოაზროვნეები, რომლებიც დემოკრატიული პოზიციებიდან ცდილობდნენ მშრომელი ფენების ინტერესების დაცვას.

## 1. საბერძნეთის პოლისის ეკონომიკური აზრი. ქსენოფონტე. პლატონი. არისტოტელე

ძველი ბერძენი მოაზროვნეებიდან საყურადღებო ეკონომიკური შეხედულებანი გააჩნდათ ქსენოფონტეს, პლატონსა და არისტოტელეს. ისინი იყვნენ მონათმფლობელთა კლასის იდეოლოგები და ცხადია მონათმფლობელური პოზიციებიდან აანალიზებდნენ ეკონომიკურ მოვლენებს.

ქსენოფონტემ (444-353 წ. წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თავისი ეკონომიკური შეხედულებანი ჩამოაყალიბა ნაშრომში „ოიკონომიკოს". მასში ქსენოფონტე რჩევა-დარიგებებს იძლევა მონათმფლობელური მეურნეობის უკეთესად გაძღოლისათვის. ქსენოფონტე ცხოვრობდა ისეთ ეპოქაში, როდესაც სასაქონლო მეურნეობა წარმატებით ვითარდებოდა ნატურალური მეურნეობა კი თავს იცავდა. ამან განაპირობა მისი შეხედულებების წინააღმდეგობრივი ხასიათი. ქსენოფონტე ხან მსჯელობს როგორც ნატურალური მეურნეობის წარმომადგენელი, რომელიც მტრულადაა განწყობილი ვაჭრობისა და ფულისადმი, ხან კი პირიქით, როგორც სპეკულაციის და გამდიდრების დამცველი. იგი ერთი და იმავე დროს ფულადი მეურნეობის წინააღმდეგიცაა და მომხრეც. ფულად მეურნეობას ემხრობოდა იმდენად, რამდენადაც ის ხელსაყრელია არისტოკრატიისათვის, მსხვილი მონათმფლობელობისათვის.

---

¹ა.სილაგაძე, მონათმფლობელური საზოგადოების ეკონომიკური კონცეფციები, თბ., 1991, გვ.2.

ქსენოფონტე მეურნეობის ყველაზე საპატიო დარგად მიიჩნევდა მიწათმოქმედებას. იგი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს თუ რამდენადაა დამოკიდებული მიწათმოქმედებაზე მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგი. მიწათმოქმედება იძლევა სერსათს, ნალელს და ა. შ. ქსენოფონტეს მიხედვით მიწათმოქმედება წარმოადგენს ყველაზე ჯანსაღ დარგს. თუმცა მიწათმოქმედებაშიც თავისუფალმა მოქალაქემ უნდა შეასრულოს მმართველობა და არა ფიზიკური შრომა. ქსენოფონტეს თავისუფალი ადამიანებისათვის შეუფერებელ საქმიანობად მიაჩნდა ხელოსნობა* იგი შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ მონების შრომაზე დამყარებული ხელოსნობის არსებობას. ქსენოფონტეს შეხედულებებში შეიმჩნევა შრომის დანაწილება გონებრივ და ფიზიკურ შრომად. გარდა ამისა, ცალკეული ოპერაციების უკეთ შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის იგი საჭიროდ თვლიდა თვით მონების საშემსრულებლო შრომის დანაწილებას. ამ საკითხში მან საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. თავის აზრს ქსენოფონტე მხატვრულად გამოთქვამს. იგი მოგვითხრობს ძველ ირანში არსებული ჩვეულების შესახებ, რომ ვისაც მეფე სწყალობს, იმას სადილს აძლევენ მეფის სუფრიდან. ქსენოფონტე აცხადებს, რომ აქ საკითხი შეეხება არა მარტო პატივისცემას - მეფის სუფრიდან თვით სადილიც უფრო გემრიელია რისთვის? იმიტომ რომ მეფის სამზარეულოში არსებობდა შრომის დიდი დანაწილება. იქ ერთი მზარეული როდია, არამედ რამდენიმე ათეული. აქედან ის საერთო დასკვნას აკეთებს: რამდენადაც არსებობს შრომის დანაწილება, იმდენად თვითეული სპეციალიზირდება ერთ ან ორ ოპერაციაზე, და ამიტომ გამოდის უკეთესი პროდუქცია**

თავის ნაშრომებში ქსენოფონტე ეხება იმ პერიოდის ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებს, როგორიც იყო ვაჭრობა და მევახშეობა. იგი უარყოფითად ახასიათებდა მსხვილ ვაჭრობასა და მევახშეობას. წვრილ ვაჭრობას კი იწონებდა და ხალხის მომსახურებისა და მისი მოხმარების უზრუნველყოფის ერთგვარ საშუალებად თვლიდა. წინააღმდეგობრივია ქსენოფონტეს შეხედულება ფულის საკითხშიც. იგი უგულებელყოფდა ფულად მეურნეობას და წინააღმდეგი იყო ფულის გამოყენებისა სავაჭრო და სავახშო კაპიტალად. მაგრამ იწონებდა ფულის გამოყენებას მიმოქცევის იარაღად და განძის

- - - - - -

*ქსენოფონტე ათენელი. „შემოკლებული თხზულებები“, მ; -ლ., 1935, გვ.269 (რუს).

**დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 198, გვ. 9.

დაგროვების საშუალებად[1]

ბერძნული მონათმფლობელობის იდეოლოგთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია პლატონს. პლატონი (427-347 ჩვენს წელთა აღრიცხვამდე) თავისი დროის დიდი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე იყო. ამასთან ერთად მას აინტერესებდა ეკონომიკური პრობლემებიც. პლატონს თავისი ეკონომიკური შეხედულებები გადმოცემული აქვს უმთავრესად „პოლიტიკასა" და „კანონებში". მათში დაყენებულია პრობლემები, რომლებიც აქტუალური იყო იმ დროის საბერძნეთისათვის. პლატონმა მთელი პროგრამა დაამუშავა მონათმფლობელური წყობის კრიზისიდან გამოსაყვანად და მისი სტაბილიზაციისათვის. პლატონი ცდილობდა შეერბილებინა მაშინდელი საზოგადოების წინააღმდეგობანი, რათა გადაერჩინა მონათმფლობელური საბერძნეთის დიდკაცობა. იმავდროულად იგი მოითხოვდა პოლისის დემოკრატიის ლიკვიდაციას, საბერძნეთის თავისუფალი მოსახლეობის უფლებათა შეზღუდვას. პლატონი, ისევე როგორც ქსენოფონტე, სპეციალურად არ მუშაობდა ეკონომიკურ საკითხებზე ამიტომ პლატონს არ მოეპოვება რაიმე დასრულებული ეკონომიკური სისტემა.

ეკონომიკური საკითხებიდან პლატონი პირველ რიგში ეხება შრომის დანაწილების პრობლემას. შრომის დანაწილება მას გამოჰყავს უწინარეს ყოვლისა ადამიანის ნიჭიდან, „რომ მას შეეძლია შეასრულოს მხოლოდ ცალკეული სამუშაოები." შემდეგ. შრომის დანაწილებაში ის ხედავს წინააღმდეგობის გადაჭრას. ქსენოფონტეს მსგავსად, პლატონიც გვიჩვენებს, რომ თუ ერთი ადამიანი ასრულებს ერთ სამუშაოს, ხოლო მეორე მეორეს, მაშინ თვითეული უეჭველად უკეთესად აკეთებს. აქ შეინიშნება პლატონის მიერ ქსენოფონტესაგან იდეის სესხება მაგრამ პლატონის დასკვნები სრულიად სხვადასხვაგვარია.

პლატონის პირველი დასკვნა ასეთია: სახელმწიფო მოვალეა ყოველმხრივ ხელი შეუშალოს ერთი და იგივე კაცის მიერ სხვადასხვა საქმის შესრულებას. „თუ შენ მეჩექმე ხარ, მაშინ იმუშავე მხოლოდ ფეხსაცმლის კერვაზე, თერძი ხარ კერე და სხვის საქმეში ნუ იჭრები". ის იმათ დასჯასაც კი მოითხოვდა ვინც დაიწყებდა რამდენიმე საქმის კეთებას. პლატონი აღნიშნავდა, რომ „თუ ვინმე ასრულებს, ვთქვათ ორ ან სამ ხელობას, ეს ნიშნავს, რომ ერთი პირი ერთი და იმავე დროს წარმოადგენს ორ სამ პირს, რაც სრულიად დაუშვებელია".

თუ ქსენოფონტეს სისტემაში შრომის დანაწილებას, წმინდა

------

[1] ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრაეცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I. თბ., 1973, გვ. 19.

სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, პლატონის სისტემაში ის გადაქცეულია, უნივერსალურ პრინციპად. მასზეა დამყარებული არა მარტო ეკონომიკური, არამედ მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება. პლატონი თავის იდეალურ სახელმწიფოს აგებს შრომის დანაწილების პრინციპზე.

პლატონის იდეალურ სახელმწიფოში სამი წოდება უნდა ყოფილიყო: ყველაზე დაბალ წოდებაში მას შეჰყავს სამეურნეო საქმიანობის შემსრულებელი პირები: ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და სხვ. პლატონის თქმით ისინი მოკლებულნი არიან აზროვნების უნარს და არ შეუძლიათ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა. მეორე წოდებას წარმოადგენს მეომრები, რომლებიც მშვიდობიან დროს ყოველმხრივ უნდა ავითარებდნენ თავის თავს ფიზიკურად; ომის დროს კი ქვეყანას იცავდნენ და ახალ ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ. ყველაზე მაღალი წოდება ფილოსოფოსებია, რომელთა ფუნქციაა სახელმწიფოს მართვა, კანონების გამოცემა, ახალი თაობის აღზრდა და ა. შ.

რამდენადაც უმაღლესი წოდება სახელმწიფოს ხელმძღვანელი იქნება, ხოლო მეომართა წოდება დაკავებული იქნება სახელმწიფოს დაცვითა და ახალი ტერიტორიების დაპყრობით, – ეს ორი წოდება თავისუფალი უნდა იყოს ყოველდღიური საქმიანობიდან. ისინი ისეთ პირობებში უნდა იყვნენ, რომლებიც ხელს არ შეუწყობს მათი საკუთრებითი ინტერესების განვითარებას. ამიტომ მათთვის არავითარი კერძო საკუთრება არ უნდა არსებობდეს. პლატონი დაასკვნის, რომ „კერძო საკუთრება მხოლოდ შურს, გაუმაძღრობასა და ყოველგვარ ეგოიზმს წარმოშობს". საკითხისადმი ასეთი მიდგომის გამო ბევრი პლატონს კომუნიზმის პირველ თეორეტიკოსად თვლის. პლატონის კომუნიზმი მოხმარებითია, თანაც მხოლოდ მაღალი წოდებისათვის. რაც შეეხება მესამე წოდებას, ის მისთვის არავითარ კომუნიზმს არ მოითხოვდა. პლატონი ამ წოდებისათვის ტოვებდა კერძო საკუთრებას და განსაზღვრულ პროფესიებზე მიმაგრებას.

პლატონი იმ აზრსაც ავითარებდა, რომ რაკი არსებობს შრომის დანაწილება, უნდა არსებობდეს გაცვლაც. მას დასაშვებად მიაჩნდა ვაჭრობა, მაგრამ ამ საქმიანობასაც იგი უყურებდა როგორც ხელოსნობას. მისი აზრით ვაჭრობა მოითხოვს გარკვეულ ჩვევებსა და ნიჭს, თითქმის თანდაყოლილსაც კი. ვაჭრობა ხელობაა, მაგრამ არა საპატიო. ვაჭრობას მხოლოდ უცხოელები უნდა ეწეოდნენ. ათენის მოქალაქენი ვაჭრობას არ უნდა ეწეოდნენო. თუ ათენის მოქალაქე ვაჭრობას დაიწყებს, მაშინ მასზე პირველყოვლისა დარწმუნებით, რჩევით უნდა იმოქმედო, რათა მან მიატოვოს ვაჭრობა, ხოლო თუ ეს მასზე ვერ იმოქმედებს, მის მიმართ უფრო მკაცრ ღონისძიებებს უნდა მიმართოო.

პლატონი მსჯელობს ფულის შესახებაც. მაგრამ მის ნაშრომებში ახსნილი არაა ფულის არსი. ის ფულს იხილავდა მხოლოდ როგორც გაცვლის იარაღსა და ღირებულების საზომს. იგი ემხრობოდა სიმდიდრის დაგროვებას ნატურალურ ფორმაში და ეწინააღმდეგებოდა სიმდიდრის ფულად ფორმას. პლატონი მოითხოვდა აკრძალულიყო ფულის იმაზე მეტი დაგროვება, ვიდრე ეს საჭიროა ერთი დღის ბრუნვისათვის.

მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე იყო არისტოტელე (384-322 ჩვენს წელთა აღრიცხვამდე). არისტოტელეს უნივერსალურმა გონებამ კაცობრიობას დაუტოვა 1000-მდე ნაშრომი. მათ შორისაა თხზულებანი ლოგიკაში („ორგანონი"), ბუნებათმეცნიერებაში („ბუნების შესახებ", „მთვარის შესახებ", „მცენარეთა შესახებ", „ცხოველთა შესახებ", კრებული „ფიზიკა"), ფილოსოფიური ნაშრომი „მეტაფიზიკა", ლიტერატურული („რიტორიკა", „პოეტიკა"), სოციოლოგიური („პოლიტიკა")და სხვ. ეს უკანასკნელი შეიცავს მის საზოგადოებრივ ეკონომიკურ შეხედულებებს.

არისტოტელეს ნაწარმოებებში პირველად მსოფლიო ისტორიაში აღმოჩნდა ეკონომიკური ანალიზის ელემენტები. არისტოტელეს სახით საბერძნეთის ფილოსოფია გარკვეულ ეკონომიკურ თეორიას უფრო დაუახლოვდა და იგი საოჯახო-საშინაო ან, უკეთესია ითქვას, კერძო მეურნეობის ელემენტებს უკეთებდა ანალიზს [1].

არისტოტელე თავისი დროის შვილი იყო. მონათმფლობელობა მას კანონზომიერებად მიაჩნდა. საზოგადოების კლასებად დაყოფას იგი ბუნების კანონად აცხადებდა. მან ბუნებრივ მოვლენად გამოაცხადა, აგრეთვე, დაპირისპირება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. არისტოტელეს მიხედვით მონები, უცხოელები, ესე იგი, ფიზიკურ შრომას უნდა ეწეოდნენ, ხოლო თავისუფალი ბერძენი მოქალაქეები სახელმწიფოს უნდა მართავდნენ. არისტოტელეს იდეალი იყო მონურ შრომაზე დამყარებული მცირე სამიწათმოქმედო მეურნეობა, რომელმაც თავისი თავი უნდა უზრუნველყოს ყველა აუცილებლით, ხოლო მცირე რამ, რისი ნაკლებობაც იქნება, გაცვლის გზით აიღოს მეზობლისაგან.

არისტოტელე თავის მოძღვრებაში გამოდიოდა მონურ შრომაზე დამყარებული ნატურალური მეურნეობიდან, მაგრამ რადგან მის დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი საკმაოდ განვითარებული იყო, ამიტომ მან შეამჩნია და განასხვავა სიმდიდრის ორი სახე: ეკონომიკა და ქრემატისტიკა. პირველი ნიშნავს სიმდიდრეს, როგორც სასარგებლო ნივთების კრებულს, მეორე სიმდიდრეს -

- - - - -

[1] ლ.პენეი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1927, გვ.12.

როგორც ფულის დაგროვებას. როგორც ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი ლ. ჰენეი აღნიშნავდა, „პირველი მოიცავს უმთავრესად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ მოხმარებასა და იმ აუცილებლისა და სასარგებლო საგნების წარმოებას, რომელთა დაგროვება და შენახვა შესაძლოა საარსებო ან ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მეორე არის გამდიდრების მეცნიერება და იგი ეხება სიმდიდრეთა სფეროს, სიმდიდრეთა შორის ფულის მოგებისა და გაცვლა გამოცვლის საკითხების მეშვეობით". პირველი სახის სიმდიდრეს აქვს საზღვარი. საზღვარს მოხმარება წარმოადგენს. იგი ქმნის ზღუდეს ნატურალური სიმდიდრისათვის. ფულად ფორმაში გამოხატულ სიმდიდრეს კი საზღვარი არა აქვს, ის უსაზღვროა. როგორც დ. როზენბერგი მიუთითებს „სიმდიდრის ეს დაყოფა ორ სახედ წარმოადგენს არისტოტელეს ეკონომიკურ შეხედულებათა ქვაკუთხედს"*. არისტოტელე ეხებოდა პირველი სახის სიმდიდრის, ეკონომიკის განვითარებას და ეწინააღმდეგებოდა ფულადი სიმდიდრის დაგროვებას. არისტოტელე ქრემატისტიკას მიაკუთვნებს მხოლოდ მსხვილ ვაჭრობას. წვრილ ვაჭრობას კი მიაკუთვნებს ეკონომიკას. მსხვილ ვაჭრობას არისტოტელე უარყოფითად უცქერის, წვრილს კი დადებითად. არისტოტელე სასტიკად უარყოფდა მევახშეობას, რადგან წინააღმდეგი იყო ფულის საშუალებით ფულის კეთებისა. იგი არაბუნებრივად თვლიდა ვაჭრობისა და მევახშეებისმიერ ფულის გამოყენებას მოგებისათვის. არისტოტელე ფულს განიხილავდა როგორც მიმოქცევის იარაღსა და ღირებულების საზომს და დაასკვნიდა, რომ ვინც ფულს სარგებლად აძლევს, იგი მას მისი ბუნების საწინააღმდეგოდ იყენებს.

არისტოტელე თავის შეხედულებებს სიმდიდრის შესახებ პოლემიკურ ფორმაში ავითარებდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მის ეპოქაში არსებობდნენ საწინააღმდეგო შეხედულებათა წარმომადგენლებიც, რომლებიც ქრემატისტიკას სრულიად სხვაგვარად უყურებდნენ. არისტოტელე ნატურალური მეურნეობის წარმომადგენელი იყო, ქრემატისტიკის დამცველები კი სავაჭრო კაპიტალის, ე. ი. მეურნეობის იმ დარგების წარმომადგენლები, რომლებიც სიმდიდრეს ფულად ფორმაში ქმნიან. არისტოტელე ქრემატისტიკას ბუნების საწინააღმდეგოდ თვლიდა, მაგრამ იგი საკმაოდ რეალისტი იყო, რომ დაენახა წმინდა „ეკონომიკის" შეუძლებლობა. იგი ამჩნევდა, რომ ეკონომიკიდან უწყვეტად წარმოიქმნება ქრემატისტიკა. ა. ანიკინი მიიჩნევს, რომ ეს სწორი დაკვირვებაა. თავის მხრივ იგი ამატებს, რომ „მეურნეობიდან, სადაც პროდუქტები იწარმოება, როგორც

- - - - - -

*დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ.,1938, გვ.17.

საქონელი გაცვლისათვის გარდაქმნება წარმოიქმნება კაპიტალისტური ურთიერთობანი"[*]. ჩვენ მხრივ (ჯ. ხ.) აქ იმას დავამატებდი, რომ არისტოტელე ეტყობა ქვეცნობიერად გრძნობდა: ფულადი სიმდიდრის განუზომელი გადიდება, თუ ფული უზრუნველყოფილი არ იქნება ძვირფასი ლითონებითა და სხვა სასაქონლო ფასეულობებით, გამოიწვევდა ფულის გაუფასურებას, ინფლაციას.

არისტოტელემ სხვა საყურადღებო შეხედულებანიც ჩამოაყალიბა. გაცვლის ანალიზის დროს იგი მივიდა დიდმნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ სხვადასხვა სახის საქონელთა ურთიერთგაცვლის დროს ადგილი აქვს მათ გატოლებას, გათანასწორებას"[**]. ამ იდეაში ჩვენ შეიძლება დავინახოთ შრომითი ღირებულების თეორიის ჩანასახი. არისტოტელემ პირველმა შენიშნა განსხვავება საქონლის სახმარ ღირებულებას და და მის საცვლელ ღირებულებას შორის. იგი შენიშნავდა, რომ ფეხსაცმელი შეიძლება გამოყენებული იქნას ფეხზე ჩასაცმელად, ანდა სხვა ნივთზე გადასაცვლელად. მან პირველად დასვა გაცვლის ეკვივალენტობის საკითხი.

როგორც ვხედავთ, არისტოტელეს მოძღვრებაში საკმაოდ მომწიფებული ფორმითაა მოცემული მსჯელობანი რიგი ეკონომიკური კატეგორიების შესახებ. ეს საფუძველს აძლევს ზოგიერთ ეკონომისტს, რათა არისტოტელე მიიჩნიოს პოლიტიკური ეკონომიის დამწყებადაც კი.

## 2.რომის ლატიფუნდიების პრობლემები კატონის, ვარონისა და კოლუმელას აგრონომიულ ტრაქტატებში

ძველი რომის ეკონომიკურმა აზრმა რთული პროცესი განვლო თავის განვითარებაში. მის ხანგრძლივ ისტორიაში წარმოიშვა სხვადასხვა მიმართულებანი, რომლებიც გამოირჩეოდნენ ორიგინალობით და ეპოქის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტით.

ძველ რომში იზრდებოდა ქალაქები, ვითარდებოდა ვაჭრობა და მრეწველობა, მაგრამ უმთავრეს პრობლემას აგრარული საკითხი წარმოადგენდა. მის გარშემო მრავალი ასწლეულის მანძილზე დუღდა ვნება და მიმდინარეობდა კლასთა მწვავე ბრძოლა, რამაც ღრმა კვალი დატოვა ძველი რომის ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში. წამოყენებული იქნა მრავალი აგრარული პროექტი, რომელთა მიზანდასახულებას წარმოადგენდა ვითარების სტაბილიზაცია და

- - - - - - -

[*] ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989, გვ.25.

[**] ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973, გვ. 24-25.

მონათმფლობელური რეჟიმის ხსნა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო ლატიფუნდიურ და გლეხურ მეურნეობებს შორის არსებული ანტაგონიზმის რაიმე ჩარჩოებში ჩაყენება. ამ ნიადაგზე გატარდა სერვი ტულიას რეფორმა, რომელმაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენების პოლიტიკური როლი განსაზღვრა მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად.

ფართო რეფორმების პროექტი წამოაყენეს სახალხო ტრიბუნებმა ლიცინი სტოლონმა და სექსტი ლატერანმა 376 წ. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე. ისინი წინადადებას აყენებდნენ, რომ ორიდან ერთი კონსული აუცილებლად მდაბიოთაგანი ყოფილიყო. ისინი მოითხოვდნენ მიწებით სარგებლობა შემოფარგლულიყო 500 იუგერის (125 ჰა) ნორმით. განსაზღვრული იყო აგრეთვე, საბალახო თითოეულზე 100 სული მსხვილი პირუტყვით და 500 სული წვრილი პირუტყვით შემოფარგვლა. ამ პროექტის განხორციელებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა დიდებულების მხრიდან. იგი კანონად გახდა მხოლოდ 367 წელს ჩვენს წელთა აღრიცხვამდე, მაგრამ პრაქტიკულად მაინც ვერ განხორციელდა.

ძველ რომში მონათა მკაცრმა ექსპლოატაციამ მრავალი სიძნელე წარმოშვა, რომლებიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვდნენ. მონები საშიშროებას წარმოადგენდნენ საკუთრებისათვის და მათი მართვა გამგეობა ძალიან გართულდა. აშკარა გახდა წინააღმდეგობა მონებსა და მონათმფლობელებს შორის. ეს იწვევდა მონების შრომის ნაყოფიერების დაცემას, მატერიალური რესურსების არარაციონალურ ხარჯვას და თვით წარმოების დეზორგანიზაციას. ეს წინააღმდეგობა რომ თავიდან აეცილებინათ ლატიფუნდიების მფლობელებს ესაჭიროებოდათ არაეკონომიკური იძულების რთული სისტემა. სხვადასხვა ფორმებში იყენებდნენ აგრეთვე მონებზე ეკონომიკურ ზემოქმედებას, მათ შორის იდეოლოგიურსაც. მონათმფლობელთა იდეოლოგები ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ, მონათმფლობელური წარმოების რაციონალური ორგანიზაციის ეკონომიკური პრინციპები. ამაზე თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა კატონის აგრონომიული ტრაქტატი.

კატონი უფროსი (234-149 წ.წ. ძვ.წ.ა.) მსხვილი მიწათმფლობელი იყო. თავის აგრონომიულ ტრაქტატში „მიწათმოქმედების შესახებ"* მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგად თვლიდა მიწათმოქმედებას და გულმოდგინედ იცავდა მონათმფლობელურ ნატურალურ მეურნეობას, ხოლო ვაჭრობასა და მევახშეობას უარყოფითად აფასებს. ეს ტრაქტატი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმიტომ,

*კატონი მარკ პორცი, მიწათმოქმედება, მ., 1957 (რუს).

რომ დაწერილია მონათმფლობელური წარმოების აღმავლობის პერიოდში და მკაფიოდ ასახავს რომაელის მრწამსს მის ეკონომიკურ შესაძლებლობებში.

კატონის ტრაქტატი მრავალმხრივია და ძირითად ნაწილში შეიცავს აგრონომიულ რჩევებს. განსაკუთრებით საინტერესოს წარმოადგენს კატონის დარიგებები მონების რაციონალური ექსპლოატაციის მეთოდების შესახებ. კატონი მონობას სრულიად ბუნებრივ მოვლენად თვლიდა. ის ცდილობდა მხოლოდ, რომ მონათა ექსპლოატაცია უფრო ეფექტური გამხდარიყო. ლატიფუნდიების მფლობელთა მაღალი შემოსავალი, რომ გარანტირებული ყოფილიყო, კატონი აწესებდა მონათათვის სურსათის, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის მიცემის ლატაკურ ნორმებს. იმავდროულად კატონი მათგან მოითხოვდა დაუღალავ შრომას. მათ უნდა ემუშავათ ყველგან და ყოველთვის, უამინდობის შემთხვევაშიც და დღესასწაულების დროსაც. კატონი წინადადებას იძლეოდა ადმინისტრაციული სიმკაცრე გამოეყენებინათ მონათა ცხოვრების ინტიმური მხარეების მიმართაც კი, მოკლედ კატონი მონას მიიჩნევდა მოლაპარაკე იარაღად, რომელსაც შრომის გარდა არავითარი უფლება არ გააჩნდა.

სამუშაო ძალისადმი ასეთი მკაცრი მიდგომა ძველ რომში იწვევდა იმას, რომ თანდათანობით კლებულობდა მონათა გამრავლება. საგარეო დაპყრობების გზით მონათა ხელში ჩაგდების წყარო დაილია და დღის წესრიგში დადგა შეცვლილიყო მიდგომა მონების, როგორც წარმოების მუშაკებისადმი. მათი შრომის ექსპლოატაციის გარკვეულად შერბილებული პროექტები ჩამოაყალიბა ვარონმა ჩვ. წელთა აღრიცხვამდე 1 საუკუნეში.

ვარონი (116-27წ.წ.ძვ.წ.ა.) ცნობილი მოაზროვნე იყო. ვარონის დროს ლატიფუნდიურმა მეურნეობამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია და ამიტომ მისი ორგანიზაციის საკითხმა უფრო მეტი სიმწვავე შეიძინა. თავის სამტომიან ტრაქტატში „სოფლის მეურნეობის შესახებ" ვარონმა მოგვცა ლატიფუნდიური მეურნეობის ეკონომიკის საინტერესო ანალიზი. ეს აიხსნება იმით, რომ ის აკვირდებოდა მონათმფლობელობის უფრო განვითარებულ ფორმებს და იმ პერიოდში წერდა, როდესაც ძველი რომის ეკონომიკური აზრი უფრო მაღალ დონეზე იდგა.

ვარონი შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ანტიკურმა იტალიამ ყველაზე მეტად დაკარგა თავისი ეკონომიკური პოზიციები რომის ხელისუფლების ფარგლებში. მას აღელვებდა ის გარემოება, რომ იტალიას არ ყოფნიდა საკუთარი პური და ყურძენიც კი. მისი აზრით იტალიას უნდა ჰქონოდა თავისი საარსებო პური, თუ ის შემდგომშიც აპირებდა მსოფლიოზე ბატონობას. ვარონი უპირატესობას

ანიჭებდა. ნატურალურ მეურნეობას ძარითადია, ვაჭრობასაც დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას აძლევდა, მაგრამ უფრო მეტად რჩევას იძლეოდა ბაზრის მოთხოვნილების შესწავლაზე და ყველაფრის, რაც შესაძლებელი იყო, საოჯახო მეურნეობაში დამზადებაზე. მისი შეხედულებით ნატურალურ მეურნეობას სერიოზული უპირატესობა აქვს სასაქონლოსთან შედარებით. ის უფრო მყარი და სამედოა. თუ დავაკვირდებით ვარონის აღნიშნული იდეები საკმაო აქტუალობას იძენს ჩვენს დღევანდელ ყოფაცხოვრებაში. და გარკვეულწილად მათი გამოყენებაც შეიძლება.

კატონისაგან განსხვავებით ვარონი დაინტერესდა, ლატიფუნდიებისათვის აუცილებელი, სამუშაო ძალის რეზერვების კვლავწარმოების პრობლემით. ვარონი პირდაპირ აყენებდა საკითხს მონების ხელოვნურად გამრავლების ორგანიზაციის შესახებ და წინადადებას იძლეოდა მონისათვის მიეცათ მონა ქალი როგორც ცოლი. მონას უფლება ეძლეოდა შეექმნა ოჯახი, რომელსაც ლატიფუნდიებისათვის უნდა მიეცა სამუშაო ძალის ახალი წყარო. მონათა ექსპლოატაციის ვარონისეული მეთოდებიც უფრო მოქნილი და გაწაფული აღმოჩნდა, ვიდრე კატონისეული. მისი აზრით მონებს უნდა მისცემოდათ სხვადასხვა ხასიათის მატერიალური შეღავათი. მაგრამ ვარონის ასეთმა პროექტმა ვერ გადაარჩინა ძველი რომის მონათმფლობელური რეჟიმი. ჩვენს წელთა აღრიცხვის I საუკუნეში დაიწყო მისი რღვევა.

მონათმფლობელური წყობილების დაცემის პერიოდის ეკონომიკურ აზრის წარმომადგენელი ძველ რომში იყო ლუციუს კოლუმელა (I ს. ახალი წ.ა.) თავის დიდ შრომაში „სოფლის მეურნეობის შესახებ" (12 წიგნი). ის აღნიშნავდა მონების შრომის დაბალ ნაყოფიერებას. ის აცხადებდა, რომ მონები ცუდად ამუშავებენ მიწას, არ ზრუნავენ იმაზე, რათა მიწას მაღალი მოსავალი მოეცა. კოლუმელა უფრო ნაყოფიერად თვლიდა თავისუფალი წვრილი მწარმოებლების შრომას. აქედან გამომდინარე კოლუმელა, მონათმფლობელურ ლატიფუნდიებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებდა თავისუფალ შრომაზე დამყარებულ წვრილ მიწათმფლობელობას. იგი მოითხოვდა მონის შრომა შეცვლილიყო თავისუფალი კოლონების შრომით. კოლონი იყო შუალედური ფიგურა მონასა და ყმა გლეხს შორის, ხოლო კოლონატი გარდამავალი ინსტიტუტი მონათმფლობელობას და ფეოდალიზმს შორის. ლ. კოლუმელა კი წარმოადგენდა კოლონატის იდეოლოგს.

## 3. ტიბერიუს და გაიუს გრაკჰუსების აგრარული მოძრაობის ეკონომიკური იდეები

ძველი რომის ეკონომიკური აზრის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია დემოკრატიულ მოძრაობას ძმები გრაკჰუსების მეთაურობით.

ტიბერიუს გრაკჰუსმა (163-132 წ.წ.ძვ.წ.ა.), რომელიც 133 წელს სახალხო ტრიბუნად აირჩიეს, განაახლა ძველი კანონის მოქმედება, რომელიც ყოველ რომაელ მოქალაქეს უფლებას არ აძლევდა ჰქონოდა 500 იუგერზე (125ჰა) მეტი მიწა. გამონაკლისს უშვებდა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. მათ უტოვებდა 1000 იუგერს (250ჰა)*. რაც მას აღემატებოდა მათთვის. უნდა ჩამოერთმიათ და პატარ-პატარა ნაკვეთებად (30 იუგერი) გადაეცათ ღარიბებისათვის, რომელთაც მისი გაყიდვის უფლება არ ექნებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ გრაკჰუსები არისტოკრატიის მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ ისინი თანაუგრძნობდნენ დაბალ ფენებს. ტიბერიუსი ამბობდა, რომ „მხეცებსაც კი, რომლებიც იტალიაში დაძრწიან, აქვთ ლამის გასათევი სოროები და ბუნაგები, იმ ხალხს კი, რომელიც იტალიისათვის იბრძვის და იხოცება, ჰაერისა და სინათლის გარდა არაფერი გააჩნიათ" არისტოკრატიის წინააღმდეგობის მიუხედავად სახალხო კრებამ მხარი დაუჭირა ტიბერიუსის პროექტს და აგრარული კომისია შეუდგა მის რეალიზაციას. მრავალმა გაღარიბებულმა მოქალაქემ მიიღო მიწა. მაგრამ დიდებულების უმეტესობას არ უნდოდა შერიგებოდა მიწების დაკარგვას. და მტრულად შეხვდა ტიბერიუსის რეფორმას. მათ მოკლეს ტიბერიუსი და მისი 300-მდე მომხრე.

ტიბერიუსის საქმე შემდეგში გააგრძელა მისმა უმცროსმა ძმამ გაიუსმა.

გაიუს გრაკჰუსი (153-121 წ.წ.ძვ.წ.ა.) თავისი ძმისაგან უფრო შორს წავიდა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებაში. 124 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იგი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს. მან წამოაყენა კოლონიზაციის ფართო პროგრამა. შეიმუშავა კანონპროექტი აფრიკაში 6000 კაცისათვის კოლონიის ორგანიზაციის შესახებ, ყოველი მეურნეობისათვის 200 იუგერი მიწის მიცემით. მაგრამ გაიუს გრაკჰუსის რეფორმაც წინააღმდეგობას შეხვდა და ვერ განხორციელდა.

## 4. მონათა აჯანყებების ეკონომიკური მოთხოვნები

ანტიკური სამყაროს ეკონომიკური აზრის ისტორია ცალმხრივი

* გ. ქავთარია, ძმები გრაკჰუსები, თბ. 1990, გვ. 100.

და არასრული იქნება, თუ მასში ახალი არ იქნება ხალხია მასების ეკონომიკური შეხედულებები. მონები შეადგენენ ანტიკური რომის მნიშვნელოვან კლასს, მატერიალური სიმდიდრის უშუალო მწარმოებლებს. სწორედ მონების ექსპლოატაცია აძლევდა რომის საზოგადოებას ეკონომიკურ ბაზას, რომელზედაც ემყარებოდა მონათმფლობელური რეჟიმის მთელი შენობა.

მონათა ეკონომიკური პროგრამა ყველაზე მკაფიოდ გამომჟღავნდა სპარტაკის აჯანყების დროს. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე 74-71 წლებში. სპარტაკის აჯანყების ეკონომიკური პროგრამა ძალიან რადიკალური იყო და ითვალისწინებდა იმ დროის ეკონომიკის საკვანძო პრობლემების გადაწყვეტას. აჯანყების მთავარი მიზანი იყო მონების განთავისუფლება მონათმფლობელებისაგან და მათი ლატიფუნდიების განადგურება, მონებისათვის მიწების მიცემა. მათი მიზანი იყო წვრილი წარმოების მოწყობა, ნატურალური მეურნეობის განვითარება.

სპარტაკის აჯანყება დამარცხდა და მისი ეკონომიკური პროგრამაც ვერ განხორციელდა მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ აჯანყებამ საფუძველი შეურყია რომის მონათმფლობელურ იმპერიას. დაიწყო ლატიფუნდიური მეურნეობის ღრმა კრიზისი, რასაც შედეგად მოჰყვა კოლონატის აღმოცენება.

## 5. ანტიკური ქრისტიანობის ეკონომიკური შეხედულებები

ანტიკურობის ეკონომიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქრისტიანობას. იგი წარმოიშვა რომის იმპერიის პირობებში და ფართო გავრცელება მიიღო. ახალი რელიგია თავდაპირველად გამოხატავდა მონებისა და ღარიბების პროტესტს მონათმფლობელთა კლასის წინააღმდეგ.

ქრისტიანული რელიგია აღიარებდა, რომ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და დედამიწაზე ცხოვრების დროს ისინი უნდა ცდილობდნენ იმას, რომ საიქიო ნეტარება დაიმსახურონ. ქრისტიანობის თავდაპირველი შინაარსი შემდეგ შეიცვალა. ეკლესიამ ცნო წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, მონათმფლობელობა, საზოგადოების კლასებად დაყოფა. პირველდაწყებითი ქრისტიანობა ღარიბებსა და მონებს საიქიო ნეტარებას ჰპირდებოდა. იგი მათ მოუწოდებდა თავისი პატრონის მიმართ ერთგულება გამოეჩინათ და მუყაითად ემრომათ. შერიგებოდნენ თავიანთ ხვედრს და მოთმინებით აეტანათ იგი. ეკლესია ცალკეული პირების მიერ დიდი რაოდენობით სიმდიდრის მოხვეჭას ცოდვად თვლიდა, მაგრამ ამის პატიება შეიძლებოდა შეწირულობის გაღებით.

# თავი III. შუასაუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები

ბოლო ხანებამდე ჩვენში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა შუა საუკუნეების ეკონომიკური აზრის შესწავლას. არადა ისტორიის ამ პერიოდის მოაზროვნეებმა საინტერესო ეკონომიკური შეხედულებანი ჩამოაყალიბეს, რომლებიც თანამედროვე პირობებში სრულიად ახლებურად შეიძლება განვიხილოთ, მათგან გამოვყოთ რაციონალური მარცვალი და იგი გამოვიყენოთ ქვეყნის წინსვლა განვითარების საქმეში.

შუა საუკუნეების ეკონომიკური აზრის ისტორია პირობითად სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1. ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები; 2. კლასიკური შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები; 3. გვიანდელი შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები.

## 1. შუა საუკუნეების არაბული ეკონომიკური აზრი

ფეოდალურმა სისტემამ არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში განვითარება დაიწყო *VII* საუკუნეში. ამ საუკუნის დასაწყისში არაბეთის ნახევარკუნძულზე გაზრდილმა სოციალურმა წინააღმდეგობებმა გამოიწვია სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომლის რელიგიურ პოლიტიკური იდეოლოგია იყო ისლამი.

ახალი რელიგიისა და სახელმწიფოს ფუძემდებელი იყო ქალაქ მექას წვრილი ვაჭარი მუჰამედი. მუჰამედი და მისი მიმდევრები ცდილობდნენ თავიანთ მხარეზე მიეზიდათ ერთი მხრივ მდიდრები, მეორეს მხრივ ღარიბ-ღატაკნი. ამიტომ ისინი გამოდიოდნენ სიმდიდრის მევახშეობისა და მექრთამეობის წინააღმდეგ.

არაბეთში ეკონომიკური აზრი წარმოდგენილია „ყურანში" (კითხვა). „ყურანის" შედგენას საფუძვლად დაედო მუჰამედისა და მისი მოწაფეების ქადაგებანი. „ყურანში" რელიგიურ იდეებთან ერთად გადმოცემულია ისლამის ეკონომიკური კონცეფციები.

მუსულმანების საღვთო წიგნი „ყურანი" მოითხოვს, რომ მორწმუნე არ იყოს ხარბი და არ ისწრაფოდეს უზომოდ გამდიდრებისაკენ. ამასთან ერთად ყურანი ასაბუთებს საზოგადოებრივი უთანასწორობის ღვთიურ წინასწარგანსაზღვრულობას, საზოგადოებაში მდიდრებისა და ღარიბების არსებობას.

მუჰამედი და მისი მიმდევრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ

ვაჭრობას. მართალია არაბეთში ვაჭრობა ძლიერ განვითარებული არ იყო, მაგრამ „ყურანის" შემდგენლები ფიქრობდნენ, რომ ვაჭრობის განვითარება ხელს შეუწყობდა მუსულმანური რელიგიის გავრცელებას.

„ყურანში მიჩნეულია, რომ მუსულმანებმა ვაჭრობაში დაიცვან განსაზღვრული წესები. „დაიცავით სისწორე ზომასა და წონაში; არ მიაყენოთ ხალხს ზარალი მათ ქონებაში" - აღნიშნულია „ყურანში". ვაჭრობაში მოგებას „ყურანი" ბუნებრივ მოვლენად თვლის. მაგრამ გმობს მევახშეობას და სარგებელს, თუმცა ისიც დასაშვებად მიაჩნია, ოღონდ მოითხოვს მის მოწესრიგებას. იგი კრძალავდა მაღალი პროცენტის აღებას.

შუა საუკუნეებში არაბეთის კულტურა აღმავლობას აღწევს. არაბეთში მეცნიერების მრავალი დარგი ვითარდებოდა; მათ შორის მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ. ეკონომიკურ საკითხებში ყველაზე საინტერესო აზრი გამოთქვა არაბმა ისტორიკოსმა იბნ-ხალდუნმა.

იბნ-ხალდუნი (1332-1406). ახლოს მივიდა იმ გაგებასთან, რომ სიმდიდრე იქმნება შრომით და სხვადასხვა პროდუქტები ერთმანეთზე იცვლება შრომის დანახარჯებთან შესაბამისობაში. იგი აღნიშნავდა, რომ „ყველა ან უდიდესი ნაწილი იმისა, რასაც ადამიანი შეიძენს და რისგანაც ამოიღებს მოგებას, შრომის ტოლფასი ღირებულებაა" იბნ-ხალდუნი თვლიდა, რომ სიმდიდრის წყარო არა მხოლოდ ოქრო და ვერცხლია, არამედ შრომისმოყვარე მოსახლეობა. იგი აღნიშნავდა: სუდანის მიწის წიაღში ბევრი ოქროა, მაგრამ ქვეყანა მაინც ღარიბიაო, რადგანაც ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა ოქროს რაოდენობაზე, არამედ მოსახლეობის შრომისმოყვარეობაზე. იბნ-ხალდუნის თქმით, ძვირფასი ლითონები სიმდიდრეს არ ქმნიან, მაგრამ აქვთ მყარი ღირებულება, ამიტომ წარმოადგენენ უკვე შექმნილი სიმდიდრის შენახვის ხელსაყრელ ფორმას განძის თვისებით.

არაბეთში რელიგიურ საღებავს ატარებდა ხალხთა მასების იდეოლოგიაც, რომელიც რელიგიურ წარმომადგენლებს იყენებდა ხალხთა თანასწორობასა და სამართლიანობაზე არა საიქიო ცხოვრებაში, არამედ ამქვეყნიური ცხოვრების ურთიერთობებში. ისლამის შიგნით წარმოიშვა სექტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ანტიფეოდალური მოძრაობის საფუძველს. ასეთი იყო მაგალითად, ხარიჯიტების სექტა, რომელიც მოითხოვდა მუსულმანებს შორის სოციალურ თანასწორობას. ამავე იდეას იცავდა ისმაილიტების სექტა. იგი მოითხოვდა მიწის თემზე გადაცემას და ქონების ერთობას.

რელიგიურ სექტებთან ერთად ისლამის ფეოდალურ იდეოლოგიას აკრიტიკებდნენ არაბული აღმოსავლეთის რიგი მოაზროვნეებიც. ამ

მხრივ აღსანიშნავია სირიელი პოეტის ალ-მაარის (973-1057) შეხედულებები. იგი გამოდიოდა რელიგიური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ალ-მაარი აკრიტიკებდა ფეოდალურ-საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, რომლის სათავეშიც იდგნენ მდიდრები, რომლებმაც თავისი სიმდიდრე ჩაგრულთა ხარჯზე შეიძინეს. ის აქებდა ხალხთა მასების შრომას, ყველა ადამიანს აღიარებდა თანასწორად, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ეროვნებისაგან დამოუკიდებლად.

## 2. ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებანი ევროპაში „სალიკური კოდექსი". „კაპიტულარები ვილების შესახებ".

ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში მეურნეობა ძირითადად ნატურალურ ხასიათს ატარებდა. პროდუქტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადიოდა ბაზარზე. მაგრამ თანდათანობით განვითარდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფილმა ხელოსნობამ დასაბამი მისცა ფეოდალური ქალაქების ზრდას. ამ პროცესს კი საქონელბრუნვის განვითარება მოჰყვა.

ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები ძირითადად ნატურალური მეურნეობის პრინციპების ამსახველია. ამ პერიოდში ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილი რაიმე სერიოზული ნაშრომი არ შექმნილა. ეს განპირობებული იყო ჯერ ერთი იმით, რომ ეკონომიკური განვითარების დონე დაბალი იყო, მეორეც, შუა საუკუნეებში რელიგიის გავლენა სულიერ ცხოვრებაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ეკონომიკურ საკითხებზე ყოველგვარი მსჯელობა რელიგიურ ეთიკური ფორმით ისჯებოდა.

მაგრამ ადრეულ შუასაუკუნეებში ეკონომიკური აზრი მაინც ვითარდებოდა. ამ პერიოდში წარმოიშვა ისეთი პრობლემები, რომლებსაც ანტიკური სამყარო არ იცნობდა. მათ კი გააზრება ესაჭიროებოდა. აღნიშნული პერიოდის ეკონომიკურ შეხედულებებში ასახვა ჰპოვა იმ პრობლემებმა, რომლებიც ფეოდალიზმის გენეზისთან იყო დაკავშირებული.

ადრეულ შუასაუკუნეებში ეკონომიკური მეცნიერება ჯერ კიდევ გამოცალკევებული არ იყო. ეკონომიკურ იდეებს ჩვენ ვხვდებით, იურიდიულ კოდექსებში და სასულიერო კრებულებში. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ეკონომიკურ იდეებს, რომლებიც გამოთქმულია ეკონომიკური პროცესების: ვაჭრობის,

მევახშეობის და სხვ. დახასიათებასთან ერთიან კავშირში. ადრეული შუასაუკუნეების დასავლეთევროპულ ეკონომიკურ აზრზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა ე. წ. ბარბაროსული კოდექსი, რომელიც წარმოადგენს საადათო სამართლის ჩანაწერებს. შუასაუკუნეების ეკონომიკური აზრის ისტორიკოსთა ყურადღებას უდავოდ იმსახურებენ რიპუალური, ბურგუნდიული და ბავარიული და სხვა კოდექსები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების სრული სპექტრია მოცემული იმ წყაროებში, რომლებიც შემორჩენილია ფრანკთა სახელმწიფოდან. ამის ტიპიურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სალიკური კოდექსი, რომელიც შედგენილია მეექვსე საუკუნის დასაწყისში ფრანკების სამეფოში. იგი მკაფიოდ ასახავს სათემო გლეხობის ეკონომიკურ შეხედულებებს. სალიკური კოდექსის ეკონომიკურ შეხედულებებში ასახა გვაროვნული წყობილების გადმონაშთების გავლენა.

სალიკური კოდექსი აღიარებდა თემის უზენაეს უფლებას მიწაზე. მისი დარღვევა შეიძლებოდა მეფის ხელისუფლების ჩარევით. აღნიშნული კოდექსი კრძალავდა მიწის მემკვიდრეობით გადაცემას მდედრობითი სქესის მემკვიდრეებზე. თუ მამაკაცის მემკვიდრეები არ ჰყავდა მიწა გადადიოდა თემის განკარგულებაში. სალიკური კოდექსი იცავდა თემის უზენაეს უფლებას ტყეებზე, საძოვრებზე, სათიბზე და სხვა სავარგულებზე.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სალიკურმა კოდექსმა ვერ შეძლო თემური იდეების თანმიმდევრული გატარება ცხოვრებაში. იმ პერიოდში წარმოიშვა ღრმა წინააღმდეგობა მიწათმოქმედების თემურ წყობასა და გლეხობის კერძო მეურნეობებს შორის. სალიკური კოდექსი აკანონებდა ამ დუალიზმს და იცავდა ცალკეული გლეხების კერძო საკუთრებას მიწაზე. მნიშვნელოვან ჯარიმებს აწესებდა გლეხების პირუტყვის, მოსავლისა და სხვა ქონების დატაცებისათვის.

სალიკური კოდექსი აღიარებდა მონობას, კოლონატსა და მსხვილ მიწათმფლობელობას, როგორც სავსებით კანონზომიერ მოვლენას. მაგრამ სალიკური კოდექსი უფრო ენერგიულად იცავდა ბატონყმურ რეჟიმს, ვიდრე მონათმფლობელობის გადმონაშთებს. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სალიკური კოდექსი წინააღმდეგობრივი დოკუმენტი იყო და ასახავდა ფრანკების სოფლის ფეოდალიზაციის პროცესს.

ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური აზრის ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს „კაპიტულარები ვილების შესახებ"*, რომელიც გამოცემულია *VIII* ს. დამლევსა და *IX*ს. დასაწყისში კარლოს დიდის დროს. ეს დოკუმენტი საინტერესო მასალას იძლევა ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკურ აზრზე, ამჟღავნებს

------

*კანონები მამულების შესახებ.

ფორმირებადი ფეოდალური საზოგადოების შეხედულებებს.

კაპიტულარებში წარმოდგენილი ეკონომიკური შეხედულებების წრე ბევრად განსხვავდება სალიკური კოდექსის პოზიციისაგან. ეს გასაკვირი არც არის ვინაიდან, „კაპიტულარები ვილების შესახებ" სალიკური კოდექსისაგან დაშორებულია მთელი სამი საუკუნის რთული ისტორიული განვითარებით. თემმა დაკარგა დამოუკიდებლობა და მიწის მესაკუთრის უფლება. წინა პლანზე წამოიწია ფეოდალურმა მამულებმა და სწორედ მისი პრობლემის გადაჭრას ცდილობდნენ კანონმდებლები. „კაპიტულარების" შემდგენლები იქიდან გამოდიან, რომ მიწის მფლობელი წარმოადგენს მიწის მონოპოლიურ მესაკუთრეს, ხოლო მისმა მიწამ მემამულის საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილება უნდა უზრუნველყოს. „კაპიტულარების" ავტორებისათვის იდეალურ მეურნეობას წარმოადგენს ნატურალური მეურნეობა და ყოველგვარი გადასახადები ნატურით უნდა მიეცემულიყო.

ფეოდალური ექსპლოატაციის ორი ძირითადი ფორმიდან (საბატონო ბეგარა და ღალა) კაპიტულარულ არჩევანს არ აკეთებდა და ორივეთი სარგებლობას უშვებდა. იგი ორიენტაციას იღებდა სამეურნეო საჭიროებებთან შესაბამისობაში მათ შერწყმაზე.

კაპიტულარები ვილების შესახებ მემამულური წარმოების ორგანიზაციის გადაწყვეტას ეძებდა, ბატონყმურ საფუძველზე. იგი იძლეოდა სხვადასხვა მეთოდების რთული თანაშეწყობის რეკომენდაციას, რომლებიც მთლიანობაში შედარებით მოქნილ სისტემას ქმნიდა. „კაპიტულარებში" მოცემული რეკომენდაციები და განკარგულებები აჩვენებენ, რომ ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკურმა აზრმა განვითარების ტენდენცია შეიძინა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ შეხედულებათა რიგ პუნქტებში სალიკური სამართალი და კაპიტულარები ვილების შესახებ ერთმანეთს ემთხვევიან. ასე მაგალითად, „კაპიტულარებში" ასევე აისახა ადრეული შუასაუკუნეების ეკონომიკური აზროვნების უკიდურესი აგრარიზმი. ამასთან ერთად, ადრეულ შუასაუკუნეების ეკონომიკურ აზრში შენარჩუნებულია ნატურალურმეურნეობრივი შეხედულებები.

## 2. შუასაუკუნეობრივი კათოლიციზმის ეკონომიკური შეხედულებები. თომა აქვინელი

კლასიკური-შუა-საუკუნეების დასავლეთ ევროპის ეკონომიკური აზრის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა კათოლიკურმა

ეკლესიამ კათოლიკური ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო იურისტების (ე. წ. კანონისტების) დოქტრინები მნიშვნელოვანი ზომით ემყარებიან ანტიკურ ტრადიციებზე, განსაკუთრებით არისტოტელეს თხზულებებზე. კანონისტური ეკონომიკური შეხედულებები რელიეფურადაა წარმოდგენილი „კანონიკური სამართლის კრებულში“, რომელიც შედგენილია XII საუკუნის შუა ხანებში ბოლონიელი ბერის, გრაციანის მიერ. ამ კრებულის მიხედვით იდეალს წარმოადგენს საერთო საკუთრება. ამავე დროს იგი აცხადებს, რომ კერძო საკუთრებაც აუცილებელია, როგორც სასჯელი ადამიანთა სისასტიკისათვის. აღნიშნული კრებული წარმოების ჭეშმარიტ ფაქტორებად მხოლოდ მიწასა და შრომას მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე ქრისტიანის ღირსებისათვის შეუფერებლად თვლიდა მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას. იგი უგულებელყოფდა ვაჭრობასა და მევახშეობას.

შუასაუკუნეების კათოლიციზმის ეკონომიკური დოქტრინა ყველაზე სრულად გამოხატა ცნობილმა იტალიელმა ღვთისმეტყველმა თომა აქვინელმა (1224–1265). იგი იყო შუა საუკუნეების დიდი ღვთისმეტყველი, რომლის მოძღვრებაც დღემდე წარმოადგენს ვატიკანის ოფიციალურ ფილოსოფიას. მისი თხზულებები კათოლიციზმის ენციკლოპედიად იქცა. ამ თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „თეოლოგიის ჯამი“.

თ. აქვინელი თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შეხედულებებში ეყრდნობოდა არისტოტელეს. ამასთან ცდილობდა ამ უკანასკნელის შეხედულებები შეეხამებინა ბიბლიის მოძღვრებისათვის. თ. აქვინელი იყო ცენტრალიზებული ხელისუფლების მომხრე. იგი გრძნობდა სწრაფვას სოციალური თანასწორობისათვის და მხარს უჭერდა იერარქიულ საზოგადოებას. იგი წინააღმდეგი იყო სახელმწიფო ხელისუფლებაში ხალხის წარმომადგენლის მონაწილეობისა.

არისტოტელეს მსგავსად, თ. აქვინელი ამართლებდა მონობას, ვინაიდან მასში ხედავდა ადამიანთა ბუნებრივი განსხვავებისა და მათი ცოდვიანობის შედეგს. მას მოსწონდა ბატონყმობაც.

ფეოდალური იდეოლოგია გვერდს ვერ აუვლიდა კერძო საკუთრების დაცვას. თ. აქვინელი გარკვეული ზომით ეთანხმებოდა აზრს, რომ ნივთები ეკუთვნის ღმერთს, ხოლო ადამიანებს დროებით შეუძლიათ მათით ისარგებლონ. იმავე დროს იგი აცხადებდა, რომ კერძო საკუთრება აუცილებელია საერთო სიკეთისათვის.

XIII საუკუნემდე ეკლესიის მსახურნი ნაკლებად აინტერესებდათ ეკონომიკური საკითხები. ამ მიმართებით ნაბიჯი გადადგა წინ თომა აქვინელმა. მის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსჯელობას ეკონომიკურ თემაზე. შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას თომა აქვინელი განიხილავდა, როგორც ბუნებრივ მოვლენას და

თვლიდა, რომ ის ეყრდნობა საზოგადოების ფენებად დაყოფამე. თ. აქეინელი წერს: „როგორც ფუტკრების თვალში ერთნი აგროვებენ თაფლს, სხვები ცვილისაგან უჯრედს აშენებენ, ხოლო დედა ფუტკარი სრულიად არ მონაწილეობს მატერიალურ შრომაში, ასეა ადამიანებშიც: ერთმა მიწა უნდა დაამუშაოს, სხვებმა სახლი აშენონ, ხოლო ადამიანთა ნაწილი თავისუფალი უნდა იყოს საერო საქმისაგან მათ თავი უნდა შესწირონ სულიერ შრომას, სხვების სახელის გადასარჩენად". თ. აქეინელის მტკიცებით საბატონო გლეხები შექმნილია ფიზიკური შრომისათვის, ხოლო პრივილეგირებული ფენები გონებრივ შრომას უნდა ეწეოდნენ.

თ. აქეინელი ამართლებდა სიმდიდრის დაგროვებას. მისი აზრით სიმდიდრე თავისში არ შეიცავს არავითარ განსაკუთრებულობას და წარმოადგენს ადამიანური საქმიანობის შედეგს, ისე, როგორც კერძო საკუთრების უფლებაც.

თ. აქეინელი განსაკუთრებული სიმპათიით იყო განმსჭვალული ნატურალური მეურნეობისადმი, რომელიც გაცვლას არ საჭიროებს. მაგრამ იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი გაცვლის გვერდის ავლა. ამიტომ იგი მსჯელობს გაცვლის ორგანიზაციაზეც და აღნიშნავს, რომ გაცვლა მოტყუების გარეშე უნდა განხორციელდეს.

თ. აქეინელის მოძღვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლიანი ფასების თეორიას. მისი მტკიცებით სამართლიანი ფასი უნდა ემყარებოდეს გაცვლის ობიექტურ პირობებს. შუასაუკუნეების მიწათმოქმედებმა და ხელოსნებმა კარგად იცოდნენ თავიანთი პროდუქტების ღირებულება. ამიტომ გაცვლის დროს ისინი უნდა გამოსულიყვნენ პროდუქტების წარმოებაზე დახარჯული შრომიდან. ამასთან თ. აქეინელი აღნიშნავდა, რომ გაცვლის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო წოდებრივი პრინციპიც. მას სამართლიანად მიაჩნდა ისეთი ფასი, რომელიც გამყიდველს შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებაში იცხოვროს თავისი მდგომარეობის შესაბამისად.

თ. აქეინელის „სამართლიანი ფასების" თეორიასთან მჭიდრო კავშირშია ფულის კანონიკური თეორია. რომელიც აღიარებს რომ ფული გაცვლის ფუნქციაში გამოდის ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგად. თ. აქეინელი აღიარებს ფულის ღირებულების საზომის ფუნქციასაც. თ. აქეინელის მიხედვით „მონეტა უზუსტესი საზომია მატერიალური ცხოვრებისათვის ვაჭრობაში და პირიქით. ამასთან ის ამტკიცებდა, რომ მონეტა იზომება შრომაში". თ. აქეინელის თქმით ფული არ შეიძლება აწარმოოს ფული, ამიტომ ის არ უნდა [illegible] დაგროვებას ვინაიდან

ის წარმოადგენს სიხარბის შედეგს. უნდა ითქვას, რომ ეს გაკიცხვა ეხებოდა მხოლოდ კერძო პირებს. თ. აქვინელი საჭიროდ თვლიდა ფულადი განძის წარმოქმნას ხელმწიფეებსა და ეკლესიებთან, რამდენადაც მათ ეს სჭირდებოდათ საზოგადოებრივი ფუნქციების შესასრულებლად.

## 3. შუასაუკუნეების ერესის სახალხო მოძრაობის ეკონომიკური მოტივები.

ხალხთა მასების ეკონომიკურ შეხედულებებს მკაფიოდ გამოხატავდა შუასაუკუნეების ერესი* ისინი წარმოადგენდნენ ფეოდალური რეჟიმის ოპოზიციას. ერომანეთისაგან განასხვავებენ ქალაქების ანუ ბიურგერულ ერესებს და გლეხებისა და პლებეების ერესებს.

ქალაქების ერესები გამოდიოდნენ მხოლოდ საეკლესიო ფეოდალიზმის წინააღმდეგ ოპოზიციის სახით. მათი ხელმძღვანელები იყვნენ ა. ბრეშიანსკი - გერმანიაში; ალბიგოელები საფრანგეთში; ვიკლეფი - ინგლისში. ი. ჰუსი - ჩეხეთში. ისინი მოითხოვდნენ საეკლესიო იერარქიისა და მისი პრივილეგიების მოსპობას, საეკლესიო სამსახურის გაიაფებას.

გლეხებისა და პლებეების ერესები მოითხოვდნენ თანასწორობის აღდგენას, რომელიც არსებობდა ადრეული ქრისტიანული თემის წევრებს შორის ურთიერთობაში. ამ თანასწორობის აღიარებას სამოქალაქო სამართლის ნორმად. ღმერთის წინაშე ადამიანთა თანასწორობიდან მათ გამოჰყავდათ მოქალაქეობრივი თანასწორობის იდეა. გლეხებისა და ერესების კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს წარმოადგენდა თავადაზნაურობის გათანაბრება გლეხებთან, პატრიციებსა და პლებეებთან: საბატონო ბეგარის, ღალის, გადასახადების პრივილეგიების გაუქმება, ქონებრივი განსხვავების მოსპობა.

შუასაუკუნეობრივი ერესი განამტკიცებდა გლეხურ ომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყანაში. გლეხები გამოხატავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას ფეოდალური ექსპანსიისადმი.

821-823 წ. წ. დიდი აჯანყება მოხდა ბიზანტიაში თომა სლავიანინის ხელმძღვანელობით. 841-842 წ. წ. აჯანყებას ადგილი ჰქონდა საქსონიაში. ეს აჯანყება მიმდინარეობდა თავისუფალი თემის ძველებური წესრიგისაკენ შებრუნების ლოზუნგით

*ერესი რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს. მწვალებლობა.

1304-1307 წ. წ. გლეხთა აჯანყება მოხდა იტალიაში, დოლჩინოს ხელმძღვანელობით. 1358 წ. საფრანგეთში მომხდარი აჯანყება ატარებდა ჟაკერიის სახელწოდებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გილიომ კალე. 1381 წ. აჯანყებას ადგილი ჰქონდა ინგლისში, უოტ ტაილერის ხელმძღვანელობით და ა. შ. ყველა ამ აჯანყების ეკონომიკური მოთხოვნები ანტიფეოდალურ და ერთნაირ ხასიათს ატარებდა.

## 4. შუა საუკუნეების რუსეთის ეკონომიკური აზრი. „რუსკაია პრავდა". მონომახის „სწავლება". „დომოსტროის" და „პრავიტელნიცას" სამეურნეო პრინციპები.

ძველ რუსეთში სპეციალური ეკონომიკური თხზულებები არ შექმნილა. იმ დროის ეკონომიკური შეხედულებების აღდგენა ხდება იურიდიული ძეგლებიდან და სასულიერო კრებულებიდან.

კიევის რუსეთის ფეოდალური ეკონომიკური იდეების შესწავლისათვის საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს იურიდიული კოდექსი „რუსკაია პრავდა", რომელიც შედგენილია *XI—XIII* საუკუნეებში. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კიევის რუსეთის ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, რომლის გვერდით განვითარებული იყო მონადირეობა და ვაჭრობა. ძირითად სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ გლეხები ანუ სმერდები. მათ გარდა არსებობდნენ აგრეთვე ზაკუპები, ხოლოპები, რიადოვიჩები. „რუსკაია პრავდაში" მოხსენებულია აგრეთვე ვაჭარი, კომიტიაგერი (საქონლით მოგზაური), სავაჭრო ბაჟის შემკრები და ა. შ.

„რუსსკაია პრავდასათვის" დამახასიათებელია მიწის საკუთრების დაცვა. ისჯებოდა მიჯნის დარღვევა, ე. ი. ისჯებოდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლების დარღვევა.

*XII* ს. დასაწყისში კიევის რუსეთის დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის მიერ შექმნილი იქნა ზნეობრივი ხასიათის ნაწარმოები „სწავლება". იგი შეიცავს მითითებებს როგორ იცხოვრონ და მართონ სამთავრო. დარიგება იძლევა რჩევებს შეწყალებაზე, გლახაკთა კვებაზე, პირად ქველმოქმედებაზე, როგორც ფეოდალური წყობილების უსამართლობის გასწორებაზე.

ძველ რუსულ წყაროებში თავისი გამოხატულება ნახა მევახშეობის საკითხმა. რუსული ეკლესია გამოდიოდა პროცენტის გადახდევინების წინააღმდეგ. ეკლესია კრძალავდა ხუცესთა მევახშეობას, ხოლო ერისკაცებისაგან მოითხოვდა მხოლოდ არ აეღოთ მაღალი პროცენტი.

შეიძლებოდა გადახდევინებინა მსგავსად. თუმცა სიმსუბუქეზე გადება თავისუფალი იყო 60-80 % დარჩა პროდუქტად ითვლებოდა.

*XVI* საუკუნეში რუსეთში მღვდელი სილვესტრის მიერ შექმნილ იქნა ცნობილი ნაწარმოები „დომოსტროი“. იგი წარმოადგენს ზნეობრივი წესების სწავლებისა და დარიგებების კრებულს. ამ თხზულებაში გადაჭრილია ნატურალური მეურნეობის პრობლემები. ამასთან, მასში ასახვა ჰპოვა სასაქონლო წარმოების ზრდამ, რომელიც დამახასიათებელია ჯერ *XVI* საუკუნისათვის, როდესაც ფართოვდებოდა შინაგანი ბაზარი და ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა.

„დომოსტროის“ განხილვის საგანს წარმოადგენს არა მთელი საზოგადოება ან ქვეყანა მთლიანად, არამედ ოჯახი ანუ „სახლი“. არა სახალხო მეურნეობა, არამედ მდიდარი ოჯახების მეურნეობა. თანამედროვე ენით, რომ ვთქვათ მიკრო ეკონომიკა. „დომოსტროი“ დაწვრილებით მიუთითებს, როგორ უნდა გაიყვანოს დღე, განაგოს მეურნეობა, შეინახოს მარაგები. „დომოსტროის“ სამეურნეო მითითებანი ითვალისწინებენ დიდი მარაგების შენახვას. ეს ნიშნავს, რომ სასურველადაა მიჩნეული ნატურალური ანუ ნახევრადნატურალური ტიპის მეურნეობა, სადაც ყველა აუცილებელი მიიღებოდა საკუთარი მეურნეობიდან და არა ყიდვით. მეურნეობა გამიზნული არაა ბაზრისათვის. მითითებულია, რომ გაყიდონ მხოლოდ პროდუქტების ნაჭარბი. „დომოსტროი“ რეკომენდაციას იძლევა მომჭირნეობაზე წლიური მარაგების შექმნაზე. ვისაც არა აქვს მამული და სოფელი, იმათ უნდა იყიდონ ზამთრისათვის პური და პროდუქტები.

*XVI* საუკუნის შუახანებში რუსეთში მღვდელი ერმოლაი-ერაზმის მიერ შექმნილი იქნა საინტერესო თხზულება „პრავიტელნიცა“. პრავიტელნიცა ნიშნავს სახელმძღვანელოს მმართველებისა და მეფეებისათვის. „პრავიტელნიცას“ ავტორი ავითარებდა რეფორმის გეგმას, წინადადებას იძლეოდა შეცვლილიყო საგადასახადო სისტემა, კანონით განსაზღვრულიყო საგლეხო ბეგარა, სათავადაზნაურო სამსახურის წესი და ა. შ.

ერმოლაი-ერაზმი ნატურალური მეურნეობის მომხრე იყო. ამიტომ ის სიმდიდრეს განიხილავდა, როგორც სახმარ ღირებულებათა მასას. სიმდიდრის წყაროს იგი შრომაში ხედავდა და თვლიდა, რომ სახელმწიფოს სიმდიდრეს საფუძვლად უდევს გლეხების შრომა. ამიტომ ის აუცილებლად თვლიდა გაუმჯობესებულიყო გლეხების მატერიალური მდგომარეობა. ის წინადადებას იძლეოდა დაეწესებინათ გლეხური მიწის ნაწილის აუცილებელი ზომა 18 ჰექტრამდე, სათიბისა და ტყის გარდა. ამ ნაწილიდან ის ვალდებული იყო ფეოდალისათვის მიეცა მოყვანილი მოსავლის 1/5 ნაწილი.

მსხვილ ვაჭრობასა და მევახშეობას ერმოლაი-ერაზმი უარყოფითად

ეკიდებოდა. იგი თვლიდა, რომ ვაჭრებისა და მევახშეების სიმდიდრე მათ პირად შრომაზე კი არ ემყარება, არამედ სხვა ადამიანების მოტყუებაზე.

## 5. ეკონომიკური აზრის განვითარება შუა საუკუნეების საქართველოში. შ. რუსთაველი. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი. „ვახტანგის კანონები“. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“.

შუა საუკუნეების განმავლობაში საყურადღებო ეკონომიკური აზრი ჩამოყალიბდა საქართველოში.

ეკონომიკური აზრის პირველი გამოვლინებანი შეიმჩნევა უძველეს ქართულ ლიტერატურულ წყაროებში როგორიცაა „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვ. მათში დახატულია ადრეული შუასაუკუნეების ქართული ეკონომიკური ყოფის შთამბეჭდავი სურათები. გადმოცემულია სამონასტრო მეურნეობის მდგომარეობა. ქართველ ერისმთავართა და მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობა.

საყურადღებო ეკონომიკურ იდეებს შეიცავს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მასში თავმოყრილია ავტორის შეხედულებანი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეზე, რომელიც აქტუალური იყო რუსთაველის ეპოქაში. ამ პერიოდში საქართველომ ფეოდალური განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ქვეყანაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მდგომარეობის განვითარებისათვის.

საქართველოს პოლიტიკურმა ძლიერებამ ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურება გამოიწვია. განვითარდა სოფლის მეურნეობა, გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო იარაღი და გადასაზიდი ტექნიკა. გაყვანილ იქნა არხები და წყალსადენები. რუსთაველის ეპოქაში ადგილი ჰქონდა საქალაქო მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის განვითარებას.

ეკონომიკის მაღალი დონე განაპირობებდა ეკონომიკური აზრის სიმწიფესაც. „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება საყურადღებო შეხედულებანი სიმდიდრის წარმოშობისა და განაწილების შესახებ. შ.რუსთაველი განიხილავს ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც ხალხის. საზოგადოების სხვადასხვა ფენათა საერთო საკუთრებას შეადგენს. და აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრის წყარო არის შრომა შ. რუსთაველი შენიშნავს, რომ ადმინისტრაციულად მართეადი შრომა

ნაკლებეფექტურია, ამიტომ იგი მოითხოვს შრომის თავისუფლებას. შ. რუსთაველს კარგად ესმის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების როლი მისი ნაყოფიერების ამაღლებაში.

შ. რუსთაველი სიმდიდრეს განსაზღვრავს აგრეთვე ძვირფასი ლითონებით, ძვირფასი ქვებით, ფულით, სამკაულით და ა. შ. ამ მიმართებით ის ფაქტიურად მერკანტილისტურ პოზიციაზე დგას.

„ვეფხისტყაოსანში ფართოდაა წარმოდგენილი ეკონომიკური კატეგორიები - ფული, ფასი, ვაჭრობა და სხვ. შ. რუსთაველი ფართო მასშტაბით განიხილავს გაცვლის, ფულისა და ვაჭრობის როლს და მის გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე.'

*XIII–XIV* სს. ქართული ეკონომიკური აზრის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მანდატურთ-უხუცეს ბექასა და მისი შვილიშვილის აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნი. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ეკონომიკის წამყვანი დარგი იყო სოფლის მეურნეობა. ეს განაპირობებდა იმას, რომ ბექასა და აღბუღას კანონები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მიწის საკუთრების დაცვას. ეს კოდექსი მიწის მესაკუთრედ მხოლოდ ფეოდალს თვლის.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ვაჭრობას. მასში დაკანონებულია იმ ვაჭართა პრივილეგიები, რომლებიც საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ, ე. ი. მოითხოვს საგარეო ვაჭრობის სტიმულირებას. ბექა და აღბუღა ვაჭრებს ორ კატეგორიად ყოფდნენ: 1. დიდვაჭრები, რომლებიც აზნაურებთან იყვნენ გათანაბრებულნი და 2. მცირე შეძლების მქონე ვაჭრები.

შუასაუკუნეებში საქართველოში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას აფერხებდა ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, შინა ომები და ყაჩაღობა.

ამიტომ ბექასა და აღბუღას მკაცრი სასჯელი დაუკანონებიათ ყაჩაღების წინააღმდეგ. საეაჭრო ქარავანზე თავდასხმის, ვაჭრის გაძარცვის და ქურდობის შემთხვევებში გათვალისწინებული იყო მკაცრი დასჯა და ნაძარცვი საგნების ღირებულების ორმაგად გადახდევინება

ანალოგიური ღონისძიებების გატარება დღევანდელ საქართველოშიც უდავოდ კეთილსასურველ შედეგებს მოგვცემს.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი ცდილობს მევახშეობის საკითხის მოწესრიგებასაც. მართალია იგი ცნობს მევახშეობას, მაგრამ წინააღმდეგია სარგებელზე სარგებლის დარიცხვისა და სარგებლის

------

'ამ საკითხზე ფართოდ იხილეთ - ვ. ჩანტლაძე, მოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992.

ნორმას 20%-ით განსაზღვრავს*

*XVIII* საუკუნის ფეოდალურ საქართველოში მეფე ვახტანგ მეექვსის ხელმძღვანელობით შეიქმნა „ვახტანგის კანონები", რომელიც საინტერესო ეკონომიკურ შეხედულებებს შეიცავს. მასში დაკანონებულია, რომ ყმა ბატონის სრული კუთვნილებაა და მკაცრად მოეთხოვებოდა ბატონის წინაშე ვალდებულებების შესრულება. „კანონებით" გლეხის მიმართ ფეოდალის თვითნებობაც იზღუდებოდა. ვახტანგ მეექვსემ შეადგინა აგრეთვე იურიდიული ნაწარმოები „დასტურლამალი", რომელიც წარმოდგენას იძლევა იმდროინდელი საქართველოს ფინანსურ მდგომარეობაზე. იგი აწესებდა გადასახადთა ნორმებს, რომლის დიდ ნაწილს ნატურალური გადასახადი შეადგენდა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს ეხება აგრეთვე ვახტანგ *VI*-ის შვილი ვახუშტი ბატონიშვილი(1696-1757) თავის ნაწარმოებში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"**. ამ ნაშრომში ღრმადაა შესწავლილი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. იგი დიდ ინტერესს იჩენდა მოსახლეობის აღწერისა და ამ აღწერიდან მიღებული მასალების გულდასმით შესწავლისადმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით. ეკონომიკური ცხოვრების განვითარებას იგი შესაძლებლად თვლიდა ფეოდალური წყობილების და მეფის ხელისუფლების განმტკიცების პირობებში.

*XVIII* საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეკონომიკური აზრი მკაფიოდაა ასახული საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი *XII* შვილის იოანე ბატონიშვილის კანონ-პროექტში და „ხუმარსწავლამში"***. ისინი აშუქებენ ამ პერიოდის ეკონომიკური ცხოვრების საკითხებს. იოანე ბატონიშვილის პროგრამა ფეოდალური სისტემის განმტკიცებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის იყო გამიზნული.

პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას იგი მჭიდროდ უკავშირებდა სამეურნეო მდგომარეობას და ამჩნევდა, რომ ისინი ერთიმეორითაა განპირობებული.

ი. ბატონიშვილის შეხედულებებში შეინიშნება მერკანტილისტური იდეები. მას გააჩნია საინტერესო პოზიცია შრომის დანაწილების საკითხში. იგი მოითხოვდა, რომ გლეხებს შორის ადგილი ჰქონოდა

- - - - - -

* ს. ბერაძე, გ. ჭანუყვაძე. ი. კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1. თბ., 1973, გვ. 48.

** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ, 1973.

***იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, თბ., ნაწ. I, 1990, ნაწ. II - 1991.

შრომის დანაწილებას ერთნი კიდე ეწეოდნენ მიწათმოქმედებას. მეორენი მეცხოველეობას მესამენი მრეწველობას და ა. შ. ასეთი დაყოფა გაზრდიდა შრომის ეფექტიანობას.

ი. ბატონიშვილის კალმასობაში დიდი ყურადღება ექცევა ვაჭრობის განვითარებას. იგი მოითხოვდა სახელმწიფო საცალო ვაჭრობის გაშლას. ამასთან ერთად იგი მომხრე იყო კერძო ვაჭრობის გაფართოებისა. მისი პროექტი ითვალისწინებდა კონტროლის დაწესებას საქონლის ხარისხის დაცვისა და ფასების დაწესებაზე.

ფინანსების დარგში ი. ბატონიშვილი იცავდა ფულის მტკიცე კურსს. უპირატესობას ანიჭებდა ძვირფას ლითონებს. იგი ასაბუთებდა საქართველოში სახელმწიფო კრედიტის შემოღების საჭიროებას. ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი იყო კერძო სავახშო კრედიტი, რაც დიდ სარგებელს მოითხოვდა. ამის საწინააღმდეგოდ ი. ბაგრატიონი მოითხოვდა სახელმწიფო კრედიტის შემოღებას სარგებლის მტკიცე ნორმის დაწესებით. სარგებელი დაპროექტებული იყო 12%-ით, რაც მაშინ დაბალ ნორმად ითვლებოდა[1]

მართალია, ი. ბატონიშვილის ეკონომიკური პროგრამა საინტერესო დებულებებს შეიცავდა, იგი ვერ განხორციელდა, ვინაიდან მაშინ საქართველოში ამის პირობები არ იყო.

- - - - - -

[1] ს. ბერაძე, გ. ჭანუყვაძე, ი. კრაევიჩი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია ნაწ. I გვ. 71.

# თავი IV. მერკანტილიზმი.

## 1. მერკანტილიზმის წარმოშობა და განვითარების ორი სტადია

თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების განთიადი დაკავშირებულია კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდთან, საიდანაც წარმოშობას იწყებს კაპიტალისტური წყობა. კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოშობასთან ერთად ჩამოყალიბებას იწყებს ბურჟუაზიულ ეკონომიკური აზრიც.

ბურჟუაზიულ ეკონომიკური აზრის პირველ სკოლას წარმოადგენდა მერკანტილიზმი. მერკანტილიზმი, როგორც ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემა და ეკონომიკური პოლიტიკა, გამოხატავდა ფეოდალიზმის წიაღში წარმოშობილი ბურჟუაზიის ინტერესებს. მერკანტილიზმი აღმოცენდა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში.

მერკანტილიზმი გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკაა. იგი არის სავაჭრო კაპიტალისა და სავაჭრო ბურჟუაზიის ეკონომიკური მოძღვრება.

მერკანტილიზმის წარმოშობა დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როდესაც იშლებოდა ფეოდალიზმი და ვითარდებოდა მანუფაქტურული კაპიტალიზმი. ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა (ნიდერლანდების 1556 წ. ინგლისის 1642 წ. და სხვ.) დააჩქარეს კაპიტალიზმის განვითარება. *XVI–XVIII* საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის მოძღვრებებს შორის ბრძოლას. ამ ბრძოლაში თავისი სიტყვა თქვა მერკანტილიზმმა. იგი ხელს უწყობდა კაპიტალის დაგროვებას, კაპიტალისტური წარმოების წესის მომზადებასა და განმტკიცებას. მერკანტილურმა მოძღვრებამ მიზნად დაისახა ახალი ეკონომიკური ღონისძიებებისა და პოლიტიკის თეორიული დამუშავება და დასაბუთება.

მერკანტილიზმმა შეცნობილად თუ მექანიკურად ისესხა და გამოიყენა წინამორბედი ეკონომიკური იდეები. განსაკუთრებით ეს ითქმის ანტიკურ შეხედულებებზე.

მერკანტილისტებმა გარკვეულად ისესხეს და გამოიყენეს ძველი ინდური თხზულების „არტჰაშასტრას" ეკონომიკური იდეები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის შესახებ.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის პროტექციონისტული იდეა შეიძლება ითქვას, რომ მერკანტილისტებმა ისესხეს ძველი ჩინეთის ეკონომიკური აზრიდან.

ანტიკური აზროვნებიდან მერკანტილისტებმა გარკვეულწილად ისესხეს ქსენოფონტეს თხზულებებიდან. კერძოდ მერკანტილისტური იდეების ჩანასახი შეიმჩნეოდა ქსენოფონტეს მიერ ფულის მაღალ შეფასებაში.

მერკანტილიზმში გულისხმობდნენ ზოგჯერ ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურ სისტემას, ზოგჯერ კი ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემას, ე. ი. განსაკუთრებულ დოქტრინას. სინამდვილეში მერკანტილიზმი ერთსაც წარმოადგენდა და მეორესაც.

მერკანტილისტური (მერკანტილური - სავაჭრო) პრაქტიკა წინ უსწრებდა მერკანტილიზმს, როგორც თეორიას. პირველი იყო საქმე, რომელიც გამოწვეული იყო სავაჭრო კაპიტალის ეპოქის ეკონომიკური განვითარების მსვლელობით[1]

როგორი იყო მერკანტილისტური პრაქტიკა? ერთიმეორისაგან განასხვავებენ ადრინდელ მერკანტილიზმსა და განვითარებულ მერკანტილიზმს. ერთიც და მეორეც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ფულს, მაგრამ ისინი ერთი მეორეს სცილდებოდნენ. ჯერ ერთი ფულის შოვნისა და შენახვის მეთოდსა და წესებში, მეორეც, განვითარებული მერკანტილიზმის დროს ფულისადმი დამოკიდებულებაც უკვე ისეთი უშუალო პრიმიტიული აღარ იყო, როგორც ადრინდელი მერკანტილიზმის დროს.

ქვეყანას, რომელიც საქონლის მიმოქცევის განვითარების გზას დაადგა, უნდა ჰქონდეს კეთილშობილი ლითონი, რომლის რაოდენობაც უნდა მატულობდეს საქონლის მიმოქცევის ზრდასთან ერთად. კრედიტი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, ხელშეკრულებათა ძირითადი მასა ნაღდ ანგარიშზე წარმოებს. ქვეყანას არ ძალუძს დასაწყისში მიიღოს და შეინარჩუნოს ოქროსა და ვერცხლის საჭირო რაოდენობა, მხოლოდ ეკონომიკური ღონისძიებებით. ამიტომ დამხმარე საშუალებად გამოდიან ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

მერკანტილიზმის პრაქტიკა ყველაზე ჩამოყალიბებული ფორმით ინგლისში განხორციელდა. ინგლისში ადრეული მერკანტილიზმის ეპოქაში ეს ღონისძიებანი შემდეგში გამოიხატებოდა: 1. ინგლისელ ვაჭრებზე კონტროლში და 2. უცხოელ ვაჭრებზე კონტროლში.

ინგლისელ ვაჭარს საზღვარგარეთ შეეძლო ვაჭრობა მხოლოდ განსაზღვრულ, ეგრეთწოდებულ „საწყობ ადგილებში". ამ „საწყობ ადგილებში" ინგლისელ ვაჭრებს მიჰქონდათ თავისი ჩვეულებრივი საქონელი: მატყლი, ტყავი, კალა, თუნუქი, თევზი და სხვ. სამაგიეროდ

- - - - - -

[1] დ. როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია. თბ., 1937 გვ. 50-54.

უცხოელებისაგან იღებდნენ საჭირო პროდუქტებს, უმეტეს შემთხვევაში მანუფაქტურულ ნაწარმს. ამასთან ყურადღება ექცეოდა იმას, რომ ქვეყანაში შემოსულიყო უცხოეთის მონეტები.

ინგლისში მოვაჭრე უცხოელ ვაჭრებზე კონტროლი კიდევ უფრო რთულად მიმდინარეობდა. ინგლისში ჩასული უცხოელი იძულებული იყო თავისი ფულით მისულიყო ან თვით ზარაფხანაში ანდა ფულის დამხურდავებელ მოხელესთან და იქ გადაეცვალა თავისი უცხოური მონეტა ინგლისური მონეტების იმ რაოდენობაზე, რამდენსაც მას მისცემდნენ. შემდეგ თუ მას კიდევ უნახავდნენ უცხოეთის მონეტას, ასეთ პირობებში, რომელიც არ მეტყველებდა მის დახურდავებაზე, მაშინ ამ ფულს ართმევდნენ მას ხაზინისათვის, ხოლო თვით მას სასტიკად სჯიდნენ.

ამ ღონისძიებების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ უცხოელი აბარებდა სრულწონიან მონეტას, სამაგიეროდ აძლევდნენ გაუფასურებულ (წონაში შემცირებულ) მონეტას. თუ უცხოელსაც არასრულწონიანი მონეტა აღმოაჩნდებოდა, ამით არაფერი იცვლებოდა, ვინაიდან უცხოელის მონეტებს წონით იღებდნენ სამაგიეროდ კი უცხოელი იღებდა ინგლისური მონეტის იმდენ რაოდენობას, რამდენსაც მას მისცემდნენ. ე. ი. ინგლისის არასრულწონიანი მონეტის სრულწონიანად მიღებას აიძულებდნენ არა მარტო საკუთარ ქვეშევრდომებს, არამედ უცხოელებსაც. რადგან როგორც ერთნი, ისე მეორენი უნდა გამოსულიყვნენ არა მონეტის წონისაგან, არამედ მისი ოფიციალური ფასისაგან. გარდა ამისა, უცხოელ ვაჭრებს აიძულებდნენ მიღებული გაუფასურებული მონეტებიც მთლიანად ინგლისური საქონლის შეძენაზე დაეხარჯათ და უცხოეთში ფული არ გაეტანათ. ასეთი პრაქტიკა შეესაბამებოდა ადრინდელ მერკანტილიზმს, განვითარებული მერკანტილიზმი კი გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მაღალ დონეს, რომელიც განპირობებული იყო უფრო განვითარებული ეკონომიკით.

განვითარებული მერკანტილიზმის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ვაჭრობა, გაჩნდა მანუფაქტურები, განვითარდა კრედიტი, დაიწყო კაპიტალის ეგრეთწოდებული თავდაპირველი დაგროვების ეპოქა. კიდევ უფრო გაიზარდა მისწრაფება ოქროსა და ვერცხლისადმი, მაგრამ მასთან დამოკიდებულება შეიცვალა. წინანდელი ქადაგება მეტი გავყიდოთ და ნაკლები ვიყიდოთ უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ პირობებს. შეიცვალა წარმოებისადმი დამოკიდებულებაც. თუ წინანდელი, შედარებით მცირე მოცულობის ვაჭრობისათვის წვრილი მეწარმეობა საკმაო ბაზას წარმოადგენდა, იმ ვაჭრობისათვის, რომელმაც უდიდეს მოცულობას მიაღწია, წვრილი წარმოება უკვე არასაკმაო გახდა. ამიტომ წარმოიშვა მსხვილი

წარმოების ფორმირების საქორიერა

მერკანტილიზმი იღებს არა სავაჭრო, არამედ სამრეწველო პოლიტიკის სახეს თუ ადრინდელი მერკანტილიზმისათვის დამახასიათებელს წარმოადგენდა ფორმულა ფ-ს-ფ. განვითარებული მერკანტილიზმისათვის დამახასიათებელია ფ-ს... წ– ს'-ფ'. წარმოების უგულებელყოფა უკვე აღარ შეიძლებოდა. მაგრამ მაინც გრძელდებოდა წარმოების განხილვა, როგორც მიმოქცევის განვითარებისათვის, აუცილებელი პირობა, რომელიც (მიმოქცევა) სიმდიდრის ნამდვილ წყაროდ ითვლება. მერკანტილისტების გამოკვლევის საგანია მიმოქცევა. მეთოდი დაკვირვებულ მოვლენათა აღწერა და ნაწილობრივ მათი კლასიფიკაცია; ამოცანა ვიწრო პრაქტიკულია.

მერკანტილიზმი იყო სავაჭრო კაპიტალის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ისტორიული მისია იმაში მდგომარეობდა, რომ გზა გაეკაფა სამრეწველო კაპიტალისათვის და საფუძველი ჩაეყარა მისი განუყოფელი ბატონობისათვის. როცა სავაჭრო კაპიტალის მისია დასრულებული იქნა, - მერკანტილიზმი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორიდან ამ განვითარების ბორკილად იქცა. მაშინ იწყება ოპოზიცია მერკანტილიზმის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკაში, ისე თეორიაშიც. სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, მანამდე, საჭიროა განვიხილოთ მერკანტილიზმის მიმდინარეობანი სხვადასხვა ქვეყნებში.

## 2 მერკანტილიზმის თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყნებში

მერკანტილიზმს რიგი თავისებურებანი გააჩნდა, ცალკეულ ქვეყნებში კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა მოდიფიკაციას განიცდიდა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან დამოკიდებულებაში. არც თუ იშვიათად შეინიშნება იდეების სესხება და გამოყენება ერთი ქვეყნიდან მეორეში.

### ა) ესპანური მერკანტილიზმი

ფრიად თავისებური იყო ესპანური მერკანტილიზმი *XVI* საუკუნეში. იგი წარმოადგენდა კლასიკურ მერკანტილიზმს. ესპანეთის მეფეები მკაცრად არეგლამენტირებდნენ ფულად მიმოქცევას. ოქროსა და ვერცხლის გატანა მკაცრად იკრძალებოდა სიკვდილის დასჯის შიშით. ყველა გემი; რომელიც ესპანეთს სტოვებდა უცხოელისათვის განკუთვნილი საქონლის ტვირთით, ვალდებული იყო უკან მოეტანა ეკვივალენტური ფულადი ფორმით და არა უცხოური საქონელი. უკანასკნელის შესყიდვა ხშირად იზღუდებოდა. ხომალდი, რომელიც ესპანეთში მოდიოდა ასეთი საქონლით, მისი ნაპირები შეეძლო დაეტოვებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ტვირთის ნაწილი

ესპანური საქონლისაგან იქნებოდა შედგენილი.

*XVI* საუკუნის ესპანური მერკანტილიზმი ძალიან პრიმიტიული აღმოჩნდა და მონეტარიზმზე შორს არ წასულა. ამ ქვეყანაში მერკანტილიზმმა თავადაზნაურული მიმართულება მიიღო და ამიტომ ეკონომიკურად უნაყოფო აღმოჩნდა. მეფე კარლ *V* ყოველნაირად აეიწროებდა ვაჭრობას სხვადასხვა შეზღუდვებითა და მონეტების გატანის აკრძალვით. აღნიშნული პერიოდის ესპანელი მერკანტილისტებიდან აღსანიშნავია მარიანის (1573-1624) საქმიანობა. იგი მოითხოვდა ვაჭრობის მფარველობას მეფის ხელისუფლების მხრიდან. მოგვიანებით ესპანეთში გამოჩნდნენ მოაზროვნეები, რომელთა შეხედულებებშიც მკაფიოდაა გადმოცემული მერკანტილისტური დოქტრინა სავაჭრო ბალანსის თეორიის არსით. ასე, მაგალითად, 1724 წ. ჟერონიმო დე უცტარიცმა გამოაქვეყნა წიგნი „ვაჭრობისა და ზღვაოსნობის თეორია და პრაქტიკა", რომელშიც ერთმანეთს უპირისპირებდა სასარგებლო და საზიანო ვაჭრობას. ამ უკანასკნელის თანრიგს მიაკუთვნებდა ვაჭრობას, რომელიც პასიურ სავაჭრო ბალანსს აკეთებდა.

*XVIII* ს. სხვა გამოჩენილი ესპანელი მერკანტილისტი იყო ბერნარდო ულოა, რომელმაც 1740 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი „ესპანეთის მრეწველობისა და ვაჭრობის აღდგენა". ბ. ულოაც სავაჭრო ბალანსის თეორიას აყალიბებდა. ის განასხვავებდა აქტიურ, პასიურ და საურთიერთო ვაჭრობას, და უპირატესობას ანიჭებდა პირველს. მას აიგივებდა საექსპორტო ოპერაციებთან, რომელიც ქვეყანაში ლითონებს იზიდავდა. იგი ამოცანად აყენებდა ესპანეთის მრეწველობის ფართო განვითარებას. ნედლეულის აუცილებელი მარაგის შექმნას, სამუშაო ძალის გაიაფებას. გადასახადების შემსუბუქებას და ა. შ. სამრეწველო მოტივების გაძლიერება *XVIII* ს. ესპანურ მერკანტილიზმში, ასახავს მის თეორიულ სიმწიფეს, აგრეთვე მერკანტილიზმის დაშლის პროცესს.

### ბ) იტალიური მერკანტილიზმი

იტალიაში მერკანტილიზმი უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ იტალიის ეკონომიკურმა დაცემამ და პოლიტიკურმა დაქუცმაცებამ განაპირობა ყოველგვარი მერკანტილისტური წამოწყების ამაოება. მიუხედავად ამისა, იტალიელებმა მერკანტილიზმის თეორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მათ უპირატესად აინტერესებდათ ფულადი მიმოქცევის საკითხები. იტალიაში ძალიან ადრე დაიწყო გამოჩენა თხზულებებმა ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის შესახებ. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სწორედ იტალია წარმოადგენს ეკონომიკური

მეცნიერების სამშობლოსა, ვინაიდან უკვე *XVI* საუკუნეში ორი ფლორენციელი ვაჭარი პეგალოტი და ანტონიო უზანო წერდნენ სავაჭრო ცენტრებზე, საქონელზე, სავექსილო დროზე, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტზე, დაზღვევაზე და ა. შ. მათ საფუძველი ჩაუყარეს კომერციულ ცოდნას.

მოგვიანებით *XVI* საუკუნეში გასპარ სკარუფიმ და ბერნარდო დავანცატიმ გააგრძელეს გამოკვლევა მონეტების შესახებ. გ. სკარუფის თხზულება „მსჯელობა მონეტის შესახებ“ (1582 წ.) მკაფიოდ გამოხატავს იტალიური მერკანტილიზმის მონეტარულ მიმართულებას. გ. სკარუფი წინადადებას აყენებდა მოეწვიათ საერთო ევროპული ყრილობა, რათა გადაეჭრათ ფულადი მიმოქცევის საკითხები, აგრეთვე ყველა ქვეყნისათვის ერთიანი მონეტის გამოშვების შესახებ. გ. სკარუფისთან იმავდროულად 1582 წ. ფლორენციელმა ბ. დავანცატიმ გამოაქვეყნა თხზულება „საკითხი მონეტის შესახებ“, რომელშიც იწონებს ბიმეტალიზმის იდეებს, ოქროსა და ვერცხლს შორის მტკიცე ურთიერთობის დაწესების საჭიროებას. ფულად მიმოქცევაში ქაოსს ბ. დავანცატიც ასევე ბევრი უბედურების წყაროდ მიიჩნევდა.

იტალიური მერკანტილიზმის უფრო მომწიფებული წარმომადგენელი იყო ანტონიო სერა. იგი „მოკლე ტრაქტატში“ (1613 წ.) ავითარებდა სავაჭრო ბალანსის თეორიას და უარყოფდა ფულის გატანის აკრძალვას და ვალუტის კურსის რეგლამენტაციას. ა. სერამ ოთხი საშუალება იპოვა ოქროსა და ვერცხლის სამადნეების უქონლობისას ქვეყნის ფულადი რესურსების შესავსებად. პირველ ადგილზე ის აყენებდა ხელოსანთა რაოდენობას, შემდეგ მოსახლეობის ხასიათს (მის შრომისმოყვარეობასა და გამომგონებლობას), შემდეგ ვაჭრობის ზომასა და ბოლოს, სახელმწიფოს პოლიტიკას. უდავოა საკითხისადმი ასეთი მიდგომა გასათვალისწინებელი იქნება თანამედროვე პერიოდში სუვერენული საქართველოსათვისაც.

### გ) გერმანული მერკანტილიზმი

გერმანიაში მერკანტილური დოქტრინის არსებითი დებულება გამოხატა იოჰან იოაჰიმ ბეჰერმა, რომელიც წერდა, რომ „ყოველთვის უკეთესია საქონელი მივყიდოთ სხვებს, ვიდრე ვიყიდოთ, ვინაიდან პირველ შემთხვევაში მიღებული იქნება განსაზღვრული სარგებლობა, ხოლო მეორეს გარდაუვალი ზარალი მოჰყვებაო“.

### დ) ინგლისური მერკანტილიზმი. უ. სტაფორდი. თ. მენი

*XVI–XVII* სს დასავლეთ ევროპაში ყველაზე მომწიფებული აღმოჩნდა ინგლისური მერკანტილიზმი. იქ მერკანტილიზმი მთლიანად ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა: მან ამ ქვეყანაში შეიძინა სრულ-

ქმნილი ფორმა და უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა იქონია სხვა ქვეყნების მერკანტილისტების შეხედულებებზე. ეს უკანასკნელნი თავიანთ მოქმედებაში სესხულობდნენ და იყენებდნენ ინგლისური მერკანტილიზმის გამოცდილებას. ინგლისის ისტორიაში მერკანტილიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, დააჩქარა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება. მაგრამ ინგლისმა ასევე განვლო მოუმწიფებელი მერკანტილიზმის, ანუ მონეტარიზმის სტადია. მონეტარიზმის წარმომადგენელი იყო უილიამ სტაფორდი(1554-1612), რომელმაც 1581 წ. გამოაქვეყნა თხზულება „ჩვენი თანამემამულეთა ზოგიერთი საჩივარის კრიტიკული გადმოცემა". უ. სტაფორდის საზრუნავი საგანია ქვეყნად ფულის შენარჩუნება. მას ძლიერ აწუხებდა ის, რომ ქვეყნიდან ფული გადიოდა. ამასთან, იგი პროტესტს აცხადებდა არასრულწონიანი მონეტების წარმოშობის წინააღმდეგ, ამაში იგი ხედავდა საქონელთა გაძვირების მიზეზს.

ინგლისში განვითარებული მერკანტილიზმის წარმომადგენელი იყო თომას მენი (1571-1641). იგი ითვლება სავაჭრო ბალანსის თეორიის ავტორად. თ. მენმა 1630 წელს დაწერა თავისი მთავარი შრომა „ინგლისის საუნჯე საგარეო ვაჭრობაში, ანუ საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც ჩვენი სიმდიდრის რეგულატორი". თ. მენი არ იყო ფულის გატანის წინააღმდეგი. პირიქით, ის მოითხოვდა ფულის გატანის აკრძალვის გაუქმებას. მაგრამ ის მომხრე იყო აქტიური საგარეო ვაჭრობის. ისეთის, რომლის შედეგად ქვეყანა მეტს გაიტანდა, ვიდრე შემოიტანდა. თ. მენის თქმით ფულის მნიშვნელობა ის კი არაა რომ იგი შეინახონ, არამედ იმაში, რომ იგი „გამანაყოფიერებელ" ბრუნვაში გაუშვან. თ. მენი ეწინააღმდეგებოდა ყველა იმ ღონისძიებას, რომლებიც საექსპორტო ვაჭრობას ბორკავდნენ. ადრინდელი მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, თ. მენი დაბალი ფასების მომხრე იყო, რომლებიც საგარეო ბაზარზე კონკურენციას სტიმულს აძლევდნენ. თ. მენი მხარს უჭერდა სამამულო მრეწველობის განვითარებას. იგი მოითხოვდა ნედლეულის ექსპორტის შეცვლას მზა ნაწარმის ექსპორტით.

### გ) ფრანგული მერკანტილიზმი. კოლბერტიზმი. ა. მონკრეტიენი

მერკანტილიზმმა ყველაზე მტკიცედ საფრანგეთში გაიდგა ფესვი. ვინაიდან, იგი ეკონომიკურად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა მერკანტილისტური დოქტრინის აღქმისა და მისი გატარებისათვის. ფრანგულმა მერკანტილიზმმა სამრეწველო მიმართულება მიიღო. იგი განთავისუფლდა მონეტარიზმისაგან, გეზი აიღო აქტიური სავაჭრო ბალანსის მისაღწევად და დადებითი როლი ითამაშა

XVII ს. საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებაში.

მთელი რიგი მერკანტილისტური ხასიათის ღონისძიებანი გაატარა მეფე ჰენრიხ IV ამ ღონისძიებებმა მხარდაჭერა ჰპოვა რიშელიეს ბატონობის პერიოდში (1624-1642), ხოლო კოლბერმა 1661-1683 წ.წ.-ში მათი სისტემა შექმნა. კოლბერმა აქტიურად დანერგა მანუფაქტურული მრეწველობა, მოიწვია უცხოელი ოსტატები, მანუფაქტურებს დაურიგა სესხი და მისცა სხვადასხვა ხასიათის შეღავათები. მისი აზრით მხოლოდ საგარეო ვაჭრობას შეუძლია სიუხვის მოტანა და კმაყოფილების მიცემა ხელმწიფეებისადმი, ფულის რაოდენობით განისაზღვრება სახელმწიფოს სიმდიდრე და ძლიერება.

მაგრამ პრაქტიკულ ურთიერთობაში ძლიერმა ფრანგულმა მერკანტილიზმმა, ვერ შეძლო მომწიფებული თეორიული ურთიერთობების თანმიმდევრული დასაბუთება. ფრანგული მერკანტილიზმის ლიტერატურა ღარიბი აღმოჩნდა. მის უჩვეულოდ მდიდარ პრაქტიკაზე

მერკანტილიზმთან მიახლოებული იდეები ჩამოაყალიბა ჟან ბოდენმა (1530-1596). იგი იყო XVI ს. ფრანგული ეკონომიკური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მაგრამ ცდილობდა თავისი დროის ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხების გადაჭრას კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პრობლემისადმი შეუფარდებლად. მას არ აინტერესებდა ფულადი სიმდიდრის დაგროვება, მით უმეტეს, სავაჭრო ბალანსი მისთვის უცხო დარჩა.

საფრანგეთში ეკონომიკური პროგრამის განვითარებული ფორმულირება მოგვცა ანტუან მონკრეტიენმა (1576- 1621). თავის მსჯელობაში იგი საკმაოდ იყენებდა ინგლისური მერკანტილიზმის იდეებს. 1615 წ. მან გამოაქვეყნა „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი". ამ ნაშრომში პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია". ა. მონკრეტიენი ამოცანად აყენებდა გამოეძებნათ საშუალებები საფრანგეთის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის. ამისათვის იგი საჭიროდ თვლიდა ინგლისის მაგალითით ესარგებლათ, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. თავის ნაშრომში ა. მონკრეტიენი დაწვრილებით ჩერდება მანუფაქტურის განვითარების საკითხებზე, ეხება ვაჭრობას, ზღვაოსნობასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას. მთელ რიგ ღონისძიებებს აყენებს მრეწველობის აღმავლობისათვის. ამასთან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიულ სწავლებას.

ერთ-ერთი პირველი პრობლემა, რომელსაც მონკრეტიენი ეხება, არის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. იგი პრიმატს ეკონომიკას აკუთვნებს, ვინაიდან „პოლიტიკის ხელოვნება განპირობებულია ეკონომიკით". ა. მონკრეტიენის აზრით პოლიტიკა დამოკიდებულია ეკონომიკაზე, ხოლო სახელმწიფოებრივი

ორგანიზმის კეთილდღეობა მისი შემადგენელი ელემენტების კეთილდღეობაზე. ამიტომ გონიერი მმართველი, მისი აზრით, თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე, მათ გამდიდრებაზე უნდა ზრუნავდეს, რაც განაპირობებს მისი სახელმწიფოსა და თვით მის სიმდიდრეს.

როგორც ყველა მერკანტილისტი, ა. მონკრეტიენიც სიმდიდრედ თვლიდა ფულს, კეთილშობილ ლითონებს - ოქროსა და ვერცხლს. „ოქრო და ვერცხლი, ეს ჩვენი ორი დიდი და ერთგული მეგობარია. ისინი ადამიანთა ყველა საჭიროებას აკმაყოფილებენ" - წერდა ა.მონკრეტიენი. ვაჭრობა ა. მონკრეტიენის აზრით, „გამდიდრების უმოკლეს გზას" წარმოადგენს. იგი ერთმანეთს ადარებს საგარეო და საშინაო ვაჭრობას. მისი აზრით ორივე მეტად სასარგებლოა სახელმწიფოსათვის. მაგრამ სახელმწიფოს მოგებას ანიჭებს, ამდიდრებს ოქრო -ვერცხლით ავსებს და განადიდებს მხოლოდ საგარეო ვაჭრობა.

„პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატში" საქმის ცოდნით არის განხილული ფრანგული მრეწველობის სხვადასხვა დარგები, იმდროინდელი მდგომარეობის, ისტორიული განვითარების და მომავალი პერსპექტივის გათვალისწინებით. ა. მონკრეტიენის აზრით ეროვნული მრეწველობის დარგების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის შემდეგი მიზეზების გამო:

1. უპირველეს ყოვლისა, მრეწველობა აუცილებელია სამრეწველო პროდუქტთა დასამზადებლად, „საგანთათვის ფორმის მისანიჭებლად". იგი ქმნის საქონელს, რომელიც სახელმწიფოში ოქროსა და ვერცხლს იზიდავს.

2. მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს და განაპირობებს ვაჭრობის განვითარებას.

3. მრეწველობის განვითარება სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს მასში გადატაკებულ ადამიანთა მასების ჩაბმისათვის, სახელმწიფო ორგანიზმის გაჯანსაღებისა და დანაშაულებრიობის შემცირებისათვის. ა. მონკრეტიენს ყველა ფიზიკური და სოციალური ხასიათის სნეულებათა განკურნების საუკეთესო საშუალებზე ადამიანთა სამრეწველო საქმიანობაში ჩაბმა მიაჩნდა.

ზემოთჩამოთვლილ სარგებლობათაგან რომლებიც სახელმწიფოსათვის მრეწველობას მოაქვს, ა. მონკრეტიენი პირველ ადგილზე საქონლისა და შესაბამისად სიმდიდრის შექმნას აყენებდა. იგი სიმდიდრეს ადარებდა სისხლს, ხოლო მრეწველობას გულს. ამასთან დაკავშირებით ა. მონკრეტიენი პროტექციონისტული ღონისძიებების მომხრედ გამოდიოდა. მისი „ტრაქტატი" თავიდან ბოლომდე პრო-

ტექცონისტელი ხელისკეთებიდა გაქლენილი.

ე) რუსული მერკანტილიზმი. ი. კრიჟანიჩი. ა. ორდინ-ნაშჩოკინის „ახალი სავაჭრო წესდება“. ი. პოსოშკოვი.

რუსეთში მერკანტილიზმის თეორიის დამუშავებას სათავე დაუდო ხორვატმა ი. კრიჟანიჩმა. ი. კრიჟანიჩი მნიშვნელოვნად ეყრდნობოდა ევროპული მერკანტილიზმის იდეებს. 1659 წ. იგი ჩამოვიდა რუსეთში, რათა შეედგინა რუსული გრამატიკა და ლექსიკონი. მან ცოტა ხანი დაჰყო მოსკოვში, ხოლო შემდეგ მთავრობის მიერ ციმბირში იქნა გადასახლებული. რუსეთში ყოფნის დროს ი. კრიჟანიჩმა ათამდე თხზულება დაწერა. მათგან ყველაზე მთავარი იყო თხზულება „პოლიტიკური ფიქრების“ სახელწოდებით. „პოლიტიკური ფიქრები“ ანუ მოკლედ „პოლიტიკა“* შეიცავს პოლიტიკური რეფორმებისა და ეკონომიკურ ღონისძიებათა მთლიან პროგრამას. ი. კრიჟანიჩის თანახმად, ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა ჰქონდეს არა მარტო სახელმწიფოს ინტერესების სახე, არამედ მთელი ხალხისაც. ქვეყნის გამდიდრებისათვის ის იმედს ამყარებდა სახელმწიფოს ჩარევაზე, კარგად მოფიქრებულ ღონისძიებებზე მრეწველობისა და ვაჭრობის ურთიერთობაში. ი. კრიჟანიჩის ძირითად მოთხოვნათა რიცხვს მიეკუთვნება რუსული ვაჭრობის დაცვა საზღვარგარეთულისაგან და რუსი ვაჭრებისათვის საშინაო და საგარეო ვაჭრობაში რამდენადმე ხელსაყრელი პირობების შექმნა. მის მიერ წამოყენებული ზომები შეესაბამებოდნენ მერკანტილიზმის პრინციპებს.

რუსეთში ვაჭრობის ინტერესების დამცველად გამოვიდა ათანასე ორდინ-ნაშჩოკინი, (1605-1680). მისი ეკონომიკური შეხედულებები ყველაზე მკაფიოდაა გამოხატული „ახალ სავაჭრო წესდებაში“ (1667წ.) მასში იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ვაჭრობასა და მისი ორგანიზაციის საკითხებს. ა. ორდინ-ნაშჩოკინი მას განიხილავდა არა მარტო როგორც სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, არამედ როგორც მეურნეობის დარგსაც, რომელიც აქტიურად უწყობდა ხელს სახალხო კეთილდღეობის ზრდას. ამასთან ა. ორდინ-ნაშჩოკინისათვის უცხო იყო დასავლეთევროპელი მერკანტილისტების შეხედულებათა შეზღუდულობა, რომლებიც ვაჭრობას თვლიდნენ სიმდიდრისა და სახელმწიფოს ძლიერების ერთად-ერთ წყაროდ.

დასავლეთის მერკანტილისტებისაგან განსხვავებით ა. ორდინ-ნაშჩოკინი უმნიშვნელოვანეს სახალხომეურნეობრივ ამოცანად თვლიდა საწარმოო ძალების განვითარებას. მისი განხორციე-

* ი. კრიჟანიჩი, პოლიტიკა. მ. 1965, (რუს).

ქვეყნისათვის მან დასახა ეკონომიკური პოლიტიკის მთელი პროგრამა. საწარმო ძალების განვითარებისათვის მთავარ ამოცანას ა. ორდინ-ნაშჩოკინი მრეწველობის განვითარებას მიიჩნევდა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას. ამასთან ერთად ა. ორდინ-ნაშჩოკინს მიაჩნდა, რომ ეს ჩარევა ისე უნდა განხორციელებულიყო პირადი ინიციატივა და მეწარმეობა არ შეეზღუდა.

რუსეთში მერკანტილიზმის თეორიის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა ივანე პოსოშკოვმა (1652-1726). მის მთავარ ნაშრომს წარმოადგენს „წიგნი სიმდიდრისა და სიღარიბის შესახებ"*. ი. პოსოშკოვის ეკონომიკური შეხედულებებისათვის დამახასიათებელია აზრის ორიგინალობა და დამოუკიდებლობა. მასთან არაა დასავლეთ ევროპელი მერკანტილისტებისათვის დამახასიათებელი, სიმდიდრის გაიგივება ფულთან. იგი განარჩევს სიმდიდრის ორ სახეს: ნივთიერსა და არანივთიერს. ნივთიერი სიმდიდრის ქვეშ გულისხმობს მატერიალურ დოვლათს და ფულს, ხოლო არანივთიერის ქვეშ - ქვეყნის კარგად მართვას, კარგ კანონებსა და წესიერ სამართალს. ი. პოსოშკოვი განარჩევდა აგრეთვე სახელმწიფო სიმდიდრეს (ხაზინის შემოსავლები) და და ხალხის სიმდიდრეს (სახალხო მეურნეობა). ნივთიერი სიმდიდრის წყაროდ ი. პოსოშკოვი თვლიდა შრომას.

ი. პოსოშკოვი წარმოადგენდა რუსეთში წარმოშობილი ვაჭართა კლასის ინტერესების გამომხატველს. ამ პერიოდში ვაჭრობა მეურნეობის მოწინავე კაპიტალისტური ფორმის მატარებელი იყო. ამიტომ ი. პოსოშკოვი სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეებიდან უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჭრობას, ხოლო საზოგადოებრივი კლასებიდან - ვაჭრებს. ი. პოსოშკოვი იყო აქტიური სავაჭრო ბალანსის მომხრე. ის ზრუნავდა აგრეთვე ქვეყანაში ფულის რაოდენობის გადიდების შენარჩუნებაზე. ამისათვის ის თვლიდა, რომ საზღვარგარეთიდან მხოლოდ ის უნდა იქნას შემოტანილი რაც რუსეთში არ იწარმოება და ურომლისოდაც იოლად წასვლა სრულიად შეუძლებელი იყო. ის გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა საზღვარგარეთიდან ფუფუნების საგნების შემოტანას, მას ფულის უსარგებლო ხარჯვად აცხადებდა.

### ზ) მერკანტილისტური იდეები XVIII საუკუნის საქართველოში. ა. ამილახვარი.

საქართველოში *XVIII* საუკუნის 70-იან წლებში მერკანტილისტური

- - - - - -

*ი. პოსოშკოვი. წიგნი სიმდიდრისა და სიღარიბის შესახებ, მ. 1937, (რუს).

ეკონომიკური შეხედულებები ჩამოაყალიბა ალექსანდრე ამილახვარმა, (1750-1802) წიგნში „ბრძენი აღმოსავლეთისა", რომელიც მიძღვნილია იმერეთის მეფე სოლომონ I-სადმი. ა. ამილახვარის აზრით ქვეყნის სიმდიდრე, ეკონომიკური აღორძინება და სამხედრო სიძლიერე დამოკიდებულია ვაჭრობაზე. ამიტომ იგი მოითხოვდა ვაჭრებისადმი მეფის ხელისუფლების გულისხმიერ დამოკიდებულებას, შეღავათებს, მეკობრეებისა და ფეოდალთა თვითნებობისაგან მათი დაცვის გაძლიერებას. ა. ამილახვარი რჩევას აძლევდა მეფის ხელისუფლებას განეხორციელებინა ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდა ვაჭრების გამრავლებასა და განვითარებას.

მერკანტილისტური პრაქტიკა გარკვეულად აღორძინებას განიცდის დღეს დღეისობით ჩვენს რესპუბლიკაში. იგი გამოიხატება ჯერ ერთი, მოსახლეობის ერთი ნაწილის მისწრაფებაში ფული იშოვოს თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობაში. მეორეს მხრივ, პროტექციონიზმი ედო საფუძვლად პირველი დამოუკიდებელი მთავრობის დადგენილებას რეგლამენტაცია გაეწია რესპუბლიკიდან ციტრუსების ხილის და სხვა პროდუქტების გატანისა და შესაბამისად სხვა საქონლების შემოტანისათვის. ასეთი მიდგომა გასაკვირიც არ არის, რადგან ჩვენში რეალობად იქცა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების განმეორება. ამის აუცილებლობას მოითხოვს აგრეთვე რესპუბლიკის მეტად შეზღუდული რესურსების გარედან შევსების აუცილებლობაც.

# თავი V. კლასიკური სკოლის ეკონომიკური მოძღვრების წარმოშობა ინგლისსა და საფრანგეთში

## 1. კლასიკური სკოლის წარმოშობის ისტორიული პირობები და ზოგადი დახასიათება.

კლასიკური სკოლა წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ საფეხურზე. შრომის მანუფაქტურულმა დანაწილებამ უზრუნველყო კაპიტალისტური წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. გააძლიერა ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები. კაპიტალისტი სულ უფრო მეტად იქვემდებარებდა წარმოების უშუალო პროცესს. ასეთ ვითარებაში კაპიტალისტური წარმოება უკვე აღარ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც კაპიტალის მიმოქცევის მხოლოდ მომენტი. წარმოება ხდებოდა სპეციალური შესწავლის ობიექტი. *XVII* საუკუნის ინგლისში ბურჟუაზიის ეკონომიკური ინტერესების სიმძიმის ცენტრი სწრაფად გადადიოდა წარმოების სფეროში, რაც მოასწავებდა მერკანტილიზმის დაშლასა და ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობას.

მერკანტილისტები სიმდიდრის წყაროს საგარეო ვაჭრობაში ეძებდნენ. ამიტომ ისინი მხოლოდ გაცვლის ზედაპირულ მოვლენებს იკვლევდნენ. მერკანტილისტებთან შედარებით კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ისინი გადავიდნენ წარმოების პროცესის ანალიზზე.

ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომია აღმოცენდა და განვითარდა კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდში როდესაც ბურჟუაზია ებრძოდა ფეოდალიზმის ნაშთებს.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ფეოდალურ წყობილებას არაბუნებრივად აცხადებდნენ, საზოგადოების განვითარების ამოცანად აყენებდნენ ჭკვიანური წყობილების დამყარებას, რომელიც ადამიანის ბუნებას შეესაბამებაო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი ბუნებრივი წყობილების დამყარებისათვის საჭიროა მხოლოდ საზოგადოების ჩამოცილება ფეოდალიზმისაგან და საზოგადოების ბუნებრივი კანონების განვითარებისათვის გასაქანის მიცემა. კლასიკოსები ისწრაფოდნენ ამ ბუნებრივ კანონებში ჩაწვდომას, რათა მათთვის თავისუფალი გამოვლინების საშუალება მიეცათ. დღის წესრიგში აყენებდნენ საკითხს ეკონომიკური ცხოვრების შინაგანი ობიექტური კანონების შესახებ.*

- - - - - - -

*ჯ. ხარიტონაშვილი. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; ლექციების კურსი, თბ., 1985, გვ.4.

2. უილიამ პეტი პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბი. უ. პეტის მეთოდოლოგია, მის მიერ ღირებულების, ხელფასის, მიწის რენტის, მიწის ფასისა და სარგებლის ახსნა.

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლა თავდაპირველად ინგლისში წარმოიშვა. მისი ფუძემდებელი იყო ინგლისელი ეკონომისტი უ. პეტი (1623-1687). უ. პეტის ეკონომიკური გამოკვლევის მიზანი იყო ინგლისის სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესების დაცვა. იგი სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო, მაგრამ დასაწყისში მერკანტილისტურ შეხედულებებსაც იზიარებდა — ოქროსა და ვერცხლს მიიჩნევდა სიმდიდრის უპირატეს ფორმებად, ავითარებდა შეხედულებას იმის შესახებ, რომ ქვეყნის სიმდიდრე ფულის რაოდენობით განისაზღვრება. უ. პეტი მერკანტილისტებისაგან სესხულობდა იდეას ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შესახებ. მაგრამ მას მოითხოვდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებისათვის.

უ. პეტმა თავისი შეხედულებები გადმოგვცა რიგ ეკონომიკურ ნაწარმოებებში, რომელთა შორის აღსანიშნავია "ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებელთა შესახებ" (1662 წ.) „სიტყვა ბრძენებს" (1664 წ.), „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია" (1672 წ.) „პოლიტიკური არითმეტიკა" (1676 წ.), „რამოდენიმე სიტყვა ფულის თაობაზე" (1682წ.). მათში უ. პეტი ცდილობდა აეხსნა ეკონომიკური მოვლენების არსი, მათ შორის დაემყარებინა შინაგანი კავშირი.

**უ. პეტის მეთოდოლოგია.** მეცნიერულ ანალიზზე გადასვლა უკვე შეინიშნებოდა. უ. პეტის მეთოდში. იგი ისწრაფოდა ეკონომიკური მოვლენების არსისა და მიზეზების ანალიზისაკენ. უ. პეტის სახელთანაა დაკავშირებული პოლიტიკურ ეკონომიაში ახალი მეთოდის გამოყენება, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა მერკანტილისტების ტრადიციული მეთოდისაგან. მერკანტილისტებისაგან განსხვავებით უ. პეტი შეეცადა მოვლენების სიღრმეში შეღწევას და მათ ახსნას. იგი განასხვავებს მოვლენების გარეგნულ ხილვადობასა და მათ არსს. ამით უ. პეტი სათავეს უდებს პოლიტიკურ ეკონომიაში მეცნიერულ აბსტრაქტულ მეთოდს. ამასთან ერთად, უ. პეტი ცდილობს მოგვცეს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შეძლებისამებრ ზუსტი რაოდენობრივი დახასიათება. უ. პეტი ფართოდ იყენებდა სტატისტიკური ანალიზის მეთოდს და ცდილობდა თავისი დასკვნები რიცხობრივი გამოხატულებით გადმოეცა. იგი მოითხოვდა ზუსტ დაკვირვებას, ამასთან ის ფართოდ სარგებლობდა, მეცნიერული

დედუქციით*, დასაკვირვებელ მოვლენათა ასახსნელად, ე. ი. მათი არსის გამოსამჟღავნებლად. ამ მეთოდის გამოყენებამ უ. პეტს საშუალება მისცა მოეცა ისეთი ეკონომიკური მოვლენების ახსნა, როგორიცაა საბაზრო ფასი, ხელფასი, რენტა, მიწის ფასი, სარგებელი და სხვ.

/ღირებულების/ ახსნა. უ. პეტმა აღმოაჩინა ის ფაქტი, რომ საქონელთა /გაცვლა/ რეგულირდება მათ წარმოებაზე გაწეული შრომის დანახარჯებით; ამით მან სათავე /დაუდო შრომითი ღირებულების თეორიას./ უ. პეტი კითხვას სვამს, თუ რით განისაზღვრება საშუალო ფასები, რომელთა ირგვლივ რყევას განიცდიან საბაზრო ფასები. მისი პასუხი ასეთია: „თუ ერთი უნცია ვერცხლის მოპოვება და პერუს სამადნეებიდან ლონდონში მიტანა ადამიანს დროის იმავე დახარჯვით შეუძლია, რაც მას ერთი ბუშელი ხორბლის საწარმოებლად სჭირდება, მაშინ პირველი პროდუქტი შეადგენს მეორის ბუნებრივ ფასს; და თუ ახალი, უფრო მდიდარი სამადნეების აღმოჩენის გამო ორი უნცია ვერცხლის მოპოვება მისთვის შესაძლებელი იქნება ისევე ადვილად, როგორც ახლა ერთისა, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში, ბუშელი ხორბლის ფასი 10 შილინგი ისევე იაფი იქნება, როგორც წინათ ბუშელის ხორბლისათვის 5 შილინგი იყო**. აქ უ. პეტი საქონლის ბუნებრივ ფასს განსაზღვრავს საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობით, რომელიც პირდაპირ პროპორციულია იმ შრომის ნაყოფიერებისა, რომელიც იხარჯება ვერცხლის ამოღებაზე, თუ ვერცხლის მოპოვება ორჯერ გაადვილდება, მაშინ ორჯერ გაიზრდება პურის ბუნებრივი ფასიც.

უ. პეტი თავდაპირველად განსაზღვრავს არა საქონლის ღირებულებას, არამედ მის შეფარდებით ღირებულებას. იგი იკვლევს არა ერთი საქონლის ღირებულების გამოხატულებას სხვა რომელიმე საქონელში, არამედ საქონლის ღირებულების გამოხატულებას ფულში. ამაში მჟღავნდება უ. პეტის მერკანტილიზმი: მისთვის საქონლის ღირებულება არის ფულის რაოდენობა, რომელიც საშუალოდ მიიღება მასში. მაგრამ მერკანტილისტებისაგან განსხვავებით უ. პეტი ინტერესდება იმით, თუ რატომ ღებულობენ ფულის ასეთ რაოდენობას მოცემულ საქონელზე.

უ. პეტისათვის გაუგებარი დარჩა საქონელში განივთებული შრომის

- - - -

*დედუქცია /გამოყვანა/ - აზროვნების მეთოდი - ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა /საპირისპირო - ინდუქცია/.

**უ. პეტი, ეკონომიკური და სტატისტიკური ნაშრომები, მ. 1940, გვ. 40, (რუს).

ორადი ხასიათის გაგება ღირებულების შემქმნელი შრომის ბუნების გაუგებლობამ მას საშუალება არ მისცა გაეგო განსხვავება საქონლის სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის. მასთან სახმარ და საცვლელ ღირებულებას შორის განსხვავება შეფარდებულია იმ განსხვავებასთან, რომელიც არსებობს ოქროსა და ვერცხლის სამადნეებში დახარჯულ შრომასა და შრომის სხვა დანარჩენ სახეებს შორის. მაგრამ ოქროსა და ვერცხლის წარმოებაში მონაწილეობას იღებს არა მარტო შრომა, არამედ ბუნებაც. უ. პეტმა სწორად განმარტა სახმარი ღირებულების შექმნა შრომითა და ბუნების ძალების გამოყენებით, რაც გამოხატა თავის ცნობილ ფორმულაში „შრომა არის სიმდიდრის მამა და აქტიური პრინციპი, ხოლო მიწა მისი დედა“. მაგრამ შეცდომით იგივე შრომასა და მიწას, ანუ ბუნებას თვლის ღირებულების საზომად. სინამდვილეში მიწა არც ღირებულების შექმნაში და არც მისი სიდიდის გაზომვაში არ მონაწილეობს. რადგან უ. პეტმა დაამტკიცა, რომ ღირებულების წყაროა შრომა, მას ღირებულების საზომიც შრომაში უნდა დაენახა.

**ხელფასის ახსნა.** თუ უ. პეტმა თავისი ღირებულების თეორიით ახალი სიტყვა თქვა ეკონომიკურ მეცნიერებაში, ამას ვერ ვიტყვით მისი ხელფასის თეორიის შესახებ. უ. პეტი ხელფასში ხედავდა შრომის ღირებულებას, რომელიც უნდა რეგულირდებოდეს საკანონმდებლო გზით. შრომის ღირებულება კი მუშის სიცოცხლისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებათა მინიმუმის ტოლი უნდა იყოს. უ. პეტი აღნიშნავდა, რომ კანონმა მუშას მხოლოდ ის უნდა მისცეს, რაც ყველაზე აუცილებელია მისი არსებობისათვის; რადგან თუ მუშას აუცილებელზე ორჯერ მეტს მისცემენ, მაშინ იგი მხოლოდ სანახევროდ იმუშავებს იმასთან შედარებით, რამდენიც მას შეეძლო ემუშავა და იმუშავებდა კიდეც ხელფასის ასეთი გაორკეცების გარეშე; ეს კი საზოგადოებისათვის ნიშნავს შრომის სათანადო რაოდენობის პროდუქტის დაკარგვას. მაშასადამე უ. პეტის მიერ ხელფასის დაყვანა საარსებო საშუალებათა მინიმუმზე არამეცნიერულია.

**მიწის რენტის ახსნა.** რენტის საკითხის გადაწყვეტის დროს უ. პეტი გამოდიოდა საარსებო მინიმუმის თავისი გაგებიდან. რენტის კატეგორიაში მას ესმოდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ანდა ფულის ის ის ნაწილი, რომელიც რჩება მთლიანი პროდუქტის ან ფულის მთლიანი ჯამიდან წარმოების დანახარჯების გამოკლების შემდეგ. წარმოების დანახარჯებში მას შეჰყავდა ხელფასისა და თესლის ხარჯები. რენტის მატერიალური სუბსტრატი უ. პეტს დაჰყავს ზედმეტ ღირებულებამდე, რომელიც მას ესმის როგორც

ღირებულების გარდამეტი წარმოების ხარჯებზე. უ. პეტმა რენტა სავსებით გაუტოლა ზედმეტ პროდუქტს, რომელშიც განივთებულია ზედმეტი შრომა. იგი რენტაში გულისხმობდა მთელ ზედმეტ ღირებულებას, მოგება, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია, მისთვის უცნობია.

უ. პეტის ნაშრომებში ვხვდებით მსჯელობას, მიწის დიფერენციული რენტის შესახებ. მის წარმოშობას იგი უკავშირებდა უმთავრესად ბაზრიდან მიწის ნაკვეთების სხვადასხვა მანძილით დაშორებას. პეტი აღნიშნავდა, დიფერენციული რენტის მეორე მიზეზსაც, მიწის განსხვავებულ ნაყოფიერებას.

**უ. პეტი მიწის ფასისა და სარგებლის შესახებ.** რენტის პრობლემის განხილვასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება უ. პეტის შეხედულება მიწის ფასის შესახებ. უ. პეტის აზრით მიწის ფასი წარმოადგენს კაპიტალიზირებული რენტის თავისებურ ფორმას, ე. ი. რენტათა ჯამს განსაზღვრული წლების განმავლობაში. მაგრამ უ. პეტმა მიწის ფასი სწორად ვერ გაიგო, რადგან მას გაგებული არ ჰქონდა სარგებლის კატეგორია. მისი აზრით სარგებლის დონე განისაზღვრება რენტის შეფარდებით მიწის ფასთან, რაც არა სწორია. სინამდვილეში პირიქით. რენტის ფასი, ანუ მიწის საყიდელი ღირებულება განისაზღვრება სარგებლის დონით. უ. პეტი აღნიშნავდა, რომ მიწის ფასი გარკვეული წლების რენტათა ჯამია. იგი მიუთითებდა, რომ მიწის მყიდველი გამოდის როგორც პირადი, ასევე თავისი შთამომავლობის ინტერესებიდან. უ. პეტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ წლიური რენტა საჭიროა გამრავლებული იქნას 21 წელზე, რადგან ერთი და იმავე დროის განმავლობაში ასეთ ვადაში ცხოვრება შეუძლია სამ თაობას: პაპა 50 წლის, მამა 28 წლის, შვილი 7 წლის. აქ დადებითია ის, რომ უ. პეტმა მიწის ფასი პირველად დაუკავშირა რენტას, მაგრამ 21 წელი აქ არაფერ შუაშია.

როგორც ვხედავთ უ. პეტის შეხედულებებში რიგი საკითხები სუსტადაა გადაწყვეტილი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ მეცნიერებაში. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში უ. პეტი პირველი მივიდა ეკონომიკური მოვლენების მეცნიერულ ანალიზამდე. იგი სამართლიანად ითვლება ბურჟუაზიულ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლად. ამ დამსახურებისათვის მას მინიჭებული ჰქონდა პერის წოდება ლორდის ტიტულით.

## 3. ეკონომიკური აზრის განვითარება უ. პეტის შემდეგ ჯ. ლოკი. დ. ნორსი. დ. იუმი. ჯ. სტიუარტი. ბ. ფრანკლინი

ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ინგლისში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის, ამასთან ერთად ბურჟუაზიულ ეკონომიკური მოძღვრების განვითარებისათვის. ინგლისური პოლიტიკური ეკონომია ვითარდებოდა ახალი კაპიტალისტური მოვლენების შეცნობის პროცესში. მაგრამ რამოდენიმე ათეული წელი დასჭირდა უ. პეტის შემდეგ იმისათვის, რომ მოეხდინათ კაპიტალისტური ერთიერთობათა მთელი სისტემის ანალიზი. უ. პეტის ცალკეულმა დებულებებმა თავისი განვითარება ჰპოვეს, მაგრამ ადამ სმიტამდე ვერ შეიქმნა პოლიტიკური ეკონომიის საერთო სისტემა. გარდა ამისა წარმოიშვა მერკანტილიზმის იდეების საერთო შენარჩუნების ცდები.

აღნიშნულ პერიოდში მერკანტილიზმის მოწინააღმდეგეთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ჯონ ლოკი, დადლი ნორისი, ჯონ ლო, დავით იუმი; გვიანდელი მერკანტილისტების რიცხვს - ჯემს სტიუარტი.

ჯონ ლოკი (1632 - 1704). თავისი ეკონომიკური შეხედულებებით ყველა სახის ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო: მრეწველებისა - მუშათა კლასისა და პაუპერების წინააღმდეგ,

კომერსანტებისა - ძველი ჯურის მევახშეების წინააღმდეგ,

ფინანსური არისტოკრატებისა - სახელმწიფოს მოვალეების წინააღმდეგ. ჯ. ლოკი არა მარტო თეორიულად წარმოადგენდა ბურჟუაზიას, არამედ მას დაკავებული ჰქონდა ვაჭრობის დარგში მსხვილი სახელმწიფო თანამდებობანი და 1694 წ. დაარსებული ინგლისის ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი აქციონერი იყო. ჯ ლოკის ეკონომიკურ იდეებში შეინიშნება მერკანტილიზმის ძველი წარმოდგენები (მაგალითად სავაჭრო ბალანსზე), მაგრამ მან თანდათანობით დაძლია ისინი. ჯ. ლოკი წარმოადგენდა ბურჟუაზიული საზოგადოების სამართლებრივი შეხედულებების კლასიკურ გამომხატველს. მან რენტა და სარგებელი განიხილა ბუნებრივი სამართლის ბურჟუაზიული თეორიის თვალსაზრისით. ფეოდალური საზოგადოება ამართლებდა მიწის რენტას, მაგრამ გმობდა სარგებელს. ჯ. ლოკი, ისევე, როგორც უ. პეტი, პროცენტს სრულიად ნორმალურ მოვლენად თვლიდა და პროცენტის დონის ყოველგვარი იძულებითი ნორმირების წინააღმდეგი იყო. ჯ. ლოკს პროცენტი და რენტაც ზედმეტი შრომის მითვისებამდე დაჰყავდა.

ფულის თეორიაში ჯ. ლოკი შეეცადა, ერთი და იმავე დროს ყოფილიყო ნომინალისტიც და მეტალისტიც, დაემტკიცებინა რომ ფულის ღირებულება მხოლოდ მოჩვენებითი ანდა პირობითია, და

იმავე დროს მოითხოვდა ფულში ლითონის სრულ შემადგენლობას, ე. ი. მოითხოვდა სრულწონიან მონეტებს. ჯ. ლოკს მიაკუთვნებდნენ აგრეთვე ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრეებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ფულის ღირებულება განისაზღვრება მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობით.

დადლი ნორსი (1641-1691) მერკანტილიზმის დაშლის პერიოდის ეკონომიკური აზრის ფრიად ორიგინალური წარმომადგენელი იყო. მან 1691 წ. გამოაქვეყნა შრომა „მსჯელობა ვაჭრობის შესახებ“. დ. ნორსის მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ის გადაჭრით გამოვიდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის წინააღმდეგ, სავაჭრო ბალანსის მერკანტილისტური თეორიის წინააღმდეგ. იგი ილაშქრებდა პროტექციონიზმის წინააღმდეგ და მოითხოვდა თავისუფალ ვაჭრობას. დ. ნორსმა პირველად განიხილა ეკონომიკა როგორც ბუნებრივად განვითარებადი პროცესი. დ. ნორსმა პირველმა გაიგო პროცენტის არსიც. მან დაადგინა, რომ საქონლის პროცენტი განისაზღვრება არა ქვეყანაში ფულის რაოდენობით, არამედ სასესხო კაპიტალის მოთხოვნა მიწოდებით. ე. პეტისაგან და ჯ. ლოკისაგან განსხვავებით ის სარგებელს უკავშირებდა არა უბრალოდ ფულს, არამედ კაპიტალს. მას გაცილებით უკეთ ესმოდა კაპიტალი, მისი განსხვავება ფულისაგან.

დავით იუმი (1711-1776), ისევე, როგორც დ. ნორსი მერკანტილიზმის აშკარა კრიტიკით გამოვიდა. იგი გამოდიოდა სავაჭრო ბალანსის წინააღმდეგ და ამტკიცებდა ოქროსა და ვერცხლის საზღვარგარეთ გატანის სარგებლიანობას. დ. იუმმა შექმნა ფულის თავისი რაოდენობრივი თეორია, რომელიც უშუალოდ მიმართულია მონეტარული და მერკანტილური სისტემების წინააღმდეგ. მართალია ამ თეორიას დ. იუმამდე იცავდნენ ფრანგი მონტესკიე, ჯ. ლოკი, ინგლისელი ვანდერლინტიც, მაგრამ დ. იუმმა ამ თეორიას მწყობრი ხასიათი მისცა, ნიჭიერად დაალაგა და თავისი ავტორიტეტით საგრძნობლად შეუწყო ხელი მის გავრცელებას.

ჯემს სტიუარტი (1712-1780) თავის ძირითად შრომაში „გამოკვლევა პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ“, რომელიც 1767 წ. გამოვიდა გამოთქვამდა მერკანტილური შეხედულებებს პოლიტიკური ეკონომიის სისტემური კურსის სახით. მერკანტილიზმი პრაქტიკულად ჯერ კიდევ მტკიცედ განაგრძობდა არსებობას. ჯემს სტიუარტი ამოცანად ისახავდა, აღედგინა ის თეორიულადაც.

იგი მხარს უჭერდა სახელმწიფო ძალაუფლების მიერ ქვეყნის მთელი ეკონომიკური ცხოვრების სრულ მოწესრიგებას. ის უნდობლობით უყურებდა პირად ინიციატივას, ილაშქრებდა ეკონომიკური ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ჯ. სტიუარტი მთლიანად

იმეორებდა საგაჭრო ბალანსის მერკანტილურ კონცეფციას და გამოდიოდა ფულის რაოდენობრივი თეორიის წინააღმდეგ. იგი ყოველმხრივ აკრიტიკებდა დ. იუმის და მონტესკიეს ფულის თეორიას და აღნიშნავდა, რომ საქონლის ფასები კი არ განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით, არამედ უკანასკნელი განისაზღვრება მოთხოვნისა და კონკურენციის დახლართული ოპერაციით. ეს მოთხოვნა და კონკურენცია სრულიადაც არაა დამოკიდებული ოქროსა და ვერცხლის იმ მასაზე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მოიპოვება.

ბენჯამინ ფრანკლინი (706-1790) ამერიკელი მეცნიერია, რომელმაც უ. პეტის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ შრომითი ღირებულების თეორიის განვითარებაში. მისი გაგებით ღირებულების საზომი შრომაა. ბ. ფრანკლინის აზრით „შრომით ისევე კარგად შეიძლება გაიზომოს ვერცხლის ღირებულება, როგორც ყველა სხვა ნივთის ღირებულებაც". ანუ „რადგან ვაჭრობა სხვა არაფერია, თუ არა გაცვლა შრომისა შრომაზე, ამიტომ ყველა ნივთის ღირებულება ყველაზე სწორად შრომით ფასდება". ამ დებულების საილუსტრაციოდ ფრანკლინს უ. პეტის მსგავსად ერთიმეორისადმი დაპირისპირებული აქვს პური და ვერცხლი. მაგრამ თუ უ. პეტი ამბობს, რომ ვერცხლი წარმოადგენს პურის ბუნებრივ ფასს, ბ. ფრანკლინი ამტკიცებს, რომ პური და ვერცხლი ერთიმეორისათვის წარმოადგენენ ბუნებრივ ფასს, ე. ი. მისთვის არა მარტო ვერცხლია პურის ბუნებრივი ფასი, არამედ პირიქითაც: პური არის ვერცხლის ბუნებრივი ფასი. ბ. ფრანკლინი ხაზს უსვამს იმას, რომ შრომით ისევე კარგად შეიძლება ვერცხლის ღირებულების გაზომვა, როგორც ყველა სხვა დანარჩენი საგნებისა. აქ მთელი მისი ყურადღების კონცენტრაცია ხდება შრომაზე, როგორც ღირებულების საზომზე, და იგი თითქმის არც კი სვამს საკითხს, თუ რატომ გამოიხატება ეს საზომი ფულში., ე. ი. თუ რატომ წარმოადგენს ფული ღირებულების გარეშე საზომს.

### 4: საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები XVII–XVIII საუკუნეებში და მათი ასახვა პიერ ბუაგილბერის შეხედულებებში.

საფრანგეთში *XVII* საუკუნეში ბატონობდა ფეოდალური წყობილება, რომლის წიაღშიც ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობანი. ლუდოვიკო *XIV* დროს თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას მეფის სასახლეში ყველაზე უფრო საპატიო და მაღალშემოსავლიანი ადგილები ეკავა. ხელისუფლების ამგვარი სისტემის

შექმნა დიდძალ სახსრებს მოითხოვდა, რაც აიძულებდა სამეფო ხელისუფლებას გაეძლიერებინა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება. ამ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებდა ფინანსთა მინისტრი კოლბერი. მან დიდი ყურადღება დაუთმო მანუფაქტურების განვითარებას. კოლბერმა ენერგიული ზომები მიიღო ფრანგული საქონლის ექსპორტის გაფართოებისა და საზღვარგარეთული ნაწარმის იმპორტის შესაზღუდავად. მანუფაქტურები დიდძალ სახელმწიფო სუბსიდებს იღებდნენ, მაგრამ ეს შეღავათები დაკავშირებული იყო უზარმაზარ ფინანსურ დანახარჯებთან, რომლებიც გადასახადების ხარჯზე იფარებოდა, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას. მასზედ არავინ ზრუნავდა. სასოფლო სამეურნეო ტექნიკა პრიმიტიული რჩებოდა. მიწა ცუდად მუშავდებოდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები ხელოვნურად გაჩერებული იყო დაბალ დონეზე. ხორბლეულისა და პურის გატანა აკრძალული იყო, შემოტანა კი თავისუფლად შეიძლებოდა. მაშინდელი ეკონომისტების შეგნებაში სოფლის მეურნეობა უპირისპირდებოდა ვაჭრობასა და მრეწველობას. უკანასკნელნი ვითარდებოდნენ სოფლის მეურნეობის საზარალოდ. ეკონომისტებმა დაიწყეს სოფლის მეურნეობის პირველ პლანზე წამოწევის მოთხოვნა, გამოაცხადეს სოფლის მეურნეობის პრიმატი ვაჭრობასა და მრეწველობასთან შედარებით. სოფლის მეურნეობისადმი ინტერესმა ეკონომიკური მეცნიერება აიძულა გადასულიყო ახალ ნიადაგზე - კვლევა - ძიება გადაეტანა მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში. ეს გააკეთეს პ. ბუაგილბერმა და ფიზიოკრატებმა, რომელთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის მდგომარეობასთან.

პიერ ბუაგილბერი (1664-1714) ერთ-ერთი პირველი იყო საფრანგეთში, რომელმაც გააკრიტიკა მერკანტილისტური შეხედულებები. პ. ბუაგილბერმა თავისი თავი სოფლის მეურნეობის დამცველად გამოაცხადა. იგი ქვეყნის სიძლიერისა და გამდიდრების საფუძვლად სოფლის მეურნეობას თვლიდა.

პ ბუაგილბერმა თავისი ეკონომიკური შეხედულებები ჩამოაყალიბა რიგ ნაწარმოებებში, რომლეთაგან აღსანიშნავია შემდეგი: „საფრანგეთის დაწვრილებითი აღწერილობა“, „მსჯელობა სიმდიდრის, ფულისა და გადასახადების ბუნების შესახებ.“ და სხვ. მათში პ.ბუაგილბერმა ჩამოაყალიბა იმ კრიზისის მკაფიო დახასიათება, რომელსაც განიცდიდა საფრანგეთის ეკონომიკა მთლიანად და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა. სახალხო მეურნეობის დაცემის მთავარ მიზეზად იგი თვლიდა მცდარ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც კოლბერმა და მერკანტილიზმის სხვა მომხრეებმა გაატარეს

პ. ბუაგილბერი გმობდა მრეწველობის ცალმხრივ განვითარებას და იცავდა ვაჭრობის თავისუფლების იდეას. იგი უარყოფდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. პ. ბუაგილბერი მოითხოვდა პურის გატანის აკრძალვის გაუქმებას და საგადასახადო სისტემის რეფორმას. მისი აზრით მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთი გადასახდები, რომლებიც არ დააბრკოლებენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ღონისძიებები,რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ბუნებას. ამ აზრმა იგი მიიყვანა იმ იდეამდე, რომ მეურნეობაში არის კანონები, რომლებიც არ შეიძლება დაირღვეს. ქვემოთ შემდგომი თემების განხილვის დროს ჩვენ დავინახავთ. რომ პ. ბუაგილბერის ამ იდეას მრავლად სესხულობდნენ და კიდევაც სესხულობენ შემდეგდროინდელი ეკონომისტების რიგი წარმომადგენლები.

გარდა აღნიშნულისა, პ. ბუაგილბერის წვლილი ეკონომიკური თეორიის განვითარებაში იმაში მდგომარეობს, რომ მან უ. პეტისაგან დამოუკიდებლად საფრანგეთში საფუძველი ჩაუყარა შრომითი ღირებულების თეორიას. მაგრამ ღირებულების ბუაგილბერისეული განსაზღვრა არსებითად განსხვავდება უ. პეტის ფორმულირებისაგან. პ. ბუაგილბერმა საქონლის საბაზრო ფასს დაუპირისპირა „ჭეშმარიტი ღირებულება“, რომლის სიდიდესაც დახარჯული შრომით განსაზღვრავდა. სამუშაო დრო, რომელიც მოდის საქონლის ერთ ერთეულზე, პ. ბუაგილბერის თვალსაზრისით შეადგენს მის „ჭეშმარიტ ღირებულებას“. პ. ბუაგილბერს „ჭეშმარიტ ღირებულებად“ ესმოდა წარმოების დარგებს შორის შრომის პროპორციული განაწილება, რომელიც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მწარმოებლებს შორის თავისუფალი კონკურენციის დროს.

პ. ბუაგილბერის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ღირებულების სიდიდის განსაზღვრა შრომის დანახარჯებით. ამასთან, თუ უ. პეტს ღირებულება დაჰყავდა მის ფულად გამოხატულებაზე, პ. ბუაგილბერმა სრულად უარყო ფულადი ფორმა. პ. ბუაგილბერი სრულიად უარყოფდა ფულთან ურთიერთობას. იგი მოითხოვდა საქონლური წარმოების შენარჩუნებას და ფულის გაუქმებას.

პ. ბუაგილბერი ფულში ხედავდა საქონელმწარმოებლების უბედურების ძირითად წყაროს. მისი აზრით ფული არღვევს სასაქონლო გაცვლის ბუნებრივ წონასწორობას, საქონელთა გაცვლას „ჭეშმარიტი ღირებულებით“. იგი ვერ ჩაწვდა აზრს, რომ ფული საქონელთა გაცვლის განვითარების აუცილებელი პროდუქტია. პ. ბუაგილბერის გაგებით ფულის ერთად-ერთი სასარგებლო ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი გაცვლას ამსუბუქებსო. პ. ბუაგილბერმა ვერ აღიქვა ფული, როგორც საქონელთა საყოველთაო ექვივალენტი, რომლის როლშიც შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ ღირებულების

შემცველი საქონელი. ამიტომ მისი აზრით, ოქრო და ვერცხლი წარმატებით შეიძლება შეიცვალოს ქაღალდის ნიშნებით.

ფულის ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ გამოსვლასთან ერთად, პ. ბუაგილბერი ცდილობდა ეჩვენებინა მერკანტილური წარმოდგენების უსაფუძვლობა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ოქრო და ვერცხლია სიმდიდრე.

პ. ბუაგილბერი ამტკიცებდა, რომ იგი უნდა ვეძიოთ არა კეთილშობილ ლითონებში, არამედ მოხმარების საგნების სიუხვეში.

ხელფასს პ. ბუაგილბერს, უ. პეტის მსგავსად საარსებო საშუალებათა მინიმუმამდე დაჰყავდა. იგი იმეორებდა უ. პეტის არგუმენტაციას, თუ კვირის ერთ ნაწილში აღებული ხელფასი მუშას ეყოფა მთელი კვირის განმავლობაში, იგი კვირის ბოლომდე აღარ იმუშავებსო.

მიუხედავად პ. ბუაგილბერის მოძღვრების სუსტი მხარეებისა, მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, როგორც შრომითი ღირებულების თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს.

## 5. „ლესე ფერ" დოქტრინის წარმოშობა

კოლბერის პროტექციონისტული პოლიტიკის კრიტიკა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ფრანგმა მ. დ'არჟანსონმა (1694-1757). იგი უარყოფდა ეკონომიკური ცხოვრების რეგლამენტაციას, კიცხავდა საბაჟო გადასახადებს, მოითხოვდა მთელი ევროპის გადაქცევას ერთიან ბაზრად. მისი აზრით „იმისათვის, რომ კარგად ემართოთ, ნაკლებად უნდა ემართოთ". მ.დ'არჟანსონის ლოზუნგმა „არა მეტისმეტი მართვა!" შემდეგში დასრულებული სახე მიიღო „ლესე ფერ" - („ნუ ჩაერევით") დოქტრინაში. ეს ფორმულა პირველად წამოაყენა ფრანგმა კომერსანტმა ლეჟანდრემ. ეს მოხდა შემდეგ სიტუაციაში: კოლბერი პერიოდულად აწყობდა ვაჭართა და მრეწველთა კრებებს. მაგრამ ამ კრებებს უფრო საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა ვიდრე, სათათბირო. კოლბერი განუკითხავი დიქტატორი იყო და სხვის აზრს ანგარიშს არ უწევდა. კრების მონაწილენიც მიეჩვივნენ ამ მდგომარეობას და აღარ ერეოდნენ მის მსჯელობაში. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე (1680 წ.) როცა თავშეყრილები მეტისმეტად დუმდნენ, კოლბერმა მათ ასეთი შეკითხვით მიმართა: „ბატონებო, თქვენ მუნჯები ხართ?." მაშინ ლეჟანდრეს უთქვამს, მოვითხოვთ „ლესე ფერს"-ო. (ნუ ჩაერევით). მოგვეცით ბატონებო მეწარმეობისა და ვაჭრობის თავისუფლება* და ჩვენ საქმეს ისე წარვმართავთ, რომ ჩვენთვისაც

- - - - -

*ჯ.ხარიტონაშვილი „გზა თავისუფალი მეწარმისა, გაზეთი „ხე ცხოვრებისა" № 1, 1990, *XII.*

სასარგებლო იყოს და თქვენთვისაცო - აღუნიშნავს ლეჟანდრეს.

ეს იდეა თანმიმდევრულად განავითარა ჟ. კ. გურნემ (1712-1759), რომელიც 1751 წ. დაინიშნა საფრანგეთის ვაჭრობის ინტენდანტად. გურნეს მოძღვრების მიხედვით ყოველ ადამიანს იმის კეთების საშუალება უნდა მიეცეს, რაც მას სურს, იგი აღნიშნავდა, რომ „ადამიანმა სხვაზე უკეთ იცის თუ რა ესაჭიროება მას". ჟ. კ. გურნე მოითხოვდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების დამაბრკოლებელი ხელოვნური შეზღუდვების ლიკვიდაციას, მოქმედების თავისუფლების დაცვას. ჟ. გურნემ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ფორმულა „ლესე ფერ, ლესე პასე" (დაე საქმე თავისი გზით წარიმართოს). იგი ნიშნავს: თავისუფალ მეწარმეობას, ეკონომიკური ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპების ერთობლიობას (შრომის თავისუფლება, თავისუფალი კონკურენცია, თავისუფალი ვაჭრობა და ა. შ.).

ეკონომიკური ლიბერალიზმი გამოდიოდა პოლიტიკური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, იგი უპირველესად ნიშნავდა სახელმწიფო ხელისუფლების ძალის შემცირებას, ეკონომიკური ცხოვრების სრულ განთავისუფლებას სახელმწიფო რეგულირებისაგან. პალეოლიბერალური[1] თეორია სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების მიმართ „ღამის გუშაგის როლს მიაკუთვნებდა." ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეა შემდგომ განავითარეს ფიზიოკრატებმა.

------

[1] პალეო - ძველი.

# თავი VI. ფიზიოკრატების ეკონომიკური მოძღვრება

## I. ფიზიოკრატიზმის წარმოშობა

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფიზიოკრატების* შეხედულებებს.

ფიზიოკრატები საფრანგეთის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ *XVIII* საუკუნის 50-იან წლებში. მათ შეხედულებებში განზოგადებულია ახალი ძვრები იმ პერიოდის ეკონომიკაში** *XVIII* ს. შუახანებში დასავლეთ ევროპის ეკონომიკის კაპიტალისტური განვითარება შორს წავიდა. ინგლისში უკვე დაიწყო სამრეწველო გადატრიალება. საფრანგეთში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მანუფაქტურულმა კაპიტალიზმმა და ის იდგა ბურჟუაზიული რევოლუციის ზღვარზე. კაპიტალიზმის გენეზისის გვიანდელ სტადიაზე საჭირო შეიქმნა მერკანტილიზმის ეკონომიკური პოლიტიკისა და პრაქტიკის გადასინჯვა. მერკანტილიზმის კრიტიკა ხდებოდა ფეოდალური რეჟიმის კრიტიკასთან ერთად. მაგრამ, თუ ინგლისში მერკანტილიზმთან ბრძოლაში იმედს ამყარებდნენ. მანუფაქტურულ მრეწველობაზე, საფრანგეთში ეს ბრძოლა გამოიხატებოდა სოფლის მეურნეობის დაცვაში. ამ სფეროში ეძიებდნენ ფრანგი ეკონომისტები ეროვნული სიმდიდრის წყაროს. ფიზიოკრატიული სკოლა წარმოიშვა 1757 წ. და არსებობა დაამთავრა 1776 წ. ე. ი. ორი ათეული წელი იარსება, მაგრამ ამ მცირე პერიოდში შექმნა ბევრი საყურადღებო დებულება. მან შექმნა მნიშვნელოვანი ლიტერატურა და ფართო გავლენა მოიპოვა.

ფიზიოკრატიული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ: ფრანსუა კენე, დიუპონ დე ნემური, მარკიზი მირაბო, მერსიე-დელა რივიერი, ტიურგო და სხვ. მათ შორის პირველი იყო ფ. კენე - ფიზიოკრატიული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი.

*ფიზიოკრატია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ფიზიო - ბუნებრივი, კრატია- წყობილება.

**ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985. გვ. 18.

## 2. ფრანსუა კენე და მისი კონცეფცია „ბუნებრივი წყობის“ შესახებ. მოძღვრება წმინდა პროდუქტის, ნაყოფიერი და „უნაყოფო“ შრომის, კაპიტალის და კლასების შესახებ. კვლავწარმოების ანალიზი ფ. კენეს „ეკონომიკურ ცხრილში“

ფ. კენე (1694-1774) მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება იყო. იგი მუშაობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. თავიდან მან სპეციალობად გაიხადა მედიცინა. მას მიღებული ჰქონდა ქირურგის სამეცნიერო ხარისხი. ფ. კენე იყო საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ის კარის ექიმი. მან დაწერა რამოდენიმე ნაშრომი მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროში.

იმ დროს საფრანგეთში საზოგადოებრივი აზრი ეკონომიკურ საკითხებზე იყო მიჯაჭვული და ფ. კენემ ამ სფეროშიც თავისი სიტყვა თქვა. 1753 წლიდან, 60 წელს მიღწეულმა ფ. კენემ დაიწყო მუშაობა ეკონომიკურ საკითხებზე.

ფ. კენეს პირველი ეკონომიკური სტატიები „ფერმერები“ და „ხორბალი“ 1757 წ. დაიბეჭდა „ენციკლოპედიაში“, რომელსაც დიდრო და დალამბერი გამოსცემდნენ. ამ სტატიებში ფ. კენე გამოდიოდა მსხვილი ფერმერული მეურნეობის მომხრედ. 1758 წ. გამოიცა ფ. კენეს მთავარი ნაშრომი „ეკონომიკური ცხრილი“, 1760 წ. - „ვაჭრობის შესახებ“, 1766 წ. - „ეკონომიკური ცხრილის ანალიზი“ და „შენიშვნები ფულადი სარგებლის შესახებ“, 1768წ. - „სამიწათმოქმედო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები“ და სხვ. თავის ნაშრომებში ფ. კენე გამოდიოდა „ბუნებრივი წყობილების“ იდეიდან.

ფ. კენეს კონცეფცია „ბუნებრივი წყობილების“ შესახებ აღიარებს განსაზღვრული ობიექტური კანონების მოქმედებას არა მარტო ბუნებაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

„ბუნებრივი წყობილების“ კენესეული გაგებით ეკონომიკური პროცესი წარმოდგენილია ბუნებრივ პროცესად, რომელსაც თავისი შინაგანი კანონზომიერებანი აქვს. ფ. კენეს ლოგიკური მსჯელობით კაპიტალისტური წყობილება წარმოდგენილია ბუნებრივ წარმოების წესად, რომლის დროსაც ეკონომიკის განვითარებას ვარაუდობდა თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე, საბაზრო ფასების სტიქიური თამაშის პირობებში, რომელიც გამორიცხავდა სახელმწიფოს ჩარევას. ფ. კენემ კვლევა ძიება მიმოქცევის სფეროდან (სადაც ყოველივე არამყარ მდგომარეობაში იმყოფება, სადაც სტიქია ბობოქრობს და ძნელია ბუნებრივი წესის შემჩნევა) წარმოების სფეროში გადაიტანა. ამასთან ისეთში, რომელიც წარმოების სხვა სფეროებზე ნაკლებად იყო დამოკიდებული. ასეთ სფეროს იმ პერიოდში მიწათმოქმედება

წარმოადგენდა. მაგრამ წარმოების გადაყვანა მარტო სამიწათმოქმედო წარმოებაზე ნაკარნახევი იყო საფრანგეთის სოციალ-ეკონომიკური პირობებით.

ფიზიოკრატების ბუნებრივი წესის შინაარსი მთლიანად პასუხობდა იმ პერიოდში ბურჟუაზიის მოთხოვნებს. ესენი იყო: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, კერძო ინიციატივის განთავისუფლება შეზღუდვათაგან, პირადი ინტერესი და თავისუფალი კონკურენცია. ფიზიოკრატები იცავდნენ თავისუფალი მეწარმეობის იდეას. ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპების ცხოვრებაში გატარება ფ. კენეს მიაჩნდა ხალხისა და სახელმწიფოს სასარგებლო ღონისძიებად, ვაჭრობის თავისუფლებას კი თვლიდა საერთაშორისო ურთიერთობის დამყარების პირობად. ფიზიოკრატების მიერ გამოთქმული ბურჟუაზიული მოთხოვნები საქმის არსით მოასწავებდნენ ყოველგვარი დაბრკოლების მოხსნის მოთხოვნას კაპიტალისტური განვითარების გზიდან, რათა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობებისათვის თავისუფალი მომწიფების საშუალება მიეცათ.

ფ. კენემ წამოაყენა მოძღვრება ექვივალენტური გაცვლისა და ფულის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა ფიზიოკრატების სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. იგი აღნიშნავდა, რომ გაცვლა არაფერს არ ქმნის. გაცვლის პროცესში, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, ხდება თანაბარ ღირებულებათა გაცვლა, რომელსაც საქონელი შეიცავს ბაზარზე გატანამდე. მაშასადამე, მიმოქცევაში არ იქმნება სიმდიდრე. იგი იქმნება წარმოებაში. ფ. კენესა და საერთოდ ფიზიოკრატების აზრით, საქონლის გაცვლა ექვივალენტური უნდა იყოს, საქონელი საქონელზე მათი ღირებულების მიხედვით უნდა იცვლებოდეს.

მოძღვრება ექვივალენტური გაცვლის შესახებ ფ. კენემ მერკანტილისტური პოლიტიკის კრიტიკისათვის გამოიყენა. მან დაასაბუთა, რომ იგი ყიდვა-გაყიდვის საშუალებად გამოიყენება. ფ. კენემ ვერ ახსნა ფულის არსი და ფუნქციები.

ხელფასს ფ. კენე წარმოების ხარჯების იმ ნაწილად მიიჩნევდა, რომელიც მუშებს ეძლევა მათთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა მინიმუმის საყიდლად. ე. ი. ფ. კენე საარსებო საშუალებათა მინიმუმის პოზიციებზე იდგა.

ფ. კენესა და საერთოდ ფიზიოკრატების ეკონომიკურ თეორიაში ცენტრალური ადგილი ეკავა მოძღვრებას წმინდა პროდუქტის შესახებ. მათი განსაზღვრით წმინდა პროდუქტი არის პროდუქციის ნაჭარბი წარმოების ხარჯებზე ზევით. ე. ი. ახლად შექმნილი საქონელთა ღირებულების გარდამეტი მათ საწარმოო ხარჯებზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ წმინდა პროდუქტი მხოლოდ მიწათმოქ-

მეურნეობაში იქმნება. ფ. კენე წერდა: „მიწათმოქმედების პროდუქციის ნაშთი რომელიც მიწათმოქმედებისათვის საჭირო დანახარჯების და გაწეული შრომის ხარჯების გამოკლების შემდეგ რჩება, არის წმინდა პროდუქტი"*. იგი განარჩევდა სიმდიდრის გადიდებას და სიმდიდრის ჯამის შეერთებას. მისი თქმით პირველი ხდება სოფლის მეურნეობაში, ხოლო მეორე წარმოების დანარჩენ დარგებში. ფ. კენეს გაგებით მიწათმოქმედებაში წარმოებს სახმარ ღირებულებათა ზრდა, მეურნეობის სხვა დარგებში კი სხვადასხვა სახის სახმარ ღირებულებათა შეერთების გზით ახალი სახის სახმარი ღირებულების წარმოქმნა, რომლის პროცესში სახმარ ღირებულებათა მასა არა თუ მატულობს, არმედ ხშირად მცირდება კიდეც /მაგალითად, ნედლეულის ნაწარმად გადამუშავებისა დროს/.

ფ. კენეს მიხედვით მიწათმოქმედებასა და სხვა დარგებს შორის ამგვარი განსხვავება იმით აიხსნება, რომ მიწათმოქმედებაში მუშაობს ბუნება და ხდება „შექმნა", მეურნეობის სხვა დარგებში კი ბუნება არ მუშაობსო. ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ წმინდა პროდუქტი მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში იქმნება, იქ, სადაც დაქირავებული შრომა გამოიყენებაო. აქ ფ. კენეს დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ წმინდა პროდუქტი - რაც ფაქტიურად ზედმეტი ღირებულებაა, მიმოქცევის კატეგორიიდან - წარმოების კატეგორიად გადააქცია.

ფ. კენე ზედმეტი ღირებულების ერთად-ერთ ფორმად თვლიდა მიწის რენტას და სრულიად უგულებელყოფდა მოგებასა და სარგებელს. მისი გაგებით მოგება და სარგებელი წარმოების ხარჯების შემადგენელი ნაწილებია. მრეწველი და ფულის გამსესხებელი კაპიტალისტები მას იღებენ როგორც შემოსავალს მაღალი ხელფასის სახით.

წმინდა პროდუქტის შესახებ მოძღვრებასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება ფიზიოკრატების შეხედულება ნაყოფიერი და „უნაყოფო" შრომის შესახებ. ფ. კენეს მიხედვით ნაყოფიერია მხოლოდ წმინდა პროდუქტის შემქმნელი სამიწათმოქმედო შრომა. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში წმინდა პროდუქტი არ იქმნება, ამიტომ ამ დარგებში დასაქმებულ მუშაკთა შრომაც უნაყოფოა. მაგრამ მცდარია სამიწათმოქმედო შრომის ასეთი დაპირისპირება შრომის ყველა სხვა სახეებისადმი, ვინაიდან დაქირავებული შრომა, რომელ დარგშიც არ უნდა გამოიყენებოდეს, ქმნის ზედმეტ პროდუქტს და ნაყოფიერ შრომას წარმოადგენს.

- - - - -

*ფ. კენე, „რჩეული ეკონომიკური ნაწარმოებები, მ. 1960, გვ. 552 (რუს).

ფ. კენეს წმინდა პროდუქტის თეორიიდან გამომდინარეობს საზოგადოების კლასების მისეული განსაზღვრა. მისი აზრით საფრანგეთის იმ პერიოდის საზოგადოება სამი კლასისაგან შედგებოდა: მწარმოებელ კლასს მიაკუთვნებდა სოფლის მეურნეობის მუშაკებს /სასოფლო სამეურნეო მუშები და ფერმერები/, რომლებიც წმინდა პროდუქტს ქმნიან. მიწის მესაკუთრეთა კლასში შეჰყავდა მეფე, მიწათმფლობელები და სამღვდელოება. ისინი მართალია წმინდა პროდუქტს არ ქმნიან, მაგრამ მის მომხმარებელს წარმოადგენენ, რასაც საიჯარო ქირის სახით იღებენ. უნაყოფო კლასში ფ. კენე აერთიანებდა მეურნეობის სხვა დარგებში შრომით და მომსახურებით დაკავებულ ყველა პირს, რომლებიც წმინდა პროდუქტს არ ქმნიან.

საზოგადოების კლასების კენესეულ განსაზღვრაში საკმაო უზუსტობანია. პირველ რიგში არასწორია სამრეწველო მუშების უნაყოფო კლასად გამოცხადება. არასწორია აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშებთან ერთად ფერმერების გაერთიანება მწარმოებელ კლასში.

ფ. კენეს ერთ-ერთ დამსახურებას წარმოადგენს კაპიტალის კატეგორიის განსაზღვრა. იგი კაპიტალს იხილავს წარმოების პროცესში, კერძოდ სამიწათმოქმედო წარმოებაში. ფ. კენე განასხვავებდა კაპიტალის ორ ნაწილს: 1. თავდაპირველი ავანსები - დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ნაგებობების, პირუტყვის და სხვა შექმნაზე; 2. ყოველწლიური ავანსები - დანახარჯები თესლზე, ძირითად სასოფლო სამეურნეო საშუალებებზე, სამუშაო ძალაზე.

თავდაპირველი ავანსები თავიანთ სრულ ბრუნვას ახდენენ რიგი წლების განმავლობაში, ყოველწლიური ავანსები კი სრულ ბრუნვას ერთი წლის განმავლობაში ახდენენ. აქ ფ. კენე ფაქტიურად იძლევა კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ კაპიტალად.

ფ. კენეს მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პრობლემის დაყენება. ის პირველი ეკონომისტი იყო, რომელმაც სცადა მთლიანობაში წარმოედგინა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებისა და და მიმოქცევის პროცესი.

თავის „ეკონომიკურ ცხრილში" ფ. კენე იძლევა მთელი საზოგადოების წლიური პროდუქტის რეალიზაციის რთულ სქემას.

კვლავწარმოების პროცესის ანალიზის წანამძღვრებად ფ. კენე იღებს ფასების უცვლელობას და აბსტრაჰირებას ახდენს საგარეო ბაზრის გავლენისაგან. „ეკონომიკურ ცხრილში" ამოცანადაა დასმული ამ პრობლემის გამოკვლევა მარტივი კვლავწარმოების პირობებში.

ამოსავალ პუნქტად აღებულია სასოფლო-სამეურნეო წლის ბოლო, როდესაც მთავრდება მოსავლის აღება. ცხრილი ითვალისწინებს,

რომ, საზოგადოების ყოველწლიური პროდუქციის ჯამი 7 მილიარდ ლივრს შეადგენს. აქედან მწარმოებელი კლასის ხელში მყოფი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება 5 მილიარდ ლივრს შეადგენს. იგი შედგებოდა ძირითადად სურსათისაგან (4 მილიარდი ლივრი) და ნაწილობრივ ნედლეულისაგან (1 მილიარდი ლივრი). მიწათმოქმედების წლიური პროდუქტის ღირებულების 1/5, ანუ 1 მილიარდი ლივრი ანაზღაურებს მოხმარებულ ძირითადი კაპიტალის ნაწილს ანუ თავდაპირველ ავანსებს. 2 მილიარდი ლივრი - ანაზღაურებს დახარჯული ნედლეულისა და ნაყოფიერი კლასის მიერ მოხმარებული საარსებო საშუალებების ფასს („ყოველწლიური ავანსები, ანუ საბრუნავი კაპიტალი). ხოლო 2 მილიარდი ლივრი შეადგენს წმინდა პროდუქტს. დანარჩენი 2 მილიარდი ლივრი „უნაყოფო“ კლასის პროდუქტია, რომელიც იშლება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის ღირებულებად (1მილიარდი ლივრი) და ამ კლასის მიერ მოხმარებული არსებობის საშუალებების ღირებულებად (1 მილიარდი ლივრი).

გარდა 5 მილიარდი ლივრის პროდუქტისა, ნაყოფიერ კლასს - ფერმერებს გააჩნიათ 2 მილიარდი ლივრი ნაღდი ფული, რომელიც გათვალისწინებულია მიწის მესაკუთრეებისათვის, საიჯარო ქირის სახით, გადასაცემად. ამრიგად მიმოქცევის დასაწყისში მიწის მესაკუთრეებს უკვე მოეპოვებათ 2 მილიარდი ლივრი, რომელიც ფერმერებისაგან მიიღეს საიჯარო ქირის სახით.

„ეკონომიკური ცხრილის“ პირობების მიხედვით რეალიზაციის პროცესი 5 აქტისაგან შედგება, თითოეული ერთი მილიარდის მოცულობით.

1. მიწის მესაკუთრენი მათ განკარგულებაში არსებული 2 მილიარდი ლივრიდან ფერმერებისაგან ყიდულობენ 1 მილიარდი ლივრის სურსათს. ამ ოპერაციის შედეგად სასოფლო სამეურნეო პროდუქტის 1/5 ნაწილი რეალიზდება, რომელიც მიმოქცევის სფეროდან გადადის მიწის მესაკუთრეთა მოხმარების სფეროში.

2. მიწის მესაკუთრენი 1 მილიარდი ლივრით „უნაყოფო“ კლასისაგან იძენენ სამრეწველო პროდუქციას პირადი მოხმარებისათვის.

3. „უნაყოფო“ კლასი, მიწის მესაკუთრეებისაგან მიღებული 1 მილიარდი ლივრით, სურსათს იძენს მწარმოებელი კლასისაგან. ამით რეალიზდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის კიდევ 1/5 ნაწილი.

4. მწარმოებელი კლასი „უნაყოფო“ კლასისაგან მიღებულ 1 მილიარდ ლივრს ხარჯავს აუცილებელი წარმოების იარაღების შესაძენად. ამით მთავრდება სამრეწველო პროდუქციის მეორე ნაწილის რეალიზაცია.

5. „უნაყოფო" კლასი ფერმერებისაგან მიღებულ 1 მილიარდ ლივრს ხარჯავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესაძენად. საზოგადოებრივი პროდუქციის რეალიზაციის სქემა მარტივად შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

| | | |
|---|---|---|
| ფერმერთა (მწარმოებელთა) კლასი<br>5 მილიარდი | მიწის მესაკუთრეთა კლასი | მრეწველთა („უნაყოფო") კლასი<br>2 მილიარდი |




ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მიმოქცევის პროცესის შედეგად კლასებს შორის რეალიზებული აღმოჩნდა სამი მილიარდის სასოფლო სამეურნეო პროდუქცია (1 მილიარდი ლივრის პროდუქცია მიეყიდა მესაკუთრეთა კლასს, ხოლო ორი მილიარდი – „უნაყოფო" კლასს). მწარმოებელი კლასის განკარგულებაში დარჩენილი ორი მილიარდი ლივრის სასოფლო სამეურნეო პროდუქცია არ შედის კლასებს შორის საერთო მიმოქცევაში. იგი მიმოიქცევა თვით ამ კლასის ფარგლებში. ეს, პროდუქცია ანაზღაურებს დანახარჯებს თესლსა და კვების პროდუქტებზე სასოფლო სამეურნეო წარმოების პროცესში (წლიური ავანსი). მწარმოებელი კლასის მიერ მიღებული

სამრეწველო საქონელი ხმარდება ძირითადი კაპიტალის მომხმარებლური ნაწილის ანაზღაურებას. მიმოქცევის შედეგად ნაღდი ფული (2მილიარდი) უბრუნდება მწარმოებელ კლასს, რომელიც შემდეგ მიწის მესაკუთრეებს ეძლევა საიჯარო ქირის სახით შემდეგი ვადით. ამის შემდეგ ყოველივე ხელახლა იწყება.

ამრიგად, შექმნილია წანამძღვრები ახალი საწარმოო ციკლის დაწყებისათვის, იგივე მასშტაბის განახლებისათვის, ე. ი. მარტივი კვლავწარმოებისათვის.

ფ. კენემ მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებისა და მიმოქცევის პროცესი განიხილა არა ყიდვა-გაყიდვის ცალკეული აქტების სახით, არამედ როგორც წარმოების პროდუქტების გაცვლის პროცესი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებსა და საზოგადოების ძირითად კლასებს შორის. მაგრამ კვლავწარმოების ანალიზში ფ. კენეს სათანადო დამსახურებასთან ერთად ნაკლიც გააჩნდა. 1. მასში მრეწველები დატოვებულია სამრეწველო საქონლის გარეშე, რაც გარდაუვალს ხდის დისპროპორციებს. სამრეწველო წარმოების განახლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. 2. ცხრილში არასრულადაა ნაჩვენები საზოგადოებრივი პროდუქტის განლაგება. მასში ასახვა ვერ ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის იმ ნაწილმა, რომელიც თვით ფერმერების მიერაა გამოყენებული და განაწილებულია სოფლის მოსახლეობას შორის.

## 3. ფიზიოკრატიული შეხედულებების შემდგომი განვითარება ა. ტიურგოსთან

ფიზიოკრატიული სკოლის წარმომადგენლებს შორის აღსანიშნავია ან რობერ ჟაკ ტიურგო (1727-1781), რომლის შეხედულებებშიც ფიზიოკრატიულმა სისტემამ უფრო განვითარებული სახე მიიღო. იგი შეეცადა ფიზიოკრატიული შეხედულებების ცხოვრებაში დანერგვას. ა. ტიურგო მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება იყო. იგი წერდა ცოდნის სხვადასხვა სფეროში. ამასთან ერთად ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობასაც.

ა. ტიურგო ბეჭდავდა სტატიებს ენციკლოპედიაში და წერდა ეკონომიკურ შრომებს: „მარცვლეულით ვაჭრობა (1761), „მანუფაქტურის წაქეზება" (1766), „წერილები გენერალურ კონტროლიორს პურით ვაჭრობის შესახებ" (1770) 1766 წ. მან დაწერა თავისი მთავარი თხზულება „ფიქრები სიმდიდრეთა შექმნასა და განაწილებაზე".

ა. ტიურგო, ფ. კენეს მსგავსად, ბუნებრივი წყობილების იდეიდან გამოდიოდა, მაგრამ მის მოძღვრებაში ბუნებრივი წესი უფრო ნათელია და უფრო ბურჟუაზიულია. ა. ტიურგოს ყიდვა-გაყიდვისა

და კონკურენციის თავისუფლება მიაჩნდა წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების აუცილებელ და საუკეთესო საშუალებად;

კაპიტალისტურ ურთიერთობებს ა. ტიურგო ფეოდალიზმის პრიზმით არ უყურებდა, რაც საშუალებას აძლევდა უკეთ გაეგო ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. ფ. კენეს მიერ მოცემული საზოგადოების სამ კლასად დაყოფა. მან შეავსო მუშებად და კაპიტალისტებად დაყოფით. დაამტკიცა, რომ მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში ერთ მხარეზე არიან მეწარმე კაპიტალისტები, მეორე მხარეზე - დაქირავებული მუშები. მეწარმე კაპიტალისტების მოგების მიზნით წარმოებაში აბანდებენ კაპიტალს და ქირაობენ მუშებს. მუშები კი შრომის გაყიდვით ხელფასს ღებულობენ.

ა. ტიურგო ფ. კენეს მსგავსად ხელფასს განსაზღვრავდა საარსებო საშუალებათა მინიმუმით, მაგრამ ფ. კენესაგან განსხვავებით იგი ხსნის ხელფასის საარსებო საშუალებათა მინიმუმზე დაყვანის მექანიზმს. ა. ტიურგოს ხელფასის თეორიისათვის გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს ის, რომ დამქირავებელს აქვს ასარჩევი, ე. ი. შრომის ბაზარზე მუშახელის ნაკლებობა არ არის და მუშებს შორის არსებობს კონკურენცია, რომელსაც შრომის ფასი აღნიშნულ მინიმუმამდე დაჰყავს.

ა. ტიურგოს დამსახურებას წარმოადგენს დაქირავებული შრომის გენეზისის შესახებ საკითხის დამუშავება. დაქირავებულ მუშათა კლასის წარმოშობას იგი ხსნის მუშათა ჩამოშორებით წარმოების საშუალებებისაგან, რომელიც მას უპირისპირდება, როგორც სხვა კლასის კერძო საკუთრება. პირველი აძლევს მეორეს თავის შრომას, მეორე კი სარგებლობს საკუთრების უფლებით, რომელიც ემყარება კანონებს. მართალია, ა. ტიურგო ამ უფლებასა და კანონებს ამართლებს, მაგრამ წმინდა პროდუქტის მესაკუთრეებზე გადაცემა მისი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის შრომის მითვისება. მაგრამ ვინაიდან ა. ტიურგო, როგორც ფიზიოკრატი, სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ მიწას მიიჩნევს, მისთვის ნამდვილ კაპიტალისტს ის წარმოადგენს, რომელიც ამ წყაროს ფლობს. სხვა კაპიტალისტები ასეთებს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც მათ საშუალება აქვთ მიწათმფლობელებს ჩამოგლიჯონ წმინდა პროდუქტის ნაწილი. როგორც ვხედავთ, ა. ტიურგო მიწის მესაკუთრეს თვლიდა კაპიტალისტად. მაგრამ ფ. კენესაგან განსხვავებით, იგი მიწის გარდა კაპიტალად თვლიდა ყოველგვარ მოძრავ სიმდიდრეს და დანაზოგებს, რომელთა წარმოებაში დაბანდება და მოგების მიღება შეიძლება. ა. ტიურგოს აზრით, თავდაპირველად ზოგიერთი ადამიანის მოქნილობითა და მომჭირნეობით შესაძლებელი გახდა პატარა კაპიტალის დაგროვება, რომელიც შემდგომ დიდ კაპიტალს

წარმოშობს, რადგან უკვე არის ღირებულების თვითზრდისათვის საჭირო პირობები. ზოგიერთს აქვს კაპიტალი შრომის სხვადასხვა პირობის სახით, ზოგს კი მარტო ხელები და ხელობა. კაპიტალის მფლობელები ემყარებიან კასრებსა და უფლებებს, ხოლო ვისაც მხოლოდ ხელები და ხელობა აქვს, უნდა გაასხვისონ თავიანთი შრომა ისე, რომ მათმა დამქირავებლებმა მოგება მიიღონ. აქ უდავოდ შეიმჩნევა იდეათა სესხება სენიორის დაიმესის თეორიიდან. მოგება, როგორც განსაკუთრებული კატეგორია ა. ტიურგოსათვის არ არსებობს. მოგება მას დაჰყავს პროცენტამდე, ხოლო პროცენტი გამოჰყავს რენტიდან. ა. ტიურგო რენტის შექმნაში მთავარ როლს შრომას მიაწერს. მაგრამ იგი არ უარყოფს ფიზიოკრატიულ დოქტრინას ბუნების ნაბოძების შესახებ. თუმცა ზოგჯერ ამ ბუნების ნაბოძებს ზედმეტი შრომის სახითაც წარმოადგენს.

ღირებულების საკითხში ა. ტიურგომ ვერ დაიხია ფ. კენეს გაცვლის ეკვივალენტობის იდეისაგან. იგი ერთმანეთისაგან განარჩევს სუბიექტურ და ობიექტურ ღირებულებას. პირველი უჩვენებს, თუ როგორ აფასებს ნივთს გამყიდველი. ობიექტური ღირებულება ანუ საბაზრო ფასი კი მყარდება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. ღირებულების სუბიექტური და ობიექტური თეორიები შემდგომში ა. ტიურგოსაგან ისესხეს ავსტრიული, კემბრიჯისა და სხვა სკოლების წარმომადგენლებმა.

ფული, როგორც საქონელთა საყოველთაო ექვივალენტი ა. ტიურგომ ვერ გაიგო. მან ლითონის ფული (ოქრო და ვერცხლი) დაიყვანა საქონლამდე, რომელსაც ნამდვილი ღირებულება აქვსო და პირიქით, საქონელიც დაყავს ფულამდე. ყოველი საქონელი მისი გაგებით ფულია. ა. ტიურგომ უარყო მერკანტილისტების შეხედულებები ფულისა და კაპიტალის გაიგივების შესახებ. მან ერთიმეორეს დააცილა ეს კატეგორიები. ა. ტიურგო ფულის არსებობას უკავშირებდა სასაქონლო მიმოქცევას და აღნიშნავდა, რომ ფული სასაქონლო ბუნების მატარებელიაო. ასეთია ტიურგოს შეხედულებანი, რომელშიც ჩვენ ვნახულობთ დამატებით არგუმენტებს მიწათმოქმედების მწარმოებლურობის თეზისის დასაბუთებისათვის.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ა. ტიურგო ცდილობდა ფიზიოკრატიული იდეები პრაქტიკულად გაეტარებინა ცხოვრებაში. მათ განხორციელებას შეეცადა იგი ჯერ ერთ პროვინციაში, ლიმოჟის მაზრის ინტენდანტის თანამდებობაზე ყოფნის დროს. ხოლო 1774-1776 წ. წ. როდესაც მას ეკავა საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის პოსტი, თავისი იდეების გავრცელებას შეეცადა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ მის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს ვერ შეურიგდა მეფის ხელისუფლება და მას დაატოვებინეს ეს პოსტი.

ამით მიაერდება ფიზიოკრატიული სკოლის არსებობა.

## 4. სულხან-საბა ორბელიანის ფიზიოკრატიული ანალოგია

XVIII ს. დასაწყისში საქართველოში გამოითქვა ფიზიოკრატიულის ანალოგიური აზრი, რომელიც ფულად სიმდიდრესთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს სამიწათმოქმედო პროდუქტების სიმდიდრეს. ამ მხრივ საყურადღებოა დიდი ქართველი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის ს.-ს. ორბელიანის მოსაზრებანი. მან თავის ნაშრომში „სიბრძნე სიცრუისა" დააყენა მნიშვნელოვანი პრობლემა - რა არის სიმდიდრე.

ს. ს. ორბელიანის ერთ-ერთ არაკში „ორი მდიდარი"* ერთმანეთისადმი დაპირისპირებულია ორი მდიდარი: ფულით, ძვირფასი განძეულობით მდიდარი და მარცვლეულით მდიდარი. ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული გამოდის მარცვლეულით მდიდარი და მტკიცდება, რომ ნამდვილი და უურო საქები სიმდიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქტებია.

მეორე არაკში „ორნი ძმანი",** ძმები ერთმანეთის გამდიდრებას ცდილობენ იმით, რომ თითოეული თავის ორმოდან ხორბალს იღებს და მალვით მეორის ორმოში ყრის. სულხან საბა ორბელიანის იგავ-არაკების დიდი ნაწილი აგებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობისა და ამ პროდუქციის წარმოებისა და განაწილების მასალაზე. იგი მერკანტილისტებისაგან განსხვავებით სიმდიდრის წყაროს ეძებდა არა ვაჭრობაში, არამედ სოფლის მეურნეობაში. ს. ს. ორბელიანი სიმდიდრის წყაროდ აღიარებდა, წარმოების სფეროს - მიწათმოქმედებას და არა მიმოქცევის სფეროს ვაჭრობას. მისი თქმით, სიმდიდრე წარმოებაში იქმნება, პროდუქტი უკვე გაზრდილია ღირებულებაში სანამ იგი მიმოქცევაში გადავიდოდეს.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება სიმდიდრისა და მისი წყაროს საკითხში ახლოს დგას ფიზიოკრატიულ იდეებთან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იგი მივიჩნიოთ ფიზიოკრატად. ფიზიოკრატიული სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში XVIII ს. 50-იან წლების დამლევს, ს.-ს. ორბელიანის გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ. მართალია, ს.-ს. ორბელიანის იდეები წინ უსწრებდა ფიზიოკრატიულს, მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება, თითქოს ფიზიოკრატებს ესესხათ ს.-ს. ორბელიანის იდეები. მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს. დასაწყისში ს.-ს. ორბელიანმა პოლიტიკური

\- - - - - -

*სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბ. 1970 გვ. 150-152

**იქვე, გვ. 104.

მისიით იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში) მას შეხების წერტილი არ ჰქონია ფიზიოკრატებთან და ამ უკანასკნელთათვის უცნობი იყო მისი შეხედულებანი. ს.-ს. ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი პირველად საერთაშორისო არენაზე XX ს. 50-იან წლებში გაიტანა ქართველმა ეკონომისტმა, აკადემიკოსმა ე. ჩანტლაძემ*

ს.-ს. ორბელიანისა და ფიზიოკრატების იდეების მსგავსება განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდში ორივე ქვეყანა - საქართველოც და საფრანგეთიც აგრარული იყო.

## 5. ა. წულუკიძე ფიზიოკრატიული სკოლების შესახებ

ფიზიოკრატიული შეხედულებები ღრმად გაანალიზა ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ ა. წულუკიძემ. ა. წულუკიძეს ეს საკითხები განხილული აქვს ნაშრომში „ეკონომიკური მეცნიერების ისტორიიდან". ამ ნაშრომში იგი კარგად განსაზღვრავს ფიზიოკრატებისა და მათი მამამთავრის ფ. კენეს მსოფლმხედველობას.

ა. წულუკიძე მიუთითებს, რომ მერკანტილურ სისტემას პოლიტიკურ ეკონომიაში სკოლა არ შეუქმნია, მწყობრად და მეცნიერულად არ შეუმუშავებია თავისი პრინციპებით. პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების, დასაწყისის ისტორიული ფურცლების გაშლისას „იქ ყველაზე წინ ფიზიოკრატების და მათ შორის უფრო დიდი ასოებით ფრანსუა კენეს ამოვიკითხავთო."**

ა. წულუკიძე აღნიშნავდა, რომ ფ. კენემ პირველად ყურადღება მიაქცია მიწათმოქმედებას და იქ ჰპოვა ჭეშმარიტების მარცვალიო „რადგან იმ დროს მიწათმფლობელნი და მიწათმოქმედნი უფრო მეტი იყვნენ ვაჭარ მრეწველებზე და მიწის დამუშავების და მის ნიადაგზე აღძრული ინტერესების დანახვა და შემჩნევა უფრო ადვილი იყო."*** როგორც ა. წულუკიძე აღნიშნავს, „ფიზიოკრატებმა ყველაზე უწინ შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ ვაჭრობას არ შეუძლია ახალი ღირებულების შექმნა, საქონელი სანამ ბაზარში გატანილა, გასაყიდად დამზადებულა, მანამდე აქვს მას შეძენილი ახალი ღირებულება,

- - - - - - -

*ე. ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ, 1959.

**ა. წულუკიძე, თხზულებანი, თბ. 1967. გვ. 54.

***იქვე, გვ.58

სწორედ იმ დროს, როდესაც თვით წარმოების პროცესი ხდება, საქონელი კეთდება"* ა. წულუკიძე იქვე შენიშნავს, რომ „ამ აზრის ნათელი გამორკვევა და ანალიზი მათ ვერ მოახერხეს და მხოლოდ ნაყოფიერი თესლი გადაისროლეს ეკონომიკური ცნობიერების მიდამოში"** ფ. კენემ წმინდა პროდუქტი მხოლოდ „მიწის დამუშავებაში ჰპოვა და წარმოების ის დარგი, რომელიც უფრო მეტ ქონებას ჰქმნის ამ საფუძველზე, ვერ შეამჩნია, ფაბრიკებისა და ქარხნების იგივე თვისება მას გამოეპარა"***

ა. წულუკიძე შეეხო ფიზიოკრატების სხვა დებულებებსაც. მისი აზრით, მათ მცდარ აზრებშიც შეიძლება ჭეშმარიტების დანახვაც.

-----

* იქვე გვ. 57

** იქვე

***იქვე, გვ. 58.

# თავი VII. ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს ეკონომიკური მოძღვრება

## 1. კლასიკური სკოლის ეკონომიკური მოძღვრების შემდგომი განვითარება ა. სმიტისა და დ. რიკარდოს ნაწარმოებებში

ბურჟუაზიულმა კლასიკურმა სკოლამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია დიდი ბრიტანეთის ეკონომისტების ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს ნაწარმოებებში. ისინი იყვნენ მოწინავე მოაზროვნეები რომელთა გამოკვლევების შედეგად ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია გახდა ეკონომიკური ცოდნის სისტემა. მართალია მისი საფუძველი ჩაყრილი იყო ჯერ კიდევ უ. პეტის, პ. ბუაგილბერის, ფ. კენესა და ა. ტიურგოს შრომებში, რომლებმაც ჩამოაყალიბეს თეორიული ხასიათის ზოგიერთი დებულება და წამოაყენეს ეკონომიკური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპები, მაგრამ მხოლოდ ა. სმიტმა მოიყვანა ყველა ისინი მთლიან სისტემაში და მისი მეცადინეობით ბურჟუაზიულმა ეკონომიკურმა აზრმა შეიძინა მეცნიერების ხასიათი. თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები პ. სამუელსონი და უ. ნორდჰაუსი ეკონომიქსის დამწყებად სწორედ ა. სმიტს მიიჩნევენ*.

ა. სმიტი და დ. რიკარდო მოღვაწეობდნენ კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდში. ფეოდალურ წყობილებას ისინი გონების საწინააღმდეგო არაბუნებრივ პრინციპად აცხადებდნენ, და ამოცანად აყენებდნენ ბუნებრივი წყობილების დამყარებას**. ბუნებრივად ისინი ბურჟუაზიულ წყობილებას თვლიდნენ, რომლის დამყარებისათვის, მათი აზრით საჭირო იყო მხოლოდ საზოგადოების ჩამოცილება ფეოდალური გზისაგან და საზოგადოების განვითარების ბუნებრივი კანონების მოქმედებისათვის გასაქანის მიცემა. ამიტომ კლასიკოსები ესწრაფვოდნენ ამ ბუნებრივ კანონებში ჩაწვდომას. ა. სმიტისა და დ. რიკარდოს ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეას. ა. სმიტი თითქმის სრულიად უარყოფდა სახელმწიფოს ჩარევას სამეურნეო საქმიანობაში და ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად ეკონომიკური თავისუფლება მიაჩნდა. იგი

---

*პ. სამუელსონი, უ. ნორდჰაუსი, ეკონომიქსი, იხ. ჟურნ. „ეკონომისტი" 1990 №7 გვ. 45.

**ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკურმოძღვრებათა ისტორია, თბ.1985, გვ. 38.

მოითხოვდა კონკურენციის თავისუფლებას, კონკურენციულ ბრძოლას. ა. სმიტი სახელმწიფოს აკისრებდა მხოლოდ ისეთ ფუნქციებს (ქვეყნის თავდაცვა, ბანკნოტების გამოშვება და ა. შ.), რომლებიც დადებით როლს შეასრულებენ თავისუფალი კონკურენციის, ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით. დ. რიკარდო ღრმად იყო დარწმუნებული თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობაში, ხოლო ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპები მას ყველასათვის სასარგებლოდ მიაჩნდა.

## 1. ა. სმიტი მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტი. ა. სმიტის ნაწარმოები „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“

ეკონომიკური მოძღვრების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამ სმიტს (1723-1790). თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები რობერტ ჰეილბრონერი და ლესტერ გაროუ მიუთითებენ: „რათა გაეიგოთ ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი მიზანი უმჯობესია მიემართოთ სამი უდიდესი ეკონომისტის ადამ სმიტის, კარლ მარქსისა და ჯონ მაინარდ კეინსის ნაშრომებს“*. ა.სმიტი იყო თავისი დროის დიდად განათლებული პიროვნება. დაწყებითი ცოდნა მან მიიღო თავის მშობლიურ ქალაქ კერკოლდში (შოტლანდია). 1738 წ. შევიდა გლაზგოს უნივერსიტეტში. სადაც თავი გამოიჩინა ბეჯითი სწავლით, რისთვისაც მას ნება დართეს სწავლა განეგრძო ოქსფორდის არისტოკრატიულ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გლაზგოში ეწეოდა საპროფესორო მოღვაწეობას. 1759 წ. მისი ლექციების გამოქვეყნებული იქნა წიგნად „ზნეობრივ გრძნობათა თეორია“, რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა. გლაზგოში ყოფნის დროს ა.სმიტი მონაწილეობას იღებდა მსოფლიოში პირველ პოლიტიკური ეკონომიის კლუბის მუშაობაში.

1764 წლიდან ა. სმიტმა თავი დაანება საპროფესორო მოღვაწეობას და დაიწყო არისტოკრატ ბერკლეის აღზრდა. მან თავის მოწაფესთან ერთად იმოგზაურა საფრანგეთში, სადაც გაეცნო ფ. კენესა და ა. ტიურგოს. მათთან ურთიერთობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ა. სმიტის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

სამი წლის აღმზრდელობითი მოღვაწეობის შემდეგ ა. სმიტი დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში და კვლევა-ძიება დაიწყო პოლიტიკური ეკონომიის სფეროში. ამ მუშაობის ნაყოფი იყო მისი

* რ. ჰეილბრონერი და ლ. გაროუ, ეკონომიკა ყველასათვის, ლონდონი, 1991, გვ. 23; (რუს).

მთავარი ნაწარმოები „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1776წ.) მასში ა. სმიტმა მიზნად დაისახა გამოერკვია სიმდიდრის წარმოშობის არსი და მისი აღმოცენებისა და განვითარების პირობები. ამ ნაშრომმა მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ავტორს. სხვადასხვა ქვეყნებში დაიწყეს ლაპარაკი ა. სმიტის ეკონომიკური შეხედულებების შესახებ. მაგალითად დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი თავის „ევგენი ონეგინში" რამდენიმე სტროფს უძღვნის ა. სმიტის იდეებს. ა. პუშკინი აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა თავად ევგენი ონეგინს

დიდი განცდები არ აწამებდა,
რომ მიეტანა მსხვერპლად ლექსამდე,
იამბს ქორეგან ვერ ანსხვავებდა,
თუმცა სწავლებას ბევრჯერ ვცადე.
ჰგმობდა ჰომეროსს, თეოკრიტესაც,
მაგრამ ადამ სმიტს ჩაჰკირკიტებდა,
ეკონომიკას კარგად იცნობდა,
მან ესე იგი განსჯა იცოდა:
ქვეყანა რარიგ, როგორ მდიდრდება,
რითი არსებობს, რატომ ან რა გზით
აღარ სჭირდება ოქროს მარაგი,
როცა პროდუქტით არ ღარიბდება,
მამას ეჭირდა ამის გაგება
და მიწებს ვალში აგირავებდა.

ა. პუშკინის ეს მონოლოგი დღევანდელ საქართველოსაც გამოადგება. შემდგომში ილია ჭავჭავაძეც აღნიშნავდა, რომ ქვეყნის გამდიდრება ეკონომიკურ წარმოებას შეუძლია და არა ჩარჩულ ვაჭრობას**.

ა. სმიტის აღნიშნული ნაშრომი შედგება ხუთი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია წარმოებისა და განაწილების საკითხები. მასში მოცემულია მოძღვრება, ღირებულებისა და ძირითად კლასთა შემოსავლების შესახებ. მეორე ნაწილში განხილულია, კაპიტალი და მისი ფუნქციური ფორმები. მესამეში გამორკვეულია კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული პირობები. მეოთხეში მოცემულია მერკანტილიზმისა და ფიზიოკრატიზმის ანალიზი. მეხუთე ნაწილი ეძღვნება სახელმწიფო ფინანსების საკითხებს.

ა. სმიტის დროს სამრეწველო გადატრიალება ინგლისში მხოლოდ

- - - - - -

*ა. პუშკინი, რჩეული თხზულებანი, თბ. 1975, გვ. 302-303.

**ჯ.ხარიტონაშვილი, ჩარჩული ფული ქურდბაცაცაა, გაზ. „სიმართლე" № 5, 1993 წ. აპრილი გვ. 4.

იწყებოდა. მისი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა მანუფაქტურული კაპიტალიზმის პერიოდში. ეს განაპირობებდა ა. სმიტის გაზვიადებულ წარმოდგენას შრომის მანუფაქტურული დანაწილების როლის შესახებ. ადამიანთა საზოგადოებას იგი განიხილავდა როგორც გაცვლით კავშირს, რომელსაც საფუძვლად ედო სხვადასხვა სახეობის შრომის გაცვლა. ა. სმიტი იყო მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტი. ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებზე მუშაობისას XVIII 70-იან წლებში სამრეწველო გადატრიალება ფართოდ გაიშალა, რამაც გამოიწვია უდიდესი ეკონომიკური ძვრები. ინგლისის მრეწველობამ შორს ჩამოიტოვა სხვა ქვეყნები. ინგლისელ კაპიტალისტებს აღარ აშინებდათ კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე ასეთ ვითარებაში.

აღმოცენდა ეკონომიკური აზრის ახალი პრობლემები და აუცილებელი იყო წინანდელი დებულებების გადასინჯვა. ვაჭრობის შემცვლელად მოვიდა მრეწველი კაპიტალისტი, რომლის ეკონომიკური პლატფორმა დასაბუთებას საჭიროებდა.

## ა) ა. სმიტის დამოკიდებულება მერკანტილიზმთან და ფიზიოკრატიზმთან

სამრეწველო გადატრიალების შემდეგ მერკანტილისტური დოქტრინა ძალიან უმწეოდ გამოიყურებოდა. მათი რეცეპტები და პროტექციონიზმი, სამეურნეო ინიციატივის შემბოჭველი ფაქტორი გახდა. სიმდიდრის წყაროს ბურჟუაზია სამრეწველო წარმოებაში ეძიებდა. საგარეო ვაჭრობა დაყვანილ იქნა მრეწველობის მომსახურების როლამდე. იგი ემსახურებოდა სამრეწველო ნაწარმის რეალიზაციას და წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლუატაციის დამატებით ფორმას. ფრიტრედერობის პროგრამა უკეთ პასუხობდა ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს. ა. სმიტი იყო სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი და მკვეთრად ილაშქრებდა მერკანტილისტების წინააღმდეგ, რომლებიც ვაჭრების ინტერესებს იცავდნენ. ა. სმიტი, მერკანტილიზმს შუასაუკუნეობრივ სისულელედ, ფეოდალური რეჟიმის წამრომშობილად თვლიდა. იგი ამტკიცებდა, რომ სიმდიდრე მდგომარეობს არა ფულში, არამედ იმაში, რაც შეისყიდება ფულით.

ა. სმიტმა გამოააშკარავა აგრეთვე ფიზიოკრატიზმის უშინაარსობა მხოლოდ მიწათმოქმედების ნაყოფიერებისა და მრეწველობის უნაყოფობის შესახებ. ფიზიოკრატების აგრარული პროგრამა მიუღებელი იყო XVIII ს. ინგლისისათვის. მისი აგრარული პრობლემები გადაჭრილი იქნა კაპიტალიზმის საფუძველზე. მხოლოდ ეკონომიკური

[illegible]

ბურჟუაზიის იდეოლოგებიდან. ეს იდეები გაიზიარეს მათ და შემდგომ განავითარეს. კერძოდ ეს გააკეთა ა. სმიტმა.

ა. სმიტმა პირველმა შექმნა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ფუნქციონირების მეცნიერული დასაბუთება თავისუფალი კონკურენციის სტადიაზე. მისი თეორია არსებითად განსხვავდება წინამორბედებისაგან. მასში ა. სმიტმა მოახერხა მნიშვნელოვანი ზომით გადაელახა სახალხო მეურნეობრივი პროცესების ანალიზისადმი დარგობრივი მიდგომა.

## ბ) ა. სმითის მოძღვრება შრომის დანაწილების გაცვლისა და ფულის შესახებ.

ა. სმიტის ეკონომიკურ შეხედულებებს საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ საზოგადოების სიმდიდრე იქმნება წარმოების პროცესში დახარჯული ადამიანის შრომით. სიმდიდრის გადიდება დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. შრომის ნაყოფიერების ზრდის ძირითადი ფაქტორი კი არის შრომის დანაწილება.

ამიტომ იგი თავის ნაშრომს „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" შრომის დანაწილების საკითხით იწყებს. ა. სმიტი წერს: „ყოველი ხალხის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას არსებობისათვის და კომფორტისათვის ყველა საჭირო საგანს, რასაც იგი მოიხმარს წლის განმავლობაში და რაც ყოველთვის შესდგება ან ამ შრომის უშუალო პროდუქტისაგან, ანდა იმისაგან, რაც იმ ხალხის მიერ მიიღება ამ პროდუქტზე გაცვლით სხვა ხალხებისაგან" *.

ა. სმიტის მიხედვით ხალხთა სიმდიდრე და მისი გამრავლება დამოკიდებულია შრომის დანაწილების განვითარებაზე. ამიტომ ხალხთა სიმდიდრის გამოკვლევის დროსაც გამოსავალ პუნქტს შრომის დანაწილება უნდა წარმოადგენდესო.

ა. სმიტის შრომის დანაწილების სარგებლიანობის სანიმუშო მაგალითად მოყავს ერთი პატარა მანუფაქტურა, სადაც 10 მუშა დღეში 48 000 ცალ ქინძისთავს ამზადებს. ერთ მუშაზე მოდის 4 800 ცალი ქინძისთავი. ა. სმიტი აღნიშნავს: მუშებს, რომ განცალკევებულად ემუშავათ, თითოეული მათგანი დღეში 20 ცალ ქინძისთავსაც ვერ დაამზადებდაო. როდესაც მუშა ერთ ან ორ ოპერაციას ასრულებს, გაცილებით მეტ შრომისნაყოფიერებას აღწევს. ა. სმიტის მიხედვით შრომის დანაწილება შრომის ნაყოფიერებას ზრდის სამი საშუალებით:

------

* ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I. თბ. 1938, გვ. 2

1. შრომის დანაწილების შედეგად დიდდება ცალკეული მუშის სიმარჯვე და დახელოვნება; 2. იზოგება დრო, რომელიც საჭიროა ერთი სახის სამუშაოდან მეორეზე გადასასვლელად; 3. შრომის დანაწილება ხელს უწყობს მანქანის გამოგონებას. როგორც ვხედავთ, ა. სმიტმა სწორად გაიგო შრომის დანაწილების როლი მანუფაქტურაში და ტენდენცია მანქანური წარმოების განვითარებისაკენ. მაგრამ, შრომის დანაწილებას ა. სმიტი აბსტრაქტულად იღებს კონკრეტულ-ისტორიული პირობების გარეშე, რომელშიც წარმოიშობა სიმდიდრე და მიმდინარეობს შრომის დანაწილება. ა. სმიტი ვერ ხედავდა, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და გაცვლა სხვადასხვა ფორმას იძენს; რომ შრომის დანაწილება ვითარდება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

ა. სმიტმა ერთმანეთისაგან ვერ გაასხვავა შრომის მანუფაქტურული და საზოგადოებრივი დანაწილება. შრომის დანაწილების თვალსაზრისით მთელი საზოგადოება მის მიერ განხილულია როგორც დიდი მანუფაქტურა. იგი ვერ ჩასწვდა სხვადასხვა ეკონომიკურ ფორმაციაში შრომის დანაწილების სპეციფიკას, უფრო მეტიც, ბურჟუაზიული საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილების სხვადასხვა ტიპის სპეციფიკასაც კი. ა.სმიტმა ვერ გაიგო ის, რომ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ადგილი აქვს ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში; მანუფაქტურული დანაწილება ისახება კაპიტალისტური წარმოების წესის დროს. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების დროს ცალკეული მწარმოებლების პროდუქტები საქონლის სახით არსებობენ. შრომის მანუფაქტურული დანაწილების დროს კი ნაწილობრივი მუშა საქონელს არ აწარმოებს. მხოლოდ ნაწილობრივი მუშების კოლექტიური პროდუქტი იქცევა საქონლად. შრომის მანუფაქტურული დანაწილება გულისხმობს წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას ერთი კაპიტალისტის ხელში, ხოლო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება - წარმოების საშუალებათა დაქსაქსვას მრავალი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ საქონელ-მწარმოებლებს შორის. შრომის დანაწილებას ა. სმიტი განიხილავდა გაცვლასთან კავშირში. მისი აზრით, შრომის დანაწილება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გაცვლისადმი მიდრეკილების გამოხატულების ფორმა. შრომის დანაწილებაში იგი ხედავს, შრომის გაცვლას შრომაზე.

ამასთან, ა. სმიტი გაცვლასაც არაისტორიულად იხილავს, რაც ხელს უშლის მას გამოარკვიოს სასაქონლო საზოგადოებაში მიმოქცევის როლი.

მიუხედავად ამისა, ა. სმიტმა გაიგო, რომ საქონელთა მწარმოებელ საზოგადოებაში სიმდიდრე არც მიმოქცევაში წარმოიშობა და არც

მიმოქცევის გარეშე. ამიტომ, იგი იკვლევს შრომას, რომელიც შეიცავს გაცვლასაც ე. ი. საქონლის მწარმოებელთა ერთობლივ შრომას, რაც გულისხმობს წარმოებისა და მიმოქცევის ერთიანობას.

შრომის დანაწილებისა და გაცვლის განვითარებას უკავშირებს ა. სმიტი ფულის წარმოშობასა და გამოყენებას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფული. „ყოველი გონიერი ადამიანი, - წერდა იგი, - საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე, მას შემდეგ, რაც გაჩნდა შრომის დანაწილება, უნდა ცდილიყო თავისი საქმეები ისე მოეწყო, რომ თავისი საკუთარი შრომის განსაკუთრებულ პროდუქტებს გარდა, ყოველთვის მზად ჰქონოდა განსაზღვრული რაოდენობა ამა თუ იმა საქონლისა, რომლის მიმართ მისი აზრით, არავინ უარს არ იტყოდა ავლო თავისი მრეწველობის პროდუქტების სანაცვლოდ."' ვინაიდან ყველა ასეთი მოქმედება, აღნიშნულ საქონელთა ერთგვარი რაოდენობა თანდათანობით გამოიყოფოდა გაცვლის საერთო იარაღად-ფულად.

ფულის წარმოშობის მიზეზად ა. სმიტს მიაჩნია ტექნიკური მიზეზები, რომლებიც იქმნება საქონელთა ურთიერთგაცვლის დროს. მას ესმოდა, რომ ფული, როგორც განსაკუთრებული საქონელი, სტიქიურად გამოეყო საქონელთა მასას. მაგრამ მას არ ესმოდა, რომ ფული წარმოიშობა საქონელთა შინაგანი წინააღმდეგობების განვითარების შედეგად.

ფულის ფუნქციებს შორის ა. სმიტმა განსაკუთრებით გამოყო მიმოქცევის საშუალების ფუნქცია. მან იცოდა, რომ ფული წარმოადგენს აგრეთვე ღირებულების საზომს, გადახდის საშუალებას და მსოფლიო ფულსაც. მაგრამ, ისინი წამროდგენილი ჰქონდა მიმოქცევის ფუნქციის ნაირსახეობად.

ა. სმიტი ერთმანეთისაგან არ განასხვავებდა ლითონისა და ქაღალდის ფულს. ოქროსა და ვერცხლის ფულთან შედარებით მან უპირატესობა მიანიჭა ქაღალდის ფულს და მიზანშეწონილად მიიჩნია ოქროსა და ვერცხლის შეცვლა ქაღალდის ფულით. ა. სმიტი ლაპარაკობდა საკრედიტო ფულზეც და ბანკნოტებს ქაღალდის ფულის თავისებურ ნაირსახეობად თვლიდა. ა. სმიტი ეხებოდა კრედიტსაც, რომელსაც განიხილავდა როგორც კაპიტალის აქტივიზაციის საშუალებას. ფულს და კრედიტს მან დაქვემდებარებული როლი მიანიჭა წარმოებასთან შედარებით, მაგრამ მან ვერ შეაფასა მათი უკუგავლენა წარმოებაზე. საერთო ჯამში ა. სმიტის შეხედულება ფულზე სერიოზულ მიღწევას წარმოადგენდა იმ პერიოდის ეკონომიკურ აზრში.

- - - - - -

' ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 48.

## გ) ღირებულების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა.

ა. სმითის ეკონომიკური მოძღვრების მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ღირებულების შრომითი თეორია. ამ საკითხში მან გააგრძელა უ. პეტის შეხედულებანი.

ა. სმითის დამსახურება იყო ის, რომ მან საქონლის ღირებულება განსაზღვრა მასზე გაწეული შრომის დანახარჯებით. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებდა საქონელთა საბაზრო და ნამდვილ ფასს. ამ უკანასკნელში იგი გულისხმობდა ღირებულებას. ა. სმითი წერდა, რომ „სიტყვა ღირებულებას„ აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა: ზოგჯერ იგი გამოხატავს რაიმე საგნის სარგებლიანობას, რომელსაც იძლევა ამ საგნის ფლობა. პირველს შეიძლება ვუწოდოთ სახმარი ღირებულება, მეორეს - საცვლელი ღირებულება".* როგორც ვხედავთ, ა.სმითი ერთმანეთისაგან განასხვავებდა და განსაზღვრავდა საქონლის სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას. ა. სმითი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ღირებულებას ქმნის საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა, რომელიც იხარჯება მატერიალური წარმოების სფეროში. ღირებულებას ქმნის საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა, - სულ ერთია, რა სახმარ ღირებულებაშიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი ეს შრომა, - ქმნის მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი შრომის რაოდენობა. ეს არის ა. სმითის ღირებულების მეცნიერული თეორია. მაგრამ იგი გარკვეულ ნაკლოვანებებს შეიცავს. ა. სმითმა ვერ გაიგო, რომ საქონელში არსებობს წინააღმდეგობა სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის, ხოლო საქონელ მწარმოებელთა შრომა ორადი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, ა.სმითი საქონლის ღირებულებიდან გამორიცხავდა მუდმივი კაპიტალიდან გადმოტანილ ღირებულებას. საქონლის ღირებულებას იგი აიგივებდა ახალ შექმნილ ღირებულებასთან. ასევე, ის ამტკიცებდა, რომ სოფლის მეურნეობაში ღირებულების შექმნაში გარდა შრომისა ბუნებაც მონაწილეობს.

ა. სმითის ღირებულების თეორიაში ცხადად იჩენს თავს მისი მეთოდის ორადი ხასიათი. ღირებულების ძირითადი განსაზღვრის გვერდით იგი იძლევა მეორე ცნებას, სადაც ღირებულება განისაზღვრება იმ შრომის რაოდენობით, რომლის ყიდვაც შეიძლება მოცემული საქონლით. ა. სმითი აღნიშნავდა, რომ შრომის დანაწილების დროს ადამიანი მდიდარია ან ღარიბია იმის მიხედვით თუ რა

- - - - - -

* ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. 1. გვ. 33.

რაოდენობის შრომას ფლობს იგი, ან რა რაოდენობის შრომა შეუძლია იყიდოს მან. აქედან გამომდინარე იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი საქონლის ღირებულება„ უდრის იმ შრომის რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია იყიდოს, ანუ მიიღოს განკარგულებაში"[*] ღირებულების ნაყიდი შრომით განსაზღვრით ა. სმიტი ფაქტიურად განსაზღვრავდა საქონლის ღირებულებას მისი მყიდველობითი ძალით შრომასთან შეფარდებით. ეს იგივეა, განსაზღვრო „შრომის ღირებულება" ანუ უფრო სწორად ხელფასი. მან ვერ გაიგო, რომ მუშა კაპიტალისტს მიჰყიდის სამუშაო ძალას და ხელფასი მის მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილია

როგორც ვხედავთ ღირებულების შესახებ ა. სმიტის პირველ განსაზღვრას ეწინააღმდეგება მეორე. ამ უკანასკნელის მეორე ვარიანტში ა. სმიტი ღირებულებას განსაზღვრავდა შემოსავლებით. მისი აზრით საცვლელი ღირებულება შედგება მხოლოდ შემოსავლებისაგან: ხელფასის მოგებისა და რენტისაგან ($V+m$). აქ გამოდის, რომ საქონლის ღირებულებას ქმნის მუშა, კაპიტალისტი და მიწათმფლობელი. ეს მტკიცება ეწინააღმდეგება ღირებულების შრომით თეორიას. სამაგიეროდ იგი გზას ხსნის წარმოების სამი ფაქტორის (შრომა, კაპიტალი და მიწა) თეორიისათვის. ა სმიტის ეს იდეა შემდეგში ისესხეს და ფართო გამოიყენეს ოპტიმისტური სკოლის წარმომადგენლებმა.

## დ) მოძღვრება კლასებისა და შემოსავლების შესახებ.

ა. სმიტი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს სამი ძირითადი კლასი. 1. მიწათმოქმედები, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ წარმოების მთავარი საშუალება - მიწა. ისინი იჯარით აძლევენ მიწას ფერმერ კაპიტალისტებს და მათგან იღებენ შემოსავალს მიწის რენტის სახით. 2. კაპიტალისტები, რომლებიც ფლობენ სხვა სახის წარმოების საშუალებებს (სამრეწველო ნაგებობები, მოწყობილობანი ფერმები და სხვ.). ისინი ქირაობენ მუშებს და იღებენ შემოსავალს მოგების სახით; 3. დაქირავებული მუშები, რომელთაც არავითარი საკუთრება არა აქვთ და იძულებულნი არიან ხელფასის მისაღებად გაყიდონ თავიანთი შრომა.

ა. სმიტი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოება მარტო ამ სამი კლასისაგან არ შედგება. იგი მოიცავს აგრეთვე სხვადასხვა შუალედურ ჯგუფებსა და ფენებს. მაგრამ ძირითადი კლასები

- -

[*]ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. 1. გვ. 35.

გამოირჩევიან იმით, რომ მათი შემოსავლები წარმოადგენს პირველადს, ხოლო სხვა ჯგუფების შემოსავლები კი - მეორადს, გადანაწილებულს.

ხელფასს ა. სმიტი განსაზღვრავდა როგორც შრომის ფასს. მას თვლიდა შრომის ბუნებრივ ანაზღაურებად. ა. სმიტი ხელფასად თვლიდა აგრეთვე წვრილ საქონლურ წარმოებაში დამოუკიდებელ მეწარმეთა შრომის მთელ ანაზღაურებას. მისი თვალსაზრისით, მწარმოებელი, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა წარმოების პროცესს, იღებს როგორც ხელფასს ასევე მოგებას. მაგრამ ა. სმიტმა ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა მუშის და დამოუკიდებელი მწარმოებლის შრომითი შემოსავალი. ამ ორ შემოსავალს შორის მან მხოლოდ რაოდენობრივი განსხვაება დაინახა. მისი გაგებით დაქირავებული მუშაკი ვერ იღებს თავისი შრომის სრულ პროდუქტს, ხოლო წვრილი მწარმოებელი რომელსაც საკუთარი წარმოების საშუალებანი გააჩნია, მას მთლიანად იღებს. ა. სმიტმა ვერ გაიგო, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხელფასი დაკავშირებულია დაქირავებული შრომისა და კაპიტალის არსებობასთან.

ა. სმიტის გაგებით, ხელფასის სიდიდეს საფუძვლად უდევს საარსებო საშუალებათა ღირებულება, რომელიც უზრუნველყოფს მუშისა და მისი ოჯახის შენახვას. ა. სმიტის მიხედვით ხელფასის დონე იმყოფება მუდმივ ხალხთმოსახლეობის მუდმივი მოძრაობის მოქმედების ქვეშ. სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნა შრომაზე, დიდდება ხელფასი და სათანადოდ იზრდება ხალხის კეთილდღეობა. ამას მოყვება მუშების გამრავლება.

ისინი ნამეტი აღმოჩნდებიან წარმოებაში და ხელფასი იწყებს შემცირებას. დაბალი ხელფასის დროს კი მუშათა გამრავლება მცირდება. რომელსაც მიეყავართ მუშათა ნაკლებობასთან და ხელფასის ამაღლებასთან.

ა. სმიტი მოითხოვდა მაღალი ხელფასის დაწესებას. იგი აღნიშნავდა, რომ მაღალი ხელფასი შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.

ის არ იზიარებდა იმდროინდელ ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ მაღალი ხელფასი მუშებს აზარმაცებს და შრომის სტიმულს უკარგავსო. ა. სმიტი მიუთითებდა მეწარმეებს, რომ ნუ შეგეშინდებათ ხელფასის ზრდა, რადგან სტიუქიური მექანიზმი სულ ერთია ამ ზრდას შემოსაზღვრავსო. ა. სმიტი შრომის ანაზღაურების საკითხს განიხილავდა აგრეთვე, პროფესიის ნიშნის მიხედვით და მოითხოვდა იმ შრომის ანაზღაურების გადიდებას, რომელიც სპეციალურ მომზადებას მოითხოვს. მაღალი ხელფასი უნდა დაწესებულიყო მძიმე შრომაზეც.

მოგებად ა. სმიტი მიიჩნევს შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც რჩება ხელფასის გამოკლებით. მას მიუთითა, რომ მოგება მუშის შრომით იქმნება კაპიტალისტური წარმოების ყველა დარგში, სადაც კი შრომა იხარჯება. მუშის შრომით შექმნილი ღირებულება იყოფა ორ ნაწილად. ერთ ნაწილს იღებს მუშა ხელფასის სახით, მეორე კი წარმოადგენს კაპიტალისტის მოგებას. მოგება იქმნება იმიტომ, რომ მუშა მუშაობს სამუშაო დროის ნორმების ზევით, იმაზე მეტს რაც აუცილებელია მისი ხელფასის ექვივალენტის შექმნისათვის.

ა. მოგებას უწოდებდა მთელ სხვაობას შრომის დამატებით რაოდენობასა და ხელფასს შორის. ამ სხვაობას იგი მიიჩნევდა ზედმეტ ღირებულებად. სხვა შემთხვევაში ა. სმიტს მოგების ქვეშ ესმოდა ნაშთი რენტისა და პროცენტის გამოკლებით. ამ შემთხვევაში იგი მოგებას უწოდებდა ფუნქციონერი კაპიტალისტის შემოსავალს. მისი გაგებით სამრეწველო მოგება წარმოადგენს ზედმეტი ღირე-ბულების საყოველთაო ფორმას. მის განშტოებად მიაჩნდა მას რენტა და სარგებელი, რომელსაც ზედმეტი ღირებულების მითვისებაში მონაწილე სხვადასხვა კლასები ღებულობენ.

ა. სმიტის თეორიაში ზედმეტი ღირებულება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი - მოგება, რენტა, სარგებელი, არის მხოლოდ მუშის შრომის შედეგი. ა. სმიტმა გააკრიტიკა ფიზიოკრატების შეხედულება თითქოს ზედმეტი პროდუქტი იქმნება მხოლოდ სოფლის მეურნეობაში. ღირებულების შრომით თეორიაზე დაყრდნობით იგი ასაბუთებდა, რომ მოგება იქმნება აუნაზღაურებელი შრომით, რომელიც დამოკიდებული არ არის იმაზე თუ რომელ დარგში ხდება შრომის დახარჯვა. ა. სმიტი უარყოფდა აზრს, თითქოს მოგება იყოს კაპიტალისტის ხელფასი საწარმოთა ზედამხედველობისა და მართვისათვის. მისი აზრით, მოგების სიდიდე განისაზღვრება არა მეთვალყურეობაზე და მართვაზე გაწეული შრომის სიმძიმითა და სირთულით, არამედ წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის სიდიდით. ა. სმიტი მოგებას განიხილავდა, როგორც კაპიტალის დაბანდებისათვის მეწარმის რისკის ანაზღაურებას.

მიწის რენტას კაპიტალიზმის დროს ა. სმიტი განიხილავდა როგორც მიწათმფლობელთა შემოსავალს, რომელიც იქმნება მუშის აუნაზღაურებელი შრომის შედეგად. მისი თეორიით, რენტის წარმოქმნა დაკავშირებულია მიწის კერძო საკუთრებასთან. მან უარყო შეხედულება, რომლის თანახმადაც რენტა არის კანონიერი საფასური, თავისებური პროცენტი კაპიტალზე, მიწათმფლობელების მიერ ოდესღაც დაბანდებული მიწის გაუმჯობესებაზე. მიწის მესაკუთრე რენტას მოითხოვს ისეთი მიწისათვისაც, რომელსაც გაუმჯობესება არასოდეს არ შეხებია. მაგრამ, შემდეგ ა. სმიტი

ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რენტა არის მონოპოლიური ფასის შედეგი, რომელიც ღირებულებაზე მეტია. მისი მტკიცებით, მიწის რენტა არის მიწათმფლობელის ჯილდო მისი მიწის გამოყენებისათვის. გარდა ამისა, ა. სმიტი ფიზიოკრატების მსგავსად მიუთითებდა, რომ რენტა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბუნების ძალის პროდუქტი. იგი წერდა, რომ მანუფაქტურულ წარმოებასთან შედარებით კაპიტალის დაბანდებისათვის ყველაზე ხელსაყრელი სფეროა სოფლის მეურნეობა. ა. სმიტი ასაბუთებდა, რომ მიწათმოქმედებაში ადამიანთან ერთად მუშაობს ბუნებაც და ამიტომ რენტა არის ბუნების ძალის პროდუქტი.

## ე) მოძღვრება კაპიტალის, მისი სტრუქტურისა და კვლავწარმოების შესახებ.

კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურისა და შემოსავლების ანალიზის შემდეგ ა. სმიტი გადადის კაპიტალის ანალიზზე. ერთი მხრივ, იგი კაპიტალს განიხილავდა როგორც ღირებულებას, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის შედეგად იძლევა ნამეტს. მეორე მხრივ, ა. სმიტი კაპიტალს განმარტავდა, როგორც ნაყოფიერი საგნების მარაგს, რომლებიც საჭიროა შემდგომი წარმოებისათვის, როგორც წარმოების საშუალებების მარაგს. მან კაპიტალი გააიგივა მის ნივთობრივ მატარებელთან, ასეთს კი მისი აზრით წარმოადგენს წარმოების საშუალებები, რომლებშიც დაგროვილია შრომა, ე. ი. წინანდელი შრომით შექმნილი საშუალებანი.

ა. სმიტმა დაძლია ფიზიოკრატების შეზღუდულობა კაპიტალის გაგების საკითხში, რომლებიც მწარმოებლურად თვლიდნენ მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ კაპიტალს. მან შემდგომ განავითარა ცნებები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და მათი მოქმედება გაავრცელა მატერიალური წარმოების ყველა სფეროზე. ა. სმიტი კაპიტალის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს იმას, რომ მას მოაქვს მოგება. ამას საფუძვლად უდებს კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ ნაწილებად. ა. სმიტის განსაზღვრით „ძირითადი კაპიტალი შეიძლება გამოყენებული იქნეს მიწის გასაუმჯობესებლად, სასარგებლო მანქანებისა და სამუშაო იარაღების ან მსგავსი საგნების საყიდლად, რომლებიც შემოსავალს ანუ მოგებას იძლევიან მფლობელის გამოუცვლელად ან შემდგომ მიმოქცევაში შეუსვლელად. ამიტომ ასეთ კაპიტალებს შეიძლება სრულიად

შესაბამისად ეწოდის ძირითადი კაპიტალები."* ა. სმიტის მიხედვით, ძირითადი კაპიტალი მფლობელს არ იცვლის, რჩება მის ხელში და მიმოქცევაში მონაწილეობას არ ღებულობს. საბრუნავი კაპიტალი კი მონაწილეობს მიმოქცევაში და მესაკუთრისათვის მოგების მიღებას უზრუნველყოფს. „იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს პროდუქციის აღმოსაცენებლად, გადასამუშავებლად ან გასაყიდად მოგებით ისევ გაყიდვის მიზნით. ამგვარად გამოყენებული კაპიტალი არ აძლევს მის გამომყენებელს არავითარ შემოსავალს ანუ მოგებას სანამ იგი მის მფლობელობაშია დარჩენილი ან შენარჩუნებული აქვს თავისი წინანდელი ფორმა. პროდუქტები, რომელიც ვაჭარს ხელთ აქვს, არ აძლევს მას შემოსავალს ანუ მოგებას, სანამ იგი მათ არ გაა-ყიდის ფულზე, ფულიც მას აგრეთვე ნაკლებ სარგებლობას აძლევს, სანამ იგი მას კვლავ არ გაცვლის პროდუქტებზე. მისი კაპიტალი მუდამ მიდის მისგან ერთი სახით, და მხოლოდ ასეთი მიმოქცევის გზით, ანუ თანმიმდევრული გაცვლა გამოცვლის გზით, შეუძლია კაპიტალს მისცეს მას რაიმე მოგება. ამიტომ ასეთი კაპიტალებს შეიძლება სრულიად შესაბამისად ეწოდის საბრუნავი კაპიტალი".**

ა. სმიტის განმარტებაში ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის განსხვავება დაყვანილია მათ მიერ შემოსავლის ანუ მოგების მიღების წესთა სხვადასხვაობამდე. საბრუნავი კაპიტალი მოგებას იძლევა თავისი მიმოქცევით, ძირითადი კაპიტალი კი ისე, რომ ბრუნვაში არ მონაწილეობს. ა. სმიტის აზრით ძირითად კაპიტალს არ შეუძლია რაიმე შექმნას საბრუნავი კაპიტალის გარეშე. საბრუნავი კაპიტალი თვითონაც იძლევა მოგებას და ძირითად კაპიტალსაც ეხმარება მოგების მიღებაში, რადგან ის აწვდის მასალასაც და მუშების შესანახ საჭირო საშუალებებსაც. სინამდვილეში ბრუნვას განიცდის როგორც საბრუნავი, ისე ძირითადი კაპიტალი, მაგრამ სხვაა თითოეული მათგანის ბრუნვის წესი და ხანგრძლივობა.

ა. სმიტი ძირითად კაპიტალს მიაკუთვნებდა: მანქანებსა და შრომის სხვა იარაღებს; ნაგებობებსა და შენობებს, რომლებიც განკუთვნილია სავაჭრო სამრეწველო მიზნისათვის (მაღაზიები, სახელოსნოები და სხვ.); მიწის ყოველგვარ გაუმჯობესებას, რომელიც მის ნაყოფიერებას ადიდებს) გაწმენდა, ამოშრობა, შემოღობვა, განაყოფიერება და სხვ.); საზოგადოების წევრთა სწავლითა და ვარჯიშით შეძენილ შრომით ჩვევებსა და „სასარგებლო შესაძლებლობებს", რომლებიც აადვილებს, ან, ამცირებს შრომას.

- - - - - - - -

*ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 312.

**იქვე. გვ. 321

ა. სმიტის მიხედვით, საბრუნავი კაპიტალიც შედგება ოთხი ნაწილისაგან: ფული, რომელიც მიმოქცევის იარაღს შეადგენს საბრუნავი კაპიტალის ყველა ნაწილისათვის. სურსათის მარაგი, რომელიც იმყოფება ვაჭართა ან მრეწველთა ხელში; ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, რომლებიც დაუმთავრებელი წარმოების პროცესში იმყოფებიან, მზა ნაწარმი, რომელიც ჯერ კიდევ რეალიზებული არ არის და მაღაზიებსა და საწყობებში იმყოფება.

ა. სმიტმა არ იცის კაპიტალის დაყოფა მუდმივ და ცვალებად ნაწილებად.

ა. სმიტის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაპიტალის დაგროვების იდეას. კაპიტალის დაგროვებაში ის ხედავს კაპიტალისტის ისტორიულ მისიას, რომელიც თავისი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაზოგვის გზით აფართოებს წარმოებას, სამუშაოს აძლევს მუშების დამატებით რაოდენობას და საბოლოო ჯამში ხელს უწყობს საზოგადოების სიმდიდრის ზრდას.

ა. სმიტი თავისებურად გადმოგვცემს კაპიტალის დაგროვების თეორიას. ის არ ლაპარაკობს კაპიტალდაბანდებების შესახებ. მასთან საკითხი ეხება მხოლოდ მწარმოებლური შრომის დამატებით ჩაბმას, რაც წარმოადგენს ეკონომიკურ პრინციპს და არა დაგროვებას და ორგანულადაა დაკავშირებული მასთან.

რაც შეეხება კვლავწარმოებას, ამ საკითხში ა. სმიტმა ვერ შეძლო ფ. კენეს წამოწყების გაგრძელება. კაპიტალის კვლავწარმოების სმიტისეული თეორია დამყარებულია მისსავე ღირებულების შრომით თეორიაზე. ა.სმიტს ამ განსაზღვრით წლიური ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება უდრის შემოსავლების-ხელფასისა, მოგებისა და რენტის ჯამს. იგი დაყვანილია ცვალებადი კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების ჯამზე, საიდანაც ამოვარდნილია მუდმივი კაპიტალი. ეს დებულება ცნობილია ა. სმიტის დოგმის სახელწოდებით.

ა. სმიტის დოგმა გამოიხატება მტკიცებაში, რომ ყოველი საქონლის ფასი იყოფა შემოსავლებად $V+m$. ეს არ აძლევდა მას საშუალებას გადაეჭრა საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების პრობლემა. სინამდვილეში საქონლის ღირებულებაში ახლადშექმნილ ღირებულებასთან ერთად არის წარმოების საშუალებათა მოხმარებული ნაწილის ღირებულება, რაც გასული წლების შრომითაა შექმნილი.

ა. სმიტი შეუძლებლად თვლიდა გამიჯვნას აბსტრაქტული შრომით შექმნილი ახალი ღირებულების წარმოების პროცესსა და კონკრეტული შრომის გამოყენების შედეგად მუდმივი კაპიტალის ღირებულების გადატანის პროცესს შორის. ა. სმიტისათვის გაურკვეველი

დარჩა კაპიტალის როლი მთელი წლიური პროდუქტის ღირებულების შექმნის პროცესში. ა. სმიტი წლიური პროდუქტის მთელ ღირებულებას შლიდა $V+m$-ად. ეს სწორია ახლად შექმნილი ღირებულების მიმართ. წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება კი შეიძლება გაშლილ იქნეს მხოლოდ $C+V+m$-ად.

ა. სმიტი შეეცადა სიძნელისათვის თავი დაეღწია იმით, რომ ერთი მეორისაგან გაასხვავა მთლიანი შემოსავალი და წმინდა შემოსავალი. მისი გაგებით მთლიანი შემოსავალია მიწისა და ქვეყნის მცხოვრებთა მთელი წლიური შრომის პროდუქტი, წმინდა შემოსავალი კი ის ნაწილია, რომელიც მათ შეუძლიათ თავისი კაპიტალის დაუხარჯავად, მიაკუთვნონ თავიანთ სამომხმარებლო მარაგს, ანდა დახარჯონ თავის შესანახად, კომფორტსა და სიამოვნებაზე. აქ სმიტს საქონლის ფასის შემადგენლობაში შეჰყავს კაპიტალის ნაწილი და ახლა უკვე შესაძლებელი ხდება კვლავწარმოების პროცესი. ამ შემთხვევაში, ა. სმიტი საქონლის ფასს შლის არა მარტო მოგებად და რენტად, არამედ ავანსირებულ კაპიტალურ ღირებულებადაც. აქ სმიტი თითქმის მიდის კვლავწარმოების მეცნიერულ ანალიზამდე.

### ვ) ა. სმიტი ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის შესახებ.

ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის შესახებ გამოკვლევა ა. სმითს მოცემული აქვს „ხალხთა სიმდიდრის“ მეორე წიგნის მესამე თავში, რომელსაც ასე იწყებს „ერთი სახის შრომა ადიდებს იმ საგნის ღირებულებას, რომელზედაც გამოიყენება, და მეორე სახის შრომას არა აქვს ასეთი მოქმედება. პირველს, რადგან იგი განსაზღვრულ ღირებულებას აწარმოებს, შეიძლება ეწოდოს პროდუქტიული შრომა. ხოლო მეორეს - არაპროდუქტიული. ასე, სამანუფაქტურო მუშის შრომა ადიდებს ჩვეულებრივ იმ მასალების ღირებულებას, რომლებზედაც იგი მუშაობს, სახელდობრ ადიდებს თავისი შენახვის ხარჯისა და მისი დამქირავებლის მოგების ოდენობით“.* აქ ა. სმიტი სწორად აღნიშნავს, რომ ღირებულება მხოლოდ იქ იქმნება, სადაც იწარმოება სახმარი ღირებულება. ა. სმიტის თანახმად ნაყოფიერია მხოლოდ ნივთის შემქმნელი შრომა. შემდეგ ა. სმიტი წერს: „ამ საგანს ანუ, რაც იგივეა, ამ საგნის ფასს შეუძლია შემდეგში, თუ საჭირო იქნა მოძრაობაში მოიყვანოს შრომის რაოდენობა, თანატოლი იმისა, რომელმაც იგი თავდაპირველად წარმოშვა.“**

\- - - - - -

*ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 376.

**იქვე, გვ. 376-377.

აქ ნაყოფიერად მიჩნეულია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ამზადებს არა მარტო საქონელს, არამედ კაპიტალს, ვინაიდან ის საგნები, რომლებზედაც, ან რომელია ფასით - იძენენ შრომას (ზუსტად სამუშაო ძალას) არის კაპიტალი. ნაყოფიერი შრომისაგან მოითხოვენ არა მარტო საქონელსა და ღირებულების წარმოებას, არამედ კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების წარმოებასაც. ა. სმიტი იცავდა იმ აზრს, რომ ნაყოფიერი მუშები იმყოფებიან კაპიტალის ხარჯზე, ხოლო უნაყოფო მუშები - შემოსავლის ხარჯზე; პირველნი იძლევიან მოგებას და ზრდიან კაპიტალს, მეორენი თავიანთი არანაყოფიერი მოხმარებით ამცირებენ მარაგსა და კაპიტალს.

ა. სმიტი ამტკიცებდა, რომ შრომა ნაყოფიერია წარმოების ყოველ დარგში, სადაც იგი გადაიცვლება კაპიტალზე, რის შედეგად ქმნის მოგებას. მაშასადამე ნაყოფიერია შრომა, რომელიც მატერიალურ პროდუქტს ქმნის და წარმოების პროცესში ადიდებს საქონლის ღირებულებას. არანაყოფიერია შრომა, რომელიც არ იცვლება კაპიტალზე, არ ქმნის მატერიალურ პროდუქტს და არ ადიდებს საქონლის ღირებულებას. არანაყოფიერი შრომა უშუალოდ იცვლება შემოსავალზე. „საზოგადოების ზოგ ფრიად პატივცემულ წოდებათა შრომა შინამოსამსახურეთა შრომასავით არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას და არ ლებულობს ფიქსაციას რაიმე ხანგრძლივად არსებულ საგანში ან გასაყიდ საქონელში, რომელიც განაგრძობდეს შრომის შესრულების შემდეგ არსებობას და რომელშიაც შეიძლებოდეს შემდეგში მიღებული იქნეს თანატოლი შრომის რაოდენობა. ხელმწიფე, მაგალითად ყველა მისი მოსამართლე მოხელეებით და სამხედრო ოფიცრებითურთ, მთელი არმია და ფლოტი არაპროდუქტიულ მშრომელებს წარმოადგენენ. ისინი მსახურნი არიან საზოგადოებისა და შეინახებიან სხვა ადამიანთა შრომის წლიური პროდუქტის ნაწილით... იმავე კლასს უნდა მიეკუთვნოს როგორც ზოგი ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი პროფესია, ისე ზოგი ფრიად ფუქსავატიც: მღვდლები, იურისტები, ექიმები, ყოველგვარი მწერლები, მსახიობები, ჯამბაზები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, მოცეკვავენი და სხვ. ამათში სულ უმცირესი ადამიანის შრომასაც აქვს განსაზღვრული ღირებულება... მაგრამ ამათში უაღრესად კეთილშობილი და სასარგებლო პროფესიის შრომაც კი არ აწარმოებს არაფერს ისეთს, რითაც შემდეგში შეიძლებოდეს თანატოლი შრომის რაოდენობის ყიდვა ან მოპოვება. მსგავსად მსახიობის დეკლამაციისა, ორატორის სიტყვისა ან მუსიკოსის მელოდიისა, ყველა იმათი შრომა ქრება მისი შესრულების მომენტშივე."[1] - წერდა ა. სმიტი. იგი

[1] ა. სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 377.

მოითხოვდა მათი პირადი ხარჯების შემცირებას. მისი აზრით რაც უფრო მცირეა საზოგადოებაში არანაყოფიერი მუშაკები, მით უფრო სწრაფად შეიძლება გაიზარდოს მისი სიმდიდრე.

ასეთია ა. სმიტის შეხედულებანი ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის შესახებ. მერკანტილისტებისა და ფიზიოკრატებისაგან განსხვავებით მან ნაყოფიერად მიიჩნია წარმოების ყველა დარგში დახარჯული შრომა, სადაც შრომა გადაიქცევა კაპიტალზე. აქვე ხდება მისი გაგებით, ზედმეტი პროდუქციის შექმნა.

## 2. დ. რიკარდო სამრეწველო გადატრიალების ეპოქის ეკონომისტი

კლასიკური სკოლის მეორე მამამთავარი იყო დ. რიკარდო (1772-1823), რომელმაც ჩამოაყალიბა ბურჟუაზიის ეკონომიკური პლატფორმის ყველაზე ღრმა განმარტება სამრეწველო გადატრიალების პერიოდში, როცა ეკონომიკურმა ფორმებმა მეტი სიცხადე შეიძინა.

დ. რიკარდოს მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობა გაიშალა *XIX* ს. პირველ მეოთხედში. ეს პერიოდი ხასიათდება კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებით ინგლისში. მანუფაქტურული წარმოება შეიცვალა მანქანური ინდუსტრიით. კაპიტალისტური წარმოების ფაბრიკული სისტემა მტკიცედ დამკვიდრდა ამ ქვეყანაში. ასეთ ვითარებაში დ. რიკარდო გამოვიდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესების გადამწყვეტ დამცველად და შრომითი ღირებულების თეორია თავის საბრძოლო იარაღად გაიხადა. იგი საფუძვლად დაუდო თავის თეორიულ სისტემას და მეფაბრიკეების ეკონომიკური პროგრამის დასასაბუთებლად გამოიყენა.

დ. რიკარდო გამოვიდა ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის დამსრულებლის როლში. იგი ამთავრებს კაპიტალიზმის ეკონომიკის შეცნობის იმ პროგრესულ გზას, რომელიც დაწყებული უილიამ პეტიდან, განვლო ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ.

დ. რიკარდო ბურჟუაზიული წრიდან იყო გამოსული. მისი მამა აბრამ რიკარდო ბირჟის მაკლერი იყო. 1760 წელს ამსტერდამიდან ინგლისში გადასახლდა. სავაჭრო სკოლის დამთავრების შემდეგ დ. რიკარდო მამას ეხმარებოდა სამაკლერო საქმიანობაში. ბირჟაზე საქმიანობამ დ. რიკარდოს საშუალება მისცა ჩასწვდომოდა ბურჟუაზიული საზოგადოების საიდუმლოებებს. იგი დაეხმარა მას კაპიტალისტური ეკონომიკის ანალიზში, განსაკუთრებით ფულის მიმოქცევის კანონებისა და კრედიტის ანალიზში.

1797 წ. დ. რიკარდომ თავი დაანება ბირჟაზე საქმიანობას და

მეცნიერულ მუშაობას შეუდგა. იგი მუშაობდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროებში, მაგრამ მისი საბოლოო მოწოდება პოლიტიკური ეკონომია აღმოჩნდა.

დ. რიკარდოს მეცნიერული მუშაობის ნაყოფს წარმოადგენდა მრავალი ეკონომიკური ნაშრომი. ესენია: „ოქროს ფასი" (1809წ.), „ზოდების მაღალი ფასი ბანკნოტების გაუფასურების დადასტურებაა" (1810წ.). „პასუხი ბ-ნ ბაზანკეტის პრაქტიკულ შენიშვნებზე ზოდების შესახებ კომიტეტის მოხსენების გამო" (1811 წ.), „გამოცდილება პურის დაბალი ფასის გავლენის შესახებ კაპიტალიდან მოგებაზე" (1815 წ.). „ეკონომიკური და მყარი ფულადი მიმოქცევის პროექტი" (1816 წ.). „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" (1817 წ.). გამოცდილება ფონდირებული სახელმწიფო სესხის შესახებ". (1820 წ.). „მიწათმოქმედების მფარველობის შესახებ" (1822 წ.).

დ. რიკარდოს ნაშრომებში თეორიული ასახვა ჰპოვა სამრეწველო გადატრიალების პერიოდის ინგლისში წარმოქმნილმა სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებამ. აღნიშნულმა შრომებმა დ. რიკარდოს ფულის მიმოქცევის უდიდესი ავტორიტეტის სახელი მოუხვეჭა. იგი ჩააბეს პარლამენტის მიერ დანიშნული კომისიების მუშაობაში. 1819 წ. იგი არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად, სადაც იცავდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს და გამოდიოდა ლენდ-ლორდების წინააღმდეგ

დ. რიკარდოს დიდი სახელი მოუხვეჭა „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლების" გამოქვეყნებამ. ის შთაბეჭდილება, რომლიც ამ ნაშრომმა მოახდინა, არ ჩამორჩებოდა თავის დროზე ა. სმიტის „ხალხთა სიმდიდრის" მიერ დატოვებულ შთაბეჭდილებას. ამ წიგნში დ. რიკარდო ორ ამოცანას ისახავდა მიზნად: 1. გადმოეცა პოლიტიკური ეკონომიკის ძირითადი საკითხები და 2. განესაზღვრა დაბეგვრის პრინციპები.

**ა) ღირებულების თეორია.** დ. რიკარდოს მეცნიერული დამსახურებაა შრომითი ღირებულების თეორიის შემდგომი განვითარება. ღირებულების თეორიაში დ. რიკარდო მიუთითებს, რომ საგნის სარგებლიანობა აუცილებელია, ასეთ ნივთს აქვს სახმარი ღირებულება, მაგრამ სარგებლიანობა არ შეიძლება იყოს საცვლელი ღირებულება. მცირე რაოდენობის იშვიათი ნივთების გამოკლებით (როგორებიცაა იშვიათი ქანდაკებები და სურათები, იშვიათი წიგნები და მონეტები, სპეციფიკური თვისების მქონე ღვინოები, რომლებიც მხოლოდ იმ ყურძნიდან შეიძლება იქნეს დამზადებული, რაც აღმოცენდება განსაკუთრებულ ნიადაგზე, რომლის რაოდენობაც ფრიად შეზღუდულია), განისაზღვრება მათ წარმოებაზე დახარჯული შრომის დანახარჯებით.

დ. რიკარდო მტკიცედ იცავდა შეხედულებას, რომ ღირებულების ერთადერთი წყარო შრომაა და მიუთითებდა, რომ „საქონელში განხორციელებული შრომის რაოდენობა განსაზღვრავს მის საცვლელ ღირებულებას."* იგი აკრიტიკებდა ა. სმიტის მოსაზრებას რომელიც დახარჯულ შრომას ურევდა ნაყიდ შრომაში. დ. რიკარდოს აზრით, „შრომის რაოდენობა, რომელიც საქონელზეა დახარჯული, და შრომის რაოდენობა, რომელიც იმ საქონელს შეუძლია იყიდოს,- არ არიან ერთი მეორის თანასწორნი"** დ. რიკარდო მტკიცედ იდგა იმ პოზიციაზე, რომ საქონლის ღირებულების განმსაზღვრელია მხოლოდ მის შექმნაზე დახარჯული შრომა.

დ. რიკარდო შეეცადა დაემტკიცებინა აგრეთვე, რომ საქონლის ღირებულებაში შედის არა მარტო მის შექმნაზე დახარჯული შრომა, არამედ წარმოების საშუალებათა გამოყენებული ნაწილის ღირებულება, რომელიც გასული წლების შრომითაა შექმნილი.

დ. რიკარდო განასხვავებდა აბსოლუტურ და შეფარდებით ღირებულებას. აბსოლუტურად თვლიდა საქონელში განხორციელებულ შრომას. შეფარდებით ღირებულებაში კი მას ესმოდა ერთი საქონლის ღირებულების გამოხატვა მეორე საქონლის ღირებულებით.

დ. რიკარდოს მეცნიერული დამსახურება იყო ა. სმიტის დებულების უარყოფა იმის შესახებ, რომ ღირებულება განისაზღვრება შრომით მხოლოდ მარტივ სასაქონლო წარმოებაში, ხოლო კაპიტალიზმის პირობებში ღირებულება დაიყვანება შემოსავლებზე. დ. რიკარდომ დაამტკიცა, რომ ღირებულების კანონი მოქმედებს კაპიტალიზმის პირობებშიც.

მართალია დ. რიკარდომ გაიზიარა ა. სმიტის დოგმა, რომ ღირებულება იშლება შემოსავლებად, მაგრამ ამავე დროს გააკრიტიკა ა. სმიტის შეხედულება, თითქოს შემოსავლები შეადგენენ ღირებულებას. საქონლის ღირებულება, - ამტკიცებდა დ. რიკარდო, - განისაზღვრება არა მარტო მოცემული საქონლის საწარმოებლა აუცილებელი შრომითი დანახარჯებით, არამედ მოხმარებული წარმოების საშუალებათა ღირებულებითაც. დ. რიკარდომ, ისევე, როგორც მისმა წინამორბედებმა, ვერ გაიგო, რომ საქონელში განივთებულ შრომას ორადი ხასიათი გააჩნია. დ. რიკარდო მიუახლოვდა იმის გაგებას, რომ ღირებულების შემქმნელი შრომა აბსტრაჰირებულია მისი კონკრეტული ფორმებისაგან, მაგრამ ვერ მივიდა აბსტრაქტული შრომის არსის გაგებამდე. მართალია, იგი

*დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ. 1937, გვ. 3.

**იქვე, გვ. 4.

აღნიშნავდა კონკრეტული შრომის სხვადასხვა სახეებს, მაგრამ უგულებელყოფდა შრომის თვისობრივ ღახასიათებას და ისინი დაყვანილი ჰქონდა რაოდენობრივ მაჩვენებელზე - სამუშაო დროზე.

დ. რიკარდოს ესმოდა, რომ ღირებულების სიდიდე არ განისაზღვრება ინდივიდუალური შრომის დანახარჯებით, რომ ერთი სახის ყველა საქონელს ერთნაირი ღირებულება გააჩნია, რომლის სიდიდე განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით. მაგრამ დ. რიკარდო საქონლის ღირებულებას განსაზღვრავდა საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით წარმოების უცუდეს პირობებში. სინამდვილეში, საქონლის შექმნისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ხარჯვა წარმოების საშუალო პირობებში იანგარიშება.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ღირებულება გამოვლინდება წარმოების ფასში, ამიტომ დ. რიკარდო მსჯელობს კაპიტალიზმის პირობებში ფასწარმოქმნის საკითხებზეც. მისთვის ცნობილი იყო, რომ თანაბარი ოდენობის კაპიტალებს თანაბარი მოგება მოაქონდათ. მან შეამჩნია კაპიტალის ორგანული შედგენილობის სხვადასხვაობის მნიშვნელობა. ამჩნევდა საშუალო მოგების არსებობას და მაინც ამტკიცებდა, რომ საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით. დ. რიკარდომ ვერ გაიგო წარმოების ფასის არსი. ვერ გაიგო, რომ კაპიტალიზმის პირობებში წარმოების ფასი არის ღირებულების გარდაქმნილი ფორმა, ხოლო ღირებულებათა საერთო ჯამი უდრის წარმოების ფასების საერთო ჯამს.

დ. რიკარდო საშუალო მოგების წარმოშობას ღირებულების კანონების გამონაკლისად თვლიდა, რადგან ვერ ხედავდა განსხვავებას ღირებულების კანონის მოქმედებაში კაპიტალიზმამდელ ეპოქაში და კაპიტალიზმის დროს, არ განასხვავებდა წვრილ-საქონლურ მეურნეობას და კაპიტალისტურ წარმოებას. მისი გაგებით ორივე შემთხვევაში ერთნაირად მოქმედებს ღირებულების კანონი.

ბ) კაპიტალის ბაზება. დ. რიკარდომ ა. სმიტთან შედარებით უფრო მეტად გაამარადისა კაპიტალის კატეგორია. იგი კაპიტალს ხედავდა უკვე პირველყოფილ საზოგადოებაში. დ. რიკარდო წერს: „საზოგადოების იმ პირველყოფილ მდგომარეობაშიც კი, რომელზედაც ადამ სმიტი მიუთითებს, მონადირისათვის აუცილებელი იქნებოდა ცოტაოდენი კაპიტალი, თუნდაც მის მიერ შექმნილი და დაგროვილი, რათა მას საშუალება ჰქონოდა მოეკლა ნადირი. უიარაღოდ არც წავის მოკვლა შეიძლებოდა და არც ირმის, და ამიტომ ამ ცხოველების ღირებულების განმსაზღვრელი იქნებოდა არა მარტო ის დრო და შრომა რომელიც მათ მოსაკლავადაა საჭირო, არამედ ის დრო და

შრომაც, რომელიც საჭირო იყო იმისათვის, რომ მონადირეს მოეპოვა კაპიტალი, ე. ი. იარაღი, რომლის დახმარებით მათი მოკვლა სწარმოებდა[1]. როგორც ვხედავთ, დ. რიკარდო კაპიტალს სრულიად აიგივებდა წარმოების საშუალებებთან და მას მარადიულ კატეგორიად თვლიდა.

დ. რიკარდო ისევე როგორც ა. სმიტი, კაპიტალს ყოფდა ძირითადად საბრუნავ ნაწილებად. იგი საბრუნავ კაპიტალად მიიჩნევს კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც სამუშაო ძალის საყიდლად გამოიყენება. ძირითად კაპიტალად კი უმთავრეს მანქანებში, იარაღებში, შენობებში და სხვ. დაბანდებულ კაპიტალს. ძირითადი კაპიტალიდან მას გამორიცხული აქვს ნედლეული და დამხმარე მასალები.

რაც შეეხება კაპიტალის დაყოფას მუდმივ და ცვალებად ნაწილებად, რიკარდოს ამის შესახებ არაფერი არა აქვს ნათქვამი.

**ბ) მოძღვრება მოგებისა და ხელფასის შესახებ.** მოგებას დ. რიკარდო არ განასხვავებდა ზედმეტი ღირებულებისაგან. იგი არსად არ განიხილავს ზედმეტ ღირებულებას მისი კონკრეტული ფორმებისაგან (მოგება, სასესხო კაპიტალი და რენტა) განცალკევებულად. დ. რიკარდო პროცენტსა და რენტას განმარტავდა როგორც მოგებიდან გამონაქვითს, რომლებსაც სამრეწველო კაპიტალისტი აძლევს სასესხო კაპიტალის მესაკუთრეს და მიწათმფლობელს.

მოგებას დ. რიკარდო უწოდებდა ღირებულების ნამეტს ხელფასის ზევით. იგი თანმიმდევრულად ანვითარებდა შეხედულებას, რომ ღირებულება, რომელსაც მუშა ქმნის მის ხელფასზე მეტია. ამრიგად, მოგება გვევლინება როგორც მუშის აუნაზღაურებელი შრომის პროდუქტი. დ. რიკარდო მსჯელობდა მოგების ნორმის შესახებაც, და ამტკიცებდა, რომ ხელფასის გადიდება ან შემცირება ადიდებს, ან ამცირებს მოგების ნორმას. ამ მსჯელობის დროს კი დ. რიკარდო ერთმანეთთან აიგივებდა მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას, მოგების ნორმასა და ზედმეტი ღირებულების ნორმას. მისი დებულება მართალია მეორის მიმართ. ხელფასის შემცირება ადიდებს ზედმეტი ღირებულების ნორმას, მაგრამ მას შეუძლია არ გაადიდოს მოგების ნორმა, თუ გადიდდა მუდმივი კაპიტალი და ამის გამო მთელი კაპიტალიც. მოგების ნორმა, რომელიც ტოლია ზედმეტი ღირებულების შეფარდებისა მთელ კაპიტალზე $m/k$ $[K=C+V]$ დამოკიდებულია ორ სიდიდეზე: ზედმეტი ღირებულების მასაზე $(m)$ და კაპიტალის სიდიდეზე $(k)$. იგი მატულობს $m$-ს გაზრდასთან და კლე-

[1] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 11-12.

ბულობს K-სგადიდებასთან ერთად. ამის გარდა კაპიტალის გადიდებასთან ერთად მოგების ნორმას დაცემის ტენდენცია აქვს. დ. რიკარდო ცნობდა მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას. მაგრამ ეს ტენდენცია მან ახსნა არა კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკური თავისებურებებით, არამედ ბუნებრივი ფაქტორების მოქმედებით. მისი აზრით საარსებო საშუალებათა მთავარი შემადგენელი ნაწილის - კვების საგანთა ღირებულება მუდამ იზრდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერება მუდამ მცირდებაო. სინამდვილეში მოგების ნორმა ეცემა შრომის კაპიტალიზაციის გადიდებით.

ხელფასის ქვეშ დ. რიკარდოს ესმოდა დაქირავებული მუშის შემოსავალი. ხელფასის სიდიდეს იგი განსაზღვრავდა შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე. რომელსაც მიუყავართ იმ დებულებამდე, რომ მუშის ხელფასი განისაზღვრება მისი ოჯახის საარსებო საშუალებათა დონით. მართალია დ. რიკარდო ერთმანეთში ურევდა შრომას და სამუშაო ძალას, მაგრამ მაინც შეძლო სწორედ განესაზღვრა ხელფასი, ანუ როგორც იგი აღნიშნავდა შრომის ღირებულება.

თავის მთავარ ნაშრომში დ. რიკარდო მსჯელობს შრომის ბუნებრივ ფასზე და საბაზრო ფასზე. პირველში მას ესმოდა რეალური ხელფასი, მეორეში კი ნომინალური ხელფასი. მისი მტკიცებით მუშისა და მისი ოჯახისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებათა ფასების გადიდების დროს იზრდება შრომის ბუნებრივი ფასი და პირიქით. შრომის საბაზრო ფასი კი, დ. რიკარდოს მიხედვით, განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდებით. მაგრამ როგორც უნდა გადაიხაროს, საბაზრო ფასს მაინც ახასიათებს ბუნებრივ ფასთან შეთანხმების ტენდენცია. როცა მუშახელის მიწოდება მცირეა, მაშინ შრომის საბაზრო ფასი დიდია, აღემატება მის ბუნებრივ ფასს, რაც იწვევს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამის შედეგად დიდდება მუშახელის მიწოდება „ხელფასი ისევ დაიწევს მისი ბუნებრივი ფასის დონემდე; იგი შეიძლება ზოგჯერ რეაქციის გამო უფრო დაბლა დაეცეს"* ამის შემდეგ დაბალი ხელფასის გამო უარესდება მუშათა მდგომარეობა, გაჭირვება შეამცირებს მათ რიცხვს და გაიზრდება მოთხოვნა შრომაზე. ასეთ ვითარებაში „შრომის საბაზრო ფასი აიწევს მისი ბუნებრივი ფასის დონემდე"**

დ. რიკარდოს მსჯელობის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ შრომის მიწოდება ჭარბობს მასზე არსებულ მოთხოვნილებას არა

- - - - - -

*დ, რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 61.

**იქვე

იმიტომ, რომ მუშები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე ეს საჭიროა, არამედ იმიტომ, რომ კაპიტალისტური დაგროვება ქმნის ჭარბ მოსახლეობას. სამრეწველო სარეზერვო არმია განუწყვეტლივ აწვება ხელფასს და მას ქვევით სწევს.

**დ) მოძღვრება ფულისა და კრედიტის შესახებ.** დ. რიკარდოს ეკონომიკურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფულადი მიმოქცევისა და ბანკების საკითხებს. ეს გარკვეულწილად განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდში ინგლისში მწვავედ იდგა ფულის მიმოქცევის საკითხი. დ. რიკარდო ამ საკითხშიც სამრეწველო ბურჟუაზიის პოზიციებიდან გამოდიოდა და ასაბუთებდა ფულად სისტემას, რომელიც უპირატესად ბანკნოტებისაგან უნდა შემდგარიყო, რომელიც დახურდავდებოდა ოქროზე მტკიცე თანაფარდობით.

დ. რიკარდოს ფულის თეორია ორადობით ხასიათდება. ერთი მხრივ, იგი მას საფუძვლად უდებდა შრომითი ღირებულების თეორიას და კეთილშობილ ლითონებს განიხილავდა, როგორც განსაკუთრებულ საქონელს, რომელთა ღირებულება განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებით. საქონლის ფასს განიხილავდა, როგორც მისი ღირებულების გამოხატულებას ფულში და თანმიმდევრულად მიდიოდა დასკვნამდე, რომ მიმოქცევაში ფულის რაოდენობა განისაზღვრება საქონელთა ფასების ჯამით. მაგრამ დ. რიკარდო ამ პოზიციაზე ვერ დამკვიდრდა და გამოვიდა ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრედ, რომლის თანახმადაც ფულის ღირებულება დგინდება მიმოქცევის პროცესში და დამოკიდებულია მის რაოდენობაზე. იგი ამტკიცებდა, რომ მიმოქცევაში შეიძლება შევიდეს განუსაზღვრელი რაოდენობის ფული, ქაღალდის იქნება იგი თუ ოქროს მონეტა. მისი აზრით მიმოქცევის პროცესში საქონლის ერთობლივი მასა უპირისპირდება ქვეყანაში არსებული ფულის მთლიან რაოდენობას. ამ ორი სიდიდის შეფარდებით დ. რიკარდო განსაზღვრავდა ფასების დონესა და ფულის ღირებულებას. დ.რიკარდოს აზრით, მოცემული საქონლის მასის პირობებში თუ მიმოქცევაში საჭირო რაოდენობაზე მეტი ფულია გამოშვებული, ამას მოჰყვება ფულის გაუფასურება და საქონელთა ფასების ზრდა და პირიქით, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის შემცირება მიმოქცევის ფასების დაცემას და ფულის ღირებულების გადიდებას გამოიწვევს. როგორც ვხედავთ აქ რიკარდომ უარყო ფულის ღირებულების მისეული განსაზღვრა შრომის დანახარჯების მიხედვით და იგი განსაზღვრა მისი რაოდენობით. ასეთი დასკვნა მან იმიტომ გააკეთა, რომ სწორად არ ესმოდა ფულის არსი და მისი ფუნქციები. დ. რიკარდოს აზრით ფული წარმოადგენს მიმოქცევის ტექნიკურ

საშუალებას. ფულის ფუნქციებიდან კი იგი მხოლოდ მიმოქცევის საშუალების ფუნქციას ცნობდა და დანარჩენ ფუნქციებს უგულე-ბელყოფდა.

**კრედიტის ბუნება.** დ. რიკარდო ვერ აფასებდა კრედიტის როლს, ვინაიდან კაპიტალისტური შემოსავლების ძირითად ფორმად მოგებას მიიჩნევდა. მისი აზრით სარგებელი წარმოებული ხასიათისაა. არ ესმოდა, რომ იგი საკრედიტო ფულია და დაკავშირებულია ფულთან როგორც გადახდის საშუალების ფუნქციის შემსრულებელთან. კრედიტი რიკარდოს განხილული აქვს ფულის მიმოქცევის ასპექტში და უარყოფს ბანკების როლს სარგებლის დონის განსაზღვრაში. ბანკები აგროვებენ დიდი რაოდენობის სასესხო კაპიტალს თავის განკარგულებაში აქცევენ სასესხო კაპიტალის მიწოდებისა და მოთხოვნის საქმეს და ამით სარგებლის დონეზე ზემოქმედებას ახდენენ. დ. რიკარდოს მიხედვით კი, სარგებლის დონის განმსაზ-ღვრელია მოგების ნორმა, რომლის ზევით იგი ვერ აიწევს.

ე) მიწის რენტის თეორია.

დ. რიკარდოს ერთ-ერთი სერიოზული მიღწევა იყო მიწის რენტის ანალიზი. მიწის რენტის თეორიას შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე აგებდა და მის წყაროდ ასახელებდა საკუთრების განსაზღვრული ურთიერთობის პირობებში მიწაზე გამოყენებულ შრომას.

დ. რიკარდო ითვლება დიფერენციული რენტის თეორეტიკოსად. იგი განიხილავდა მხოლოდ, დიფერენციულ რენტა პირველს. ამ თეორიის შემქმნელია შოტლანდიელი პრაქტიკოს-მოიჯარე ანდერსონი. დ. რიკარდოს დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ უაღრესად სრულად დაამუშავა ეს თეორია.

დ. რიკარდოს რენტის თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს.

ა) მიწის სხვადასხვა ნაკვეთები ერთი მეორისაგან განსხვავდებიან ნაყოფიერებით ამიტომ კაპიტალის თანაბარი დაბანდებანი სხვადასხვა ნაყოფიერების მიწის ნაკვეთებზე სხვადასხვა შედეგს იძლევიან;

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულება უცუდესი მიწის ნაკვეთების მიხედვით მყარდება;

გ) ყოველი ნაკვეთი, თუნდაც რამდენიმედ უკეთესი უკანასკნელებთან შედარებით, უნდა იძლეოდეს დამატებით მოგებას, როგორც უცუდესი ნაკვეთით რეგულირებულ ღირებულებათა შორის არსებული განსხვავების შედეგს;

დ) ეს მოგება ფერმერთა შორის კონკურენციული ბრძოლის შედეგად მთლიანად ხვდებათ მიწათმფლობელებს.

ფიზიოკრატებისა და სმიტისაგან განსხვავებით, რომლებიც რენტას ბუნების გულუხვობის შედეგად მიიჩნევდნენ, დ. რიკარდო ამტკიცებდა, რომ რენტა ბუნების სიღარიბის, კარგი მიწების ნაკლებობის შედეგიაო. ამასთან წამოაყენა მცდარი დებულება, თითქოს საზოგადოება თავისი განვითარებაში უკეთესი მიწებიდან უარესზე გადადიოდა. დ.რიკარდოს მეორე უფრო მნიშვნელოვანი ნაკლია მიწის რენტის დაკავშირება ე. წ. „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონთან" ამ „კანონიდან" გამომდინარე დ. რიკარდო არ ცნობდა იმ ფაქტს, რომ მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის პირობებში ადგილი აქვს მიწის ნაყოფიერების ზრდას. ამასთან, სინამდვილეში ადგილი აქვს არა მარტო უკეთესი მიწებიდან უარესზე, არამედ უარესიდან უკეთეს მიწაზე გადასვლას. ტექნიკის განვითარებისა და მიწაზე აგროკულტურული ღონისძიებების გატარების შედეგად უარესი მიწის ნაკვეთებიც შეიძლება გაუმჯობესდეს და უკეთესი გახდეს. ვინაიდან დ. რიკარდო არ აღიარებდა ამ მდგომარეობას, იგი არ ცნობდა დიფერენციული რენტა II არსებობას.

დ. რიკარდო არ ცნობდა აგრეთვე აბსოლუტური რენტის არსებობას. აბსოლუტური რენტა არის ზედმეტი ღირებულების ნამეტი საშუალო მოგების ზევით. რაც იქმნება იმის გამო, რომ მიწათმოქმედებაში კაპიტალის ორგანული შედგენილობა უფრო დაბალია მრეწველობასთან შედარებით. მას მიწათმფლობელნი ითვისებენ მიწის კერძო საკუთრების ძალით. აბსოლუტურ რენტას მოიჯარადეები მიწის მესაკუთრეს ყველა სახის ნაყოფიერების მიწიდან უხდიან. მიწის კერძო საკუთრება, რომ არ ყოფილიყო ეს ნამეტი შევიდოდა კაპიტალისტებს შორის საერთო გადანაწილებაში და მიწათმოქმედების პროდუქტები მაშინ გაიყიდებოდა წარმოების ფასის მიხედვით.

**3) რეალიზაციისა და კრიზისების პრობლემის გაგება.** საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის საკითხში დ. რიკარდო მთლიანად ღებულობს ა. სმიტის თეორიას. დ. რიკარდოს აზრით, წლიური პროდუქტის ღირებულება შედგება ხელფასისა და მოგებისაგან $V+m$ (მოგებაში მას მთელი ზედმეტი ღირებულება ესმოდა), $C$ კაპიტალი კი გამორიცხა ღირებულებიდან. ამ გარემოებამ დ. რიკარდოს კვლავწარმოების ანალიზის საშუალება არ მისცა. დ. რიკარდოს მიხედვით მთლიანი წლიური პროდუქტი პირად მოხმარებაში მიდის და დაგროვილი ზედმეტი ღირებულება მთლიანად ცვალებადი კაპიტალის ფორმას იღებს. ფაქტიურად კი ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც დაგროვებაზე მიდის, პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას კი არ ხმარდება, არამედ

დამატებითი წარმოების საშუალებების და სამუშაო ძალის შექმნას. წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც აღადგენს მოხმარებულ C-ს, პირად მოხმარებაში არ შედის. დ.რიკარდოს არ ესმის, რომ C კაპიტალის ის ნაწილი (რომელსაც იგი ძირითად კაპიტალს უწოდებს) ერთდროულად და მთლიანად მონაწილეობს შრომის პროცესში, წარმოების პროცესში და ნაწილობრივ ღირებულების შექმნის პროცესში. მისი დიდი ნაწილი ერთბაშად არ მოიხმარება და თავის ნატურალურ ნივთობრივი ფორმით არსებობას განაგრძობს.

გ) შედარებით უპირატესობათა თეორია. დ. რიკარდო ითვლება ერთ-ერთ ავტორად იდეისა, რომელიც ასაბუთებს შრომის საერთაშორისო დანაწილებას და ქვეყნების სპეციალიზაციას ცალკეული საქონლების წარმოებაზე. იგი თვლიდა, რომ სპეციალიზაცია ხელსაყრელია არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც იგი ნაკარნახევია ბუნებრივი პირობებით, არამედ მაშინაც, როდესაც ქვეყანას აქვს შედარებითი უპირატესობა ამა თუ იმ საქონლის წარმოებაზე, ე. ი. მოცემულ საქონელზე მისი დანახარჯების თანაფარდობა სხვა ქვეყნების დანახარჯებთან ხელსაყრელი იქნება მისთვის, ვიდრე სხვა საქონლებზე. ასეთი საქონლების წარმოების სპეციალიზაცია მოგებას მისცემს ამ ქვეყანას - აღნიშნავდა დ. რიკარდო. დ. რიკარდო მიუთითებდა, რომ სრულიად თავისუფალი ვაჭრობის სისტემის არსებობისას, ყოველი ქვეყანა რასაკვირველია, თავის კაპიტალს და შრომას მრეწველობის ისეთ დარგებზე ხარჯავს, რომელნიც მას უდიდეს სარგებელს აძლევენ. ეს ინდივიდუალური სარგებლობის ძიება საკვირველად დაკავშირებულია ყველას საერთო სარგებლობასთან. მით, რომ ეს პრინციპი სტიმულს აძლევს მრეწველობის განვითარებას, აჯილდოებს გამომგონებლობას, გამოიყენებს ყველაზე უფრო ნაყოფიერად იმ განსაკუთრებულ ძალებს, რომელნიც ბუნების მიერ მოიცემიან, - ამით იგი ახდენს შრომის დანაწილებას ყველაზე უფრო ეფექტურ და ყველაზე უფრო ეკონომიკურად და იმავე დროს, ადიდებს რა პროდუქტთა საერთო მასას, იგიავრცელებს საყოველთაო კეთილდღეობას და ინტერესის და გაცვლა-გამოცვლის საერთო გადაჯაჭვულობით ქვეყნიერების ცივილიზებულ ერებს ერთმანეთთან აკავშირებს ერთ უნივერსალურ საზოგადოებად. სწორედ ეს პრინციპი გვიხსნის, რატომ ღვინო უნდა იწარმოებოდეს საფრანგეთსა და პორტუგალიაში, რატომ პური უნდა მოიყვანებოდეს ამერიკასა და პოლონეთში, ხოლო სხვადასხვა ლითონური ნაწარმოები და სხვა პროდუქტები უნდა მზადდებოდეს ინგლისში.“*

- - - - - -

*დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ.98.

შედარებითი უპირატესობათა პრინციპის დამუშავება დ. რიკარდოს მეცნიერულ მიღწევას წარმოადგენდა. გერმანელი ეკონომისტი კ. მარქსი ეთანხმებოდა მას ამ საკითხში და აღნიშნავდა, რომ სპეციალიზაცია შეიძლება ხელსაყრელი იყოს შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნისათვისაც, რამდენადაც იგი რაც უნდა იყოს მაინც უფრო იაფად იღებს საქონელს, ვიდრე თვითონ მას შეეძლო იგი ეწარმოებინა.*

მაგრამ დ. რიკარდოს არ ესმოდა, რომ შედარებით უპირატესობის დროსაც კი შეუძლებელია ქვეყნების ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობა. თვითონ დ. რიკარდო ინგლისს მიაკუთვნებდა მსოფლიოს მთავარი სამრეწველო სახელმწიფოს როლს, ხოლო სხვა ქვეყნებს მისი სასოფლო-სამეურნეო და სანედლეულო დანამატის ფუნქციას აკისრებდა.

შემდგომშიც შედარებით უპირატესობათა პრინციპი გამოიყენებოდა ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ცალმხრივი სპეციალიზაციის გასამართლებლად. ასეთ ქვეყნებს აიძულებენ განავითარონ მონოკულტურა და ყოველნაირად ცდილობენ მათი სამრეწველო განვითარების შეფერხებას.

თანამედროვე პირობებშიც ეკონომისტთა ერთი ნაწილი: ჯ. ვაინერი, გ. ჰაბერლერი, ფ. ტაუსიგი, ჩ. კინდლებერგი და სხვები კვლავ დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის უფრო ხელსაყრელია სპეციალიზაცია სასურსათო და სანედლეულო პროდუქტებზე. როგორც ისინი ამტკიცებენ, მათთვის აზრი არა აქვს საკუთარი სამრეწველო წარმოების შექმნას. სამრეწველო პროდუქტის შეძენა, მათ შეუძლიათ მსოფლიო ბაზარზე თავიანთი პროდუქციის გაცვლის შედეგად.

ზემოთ აღნიშნული ეკონომისტების მტკიცებით, განვითარებადი ქვეყნები ღარიბია კაპიტალით. მაგრამ მდიდართა სამუშაო ძალით, ამიტომ მათ აქცენტი უნდა გააკეთონ შრომატევად წარმოებაზე, უპირატესად სანედლეულო პროდუქტზე ეს დაეხმარება განვითარებად ქვეყნებს ისარგებლონ „წარმოების ფაქტორით".

საერთაშორისო შრომის დანაწილებაში, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ „შრომის ფაქტორით", სამაგიეროდ ისარგებლონ „კაპიტალის ფაქტორით".

ეს თეორია უარყოფს ახალგაზრდა სახელმწიფოთა დამოუკიდებელ ეკონომიკურ განვითარებას. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს განვითარებადი ქვეყნების დარჩენა განვითარებული ქვეყნების აგრარულ სანედლეულო დანამატად.

- - - - -

*კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III , ნაწ. 1, თბ. 1959, გვ. 302.

# თავი VIII კრიტიკული სკოლის წარმოშობა

*XIX* საუკუნის პირველ მესამედში ღრმა ცვლები მოხდა მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამრეწველო გადატრიალების შედეგად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სწრაფად ვითარდებოდა ფაბრიკული წარმოება. ინგლისსა და საფრანგეთის მრეწველობაში შემოღებული იქნა კერძო შეთანხმებათა რეჟიმი, რომელთა თავისუფლებას არც ერთი კანონი არ ზღუდავდა. განუყოფლად ბატონობდა ეკონომიკური ლიბერალიზმი. სახელმწიფომ უარი თქვა ყოველგვარ ჩარევაზე წარმოების ორგანიზაციაში, მუშაკთა და მეწარმეთა შორის ურთიერთობაში. მთლიანად გაქრა კორპორაციული რეჟიმი. მექანიკური გამოგონების წყალობით, ახალმა მანუფაქტურულმა მრეწველობამ საოცარი განვითარება მიიღო. მსხვილი წარმოების რჩეული ცენტრები გახდა დიდ ბრიტანეთში მანჩესტერი, ბირმინგემი, გლაზგო, ხოლო საფრანგეთში ლილი, სედანი, რუანი, ელბეფი, მილპუზი.'

ძირეულმა ძვრებმა ბურჟუაზიული საზოგადოების ძალთა განვითარებაში მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა წვრილი მწარმოებლები. პრიმიტიული ხელის ტექნიკით შეიარაღებული წვრილ მწარმოებლებს აღარ შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ კონკურენციულ ბრძოლაში დაქირავებულ შრომასა და მანქანურ ტექნიკაზე დამყარებული კაპიტალისტური წარმოებისათვის. ქალაქისა და სოფლის წვრილი მწარმოებლების დიდი ნაწილი პროლეტარები ხდებოდნენ და მხოლოდ მათი უმცირესობა, გადაიზრდებოდა ბურჟუაზიად. ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ შეიმჩნეოდა საფრანგეთში. საფრანგეთში მსხვილი მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყო 1789-1794 წ.წ. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და ნაწილობრივ კონტინენტურმა ბლოკადამ. *XIX* საუკუნის მეორე მეოთხედში, რკინიგზის მშენებლობის ზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება მანქანებზე, რამაც ბიძგი მისცა მანქანათმშენებლობის განვითარებას. მაგრამ მაინც, საფრანგეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ინგლისს მსხვილი მრეწველობის განვითარებაში. საფრანგეთში კვლავ ჭარბობდა წვრილი წარმოება. ამან განაპირობა ის, რომ მსხვილი მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით დიდი გაქანება მიიღო ქალაქისა და სოფლის წვრილი მწარმოებლების გაჩანაგების პროცესმა. წვრილი ბურჟუაზიის გაჩანაგებას ხელი შეუწყო სავაჭრო და სავახშო კაპიტალმა.

------

' შ. ჟიდი, შ. რისტი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, მ. 1918, გვ. 102, (რუს.).

წვრილ მწარმოებლებისას უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მოსახლეობის ფართო ფენებიც. რომელსაც ეკონომიკური თავისუფლება დგამს თავისი ძლევამოსილი მსვლელობის პირველ ნაბიჯებს, მას თან ახლავს ორი ფაქტორი - პაუპერიზმი და ეკონომიკური კრიზისები.

1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში მსხვილი სამრეწველო და ფინანსური ბურჟუაზია მოვიდა, რომლებმაც გამდიდრების ლოზუნგით დაიწყეს საშინაო პოლიტიკის გატარება

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო საფრანგეთის მოსახლეობის ფართო მასებში გაიზარდა სიძულვილი არა მარტო მსხვილი კაპიტალის, არამედ სახელმწიფოსადმიც.

წვრილი მწარმოებლების გაკოტრებისა და მუშათა მდგომარეობის შემდგომი გაუარესების პროცესის გაძლიერების გამომხატველი იყო პერიოდული სამრეწველო კრიზისების დაწყება. რომელთაგან პირველი დაიწყო 1815 წელს ინგლისში[1]. უფრო სერიოზული კრიზისი დაიწყო 1825 წელს, რომელმაც მრავალრიცხოვანი გაკოტრებანი გამოიწვია. ინგლისის გარდა იგი გავრცელდა ბევრ მეზობელ ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთშიც. მოსახლეობის ფართო მასების მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნამ თავისი იდეოლოგიური გამოხატულება ჰპოვა რეაქციაში მსხვილი მრეწველობის წინააღმდეგ. გამოჩნდნენ ეკონომისტები, რომლებიც წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ ერთი მხრივ წვრილსაქონლურ წარმოებას და მეორე მხრივ მუშებს. ასე წარმოიშვა წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკული სკოლა. მისი ფუძემდებელი იყო შვეიცარიელი ეკონომისტი ჟან შარლ ლეონარდ სიმონ დე სისმონდი (1773-1842); რომელიც საფრანგეთში მოღვაწეობდა.

## 1. სისმონდის ეკონომიკური რომანტიზმი.

ს. სისმონდი ბურჟუაზიული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მკაფიო წარმომადგენელია. მისი კლასობრივი პოზიცია გამოირჩევა წვრილბურჟუაზიულობით, რაც ნაწილობრივ აიხსნებოდა მისი წარმოშობით, უფრო მეტად კი ცხოვრებისეული გამოცდილებით და განსაკუთრებით შვეიცარიის. აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიკური ცხოვრების წვრილბურჟუაზიული პირობებით.

ს.სისმონდიმ თავისი წვრილბურჟუაზიული ეკონომიკური შეხედულებები გადმოგვცა შემდეგ ნაშრომებში: „ტოსკანის სოფლის

- - - - - -

[1] შ. ჟიდი, შ. რისტი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, გვ.103, (რუს).

მეურნეობის სურათი" (1801წ.), „კომერციული სიმდიდრის შესახებ, ანუ პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ მათ გამოყენებაში საგაჭრო კანონმდებლობისათვის" (1803წ.) „იტალიის რესპუბლიკის ისტორია" (1807წ.) 1819 წ. მან გამოაქვეყნა თავისი მთავარი თხზულება ეკონომიკურ თემაზე „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები, ანუ სიმდიდრე ხალხთმოსახლეობასთან ურთიერთობაში", მოგვიანებით მან გამოსცა „პოლიტიკური ეკონომიის ეტიუდები" (1837წ.). ამ ნაშრომებში მან ამბები განიხილა იდეალისტური პოზიციებიდან. მისი ეკონომიკური მოძღვრების მეთოდოლოგიური საფუძველი გახლა სუბიექტივისტურ-იდეალისტური მიდგომა სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი*. ს. სისმონდს ჰქონდა ფართო ისტორიული მსოფლმხედველობა, კარგად იცოდა საუკუნეთა გამოცდილება და ვერ ურიგდებოდა ვიწრო ეკონომიკურ თვალთა-ხედვას, ეპოქის სოციალური პრობლემისადმი კომერციულ მიდგომას.

ს. სისმონდი პოლიტიკურ ეკონომიას თვლიდა მნელობრივ მეცნიერებად, რომელსაც საქმე აქვს ადამიანთა ბუნებასთან, რომელიც შეისწავლის რა არის ადამიანი, როგორ მოქმედებს მასზე ესა თუ ის დაწესებულება, როგორია მისი მოთხოვნილებები, გრძნობები, ვნებები და ა. შ.

ა. სმიტი და დ. რიკარდო სამეურნეო პროცესებს განიხილავდნენ როგორც ბუნებრივს, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად. ისინი თავიანთ მიზნად ისახავდნენ გაეანალიზებინათ, როგორ იწარმოება, მიმოიქცევა და განაწილდება სიმდიდრე. ს. სისმონდის მიზანს კი წარმოადგენდა ეჩვენებინა სახელმწიფოს როგორ უნდა უხელმძღვანელოს სიმდიდრის წარმოებასა და გადანაწილებას.

ს. სისმონდის აზრით, პოლიტიკური ეკონომიის საგანი უნდა იყოს „ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობა, რამდენადაც იგი დამოკიდებულია სახელმწიფოზე"** . „ჩვენ პოლიტიკურ ეკონომიას ვუწოდებთ, - წერდა ის, - სახალხო სიმდიდრის მართვას."*** ამ პოზიციიდან იგი მკვეთრად გამოდიოდა თავისუფალი კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ. მისი აზრით, საზოგადოებრივი განვითარება არ უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალ კონკურენციაზე. სახელმწიფო კანონმდებლობამ უნდა წარმართოს წარმოება, მიმოქ-

- - - - -

*ს. ბერაძე, გ. ჭანუყვაძე, ი. კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ 1, გვ. 129.

**ს. სისმონდი, პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები, ანუ სიმდიდრე ხალხთმოსახლეობასთან ურთიერთობაში. ტ. 1, მ., 1937, გვ. 148 (რუს).

***იქვე, გვ. 150.

ცეა და განაწილება წვრილი მწარმოებლების ინტერესებით. ამ შეხედულებებში ყველაზე მკაფიოდაა გამოთქმული სისმონდის კლასობრივი პოზიცია. როგორც წვრილი წარმოების დამცველი ის იმიტომ გამოეიდა, რომ მის შედეგს წარმოადგენს წვრილი წარმოების დიფერენციაცია და მსხვილი წარმოების გამარჯვება ქალაქად და სოფლად.

ა) ღირებულებისა და ფულის განსაზღვრა.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ს. სისმონდი პირველ რიგში ფასდება როგორც კლასიკური სკოლის წარმომადგენელი და მეორეს მხრივ, როგორც წვრილბურჟუაზიული იდეოლოგი.

ს. სისმონდი როგორც კლასიკური სკოლის წარმომადგენელი უპირველეს ყოვლისა ხასიათდება მისი ღირებულების თეორიით. ის იდგა შრომითი ღირებულების თეორიის პოზიციაზე და საქონლის ღირებულებას განსაზღვრავდა მის წარმოებაზე დახარჯული შრომით. მან საბოლოოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა დებულება, რომ „შრომა წარმოადგენს სიმდიდრის ერთად-ერთ წყაროს."* მიჩნეულია, რომ ს. სისმონდიმ წინ გადადგა ნაბიჯი ღირებულების საკითხში თვით ა. სმიტისა და დ. რიკარდოსაგან განსხვავებით. მასთან არ არის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის გაგება. მაგრამ ის უკვე აღნიშნავდა იმას რომ, ღირებულების სიდიდე გამოდის აუცილებელი სამუშაო დროიდან. ს. სისმონდი ვერ ამაღლდა შრომის ორადი ხასიათის გაგებამდე, მაგრამ იგი ლაპარაკობდა კაპიტალიზმის დროს წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ სახმარ და საცვლელ ღირებულებებს შორის.

ს. სისმონდიმ გამოთქვა ზოგიერთი ღრმა დებულება ფულის არსისა და ფუნქციების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ფული შრომის ისეთი პროდუქტია, როგორც სხვა საქონლები, რომ მას აქვს თავისი შინაგანი ღირებულება. ს. სისმონდი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ფული წარმოადგენს ღირებულების საყოველთაო საზომს".**

ს. სისმონდიმ აღნიშნა განსხვავება ქაღალდისა და საკრედიტო ფულს შორის. მან ინფლაციის პროცესი გაიგო როგორც მიმოქცევის არხების ზედმეტი ქაღალდის ფულით გავსების შედეგი.

ბ) მოგების და ხელფასის თეორია

ს.სისმონდიმ შრომითი ღირებულების თეორია გამოიყენა კაპიტალიზმის კრიტიკისათვის წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან.

*იქვე. გვ. 149.
**იქვე. I. 2. გვ. 6.

ამ მხრივ აღსანიშნავია მისი მოგების თეორიაც. ს. სისმონდი ა. სმიტზე და დ. რიკარდოზე უფრო კატეგორიულად აყენებდა საკითხს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განაწილების ხასიათის შესახებ. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებდა შრომით და არაშრომით შემოსავლებს. ს სისმონდი მოგებას განსაზღვრავდა, როგორც მუშის შრომის პროდუქტიდან გამონაქვითს. მას იგი უწოდებდა არაშრომით შემოსავლებს. ს. სისმონდი კაპიტალიზმის დამახასიათებელ თვისებად თვლიდა სიმდიდრის თავმოყრას უმცირესობის ხელში და მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობის ნახევრადღატაკურ არსებობას. იგი აღნიშნავდა, რომ მუშები წარმოადგენენ სიმდიდრის შემქმნელებს, ხოლო ამასთან ერთად იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ აუცილებელით.[1]

ს. სისმონდი საყურადღებო მოსაზრებებს იძლევა ხელფასის საკითხში. ხელფასის დაბალ დონეს უკავშირებდა სპეციფიკურ კაპიტალისტურ ურთიერთობებს, კერძოდ უმუშევრობას, რომელიც აწვება ხელფასის დონეზე, დაბლა სწევს მას. სისმონდის დამსახურებად ითვლება ისიც, რომ მან ყურადღება მიაქცია ხელფასის დაცემის ტენდენციას და სცადა ეს გარემოება აეხსნა მანქანების შემოღებისა და კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე.

### გ) რეალიზაციისა და კრიზისების თეორია.

კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიულმა კრიტიკამ განსაკუთრებით კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვა ს. სისმონდის რეალიზაციისა და კრიზისების თეორიაში. ეს თეორია წარმოადგენს იმ ფოკუსს, რომელშიც ასახულია მთელი მისი ეკონომიკური მოძღვრება წარმოებისა და მომსახურების, კაპიტალისა და შემოსავლების შესახებ, კაპიტალიზმის წინააღმდეგობების შესახებ და ა. შ. იგი გახდა წარსულისაკენ შებრუნების სისმონდისეული პროგრამის თეორიული საფუძველი.

როგორც ა. სმიტმა, ს. სისმონდიმაც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება განისაზღვრა შემოსავლებით - მოგებით (აქვე შეიტანა რენტაც) და ხელფასით. სრულებით უგულებელყო მუდმივი კაპიტალის წილი. ა. სმიტის მსგავსად სისმონდი თვლიდა, რომ მთელი ნაწარმოები საქონლის რეალიზაციისათვის, საჭიროა წარმოება სავსებით შეესაბამებოდეს საზოგადოების შემოსავლებს. თუ წარმოება გადააჭარბებს საზოგადოების შემოსავლების ჯამს, პროდუქტი არ იქნება რეალიზებული.

- - - - - -

[1] ს. სისმონდი, პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები... ტ. 1, გვ. 147.

სმიტ-რიკარდოს სკოლისაგან განსხვავებით, რომელიც კაპიტალიზმის ძირეულ პრობლემად დაგროვებას თვლიდა, სისმონდიმ წინა პლანზე წამოსწია წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის და ამასთან დაკავშირებით ბაზრის და რეალიზაციის პრობლემა.[1] აღნიშნული წინააღმდეგობა მიაჩნია სისმონდის კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობად, რომელიც გარდუვალად იწვევს ეკონომიკურ კრიზისებს.

ს. სისმონდის აზრით კაპიტალიზმის განვითარება იწვევს წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებას და მუშათა შემოსავლის შემცირებას. კაპიტალისტები კი აგროვებენ თავიანთი შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს. ეს გარემოებანი განაპირობებს შინაგანი ბაზრის შეკვეცას, ვინაიდან წარმოება აჭარბებს მუშებისა და კაპიტალისტების მოთხოვნილებას. კაპიტალისტურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების ნაწილი რეალიზაციის გარეშე რჩება. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია საგარეო ბაზრის არსებობას, მაგრამ საგარეო ბაზარიც ვიწროვდება, ვინაიდან ეს ქვეყნებიც ადგებიან კაპიტალიზმის გზას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმს თანდათანობით ჩიხში შეჰყავს საზოგადოება. რომ არ მოხდეს კაპიტალიზმის კრახი, ს. სისმონდის აზრით, არსებობს ერთად-ერთი გამოსავალი - უკან დაბრუნება პატრიარქალური, წვრილი საქონლური მეურნეობისაკენ. ს. სისმონდი ხსნას ეძებს „მესამე პირებში" - შუალედურ კლასებსა და ფენებში. ს. სისმონდი თვლიდა, რომ ასი წვრილი მწარმოებელი უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე ერთი კაპიტალისტი და 99 მუშა. ამიტომ სისმონდი მიმართავდა კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს თხოვნით შეენარჩუნებინათ წვრილი წარმოება.

ს. სისმონდიმ ვერ გაიგო შინაგანი ბაზრის წარმოქმნის პროცესი კაპიტალიზმის დროს. მისთვის მიუწვდომელი დარჩა ის ჭეშმარიტება, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ხელით შრომიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლა და წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგება არა თუ არ კვეცავს, არამედ კიდევ უფრო აფართოებს შინაგან ბაზარს, ერთი მხრივ ზრდის კაპიტალისტთა მოთხოვნას წარმოების საშუალებებზე და სამუშაო ძალაზე, ხოლო მეორე მხრივ, მუშათა კლასის რაოდენობრივი მატების შესაბამისად წარმოშობს დამატებით მოთხოვნას საარსებო საშუალებებზე. ამის გაუგებლობამ მიიყვანა ს. სისმონდი ეკონომიკურ რომანტიზმამდე, რომელიც ესწრაფოდა იქითკენ, რომ კაპიტალისტური წარმოება შეებრუნებინა მისი ამოსავალი პოზიციისაკენ - წვრილი წარმოებისაკენ.

---

[1] ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, გვ. 188.

## 2. პ. პრუდონის რეფორმიზმი

კრიტიკული სკოლის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფრანგი ეკონომისტი პიერ ჟოზეფ პრუდონი (1809-1865). ს. სისმონდის მსგავსად, პ. პრუდონიც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო, მაგრამ მისი სოციალ-ეკონომიკური შეხედულებები არ ემთხვევა ს. სისმონდის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებებს. ს. სისმონდი და პ. პრუდონი წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რაც განსაზღვრავდა მათ სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას კაპიტალიზმისადმი და მათი პრაქტიკული წინადადების სხვადასხვაობას. ს. სისმონდის შეხედულებები ასახავდნენ წვრილი მწარმოებლების მდგომარეობას ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობებში. მან ვერ გაიგო ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა და ამის გამო სრულიად უარყოფდა კაპიტალიზმს. იგი მოითხოვდა შებრუნებას მეურნეობის წინაკაპიტალისტური ფორმებისაკენ. პ. პრუდონი გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს დროის სხვა პერიოდში, როდესაც უკვე ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის წარმოებითი ურთიერთობები, განისაზღვრა მისი კლასობრივი სტრუქტურა და წვრილმა ბურჟუაზიამ თაიკავა თავისი შუალედური მდგომარეობა. ისტორიამ უკვე დაამტკიცა კაპიტალიზმიდან მეურნეობის ნატურალური ფორმებისაკენ შებრუნების შეუძლებლობა და საჭირო გახადა ს. სისმონდის პროექტების მსხვრევა. ახლა წვრილი ბურჟუაზიის დამცველები პრუდონის სახით კი არ უარყოფდნენ კაპიტალიზმს, არამედ სურდათ მისი მხოლოდ შესწორება, გაუმჯობესება. ისინი ცდილობდნენ მოეფიქრებინათ წვრილი ბურჟუაზიის განადგურებისაგან გადარჩენის გეგმები. ამისათვის არ ეხებოდნენ კერძო საკუთრებას. პ. პრუდონის შეხედულებების მთელი სისტემა გამსჭვალული იყო რეფორმიზმით.

### ა) პრუდონის ეკონომიკური კონცეფცია.

პ. პრუდონის პირველი დიდი ნაწარმოები იყო „რა არის საკუთრება“, რომელიც 1840 წ. გამოიცა. თავისი მთავარი ეკონომიკური ნაშრომი „ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემა, ან სიღატაკის ფილოსოფია“ მან დაწერა 1846 წ. 1848 წ. გამოაქვეყნა „სოციალური პრობლემების გადაწყვეტა“, 1849 წ. „რევოლუციონერის აღსარება“, შემდგომში კიდევ გამოაქვეყნა „ბირჟის სპეკულანტის მეგზური“, „გადასახადების თეორია“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში მთელი სისრულით გამოვლინდა პ. პრუდონის შეხედულებების წვრილ-

ბურჟუაზიული ბუნება.

პ. პრუდონი საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაში იდეალიზმისა და სუბიექტივიზმის პოზიციებზე იდგა ეკონომიკური კატეგორიების ანალიზისათვის პრუდონი ცდილობდა გამოეყენებინა ჰეგელის დიალექტიკის მეთოდი. ეკონომიკურ კატეგორიებში ის ხედავდა იდეებს, რომლებიც წარმოდგებიან წმინდა გონების მოძრაობიდან. მან კატეგორიები და ეკონომიკური პროცესები განიხილა, როგორც საწინააღმდეგო თვისებების მექანიკური შეერთება. მეთოდოლოგიური ხერხის გამოყენებით პ. პრუდონი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის გაუმჯობესება, გაწმენდა, მისი ცუდი მხარეების აღმოფხვრა.

პ. პრუდონი ეკონომიკურ კატეგორიებს განიხილავდა კონკრეტულ-ისტორიული ფორმის გარეშე ასე განიხილავდა ის, მაგალითად, შრომის დანაწილების საკითხს. მისი აზრით შრომის დანაწილება მუდმივი კანონია. შრომის დანაწილების კარგ მხარეს წარმოადგენს ის, რომ რომ იგი ხელს უწყობს სიმდიდრის ზრდას. მისი ცუდი მხარეა ის, რომ მას მივყავართ სიღატაკისა და უბედურების ზრდისაკენ. პრუდონი ამოცანად აყენებს „გამოინახოს ახალი შერწყმა, რომლითაც აცილებული იქნება შრომის დანაწილების ცუდი მხარეები, იმავე დროს შეინარჩუნება სასარგებლო მოქმედება. პრუდონის მიხედვით „შრომის დანაწილების ანტითეზას“ წარმოადგენს მანქანა. მისი თქმით მანქანის კარგ მხარეს წარმოადგენს ის, რომ იგი ამსუბუქებს შრომას, მისი ცუდი მხარეა ის, რომ მუშებს გამოდევნის წარმოებიდან, მათ უკარგავს ხელფასს და განწირავს სიღატაკისათვის.

## ბ)კონსტიტუირებული ღირებულების* თეორია.

პ. პრუდონის აზრით ყველა ეკონომიკური კატეგორიის წინააღმდეგობას საფუძვლად უდევს ღირებულების წინააღმდეგობრივი გაორება. იგი აღნიშნავს, რომ თუმცა ეკონომისტები ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახმარ და საცვლელ ღირებულებას, მაგრამ ვერ ამჩნევენ მათ შორის წინააღმდეგობებს. მისი აზრით ღირებულებაში ჩადებულია ძირითადი ეკონომიკური წინააღმდეგობა, რომლის გადაჭრაზეც დაიყვანება სოციალური გარდაქმნების მთელი არსი.

პ. პრუდონის გაგებით, ღირებულება ორი საწინააღმდეგო იდეის შემცველი ცნებაა: სახმარი ღირებულების იდეის და საცვლელი ღირებულების იდეის. სახმარი ღირებულება და საცვლელი

------

*კონსტიტუირებული ღირებულება – ჩამოყალიბებული ღირებულება

ღირებულება - ესაა სხვადასხვაობა ღირებულების შიგნით ა. პრუდონი სახმარ ღირებულებას წარმოადგენს როგორც თეზას-მტკიცებას, ხოლო საცვლელ ღირებულებას კი როგორც ანტითეზას, უარყოფას. პირველი წარმოშობს მეორეს. ამ საწინააღმდეგო მხარეების შერიგება, სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების სინთეზი, პ. პრუდონის მიხედვით წარმოადგენს კონსტიტუირებულ ანუ სინთეზურ ღირებულებას. იგი წარმოიქმნება სახმარი ღირებულების საცვლელ ღირებულებად გარდაქმნის შედეგად, ამ წინააღმდეგობათა ურთიერთშეღწევის შედეგად. მხარეთა ეს შერიგება, პრუდონის აზრით ხორციელდება გაცვლაში, რომელშიც ხდება კონსტიტუირებული ღირებულების დადგენა. პ. პრუდონის კონსტიტუირებული ღირებულება ეს ისეთი ღირებულებაა, რომელიც გაცვლაში წარმოიშობა, აუცილებლად რეალიზდება ბაზარზე და დაფარავს ეკონომიკური სისტემის ყველა წინააღმდეგობას.

# თავი IX. პესიმისტების ეკონომიკური მოძღვრებები

XIX 30-იან წლებში კლასიკურმა სკოლამ დაამთავრა თავისი არსებობა და მისი ადგილი დაიკავა პესიმისტურმა სკოლამ. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ბურჟუაზიამ საბოლოოდ დაამარცხა ფეოდალთა კლასი, დაიპყრო პოლიტიკური ძალაუფლება და გაბატონებული კლასი გახდა. ამის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც „ვარდისფერი სათვალით" მოჩანდა. გამომჟღავნდა ანტაგონიზმი მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შორის. დაიწყო ჭარბწარმოების პერიოდული ეკონომიკური კრიზისები. ფართო ხასიათი მიიღო უმუშევრობამ, პრობლემატური გახდა ხალხთმოსახლეობის საკითხი და ა. შ.

ახლად წარმოშობილმა პროცესებმა დასაბამი მისცა ახალი ეკონომიკური მიმდინარეობის წარმოშობას, რომლის მომხრე ეკონომისტებიც, თავიანთ წინამორბედთაგან განსხვავებით აღიარებენ გამოაშკარავებულ წინააღმდეგობებს. მაგრამ მათ ეწოდებდნენ პესიმისტებს იმიტომ, რომ არ სჯელოდათ ამ მანკიერი მოვლენების აღმოფხვრის შესაძლებლობა არც საკანონმდებლო რეფორმების დახმარებით და არც საზოგადოების ყველა წევრის ორგანიზებული მოქმედების მეშვეობით. მოკლედ მათ დიდად არ სჯეროდათ იმისა, რასაც პროგრესი ეწოდება.*

პესიმისტური სკოლა ჩამოყალიბდა ინგლისში. მისი ფუძემდებელი იყო თ. რ. მალთუსი.

## 1. თ. მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორია და თანამედროვე მალთუსელობა.

თომას რობერტ მალთუსი (1766-1734) დაიბადა მემამულის ოჯახში. კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თ.მალთუსი სოფლის მღვდელი გახდა. 1807 წელს იგი მიიწვიეს ოსტ-ინდოეთის კომპანიის კოლეჯში პოლიტიკური ეკონომიის პროფესორად, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

თ.მალთუსი ითვლება სამიწათმოქმედო *არისტოკრატიისა და მსხვილი მიწათმფლობელების - ლენდლორდების იდეოლოგად. მან მაშინ დაიწყო მოღვაწეობა, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა

- - - - -

*მ. ჟიდი, შ. რისტი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, გვ. 69-70 მ. 1918 (რუს).

მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესებთან კაპიტალიზმის შეგუებისათვის.

თ.მალთუსმა 1798 წ. გამოაქვეყნა ხელმოუწერელი ბროშურა „ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ". შემდეგ იგი გადაამუშავა, შეავსო და 1803 წელს გამოსცა ხელმოწერით. 1814 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა „პურის კანონების შედეგების შესახებ"; 1815 წელს „უცხოეთიდან პურის შემოზიდვის პოლიტიკის თეორიული დასაბუთებანი" და „გამოკვლევა რენტის ბუნებისა და განვითარების შესახებ"; 1820 წ. „პოლიტიკური ეკონომიის საწყისები".

ამ უკანასკნელი ნაშრომის გამოქვეყნებით თ.მალთუსმა პირველი კლასის ეკონომისტის სახელი მოიპოვა. მაგრამ იგი მაინც ცნობილია ნაშრომით „ცდა ხალხმოსახლეობის კანონის შესახებ". ამ წიგნის მეორე გამოცემაში თ.მალთუსმა სპეციალური განყოფილება დაუთმო ჰოდვინის, ოუენის, კონდორსეს კრიტიკას. იგი განსაკუთრებით ილაშქრებდა ინგლისელი მწერლის უილიამ ჰოდვინის (1756-1836) წინააღმდეგ იმიტომ, რომ ჰოდვინი თავის წიგნში „გამოკვლევები პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ" კაპიტალიზმის დროს არსებულ სიღატაკისა და გაჭირვების მიზეზს კერძო საკუთრების არსებობაში ხედავდა. თ.მალთუსი საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა და კერძო საკუთრების მოსპობა შეუძლებლად მიაჩნდა. ის ამტკიცებდა, რომ კერძო საკუთრების მოსპობა მოსახლეობის სწრაფად გამრავლებასა და საარსებო საშუალებათა ნაკლებობას გამოიწვევსო.

თ.მალთუსმა ბიოლოგიიდან ისესხა არსებობისათვის ბრძოლის ინსტინქტი. ამ ფაქტს შემდგომში მაღალი შეფასება მისცა თვით ჩ.დარვინმა.

თ.მალთუსის მტკიცებით ბუნებამ ადამიანში ჩადო ინსტინქტი, რომელიც მას განწირავს შიმშილის, სიკვდილისა და მანკიერებათა მსხვერპლად. ამ ინსტინქტისაგან იტანჯებიან ადამიანები.

თ.მალთუსმა მიზნად დაისახა კაპიტალიზმის დროს არსებული უმუშევრობა, პაუპერიზმი და ა. შ. აეხსნა ბუნების კანონებით. ამ მიზნით შექმნა თავისი ხალხთმოსახლეობის თეორია. ბუნებასთან ანალოგიით, სადაც მალთუსის სიტყვებით, მცენარეთა და ცხოველთა უსაზღვროდ გამრავლების უნარს წინ ეღობება ადგილისა და საკვების უკმარისობა, ადამიანთა საზოგადოებაშიც მოქმედებს ბუნების კანონი, რომლის ძალითაც მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესით (1,2,4,8,16,32,64,128,256, და ა. შ.), ხოლო საარსებო საშუალებანი (1,2,3,4,5,6,7,8,9, და ა. შ.).

ასეთი მათემატიკური გაანგარიშებით შეეცადა მალთუსი ხალხთმოსახლეობის საკუთარი კანონის დასაბუთებას, თ. მალთუსის მიხედვით სიღატაკისა და სხვა ნაკლოვანებების მიზეზი უნდა ვეძიოთ

ბუნებაში, მოსახლეობისა და საარსებო საშუალებათა ზრდას შორის თანაფარდობაში. თ. მალთუსის გაანგარიშების შესაბამისად თანაფარდობას დედამიწის მოსახლეობის ზრდასა და საარსებო საშუალებათა მატებას შორის ორი საუკუნის განმავლობაში უნდა შეედგინა 256:9, ხოლო სამი საუკუნის განმავლობაში 4096:13 და ა. შ. ამ წინამძღვრებიდან გამოსავალს თ. მალთუსი მოსახლეობის გამრავლების რეგლამენტაციაში ხედავდა.

თ. მალთუსმა თავისი მათემატიკური გაანგარიშების საფუძვლად აიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისის კოლონიების მოსახლეობის ზრდა XVIII საუკუნეში. მან მხედველობიდან გამოტოვა ამერიკის მოსახლეობის მატება იმიგრაციის შედეგად და მცდარი დასკვნა გააკეთა, თითქოს დედამიწის მოსახლეობა ყოველ 25 წელიწადში ერთიორად მატულობს, ე. ი. გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. საარსებო საშუალებათა წარმოება კი არითმეტიკული პროგრესიით გამოიხატა.

საარსებო საშუალებათა ნელი ტემპით მატებას კი თ. მალთუსმა საფუძვლად დაუდო ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი. თ. მალთუსამდე ამ კანონის არსებობას აღიარებდნენ ინგლისელი ეკონომისტები ვესტი და რიკარდო, ფრანგი ტიურგო და სხვ. ისინი არ ცნობდნენ იმ ფაქტს, რომ მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის პირობებში ადგილი აქვს მიწის ნაყოფიერების ზრდას და ასაბუთებდნენ, რომ ხანგრძლივად დამუშავებული მიწა იფიტება და იკლებს ნაყოფიერებაში. ამ კანონის დამცველები საარსებო საშუალებათა ზრდას შესაძლებლად მიიჩნევენ მიწის ნაკვეთების ექსტენსიური განვითარების გზით. სინამდვილეში მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების ზრდა შეიძლება მიღწეულ იქნას დამატებითი კაპიტალდაბანდების შედეგად მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით. ტექნიკის განვითარებისა და მიწაზე აგროკულტურულ ღონისძიებების გატარების შედეგად უარესი მიწის ნაკვეთებიც კი შეიძლება გაუმჯობესდეს და უკეთესი გახდეს. უნდა ითქვას, რომ ხალხთმოსახლეობის პრობლემას მალთუსამდე სხვა ბევრი მოაზროვნე შეეხო. ამ საკითხზე მსჯელობდნენ ინგლისელები უ. პეტი, უ. პოდვინი ფრანგები ბიუფონი, მონტესკიე, მირაბო და სხვ. მაგრამ მრავალრიცხოვანი ხალხთმოსახლეობა ყოველთვის განიხილებოდა როგორც სიკეთე ქვეყნისათვის და არავის თავში არ მოსვლია მისი უზომო ზრდის შიში, რამდენადაც იგი ბუნებრივად რეგულირდებოდა საარსებო საშუალებებით. პოდვინი აღნიშნავდა, რომ მეცნიერების პროგრესი შესაძლებლობას მოგვცემს ისეთი რაოდენობით ვაწარმოოთ პროდუქტები, რომ საკმარისია დღეში ნახევარი საათი მუშაობა, საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. პოდვინის ამ

ოპტიმიზმის გასამაგრებლად დღეს ის ფაქტიც იკმარეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის დაახლოებით 4%-ია დასაქმებული, რომლებიც წელიწადში 300 მილიონ ტონა მარცვლეულს აწარმოებენ. აქედან 200 მილიონს ამერიკელები მოიხმარენ, 100 მილიონს კი ქვეყნის გარეთ ჰყიდიან.

ისტორიამ არ გაამართლა მალთუსის შიში. იმ დროიდან მოყოლებული არც ერთ ქვეყანაში არ შენიშნულა აბსოლუტური ჭარბმოსახლეობა. ქვეყნების ერთ ნაწილში, მაგალითად საფრანგეთში, მოსახელობა ძალიან ნელა გაიზარდა, სხვა ქვეყნებში მოსახლეობა ძალიან გაიზარდა მაგრამ ვერ გაასწრო სიმდიდრის ზრდას.

მეცნიერების გამოანგარიშებით დედამიწის რესურსებს შეუძლია 100 მილიარდამდე მოსახლეობის გამოკვება.

მიუხედავად იმისა, რომ მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორია მეცნიერულ ნიადაგზე არ იდგა, მან მაინც დიდი ხმაური გამოიწვია და ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის და მიიღო მალთუსელობის სახელწოდება.

მალთუსის იდეებს დღესაც იწონებენ თანამედროვე ეკონომისტები - უ ფოგტი, ე. პენდელი, ჯ სპენგლერი, რ. კუკი, (აშშ). ო. ჰაქსლი, დ. დოუსონი, ა. ბეტრუისლი (ინგლისში),ჰ. რებუ (საფრანგეთში), ა. ფოგლი (გერმანიაში). ამ აზრზე დგას ზოგიერთი ქართველი ეკონომისტიც.

ყველას თავისი აზრი შეიძლება ჰქონდეს ხალხთმოსახლეობის საკითხში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ყველაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს ჩინეთში (1მილიარდ 300 მილიონამდე). მიუხედავად ამისა ჩინეთში იმდენი საარსებო საშუალებანი იწარმოება, რაც სრულიად აკმაყოფილებს თავის მოსახლეობას და გარკვეული ნაწილი საექსპორტოდაც გააქვთ სხვა ქვეყნებში, მათ შორის ჩვენთანაც. რუსეთში კი, სადაც ჩინეთზე მეტი რესურსებია 200 მილიონამდე კაცი ვერ ურჩენიათ ხეირიანად. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში საარსებო საშუალებათა ნაკლებობა ბუნების სიძუნწის შედეგი კი არ არის არამედ წარმოების ცუდი ორგანიზაციის ანდა განაწილებითი ურთიერთობების ნაკლოვანებისა, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური ჭარბი მოსახლეობა.

### ა) თ. მალთუსი ეკონომიკური კატეგორიების შესახებ

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ თ. მალთუსს უფრო მეტი სახელი მოუტანა წიგნმა „პოლიტიკური ეკონომიის საწყისები". მასში მალთუსმა გააკრიტიკა ა. სმიტის დ რიკარდოს და კლასიკური სკოლის

სხვა წარმომადგენელია შრომითი ღირებულების თეორია. თ. მალთუსის აზრით ღირებულების საზომია არა პროდუქტის წარმოებაზე დახარჯული შრომა, არამედ ნაყიდი შრომა (ა. სმიტისეული განსაზღვრის ერთ-ერთი ვარიანტი).

მალთუსმა თავისი მოსაზრება გამოთქვა მოგების საკითხში. მან კაპიტალისტური მოგება შეიტანა წარმოების ხარჯებში და მოგება გამოაცხადა ღირებულების შემქმნელ ფაქტორად. მისი აზრით შემოსავლები არის პირველადი, რომლებიც განსაზღვრავენ ღირებულებას.

თ. მალთუსი კაპიტალს აიგივებდა დაგროვილ სიმდიდრესთან. შემოსავლის ნაწილის გამოყენებას კაპიტალის სახით, შემოსავლის კაპიტალად გადაქცევას იგი კაპიტალის დაგროვებას უწოდებდა.

თავის გამოკვლევებში რენტის შესახებ თ. მალთუსი იცავდა ლენდლორიზმის ინტერესებს სამრეწველო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. თ. მალთუსმა რენტის საკუთარი თეორია ვერ შექმნა. რენტის თეორია მან ირლანდიელ ჯეიმს ანდერსონისაგან გადმოიღო.

ხელფასის დონეს თ. მალთუსი განსაზღვრავდა მუშა მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობისა და ხელფასის ფონდს შორის შეფარდებით. თ. მალთუსის მიხედვით ხელფასის ფონდი უცვლელი სიდიდეა, ამიტომ, რაც უფრო გაიზრდება მუშათა რაოდენობა, მით უფრო დაბლა დაიწევს მათი ხელფასიო. გამოსავალს იგი ხედავდა მოსახლეობის ხელოვნურად შემცირებაში.

თ. მალთუსი როგორც ლენდლორიზმის იდეოლოგი განსაკუთრებით წარმოჩინდა რეალიზაციის თეორიაში. თ. მალთუსის აზრით საზოგადოებაში რომელიც მხოლოდ მუშებისა და კაპიტალისტებისაგან შედგება, გამორიცხულია მოგების რეალიზაცია, რასაც მოჰყვება საქონლის გასაღების შეფერხება და ეკონომიკური კრიზისები. თ. მალთუსი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავდა არამწარმოებელი კლასის (მიწათმფლობელების, სამღვდელოების, სახელმწიფო ჩინოვნიკების, არისტოკრატიის და სხვ.) ანუ მესამე პირების არსებობაში. ეს მესამე პირები საქონელს არ აწარმოებენ და არ ჰყიდიან, ამიტომ მოგებას არ ღებულობენ, თვითონ კი ყიდულობენ საქონელთა ნაწილს და ამით ხელს უწყობენ კაპიტალისტების მოგების რეალიზაციას. აქედან გამომდინარე, მათ არსებობას ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის სასარგებლოდ თვლიდა მალთუსი.

## 2. ნ. სენიორის დათმენისა და უკანასკნელი საათის თეორიები

პესიმისტურ შეხედულებებს შეიძლება მივაკუთვნოთ ინგლისელი ეკონომისტის ნასაუ უილიამ სენიორის (1790-1864) თეორიები.

ნ. სენიორი დაიბადა სოფლის მღვდლის ოჯახში; 1811 წ. დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. რამდენიმე წელიწადს ვექილად მუშაობდა. 1825 წ. გახდა პროფესორი და ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრას. ნ. სენიორმა თავისი ეკონომიკური თეორიები ჩამოაყალიბა ნაშრომებში „პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საწყისები" (1836 წ.) და „წერილები საფაბრიკო კანონმდებლობის შესახებ" (1837წ.)ნ. სენიორმა წამოაყენა ხელფასისა და მოგების თეორია, რომელიც დათმენის თეორიის სახელითაა ცნობილი. ნ. სენიორმა დათმენის თეორია დაუპირისპირა დ. რიკარდოს ღირებულების შრომით თეორიას. ნ. სენიორი საქონლის ღირებულებას განსაზღვრავდა წარმოების ხარჯებით.

ნ. სენიორმა ა. სმიტისაგან ისესხა დებულება, რომლის თანახმად კაპიტალის დაგროვებად ითვლება კაპიტალისტის დათმენა თავშეკავება. სენიორის მტკიცებით, შრომა არის არა საწარმოო მოღვაწეობა, არამედ მუშის მსხვერპლი. მუშა კარგავს მყუდროებასა და მოსვენებას და ამ მსხვერპლის ანაზღაურებაა ის ჯილდო, რასაც მუშა ხელფასის სახით ღებულობს. კაპიტალისტი კი თავს იკავებს თავისი არამწარმოებლური მოხმარებისაგან და თავის დანაზოგს აქცევს კაპიტალად-წარმოების საშუალებებად. ამ მსხვერპლის ანაზღაურებაა ის მოგება, რასაც კაპიტალისტი ღებულობსო.

კაპიტალის შექმნის წყარო თუ დათმენა და დამზოგველობაა ამას ნათლად ვხედავთ ჩვენი თანამედროვე ცხოვრებიდან.

უფრო პესიმისტური ელფერი დაჰკრავს ნ. სენიორის უკანასკნელი საათის თეორიას.

*XVIII* საუკუნის 30-იან წლებში ინგლისში გაიშალა მუშათა მოძრაობა სამუშაო დღის შემცირებისათვის. მუშები მოითხოვდნენ 10 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას. სამუშაო დღის შემცირების შეუძლებლობის დასაბუთება სცადა სენიორმა. 1836 წ. ის ფაბრიკანტებმა მიიწვიეს მანჩესტერში, სადაც სამუშაო 11,5 საათს შეადგენდა. ნ. სენიორმა მიიღო დავალება დაერწმუნებინა მუშები სამუშაო დღის შემცირების შეუძლებლობაში ერთი საათიც კი. სენიორი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ 11,5 საათიანი სამუშაო დღიდან 10,5 საათი საჭიროა კაპიტალისტების მიერ ავანსებული კაპიტალის ღირებულების ანაზღაურებისათვის და მხოლოდ უკანასკნელ საათში იქმნება მოგება. ნ. სენიორის მტკიცებით სამუშაო დღის 10 საათამდე შემცირება გააქრობდა მოგებას, კაპიტალისტებს დაუკარგავდა მოგების მიღების საშუალებას და ისინი მეწარმეობის სტიმულს დაჰკარგავდნენ. კაპიტალისტები თავს დაანებებდნენ წარმოებას და მუშებს არც სამუშაო ექნებათ და არც ხელფასიო. ნ. სენიორს არ უნდოდა იმის

დანახვა, რომ მთელი ჩელმეტი სამუშაო დღის განმავლობაში იქმნება მოგება და არა მარტო უკანასკნელ სამუშაო საათებში.

ცხოვრებამ უარყო ნ. სენიორის მტკიცება. 1848 წ. რევოლუციის შემდეგ ინგლისის მუშათა კლასმა მიაღწია 10 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ხოლო 1889 წ. ჩიკაგოს კონგრესის გადაწყვეტილებით მთელ მსოფლიოში დაკანონდა 8 საათიანი სამუშაო დღე. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტის მოგება არ მოისპობილა და არც კაპიტალისტებს შეუწყვეტიათ წარმოება.

როგორც ვხედავთ არ გამართლდა ნ. სენიორის პესიმიზმი სამუშაო დღის შემცირების შეუძლებლობის შესახებ.

## 2. ჯ. მილისა და ჯ. მაკ-კულოხის შეხედულებები

ჯემს მილი (1712-1780) შოტლანდიელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი იყო. მან 1767 წ. გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების კვლევის შესახებ“ მიზნად დაისახა თეორიულად აღედგინა მერკანტილიზმის მკვეთრი საფუძვლები. მან არა მარტო წინ წამოსწია მერკანტილური სისტემის საფუძვლები, არამედ რამდენადმე მის რაციონალიზმსაც მიაღწია.

ჯ. მილის აღნიშნული ნაშრომი მერკანტილიზმის თეორიული პოზიციების სრულად წარმოსახვასთან ერთად მის სუსტ მომენტებსაც ასახავს. საქმე იმაშია, რომ მერკანტილიზმი აღიარებდა ფორმის პრიმატს შინაარსის მიმართ, ასევე წარმოებაზე წინაა წამოწეული სასაქონლო მიმოქცევა. ასეთი პოზიცია მკვეთრად ასახავს მერკანტილისტური თეორიის არასრულყოფილებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ წარმოებას კი არა აქვს მიჩნეული მისი ღირსეული ადგილი, არამედ წინ წამოწეულია ფულადი მიმოქცევის პროცესი, როგორც უმაღლესი ეფექტიანობის საზომი.

მიუხედავად ამისა, ჯ. მილი მაინც კარგად გრძნობდა ისტორიული ეპოქის მაჯისცემას შრომის გაგების თვალსაზრისით, რადგან აღიარებდა, რომ შრომაა ღირებულების ფაქტიური შემქმნელი.

ჯ. მილი საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს სამნაირი ფაქტორით: 1. მისი იმ რაოდენობით, რომელსაც საშუალოდ შეძლებს შექმნას მუშამ ერთი წლის, თვის, დღის ან წუთის განმავლობაში; 2. იმ საშუალებების ღირებულებით, რომელიც საჭიროა მუშის საარსებო პირობების დასაკმაყოფილებლად და მისთვის საჭირო საწარმოო ინსტრუმენტების შესაძენად; 3. ნედლი მასალების ღირებულებით.

როგორც ვხედავთ ჯ. მილმა ერთ სიბრტყეზე მოაქცია არაერთგვაროვანი ფაქტორები. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მან მუშის შრომა პირველ ფაქტორად წამოსწია. მეორე ფაქტორია

მუშის ხელფასს და ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია; ხოლო მესამე ფაქტორია - ძირითადი კაპიტალის მუდმივი ნაწილი.

ჯ. მილისათვის საცვლელი ღირებულება ბურჟუაზიული შრომის გამოვლინებაა, ხოლო მეორე მხრივ, მან იცის, რომ ეს კატეგორიები დამოკიდებულნი არიან მეწარმის რეალურ დანახარჯებთან, ამიტომ მან გამოსავალი იმით მონახა, რომ შეაერთა ისინი ერთ ფაქტორად და დაარქვა საცვლელი ღირებულების კატეგორია.

ჯ. მილი ორიგინალობის თვალსაზრისით მეტად თავისებური ეკონომისტია - აღნიშნული სამი ფაქტორის შედეგად მიღებული ღირებულება მის მიერ განხილულია რეალურ ღირებულებად. გარდა ამისა იმ ფასისაგან განსხვავებით, რომლითაც საქონლის რეალიზაცია ხდება და შედეგად მიღებულია ამონაგების გარკვეული თანხა, მოცემული აქვს მოგების ზედმეტი ნაწილიც. ამრიგად ჯ. მილისათვის მოგება არის ის თანხა რომელიც მიიღება რეალური ღირებულების ზევით და წარმოიქმნება საქონლური მიმოქცევის პროცესში საქონლის მოთხოვნილებისა და მისი მიწოდების კვალობაზე. ჯ.მილის მიერ მოგების თეორია წმინდა მერკანტილური თვალსაზრისითაა განხილული, მაგრამ ამასთანავე მას მოცემული აქვს მოსაზრებები, რომ ზედმეტი ღირებულება არ იქმნება საქონლური მიმოქცევის პროცესში და არც შეიძლებოდა შექმნილიყო. აქ მხოლოდ ადგილი აქვს მოგების ნაწილის გადაქაჩვას საქონლის გასაღების დროს ერთი ხელიდან მეორეში. ამიტომ მოგების ამ ნაწილს რომელიც მიმოქცევაში იქმნება ჯ. მილი შეფარდებითი მოგებას უწოდებს. იგი მას ადარებს სიმდიდრისა და დოვლათის სასწორის რყევას, რომელიც არც ერთ შემთხვევაში რაოდენობრივად ან თვისობრივად არ იცვლება საზოგადოებრივი მასშტაბების თვალსაზრისით, მაგრამ ამ რყევით სარგებლობს ამ პროცესის რომელიმე მონაწილე. ჯ. მილი დაასკვნის, რომ ქვეყნის შიგნით საქონლური მიმოქცევის პროცესი და საერთოდ ვაჭრობის სფერო არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ საქვეყნო სიმდიდრედ და, რომ ქვეყნის დოვლათს ქმნის მხოლოდ საგარეო, ხელსაყრელ პირობებში წარმოებული ვაჭრობა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ქვეყნის სავაჭრო ბალანსი აქტიური უნდა იყოს, ე. ი. მეტი საქონელი უნდა გადიოდეს ქვეყნიდან, ვიდრე შემოდის.

ჯ. მილის სწორხაზოვანი დასკვნები აქვს გამოტანილი ქვეყნის შიგა სავაჭრო პოლიტიკისა და სასაქონლო ფულადი მიმოქცევის შესახებ. იგი აყენებდა იდეას, რომ სახელმწიფომ თავის სასარგებლოდ უნდა მართოს და და არეგულიროს ყოველგვარი სავაჭრო გარიგებები და ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკური ლიბერალიზმის გატარებას ქვეყნის შიგნითაც.

ფულის კატეგორიაზე მსჯელობის დროს ჯ. მილი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული წყობილების დროს ფულს აქვს ორგვარი ფუნქცია. მას ეკისრება ერთი მხრივ მიმოქცევის, ხოლო მეორე მხრივ გადახდის საშუალების ფუნქცია. ამასთან უნდა ითქვას, რომ ოქროსა და ვერცხლის სავაჭრო ეკონომიკური არსის გარკვევისას ჯ. მილმა ზედებს მსოფლიო ფული უწოდა.

ჯ. მილმა დაამუშავა პოლიტიკური ეკონომიის კურსის რიგი სხვა საკითხებიც, ფაქტიურად თავისი დროის პოლიტიკური ეკონომიის საერთო სისტემა. მიუხედავად ამისა ჯ. მილის ეკონომიკური მოძღვრება მიუღებელი დარჩა მისი თანამედროვე საზოგადოებისათვის, რადგან.მის დასკვნებში მერკანტილური იდეები იყო გატარებული. ჯ. მილი პესიმისტურად უყურებდა ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებას და მის შეხედულებებში იკითხებოდა მძლავრი მონარქიული სახელმწიფო მმართველობის მოთხოვნა რაც პოლიტიკური მოტივებით არ მიიღო ქვეყნის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ.

ჯ. მილთან ერთად დ. რიკარდოს იდეურ მიმდევრად ითვლებოდა შოტლანდიელი ეკონომისტი. ჯონ რამსეი მაკ-კულოხი (1789-1864). მაკ-კულოხმა საფუძვლიანად შეისწავლა ჯერ უ. პეტის და შემდეგ დ. რიკარდოს ეკონომიკური მოძღვრება. მაკ-კულოხმა დ. რიკარდოს პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლებზე დაღებითი რეცენზია გამოაქვეყნა.

მაკ-კულოხსა და რიკარდოს შორის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა იყო დამყარებული, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ეკონომიის მთელ რიგ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

ჯ. მაკ-კულოხისა და დ. რიკარდოს წინააღმდეგობა პირველ რიგში შეეხებოდა დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობას. მაკ-კულოხი შეეცადა დაესაბუთებინა შრომის მიერ შექმნილ საქონლის ღირებულებაში კაპიტალის ღირებულების განსაზღვრა. იგი აღნიშნავდა, რომ საქონლის ღირებულებაში შედის მანქანა-იარაღების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და ნედლეულის მიერ გადატანილი ღირებულება. თავის მთავარ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის საწყისები" (1825 წ.) მაკ-კულოხი აღნიშნავდა, რომ მოგებას ქმნის კაპიტალი, რომელიც კაპიტალისტს ეკუთვნის, ამიტომ მოგებასაც კაპიტალისტი უნდა იღებდეს.

# თავი X. ოპტიმისტური ეკონომიკური მოძღვრებები

ოპტიმისტური შეხედულებები წარმოშობას იწყებს XVIII მეორე ნახევრიდან. საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ოპტიმიზმი გამოსჭვიოდა ფრანგი მოაზროვნეების ბიუფონის, მონტესკიეს, ბუაგილბერის, მირაბოს, კენეს, ინგლისელების სმიტის, ჰოდჟინის და ბუნებრივი წყობის სხვა მიმდევრების იდეებში. XIX 20-30-იანი წლებიდან ჩამოყალიბებას იწყებს ოპტიმისტური თეორიები, რომელთა წარმომადგენლებიც მიიჩნევდნენ, რომ კრიტიციზმმა, სოციალიზმმა და პროტექციონიზმმა ეკონომიკა გზიდან გადააცდინა. ამიტომ დადგა დრო ეკონომიკური მეცნიერება დავაბრუნოთ მის ჭეშმარიტ გზაზე. - ბუნებრივი წყობის გზაზე.

ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმთავრესად ფრანგმა ეკონომისტებმა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ბოროტება მოდიოდა პესიმისტებისაგან. ისინი თავიანთი ულიმლამო წინასწარმეტყველებით ანგრევდნენ რწმენას ბუნებრივი კანონებისადმი, საზოგადოების თავისთავად ორგანიზაციისადმი და ადამიანები აიძულეს უკეთესი ბედი ეძებნათ ხელოვნურ ორგანიზაციებში. მაგრამ იმისათვის, რომ უკუეგდოთ კრიტიციზმი, სოციალიზმი და პროტექციონიზმი, უწინარეს ყოვლისა მეცნიერება უნდა ეხსნათ მისი მაკომპრომეტირებელი დოქტრინებისაგან რომლებიც რიკარდომ და მალთუსმა შექმნეს.

ოპტიმისტებს სურდათ ეჩვენებინათ, რომ ბუნებრივ კანონებს მიუყავართ ბოროტებისკენ კი არა არამედ სიკეთისაკენ, თუმცა ზოგჯერ ბოროტების გავლით. რომ კერძო ინტერესები მხოლოდ გარეგნულადაა ანტაგონისტური, ხოლო არსებითად სოლიდარულია იმისათვის, რომ უკუეგდოთ პესიმიზმი, უნდა შეექმნათ თეორიები. თუმცა ფრანგული სკოლა პროტესტს აცხადებდა „ოპტიმიზმის“ ეპითეტის წინააღმდეგ ისინი თავიანთ სკოლას ლიბერალურს უწოდებდნენ. მაგრამ მათი ოპტიმიზმი მდგომარეობდა იმაში, რომ მათ ყოველთვის სჯეროდათ ეკონომიკური წყობის უბედურება აეხსნათ, უმთავრესად იმ ფაქტით, რომ თავისუფლება ჯერ კიდევ სრულად არ განხორციელებულა. თავისუფლება უფრო სრული უნდა გაეხადოთ, ამით ისინი სრულიად ამართლებდნენ „ლიბერალური სკოლის“ სახელწოდებას.*

- - - - - -

*შ. ჟიდი და შ. რისტი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, გვ. 190.

## I. ჟ ბ. სეის ოპტიმიზმი მოძღვრება წარმოების სამი ფაქტორის შესახებ. რეალიზაციის თეორია. ავტომატური წონასწორობის თეორია

საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ რომ ოპტიმისტური თეორიების განხილვა დავიწყოთ ფრანგი ეკონომისტის ჟან-ბატისტ სეის მოძღვრებით.

ჟ.ბ. სეი (1767-1832) დაიბადა ლიონში მსხვილი ვაჭრის ოჯახში. განათლება მიიღო ინგლისში. იქ გაეცნო ა. სმიტის შრომას „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" ჟ.ბ. სეი ერთხანს მონაწილეობდა სხვადასხვა კომერციულ ოპერაციებში, შემდეგ ხელი მიჰყო ჟურნალისტობას. 1799 წლიდან ის რედაქტორობდა თვერმიდორულ ჟურნალს „ფილოსოფიის ლიტერატურის და პოლიტიკის დღიური". ნაპოლეონის გამარჯვების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო საფრანგეთის ფინანსთა კოლეგიაში, მაგრამ ვინაიდან ის არ იზიარებდა ნაპოლეონის პროტექციონისტულ პოლიტიკას, იგი კოლეგიიდან გაათავისუფლეს.

ჟ. ბ. სეის საკუთარი ფაბრიკაც ჰქონდა. ბოლოს ის დაინტერესდა პოლიტიკური ეკონომიით და პროფესორი გახდა. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრას საფრანგეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

თავისი ეკონომიკური შეხედულებები ჟ.ბ. სეიმ ჩამოაყალიბა შემდეგ ნაწარმოებებში: „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი" (1803 წ.), „პოლიტიკური ეკონომიის კატეხიზისი" (1817 წ.) და ექვსტომიანი პოლიტიკური ეკონომიის კურსი (1828-1830 წ.წ.)

თავის ნაწარმოებებში ჟ.ბ. სეი სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. მას კაპიტალიზმი ბუნებრივ და მუდმივ წყობილებად მიაჩნდა. იგი ილაშქრებდა მერკანტილიზმისა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ და იცავდა თავისუფალი ვაჭრობის (ფრიტრედერობის) პოლიტიკას.

ჟ.ბ. სეი მიზნად ისახავდა პოლიტიკურ ეკონომიაში გაეგრძელებინა ა. სმიტის ხაზი. იგი გამოდიოდა სმიტის იდეების კომენტატორად. ჟ.ბ. სეი პოლიტიკურ ეკონომიას განსაზღვრავდა როგორც მეცნიერებას წარმოების, განაწილებისა და მოხმარების შესახებ.

მართალია, ჟ.ბ სეი თავს აცხადებდა ა. სმიტის კომენტატორად, მაგრამ მან არსებითად ა. სმიტის ღირებულების თეორიას დაუპირისპირა მოძღვრება სარგებლიანობის შესახებ. ჟ.ბ. სეის აზრით წარმოება ქმნის საგნების სარგებლიანობას. სარგებლიანობის საზომად ის იღებს ღირებულებას, ხოლო ამ უკანასკნელის საზომად საგნის

ფასს. ჟ-ბ. სეი საგნის ღირებულებას განსაზღვრავდა არა საგნის წარმოებაზე დახარჯული შრომით, არამედ ნივთის სარგებლიანობით. ღირებულების თეორიის მეორე ვარიანტში ჟ.ბ. სეი ღირებულებას განსაზღვრავდა საწარმოო ურთიერთმომსახურეობით. ეს ნიშნავს ღირებულების განსაზღვრას საქონლის წარმოების ხარჯებით.

ჟ-ბ. სეის ღირებულების თეორიის მესამე ვარიანტით ღირებულების განმსაზღვრელია ის საგნები, რასაც გამყიდველი ღებულობს მყიდველისაგან, ე. ი. საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ ფულის რაოდენობით, რასაც გამყიდველი თავისი საქონლის ნაცვლად ღებულობს მყიდველისაგან, ე.ი. საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ ფულის რაოდენობით, რასაც გამყიდველი თავის საქონლის ნაცვლად მიიღებს გაცვლის დროს. ამ განსაზღვრების თანახმად საქონლის ღირებულება განისაზღვრება მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობით.

ჟ.ბ. სეის ღირებულების თეორიის მეოთხე ვარიანტის მიხედვით ღირებულების შექმნაში მონაწილეობს სამი ფაქტორი: შრომა კაპიტალი და მიწა. შრომა ქმნის ხელფასს, კაპიტალი მოგებას, სარგებელს, მიწა კი რენტას.

თითოეული ამ ფაქტორთაგანი მომსახურებისათვის იღებს თავის კუთვნილ შემოსავალს. მუშა შრომისათვის იღებს ხელფასს, კაპიტალისტი - კაპიტალის მესაკუთრე - მოგებას, მიწათმფლობელი - მიწის მესაკუთრე - რენტას.

*XX* ს. 50-იან წლებში კანადელმა პ. მონსაროემ ჟ.ბ. სეისგან ისესხა იდეა წარმოების ფაქტორთა შესახებ. მან შეასწორა ჟ.ბ. სეის სამი ფაქტორის თეორია და შექმნა ოთხი ფაქტორის თეორია. მისი აზრით სამი ფაქტორის თეორიაში მხედველობიდანაა გამორჩენილი მეცნიერების ფაქტორი.

პ. მონსაროეი მეცნიერებას განიხილავს წარმოების მეოთხე დამოუკიდებელ და ძირითად ფაქტორად. იგი გვთავაზობს ოთხწევროვან ფორმულას: 1. მეცნიერება, 2. კაპიტალი, 3. მიწა, 4. შრომა. ამასთან, გადამწყვეტ როლს აკისრებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას.

ბ. მონსაროეის ოთხი ფაქტორის თეორიაში ნაცვლად სამი ძირითადი კლასისა გამოდის ოთხი კლასი. იგი შეესაბამება წარმოების მეოთხე ფაქტორს - მეცნიერებას. ესაა თეთრსაყელოიანთა კლასი. ბ. მონსაროეი ოპტიმისტურად აცხადებდა, რომ ტექნიკური პროგრესი იწვევს ერთდროულად ხელფასისა და მოგების ზრდას. მას მიაჩნდა, რომ წარმოების მეოთხე ძირითადი ფაქტორის - მეცნიერების განვითარების ბაზაზე მოხდება შემოსავლების გათანაბრება,

დეპროლეტარიზაცია და წარმოიქმნება საშუალო კლასი*. წარმოების ფაქტორთა თეორიას დღესაც ფართო გამოყენება აქვს და მიზნად ისახავს კაპიტალისტური წარმოების ჰარმონიულობის დასაბუთებას.

თავის დროზე ოპტიმიზმი არ აკლდა ჟ.ბ. სეის: მისი ოპტიმიზმი განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა რეალიზაციის თეორიაში. ჟ.ბ.სეი მას გასაღების თეორიას უწოდებდა. ამ თეორიით იგი მიზნად ისახავდა, კაპიტალისტური კვლავწარმოების პროცესის ჰარმონიულობის დასაბუთებას. ჟ.ბ.სეიმ წამოაყენა იდეა საქონელზე ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის აუცილებელი შესაბამისობის არსებობის შესახებ. ჟ.ბ. სეის აზრით, წარმოების გადიდება ადიდებს რეალიზაციას, საზოგადოების ფარგლებში მთელი მიწოდების ჯამი არ გადააჭარბებს მთელ მოთხოვნათა ჯამს, მოთხოვნა და მიწოდება თანაბარია, მეურნეობის დარგებს შორის დაცულია პროპორცია. ჟ.ბ. სეის ბაზრის კანონის მიხედვით კაპიტალიზმის დროს ადგილი აქვს მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობას და გამორიცხულია ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისები. სიძნელენი რეალიზაციაში, ანუ ნაწილობრივი ჭარბწარმოება ერთ დარგში აიხსნება არასაკმარო წარმოებით მეორე დარგში. ამის გამოსწორება ჟ.ბ. სეის აზრით შეიძლება ჩამორჩენილი დარგის წარმოების სწრაფი განვითარებით.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანს წარმოადგენს არა მოხმარება, არამედ მოგების მიღება, რაც გარდაუვალს ხდის ჭარბწარმოების კრიზისების არსებობას.

როდესაც ჟ.ბ. სეი გასაღების თეორიას ქმნიდა, მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჭარბწარმოების კრიზისები შემთხვევით მოვლენად განხილულიყო. ჭარბწარმოების პირველი ნამდვილი კრიზისი 1825 წელს დაიწყო. იმ დროიდან მოყოლებული ეს მოვლენა განმეორებადი გახდა გარკვეული პერიოდულობით.

ჟ.ბ. სეის ოპტიმიზმი გამოვლინდა ეკონომიკური ლიბერალიზმის საკითხში. იგი მოითხოვდა სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობას. ჟ.ბ. სეი აცხადებდა, რომ მოთხოვნა მიწოდებას შორის წონასწორობა მყარდება ავტომატურად, ბაზრის მექანიზმის მეშვეობით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალი მეწარმეობის საკითხები *XIX* ს. ქართველ მოაზროვნეთა მსჯელობის საკითხიც იყო. ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეებს იცავდნენ, ა. უმიკაშვილი, ალ. წერეთელი, ივ. როსტომაშვილი და სხვ. ამ საკითხზე განსაკუთრებით აღსანიშნავია, ილია ჭავჭავაძის მსჯელობა. 1887 წ. ივნისში გამოქვეყნებულ

*გ. ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. *IV* თბ., 1969, გვ. 283-284.

სტატიებში „საგამოცნო პოლიტიკა“, „ვაჭრობა და პროტექციონობა“ - სპეციალური განხილვის საგანია ეკონომიკური ლიბერალიზმის საკითხები. ი. ჭავჭავაძე უპირატესობას ანიჭებდა ფრიტრედერობას და გამოდიოდა პროტექციონიზმის წინააღმდეგ. ვაჭრობის თავისუფლება, კონკურენცია (ცილობა), თავისუფალი მეწარმეობა მას მიაჩნდა ერისათვის, ქვეყნისათვის, ყველსათვის სასარგებლოდ.

## 2. ფ. ბასტიას მომსახურებისა და ეკონომიკური ჰარმონიების თეორია.

ოპტიმისტური ლიბერალური დოქტრინის ყველაზე შთამბეჭდავი ფიგურა იყო ფრანგი ეკონომისტი ფრედერიკ ბასტია.

ფრედერიკ ბასტია (1801-1850) მდიდარი ღვინის ვაჭრის შვილი იყო. ახალგაზრდობაში თვითონაც ვაჭრობდა, შემდეგ კი ხელი მოჰკიდა მევენახეობას. შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. არჩეული იყო სათლქო მოსამართლედ. 1848 წ. აირჩიეს საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატად.

თავისი ოპტიმისტური თეორია ფ. ბასტიამ ჩამოაყალიბა ნაშრომებში „ფიქრები საბაჟოსთან დაკავშირებით ბორდოს, ჰავრისა და ლიონის შუამდგომლობათა შესახებ“ (1834 წ.) „კობდენი და ლიგა“ (1845 წ.) „ეკონომიკური სოფიზმები“ (1847 წ.), „ეკონომიკური ჰარმონიები“ (1850) და სხვ.

ფ. ბასტია გამოხატავდა საფრანგეთის ღვინის მწარმოებელი ბურჟუაზიის ინტერესებს მეღვინე კაპიტალისტების ინტერესების შესაბამისად, ფ. ბასტია გამოდიოდა პროტექციონისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვდა მაღალი ბაჟების მოსპობას საგარეო ვაჭრობაში და თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გატარებას.

ფ. ბასტიამ თავის ნაწარმოებებში მრავლად ისესხა წინამორბედი ეკონომისტების დებულებები. მათი გადამუშავების საფუძველზე ჩამოაყალიბა ეკონომიკური ჰარმონიების თეორია. ეს თეორია მიმართული იყო კაპიტალიზმის დაცვისაკენ. ის კაპიტალიზმს ხატავდა ისეთ საზოგადოებად, სადაც კლასთა ანტაგონიზმის ნაცვლად კლასთა ჰარმონია მეფობს. ფ. ბასტია ბურჟუაზიულ საზოგადოებას სამართლიან ასოციაციას უწოდებდა. წინამორბედი შეხედულებებიდან ფ. ბასტიას განსაკუთრებით მოსწონდა ჟ.ბ. სეის მომსახურების თეორია. ფ. ბასტიას აზრით მოთავარია მომსახურება მომსახურებისათვის. მას ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მომსახურების ურთიერთგაცვლა საზოგადოების სხვადასხვა კლასებსა და სხვადასხვა პირებს შორის.

ფ. ბასტია მომსახურებას თვლიდა ღირებულების წყაროდ. მისი აზრით „ფასეულობა არის თანაფარდობა ორ გასაცვლელ მომსახურებას შორის"[1] კაპიტალისტი მომსახურებას უწევს მუშას იმით, რომ ყიდულობს მანქანა-იარაღებს, ნედლეულსა და სხვ. მუშა მომსახურებას უწევს კაპიტალისტს შრომით. მომსახურებას უწევენ საზოგადოების სხვა წევრებს მოხელეები, სასულიერო პირები, არტისტები, მუსიკოსები და სხვ. ბასტიას თქმით, მომსახურება ნებაყოფლობითია, და მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლოა. რადგან ერთი სახის მომსახურებისათვის საზოგადოების წევრი იღებს თანაბარ მომსახურებას. ამაში ხედავდა ფ. ბასტია ეკონომიკურ ჰარმონიებს.

ფ. ბასტიას ეკონომიკური ჰარმონიების საფუძვლად მიაჩნია გაცვლა, პირველ რიგში მომსახურების გაცვლა. ფ. ბასტია მომსახურებას განმარტავდა როგორც ძალღონეს, დაძაბულობას, რაც ადამიანების დამახასიათებელია არა მარტო მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, არამედ ყველგან, სადაც კი ადგილი აქვს მომსახურებას. ფ. ბასტია ილაშქრებდა შრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ, იგი გადაჭრით უარყოფდა ღირებულების თეორიის შექმნის კავშირს მატერიალური დოვლათის წარმოებასთან. ფ. ბასტია მომსახურებას ანუ ძალღონეს თვლიდა საქონლის ღირებულების წყაროდ. იგი ღირებულებას განსაზღვრავდა არა შრომით, არამედ თანაფარდობით ორ სხვადასხვა სახის მომსახურებას შორის. ფ. ბასტია თავის წიგნში „ეკონომიკური ჰარმონიები" ამბობდა: თუ ვისმე იმ დებულებიდან გამოსული, რომ ღირებულება სამუშაო დროით განისაზღვრება, ამიხსნის, რატომ არა აქვს არავითარი ღირებულება ჰაერს, ხოლო რატომ აქვს ბრილიანტს მაღალი ღირებულება, მე ჩემს წიგნს ცეცხლში დავწვავდი.

ეკონომიკური ჰარმონიების დამტკიცებისათვის ფ. ბასტიამ უკუაგდო კლასიკური სკოლის წარმომადგენლების, უწინარეს ყოვლისა დ. რიკარდოს, მთელი რიგი განმარტებანი. ფ. ბასტია პოლიტიკურ ეკონომიას მიიჩნევდა უფერულ მეცნიერებად. მას მიაჩნდა, რომ პოლიტიკური ეკონომია თავის დანიშნულებას შეასრულებს მხოლოდ მაშინ, როცა ყველგან გაავრცელებს და განამტკიცებს იმ მარტივ წესს, რომ ადამიანთა სიმდიდრე გამოიხატება ნივთების სიუხვეში. ფ. ბასტიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის დაგროვების კანონი, რომელიც დაუპირისპირა დ. რიკარდოს მოძღვრებას მოგებასა და ხელფასს შორის წინააღმდეგობის შესახებ. ფ. ბასტიას კანონის მიხედვით კაპიტალის გამრავლებასთან ერთად, საზოგადოებრივ პროდუქტში

[1] ფ. ბასტია, ეკონომიკური ჰარმონიები, მ. 1896, გვ. 169 (რუს).

მუშების წილი იზრდება აბსოლუტურად და შეფარდებით, კაპიტალის-ტების წილი კი მხოლოდ აბსოლუტურად იზრდება, ხოლო შეფარდე-ბით კლება. ამიტომ მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესები შეხმატ-კბილებულია, მათ შორის ჰარმონიაა.

ფ. ბასტია გამოვიდა აგრეთვე დ. რიკარდოს მიწის რენტის თეორიის წინააღმდეგ. მან რენტის ახსნასაც საფუძვლად დაუდო მომსახურების თეორია და შეეცადა დაემტკიცებინა მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შორის ჰარმონიულობა. ფ. ბასტია მიწის რენტას თვლიდა მიწათმფლობელის კანონიერ გასამრჯელოდ. მას რენტა წარმოდგენილი ჰქონდა როგორც სარგებელი კაპიტალზე, რომელიც დაბანდებულია მიწაზე. დ. რიკარდო თვლიდა, რომ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შორის არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა. ფ. ბასტია კი უარყოფდა ამ წინააღმდეგობას და აცხადებდა, რომ მათ შორის არის ინტერესთა ჰარმონია.

ამრიგად, ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა კლასის ინტერესი ურთიერთშეხამებულია, ისინი ურთიერთმომსახურებას ცვლიან და ჰარმონიულად თანამშრომლობენ. ბურჟუაზიული საზოგადოების კლასების სრული ჰარმონიულობა, ფ. ბასტიას აზრით კაპიტალიზმის ბუნებრივი მოვლენაა. ამ ჰარმონიულობის ხელშემშლელ ფაქტორად ფ. ბასტია თვლის კაპიტალისტურ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას, ამიტომ იგი წინააღმდეგი იყო პროტექციონიზმისა, და მხარს უჭერდა ფრიტრედერობას, სრულ ეკონომიკურ თავისუფლებას.

### 3. ჯ. ს. მილის კომპრომისები.

ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) ცნობილი ეკონომისტის ჯემს მილის უფროსი ვაჟიშვილი იყო. ჯ. ს. მილი ვუნდერკინდი იყო. 1822 წ. მან პირველად გაამოაქვეყნა თავისი პირველი შრომები პოლი-ტიკურ ეკონომიაში - ორი სტატია ღირებულების შესახებ. 1843 წ. ჯ. ს. მილმა გამოსცა თავისი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულება „ლოგიკის სისტემა“; 1844 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი „ცდები პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთ გადაუჭრელ საკითხზე“; ხოლო 1848 წ. „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, რომელსაც წარმატება ჰქონდა. მის სიცოცხლეში იგი 7-ჯერ გამოიცა.

ჯ. ს. მილი განიცდიდა თ. მალთუსის, ჟ. სეისა და ნ. სენიორის ძლიერ გავლენას. ჯ. ს. მილის „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების“ მთავარი დამსახურება ის არის, რომ პოლიტიკური ეკონომია როგორც მეცნიერება მთლიანობაშია განხილული. ჯ. ს. მილის მოძღვრებაში იგრძნობა მუშათა კლასისადმი გარკვეული სიმპათია, მაგრამ იმავე [illegible] შეხამებას კაპიტალის

ინტერესებთან.

ჯ. ს. მილის „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები" ხუთი წიგნისაგან შედგება. ისინი შესაბამისად ეძღვნება წარმოებას, განაწილებას, გაცვლას, კაპიტალიზმის პროგრესს და სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს.

ღირებულების თეორია III წიგნშია შეტანილი, ეინაიდან ჯ.ს. მილისათვის შრომითი ღირებულების თეორია არ წარმოადგენს ეკონომიკური მოძღვრების საფუძველს. ჯ.ს.მილის მიხედვით ღირებულება მცირედაა დამოკიდებული წარმოებაზე. მისი მტკიცებით იგი განიცდის მხოლოდ გაცვლის გავლენას. ღირებულება მხოლოდ შეფარდებაა: ერთი საქონლისა მეორე საქონელზე, კერძოდ ფულზე გაცვლისათვის ეს შეფარდება ბაზარზე მყარდება. კლასიკური სკოლის წარმომადგენლებისათვის საკითხი ასე იდგა: საცვლელ ღირებულებათა და ფასების ძირითად საფუძველს წარმოადგენს შრომითი დანახარჯები. ყველა დანარჩენი ფაქტორის მოქმედებაკი იწვევს მხოლოდ ამ საფუძლიდან ამა თუ იმ გადახრას. მეორე შეხედულების მიხედვით კი საქონლის საცვლელი ღირებულება და ფასი უბრალოდ იმ წერტილში მყარდება, სადაც მოთხოვნა და მიწოდება თანაბრდება. ჯ. ს. მილი კი ორივე მიდგომას გვერდს უვლიდა და ცდილობდა ფასწარმოქმნის ახსნას მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

მოგების საკითხში ჯ. ს მილი განიცდიდა დ. რიკარდოს გავლენას და წერდა - კაპიტალისტის მოგება წარმოდგება იქიდან, რომ შრომა უფრო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე მისი შენახვა ჯდება.

რენტას ჯ. ს. მილი განსაზღვრავდა ნიადაგს კლებადი ნაყოფიერების კანონით.

ჯ. ს. მილის აზრით, ხელფასის ნაწილი პრაქტიკულად სტაბილურია, რადგან განისაზღვრება მუშათა ფონდით. მუშათა ფონდი განისაზღვრება მუშათა რაოდენობის გამრავლებით ხელფასზე. მისი თქმით იგი მუდმივი სიდიდეა, ამიტომ ხელფასის ცვალებადობა ნიშნავს მუშათა ერთი ჯგუფის მოგებას მეორის ხარჯზე.

მთლიანობაში ჯ. ს მილისათვის დამახასიათებელი იყო დაპირისპირებულთა შერიგებისაკენ მიდრეკილება, კომპრომისები.

## 4. ჰ. კერის ინტერესთა ჰარმონიის თეორია

ოპტიმისტურ დოქტრინას უშუალოდ უკავშირდება ამერიკელი ეკონომისტის ჰ. კერის ინტერესთა ჰარმონიის თეორია.

ჰენრი ჩარლზ კერი (1793-1879) ირლანდიური წარმოშობის მსხვილი მეწარმის შვილი იყო. ჰ. კერიმ თავისი მოღვაწეობა კომერციით დაიწყო. შემდეგ მსხვილი ფაბრიკანტი გახდა.ის ყოველთვის იცავდა

ბიზნესმენების ინტერესებს.

ჰ. კერის თავისი ეკონომიკური შეხედულებები შემდეგ თხზულებებში აქვს ჩამოყალიბებული: „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები" (1837-1840), „მონებით ვაჭრობა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. რატომ არსებობს იგი და რა გზით შეიძლება მისი მოსპობა" (1853), „ხელფასის დონის გამოკვლევის ცდა" (1835), „სოციალური მეცნიერების საფუძვლები" (1857-1859), „სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერებისათვის" (1865) და სხვ.

ჰ. კერისათვის დამახასიათებელია ანტიინგლისური ტენდენციები. იგი ილაშქრებდა არა მარტო თ.მალთუსის მოძღვრების წინააღმდეგ, არამედ დ. რიკარდოს შეხედულებათა წინააღმდეგაც.

თავისი ინტერესთა ჰარმონიის თეორიის შესაქმნელად ჰ. კერიმ ბევრი რამ ისესხა ჟ-ბ. სეისა და ფ. ბასტიას შეხედულებებიდან. ჰ.კერისა და ფ. ბასტიას ეკონომიკური ჰარმონიის თეორიები ფაქტიურად იდენტურია, მაგრამ ჰ. კერის თეორია ნაწილობრივ განსხვავდება ფ. ბასტიას თეორიისაგან. ჰ. კერის თეორია შესამებულია აშშ-ის ეკონომიკური განვითარების თავისებურებებთან. იმ პერიოდში აშშ-ის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის გვერდით არსებობდა მონათმფლობელური პლანტაციები. ამან განაპირობა ის, რომ ინტერესთა ჰარმონიის თეორიაში ჰ. კერი იცავდა მონათმფლობელურ ურთიერთობებსაც. მისი აზრით მონარქის, ლენდლორდის, მოიჯარადრის, კაპიტალისტის, მუშის, პლანტატორის და მონის ინტერესები იდენტურია.

ამრიგად, ჰ. კერის სისტემის მიხედვით ინტერესთა ჰარმონია არსებობს არა მარტო კაპიტალისტებსა და მუშებს შორის, არამედ ბურჟუაზიასა და მიწათმფლობელებს შორისაც, მონათმფლობელებსა და მონებს შორის და ა. შ. ე. ი. ჰ. კერი, ჟ.ბ. სეისა და ფ. ბასტიასთან შედარებით უფრო შორს მიდის. ჰ. კერი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეკონომიკური პირობები - რენტა (მიწის საკუთრება), მოგება (კაპიტალი) და ხელფასი (დაქირავებული შრომა) წარმოადგენენ ასოციაციისა და ჰარმონიის პირობებსაც.

ჰ. კერიმ გაილაშქრა შრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ ფასის განსაზღვრისას ღირებულების როლს იგი სავსებით უგულებელყოფდა.

ჰ კერი კაპიტალს აიგივებდა წარმოების საშუალებებთან. კაპიტალი და კაპიტალისტური ურთიერთობანი კერისათვის მუდმივი კატეგორიებია.

ჰ. კერი გამოვიდა დ. რიკარდოს რენტის თეორიის წინააღმდეგ. იგი აღნიშნავდა, რომ მიწათმფლობელები შემოსავალს იღებენ არა

იმიტომ, რომ ისინი მიწის კერძო მესაკუთრეები არიან, არამედ იმისათვის, რომ მათ (მიწის მესაკუთრეებსა და წინაპრებს) გაწეული აქვთ დანახარჯები მიწაში. ჰ. კერის რენტა დაჰყავდა სარგებლის სახესხვაობამდე.

ინტერესთა ჰარმონიის თეორიის შემადგენელი ნაწილია ჰ. კერის შეხედულება ხელფასზე. ამ საკითხს ჰ. კერიმ სპეციალური წიგნი - „ხელფასის დონის განმსაზღვრელი ცდა" მიუძღვნა. ჰ. კერის აზრით შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად მუშათა წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მატულობს.

როგორც ვხედავთ, ჰ. კერი ბურჟუაზიულ საზოგადოებას კლასთა ინტერესების ჰარმონიად წარმოადგენს. ის დ. რიკარდოს სისტემას ქიშპობის სისტემას უწოდებდა. ჰ. კერის მიხედვით ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ინტერესთა ჰარმონიულობა და თუ ეს ჰარმონიულობა დარღვეულია, ამის მიზეზი, ჰ. კერის თქმით არის სახელმწიფოს ჩარევა. იგი იზიარებდა უ. ჰოლვინის აზრს „ყოველგვარი მთავრობა, ყველაზე საუკეთესოც კი, ბოროტებაა" და სახელმწიფოს თვლიდა უდიდეს საფრთხობელად.

ჰ. კერი მოითხოვდა თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გატარებას, გამოდიოდა ფრიტრედერობის დამცველად და სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ, შემდეგ კი გადავიდა პროტექციონიზმის პოზიციებზე. იგი ცდილობდა პროტექციონიზმის შეხამებას ინტერესთა ჰარმონიის თეორიასთან.

ჰ. კერიმ ეკონომისტებიდან ერთ-ერთმა პირველმა დაინახა პროტექციონიზმში საშუალება ხელფასის ასამაღლებლად*. ჰ. კერის მეშვეობით ბევრმა ფრიტრედერმა აღიქვა ზომიერი მფარველობის იდეა სასარგებლოდ მრეწველობის აღმოცენებადი დარგებისათვის. დათმობები მიუღებელია ძველი ქვეყნებისადმი, რომლებმაც გაიარეს აღმზრდელობითი პროტექციონიზმის სკოლა, მაგრამ ძალიან სასარგებლოა ახალი ქვეყნებისათვის.

ჰ. კერისა და მისი მიმდევრების მიერ ჩამოყალიბებული ეს პოზიცია უდაოდ გასაზიარებელია ჩვენი ეკონომიკისათვის. როცა საჭიროა უპირატესად უნდა გამოვიყენოთ პროტექციონიზმი, ხოლო როდესაც დავინახავთ, რომ იგი გადაიქცევა ეკონომიკური განვითარების მუხრუჭად, პრიორიტეტი უნდა მივცეთ თავისუფალ მეწარმეობასა და თავისუფალ ვაჭრობას.

---

* შ. ჟიდი, შ. რისტი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, გვ. 166.

# თავი XI. სოციალისტ-ჰუმანისტთა ეკონომიკური მოძღვრებები

## 1. სოციალისტური იდეების წარმოშობა.

ოცნებას იდეალური ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ დიდი ხნის ისტორია აქვს. მშრომელი მასების, ბიგანო ხალხის სტიქიურმა მოძრაობამ წარმოშვა და საუკუნეებში გამოატარა ლეგენდა ოქროს საუკუნის შესახებ, როცა არ იყო ჩაგვრა და ყველა ბედნიერად ცხოვრობდა. ეს ლეგენდა აიდეალებდა პირველყოფილ-თემურ წყობილებას, სადაც ყველანი თავისუფალნი და თანასწორნი იყვნენ. ჯერ კიდევ ძველი ჩინელი მოაზროვნე კონ ფუ ცი (551-479 წ. წ. ჩვ. წელთა აღრიცხვამდე). ოცნებობდა საყოველთაო კეთილდღეობის ეპოქის დადგომაზე. იგი კიცხავდა გადაცრომის მიმდევრებს, რეკომენდაციას უწევდა ზომიერ მოხმარებას, სიმდიდრის განაწილების შედარებით თანასწორობას.

ანტიკურმა ხანამ, ძველმა საბერძნეთმა შექმნა თავისებური ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილია ოქროს საუკუნის იდეალური საზოგადოება, სადაც საყოველთაო კეთილდღეობა და ბედნიერება სუფევს. ამ იდეის განვითარების პრიორიტეტი ეკუთვნის პლატონის (427-347 ჩვ. წელთა აღრიცხვამდე) იდეალური სახელმწიფოს უტოპიურ თეორიას, რომელიც საზოგადოების არისტოკრატიული ნაწილის საერთო საკუთრებასა და საერთო მოხმარებას ემყარება.

მოხმარების კომუნიზმის იდეებს, ვხვდებით აგრეთვე, ადრინდელ ქრისტიანობაში და შუა საუკუნეების ერეტიკულ მოძრაობაში. მაგრამ ანტიკურ ხანაში, აგრეთვე შუა საუკუნეებში გავრცელებულ უტოპიურ იდეებს სერიოზული თეორიული დასაბუთება არ ჰქონდათ და ჩამოყალიბებულ ხასიათს არ ატარებდნენ. ეს იყო სოციალიზმის წინა ისტორია.

სოციალიზმის ისტორიაზე გადასვლის მიჯნად მიჩნეულია თომას მიუნცერის (1490-1525) მოძღვრება. იგი მოითხოვდა ხალხის რევოლუციური ბრძოლით ღვთის სუფევის დამყარებას დედამიწაზე, რაც ნიშნავდა ისეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, სადაც კერძო საკუთრება, კლასობრივი განსხვავება და სახელმწიფო არ იარსებებდა, შრომა თავისუფალი იქნებოდა, ქონება საერთო და სრული თანასწორობა განხორციელდებოდა.

უტოპიური ეკონომიკური თეორიის განვითარების ერთ-ერთ

ფუძემდებლად აღიარებულია ინგლისელი მოაზროვნე თომას მორი (1478-1535). 1516 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით „ოქროს წიგნი იმდენადვე სასარგებლო, რამდენადაც გასართობი სახელმწიფოს საუკეთესო წყობისა და ახალი კუნძულის უტოპიის შესახებ“ რომელსაც ლიტერატურაში შემოკლებით „უტოპიას“ უწოდებენ. თომას მორმა გააკრიტიკა, ჯერ კიდევ დაბადების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული საზოგადოება. კერძო საკუთრებაში დაინახა საზოგადოებრივი უბედურების მთავარი მიზეზი. თ. მორმა საერთო კეთილდღეობის პირობად კერძო საკუთრების მოსპობა გამოაცხადა. მან კაპიტალიზმს დაუპირისპირა ცხოვრება ხალხისა, რომელიც მისი წარმოდგენით უცნობ კუნძულ „უტოპიაზე“ ცხოვრობდა.

თ. მორის მიხედვით „უტოპიის“ მაცხოვრებლებს შორის დამყარებული იყო სრული თანასწორობა, არ იყო წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, წარმოება საზოგადოებრივი ხასიათის იყო და პროდუქციის განაწილება მოთხოვნილების მიხედვით ხდებოდა. თ. მორმა პირველმა დაუკავშირა მოხმარების ერთობა წარმოების ერთობას და ახალი წყობილება წარმოგვიდგინა როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული საზოგადოებრივი მეურნეობა. მან წინ გადადგა ნაბიჯი მოხმარების ორგანიზაციის საქმეშიც. „უტოპიაში“ მოხმარების საგნები საერთო-საზოგადოებრივ საწყობებში ინახებოდა და მოთხოვნილების მიხედვით ნაწილდებოდა. კვება საერთო იყო საზოგადოებრივ სასადილოებში. მაგრამ ყველას უფლება ჰქონდა თავისი კუთვნილი სანოვაგე მიეღო და სახლში თვითონ დაემზადებინა, მაგრამ ამ უფლებას არავინ იყენებდა. „უტოპიაში“ ფული არ არის და არც მისი საჭიროება იგრძნობა. იმისათვის, რომ განძეულისადმი სიხარბე არ ყოფილიყო, იქ მხოლოდ თიხისა და შუშის ჭურჭელს ხმარობენ. მათთან ოქრო-ვერცხლის ქონება სამარცხვინოდ ითვლებოდა. ასეთ ფერებში დახატა თ. მორმა ახალი საზოგადოების სურათი. მაგრამ მას არ განუხილავს ამ წყობილებაზე გადასვლის გზებისა და საშუალებების საკითხი. თ. მორს, თვით მისივე თქმით, სურვილი უფრო ჰქონდა ვიდრე რწმენა ევროპის სახელმწიფოებში იმის განხორციელებისა, რაც უტოპიელთა რესპუბლიკაში არსებობდა. ამან განაპირობა მისი შეხედულებების განუხორციელებელმა ანუ უტოპიურობა. ხოლო თვითონ თ. მორი მეფის ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა.

უტოპიური ეკონომიკური მოძღვრების მეორე მამამთავრად ითვლება თომაზო კამპანელა (1568-1639) 1623 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „მზის ქალაქი, ანუ იდეალური რესპუბლიკა“. ამ წიგნში მან დახატა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ფანტასტიკური სურათი. „მზის ქალაქში, რომელიც უცნობ კუნძულ ტაპრობანეზე

იყო. თ. კამპანელას მიერ წარმოდგენილ საზოგადოებაში უარყოფილია კერძო საკუთრება და აღიარებულია თავისუფალი შრომის საფუძველზე წარმოების, განაწილებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

„მზის ქალაქში" ყველა შრომობს. ყველა მოქალაქე მონაწილეობს სამხედრო საქმეში, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. ამ დარგების ცოდნა ყველას ევალება და ყველაზე უფრო საპატიოდაც ითვლება. განსაკუთრებული პატივით ის სარგებლობს, ვინც მეტი ხელობა შეისწავლა და მეტი საქმის ცოდნით შეუძლია მისი გამოყენება.

თ. კამპანელა შეეცადა თავისი პროექტის პრაქტიკულ განხორციელებას. 1598 წელს ის სათავეში ჩაუდგა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ აჯანყებას, მაგრამ იგი დააპატიმრეს და 27 წელი საპყრობილეში გაატარა.

მიუხედავად თ. მორისა და კამპანელას პროექტების განუხორციელებლობისა, ადამიანთა ერთმა ნაწილმა შემდგომშიც არ მოიშორეს აზრი სამართლიანი სოციალური წყობილების შესახებ. მე-*XVIII*-ს. ბოლოსა და *XIX* ს. დასაწყისში დასავლეთ ევროპაში უტოპიურმა სოციალიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მისი გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ა. სენ-სიმონი და შ. ფურიე საფრანგეთში, რ. ოუენი ინგლისში.

## 2. სენ-სიმონიზმი და კოლექტივიზმის წარმოშობა

კლოდ ანრი დე რევრუა სენ-სიმონი (1760-1825) დაიბადა მდიდარი გრაფის ოჯახში. მან განათლება მიიღო *XVIII* ს. გამოჩენილი მატერიალისტის და მათემატიკოსის დალამბერის ხელმძღვანელობით. შემდეგ ა. სენ-სიმონი შევიდა სამხედრო სამსახურში. იგი მოხალისედ წავიდა და მონაწილეობდა ამერიკელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ მალე მან თავი მიანება სამხედრო სამსახურს და გაემგზავრა ევროპის ქვეყნებში ადამიანთა ბუნების შესწავლისა და თავისი ცოდნის შევსების მიზნით.

1789 წ. რევოლუციის დაწყებისას ა. სენ-სიმონი დაბრუნდა საფრანგეთში, მაგრამ ამ რევოლუციაში მას დიდი მონაწილეობა არ მიუღია. რევოლუციის შემდეგად სენ-სიმონების ოჯახის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამიტომ ა. სენ-სიმონმა ხელი მოჰკიდა სპეკულაციას და მილიონერი გახდა. მან დაიწყო ხელგაშლილი ცხოვრება და მალე მისი სიმდიდრისაგან არაფერი დარჩა.

ა. სენ-სიმონი აუტანელ სიღარიბეში ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. ამ პერიოდში შექმნა მან თავისი ნაწარმოებები: „წერილები

ქენევიდან" (1812 წ.), „შეხედულება საკუთრებასა და სახელმწიფოზე" (1818 წ.), „სამრეწველო სისტემის შესახებ" (1821 წ.), „მრეწველთა კატეხიზისი" (1823 წ.) „ახალი ქრისტიანობა" (1825 წ.) და სხვ.

**ა) ა. სენ-სიმონის ისტორიული კონცეფცია.** ა. სენ-სიმონმა ადამიანთა საზოგადოების განვითარება ისტორიული თვალსაზრისით განიხილა. იგი მიუთითებდა მემკვიდრეობით კავშირზე წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის. ა. სენ-სიმონი ამტკიცებდა, რომ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოადგენს კაცობრიობის მთელი წარსული ისტორიის შედეგსა და ბუნებრივ გაგრძელებას. მან გააკეთა დასკვნა, რომ ერთი საზოგადოებრივი სისტემა აუცილებლად იცვლება მეორით. ყოველი ახალი სისტემა წარმოადგენს პროგრესს საზოგადოების განვითარებაში.

ადამიანთა საზოგადოების საფუძვლად, მამოძრავებელ ძალებად ა. სენ-სიმონი თვლიდა გონების, მეცნიერების, ცივილიზაციის პროგრესს. საზოგადოების განვითარება კანონზომიერი პროცესია, რომელიც აღმავალ ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს ადამიანის გონების განვითარების პროგრესია. ა.სენ-სიმონი თვლიდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობები შეიძლება ააგონ და დაამხონ ფილოსოფოსებმა, მეცნიერებმა. სწავლულთა მნიშვნელობას ა. სენ-სიმონი იმაში ხედავდა, რომ მათ წინასწარხედვა შეუძლიათ. მეცნიერება იმიტომ არის სასარგებლო, რომ იგი წინასწარხედვის შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ მეცნიერნი სხვა ადამიანებზე მაღლა დგანან, მათ სხვებზე მეტად შეუძლიათ წინასწარხედვა. „ფილოსოფოსი აზრის მწვერვალზე დგას, იქიდან იგი უყურებს იმას, თუ როგორი იყო მსოფლიო და როგორი უნდა გახდეს იგი. ფილოსოფოსი არა მარტო მეთვალყურეა, არამედ მოქმედი პირიც. იგი პირველხარისხოვანი მოქმედი პირია მორალურ მსოფლიოში, რადგან ადამიანთა საზოგადოებას მართავს მისი შეხედულება მსოფლიოზე' - წერდა ა. სენ-სიმონი. იგი აღნიშნავდა, რომ ფილოსოფოსებმა უნდა შეაერთონ თავიანთი ძალები, რათა შექმნან საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც შეესაბამება განათლებისა და ცივილიზაციის თანამედროვე მდგომარეობასო. ასეთად მას მიაჩნდა ინდუსტრიული სისტემა, რომელსაც აპირისპირებდა ინდივიდუალიზმსა და კაპიტალიზმთან.

**ბ) კაპიტალიზმის კრიტიკა.**

ა. სენ-სიმონი ამტკიცებდა, რომ ინდუსტრიული ანუ სამრეწველო სისტემის პირობებში არ იქნება წარმოებისა და განაწილების ანარქია,

---

'ა. სენ-სიმონი რჩ. ნაწარმოებები, მ-ლ, გვ. 211 (რუს.).

ადამიანის მიერ ადამიანის დამონება. ამასთან კავშირში, მის დროს არსებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას ის განიხილავდა, როგორც კრიტიკულ ეპოქას, სადაც ბატონობს ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი. ეკონომიკური თავისუფლება ერის განადიდებს, ხდის უმდიდრეს კაცად, ხოლო სხვებს ალატაკებს, ღატაკად აქცევს. ასეთ მდგომარეობას ა. სენ-სიმონი დაუშვებლად თვლიდა, აღნიშნავდა რომ მთავრობის მუდმივ და ერთად-ერთ მოვალეობას წარმოადგენდა ზრუნვა საზოგადოების ბედნიერებაზე. ა. სენ-სიმონი მოითხოვდა ინდუსტრიული სისტემის შექმნას, რომელშიც არ იქნება ცალკეული პირების ოციონებობა, ეგოისტების ბატონობა და ადამიანები შეფასდებიან მათი პირადი შესაძლებლობითა და შრომით. „შრომა-ყოველი სიკეთის წყაროა; ყველაზე სასარგებლო შრომა უნდა იყოს ყველაზე პატივსაცემი." - წერდა იგი.

ა. სენ-სიმონი ბურჟუაზიულ საზოგადოებას იმისთვის აკრიტიკებდა, რომ სოციალური ორგანიზაცია მისი უკიდურესი ნაკლოვანებაა, რამდენადაც ადამიანებს ექსპლოატაციის, ძალადობისა და მოტყუების საშუალებას აძლევს. ის აკრიტიკებდა მის დროინდელ ბურჟუაზიულ მთავრობას იმისათვის, რომ ის არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა ღარიბესი კლასების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

გ) ახალი ინდუსტრიული სისტემის პროექტი. ა. სენ-სიმონი თვლიდა, რომ მის დროს არსებული საზოგადოებრივი სისტემა მეტისმეტად ნაკლოვანი იყო და საჭირო იყო მისი შეცვლა ინდუსტრიული სისტემით. ეს შეცვლა მშვიდობიანი საშუალებით უნდა მომხდარიყო. ა. სენ-სიმონის მომავალი საზოგადოება წარმოდგენილი ჰქონდა მშრომელთა ასოციაციად. ეს ასოციაცია სამრეწველო საწარმოა, რომლის მიზანია საზოგადოების ყველა წევრი, თავისი წვლილის შესაბამისად, უზრუნველყოს რაც შეიძლება მეტი სიკეთით. ეს ისეთი საზოგადოება უნდა იყოს, როცა ადამიანის პირადი ინტერესები და საზოგადოებრივი ინტერესები მუდამ თანხმობაში იქნება.

ა. სენ-სიმონის ინდუსტრიულ სისტემაში სამოქალაქო ხელისუფლების ხელმძღვანელობა უნდა დაევალოს ყველაზე მნიშვნელოვან მიწათმფლობელებს, ფაბრიკანტებს, ვაჭრებს და ბანკირებს. მათ უნდა შექმნან მრეწველთა საბჭო, რომელიც განიხილავს და მიიღებს ყველა საზოგადოებრივ სასარგებლო პროექტს.

ა. სენ-სიმონი თვლიდა, რომ საკუთრების ინსტიტუტი არის საზოგადოებრივი შენობის საფუძველი. ამიტომ იგი მოითხოვდა საკუთრება გადასცემოდათ ქალაქის ბურჟუაზიას და მიწათმოქმედებლებხობას. ა. სენ-სიმონის ასოციაცია არ გულისხმობს კერძო საკუთრების შეცვლას საზოგადოებრივით. კერძო საკუთრება თავის

არსებობას ინარჩუნებს. რჩება საზოგადოების კლასობრივი წყობაც. რამდენადაც მის იდეალურ საზოგადოებაში არსებობენ მეწარმეები და მუშები, არსებობს მეწარმის მოგებაც. ა. სენ-სიმონის სამრეწველო სისტემა სახელმწიფო კაპიტალიზმს წააგავს. მის პროექტში ბურჟუაზიული წყობილებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები გადახლართულია სოციალისტურ პრინციპებთან. შრომის საყოველთაო ხასიათი, სამეურნეო საზოგადოებრივი გეგმა, ყველაზე მრავალრიცხოვანი და ღარიბი კლასის ბედით დაინტერესება. თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ა. სენ-სიმონი ფაქტიურად გვთავაზობდა კონვერგენტულ სისტემას.

### 3.ფურიეს თეორია.

უტოპისტების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფრანგი მოაზროვნე ფრანსუა მარი შარლ ფურიე (1772-1837). იგი დაიბადა მდიდარი ვაჭრის ოჯახში. ერთხანს ისიც ეწეოდა ვაჭრობას, მიუხედავად იმისა, რომ სძულდა ეს საქმიანობა. როგორც თვით შ.ფურიე ამბობდა „ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები სიცრუის სახელოსნოებში გავატარეო“. ვაჭრობისადმი სიძულვილი აქეზებდა მას დაკვირვებოდა სოციალურ მოვლენებს და გაეანალიზებინა თავის ნაშრომებში.

შ. ფურიეს ნაშრომებიდან აღსანიშნავია შემდეგი „ოთხი მოძრაობისა და საყოველთაო ბედიღბლის თეორია“ (1808), „ტრაქტატი შინაური და გარეული სამიწათმოქმედო ასოციაციის შესახებ“. (1822), ახალი სამრეწველო და საზოგადოებრივი სამყარო“ (1829) „სავაჭრო თაღლითობის შესახებ და სხვ.

ამ ნაშრომებში შ. ფურიემ გადმოსცა თავისი მსოფლმხედველობა, მოძღვრება ადამიანის შესახებ, დახატა საზოგადოების განვითარების ისტორიული სურათი, გააკრიტიკა ბურჟუაზიული საზოგადოება და ჩამოაყალიბა შეხედულებები მომავალზე.

#### ა) შ. ფურიეს ისტორიული კონცეფცია.

შ. ფურიემ საზოგადოების ისტორიულ მსვლელობას საფუძვლად დაუდო წარმოების განვითარება და დაამტკიცა, რომ საზოგადოება ვითარდება დაბალი საფეხურიდან მაღალისაკენ. ამასთან, ყოველ მომდევნო საფეხურს უფრო მაღლა აყენებდა. ძველი საზოგადოების ახლად გარდაქმნის საქმეში შ. ფურიე რევოლუციურ მოქმედებას არ აღიარებდა. ახალ საზოგადოებაზე გადასვლას იგი უკავშირებდა ადამიანების ცნობიერების განვითარებას, მათი ბუნების შეცვლას.

*XIX* საუკუნის 20-იანი წლების სამრეწველო და სავაჭრო ცენტრების

ცხოვრებაზე დაკვირვებამ, შ. ფურიეს განუმტკიცა აზრი მის შესახებ, რომ ბურჟუაზიული ცივილიზაციის წყობა, მსხვილი მრეწველობის შექმნით, წარმოების კონცენტრაციით, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებით, თვითონვე ამზადებს პირობებს „სოციეტარული წყობილების" დამყარებისათვის, რომელშიც არ უნდა იყოს გაჭირვება და უმეცრება. 1825 წ. პირველ დიდ სამრეწველო კრიზისზე დაკვირვებით შ. ფურიემ გააკეთა დასკვნა, რომ „კრიზისი ანარქიული მეურნეობის შედეგია და სიჭარბის კრიზისს წარმოადგენს".

ბ) კაპიტალის კრიტიკა. კაპიტალიზმის კრიტიკის დროს შ. ფურიე გამოდიოდა თავისი ისტორიული კონცეფციიდან, რომლის თანახმადაც საზოგადოება ვითარდება დაბალი მარტივი საფეხურიდან მაღლისაკენ. იგი მთელი ისტორიის აღრიცხულ მსვლელობას ოთხ საფეხურად ყოფდა: ველურობა, ბარბაროსობა, პატრიარქატი და ცივილიზაცია. ამ უკანასკნელში კაპიტალიზმს გულისხმობდა.

შ. ფურიე აღნიშნავდა, რომ სოციალურ მოძრაობას არ უყვარს შეჩერება და ერთ წერტილზე გაყინვა. იგი პროგრესისაკენ მიისწრაფვის. მას, ისე, როგორც წყალსა და ჰაერს, ცირკულაციის მოთხოვნილება აქვს, დამდგარი წყალი იხრწნება. ჩვენი დანიშნულებაა წინსვლა. ყოველი პერიოდი ზემდგომისაკენ უნდა მიისწრაფოდეს. ეს ბუნების კარნახია, რომ ბარბაროსობა მიისწრაფვის ცივილიზაციისაკენ, ცივილიზაცია გარანტიზმისაკენ, გარანტიზმი ასოციაციისაკენ.*

შ. ფურიემ მკაცრად გააკრიტიკა ბურჟუაზიული ცივილიზაცია, კონკურენციული ბრძოლა, ძლიერების მიერ სუსტების განადგურება და სხვ. კაპიტალიზმის სოციალურ ბოროტებათა საფუძველს ფურიე ხედავდა წარმოების დაქუცმაცებაში, წარმოების ანარქიაში, საზოგადოებრივ მოუწესრიგებლობაში. კაპიტალიზმის დროს თითოეული ინდივიდი ზრუნავს თავისი სარგებლობისათვის, და მტერია მეორე ინდივიდისა, მათი ინდივიდუალური ინტერესები ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. ზოგიერთი მდიდრდება სხვების ხარჯზე.

კაპიტალიზმის ბოროტებათა საკვანძო პუნქტად ფურიე ვაჭრობას თვლიდა. იგი წერდა, რომ კაპიტალიზმის დროს ვაჭრობისათვის დამახასიათებელია ეგოიზმი, სიცრუე, თაღლითობა, თვითნებობა ფასების განსაზღვრაში, სპეკულაცია და სხვ. ვაჭრობაში დასაქმებული ადამიანები ჩამოცილებულნი არიან წარმოებით პროცესს. კაპიტალისტური ვაჭრობა არღვევს ურთიერთკავშირს წარმოებასა და მოხმარებას შორის, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, აღრმავებს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ ანარქიას.

* შ. ფურიე, რჩ. ნაწარმოებები, ტ. 2 გვ. 391.

შ. ფურიეს მიხედვით კაპიტალიზმის დროს მშრომელების მდგომარეობა აუტანელია. კაპიტალისტთა სიმდიდრე და მშრომელთა სიღარიბე ერთიმეორითაა განპირობებული. სიმდიდრის ზრდა აღიდებს მშრომელი მასების გაჭირვებასაც. შ. ფურიე აღნიშნავდა რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო მხოლოდ მდიდრებს იცავს. იგი ილაშქრებდა ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ და ბრალს სდებდა ბურჟუაზიულ ეკონომისტებს იმაში, რომ ისინი უგულებელყოფდნენ მშრომელი მასების ინტერესებს. გულმოდგინედ ამხელდა კაპიტალისტებს, ვაჭრებს, ქედს იხრიან ოქროსა და ვერცხლის წინაშე. შ.ფურიე აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც ერის ხალხს გამდიდრებასა და კეთილდღეობას ჰპირდება. სინამდვილეში კი გამეფებულია ძალადობა, მშრომელი მასების სიღატაკე და უსამართლობა'

შ. ფურიეს მტკიცებით, ცივილიზაციის წყობილებამ შრომა ადამიანის ნორმალური ცხოველმოქმედებიდან საშინელებად აქცია. ამ საზოგადოებაში ყველა, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, ყოველნაირი გზით ცდილობს თავი დააღწიოს შრომას. შრომა წვრილი მესაკუთრის-გლეხის, ხელოსნის, მეწარმისაც კი - ესაა განუწყვეტელი ბრძოლა, კონკურენტებთან, უზრუნველყოფილობის არ არსებობა, დამოკიდებულება.

შ. ფურიე ამათრახებდა არა მარტო კაპიტალიზმის ეკონომიკურ წყობილებას, არამედ აგრეთვე მის პოლიტიკას, მორალს, კულტურას, აღზრდის სისტემას. განსაკუთრებით ბევრს და მკვეთრად წერდა იგი იმის შესახებ, თუ როგორ რყვნის კაპიტალიზმი სქესთა ბუნებრივ, ადამიანურ ერთიერთობას.''

გ) მოძღვრება ასოციაციის შესახებ. შ. ფურიე არა მარტო აკრიტიკებდა კაპიტალიზმს, არამედ ლაპარაკობდა კაპიტალიზმის წარმავალი ხასიათის და მისი „სოციეტარული წყობით" აუცილებელი შეცვლის შესახებ, რომელშიც მკვეთრად გაუმჯობესდებოდა მშრომელთა მდგომარეობა. შ. ფურიეს მიერ წარმოდგენილი მომავალი საზოგადოება უნდა დაფუძნებულიყო პატარა საწარმოო კოლექტივ-ასოციაციების კოლექტიურ წარმოებაზე, რომელშიც ყოველი ადამიანის ნიჭი და უნარი პოულობს ყოველმხრივ და სრულ განვითარებას. ამ წყობილებაზე გადასვლას ფურიე სამ ეტაპად გულისხმობდა.

1. გარანტიზმი, ნახევრადასოციაცია, 2. სოციანტიზმი მარტივი

'ს. ბერაძე, გ. ჭანუყვაძე, ი. კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწ. 1, გვ.170-171.

''ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე. გვ. 386.

ასოციაცია, 3. ჰარმონიზმი, რიული ასოციაცია.

პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს პირობების მომზადება სოციალიზმზე გადასასვლელად. მთავარი პირობა უნდა იყოს მსხვილი წარმოების შექმნა, რომელიც მოლიანად მოსპობს წვრილ წარმოებას. შესაძლებლობას მექმნის საზოგადოებრივი მეურნეობის გეგმაზომიერად გასავითარებლად. შრომასა და კაპიტალიზმს შორის ურთიერთობა თანდათან დაახლოებული იქნება ასოციაციისადმი. მუშები მონაწილეობას მიიღებენ მოგების განაწილებაში. ნახევრადასოციაციის წევრები პრაქტიკულად დარწმუნდებიან მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების, საზოგადოებრივი კვების, ტრანსპორტის უპირატესობასა და ეკონომიკურ ხელსაყრელობაში, მაშინ ჩამოყალიბდება ჰარმონიზმი ანუ ასოციაცია.

ასოციაციაში შესაძლებელი გახდება ყველა უნარი იმ სახით გამოვლინდეს, როგორც ისინი ღმერთმა მისცა ადამიანსო. შ. ფურიეს მიერ წარმოდგენილი ასოციაცია უნდა შედგებოდეს პირველადი უჯრედების - ფალანგებისაგან. ესაა სამომხმარებლო ასოციაცია, რომელიც სხვადასხვა ასაკის ცოდნისა და ხასიათის 1600-1800 კაცს აერთიანებს. ფალანგა იყოფა სერიებად, რომლებიც თავის მხრივ ჯგუფებად იყოფიან. ჯგუფში 7-9 კაცი შედის, სერიაში 24 ჯგუფია. ფალანგაში არანაკლებ 50 სერია. ყოველი სერია შრომის გარკვეული სახესთან იქნება დაკავშირებული.

ფალანგის საწყისი ფონდი იქმნება აქციონერთა ხარჯზე. ფალანგის წარმოების საშუალებანი კერძო საკუთრება იქნებოდა. ფალანგის წევრები, მათ შორის კაპიტალისტები და მიწათმფლობელები თავიანთ ქონებას, კაპიტალს და მიწას ჩააბარებენ ფალანგას. სანაცვლოდ მიიღებენ აქციებს, რომლებზედაც ყოველ წელს მიიღებენ გარანტირებულ მოგებას დივიდენდის სახით. შ. ფურიეს პროექტით, ფალანგის მთელი შემოსავალი სამ ნაწილად გაიყოფოდა: 5/12 მიიღებდნენ სამუშაოთა აქტიური მონაწილენი, 4/12 კაპიტალის მესაკუთრეები აქციების მიხედვით, როგორც მოგებას, 3/ 12 ტალანტები, როგორც ცოდნის ჯილდო. შემოსავლის ასეთ განაწილებას შ. ფურიეს მიხედვით უნდა უზრუნველეყო კლასობრივი ინტერესების ჰარმონიის მიღწევა. შ. ფურიე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციას. შ. ფურიეს ფალანგაში შრომა მოკლე და სხვადასხვანაირი სეანსების ხასიათს ატარებს. შრომის კაპიტალისტური დანაწილების უარყოფითი მხარეები მას სურდა მოესპო ადამიანთა ხშირი გადასვლით შრომის ერთი სახეობიდან მეორეზე. შ. ფურიეს თქმით შრომის მრავალფეროვნება

შრომას სასიამოვნოს ხდის*.

შ. ფურიეს მიაჩნდა, რომ ადამიანის უნარის ყოველმხრივი განვითარებისათვის, ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფალანგის ცენტრალური სასახლე-ფალანსტერი, სადაც მოთავსდებოდა სახელოსნოები, ბიბლიოთეკები, სასადილო, სასტუმრო, სკოლა და სხვ.

შ. ფურიე ახალ სოციეტარულ საზოგადოებაში უშვებდა მდიდრებისა და ღარიბების არსებობას, კლასობრივ განსხვავებას, ქონებრივ უთანასწორობას. მისი აზრით ჰარმონიაში ყოველგვარი თანასწორობა პოლიტიკურ საწამლავს წარმოადგენსო. ასოციაციის შექმნის ყველა წინანდელი ცდა მარცხით მთავრდებოდა იმიტომ, რომ იგი თანასწორობის პრინციპს ემყარებოდაო.

შ.ფურიე და მისი მიმდევრები შეეცადნენ პრაქტიკულად განეხორციელებინათ ასოციაციის იდეა. ამ საქმეში შ. ფურიე იმედს ამყარებდა კაპიტალისტ ფილანტროპის გამოჩენაზე, რომელიც მილიონს მისცემდა მისი თეორიის პრაქტიკულად შემოწმებისათვის. მაგრამ ასეთი კაპიტალისტი არ აღმოჩნდა. მაშინ ფურიერისტებმა დააარსეს სააქციო კომპანია. აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხით 1832 წ. პარიზიდან 63 კილომეტრზე კონდე-სიურ-ბეგრაში გადაწყდა აგებულიყო სადა ფალანსტერი. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ შ. ფურიე და მისი მოწაფეები. (მიუპრონი, კონსიდერანი, ლემეიოლე და სხვ.) მაგრამ მათ ბოლომდე ვერ მიიყვანეს ეს წამოწყება.

იმ პერიოდში ფალანსტერის შექმნის რამოდენიმე წარუმატებელი ცდა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

## 4. რ. ოუენის პრაქტიკული მოღვაწეობა

უტოპიური თეორიები გავრცელდა დიდ ბრიტანეთშიც. ამ მიმდინარეობის მთავარი წარმომადგენელი იყო რობერტ ოუენი (1771-1858). იგი დაიბადა სამხრეთ უელსის პატარა ქალაქ ნიუ-თაუნში, წვრილი ხელოსნის ოჯახში. პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, რ. ოუენმა 9 წლისამ დაიწყო დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობა.

ფურიეს მსგავსად, ოუენს სისტემატური განათლება არ მიუღია, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფალი იყო ოფიციალური მეცნიერების ბევრი ცრურწმენის და დოგმისაგან.** იგი ბევრს მეცადინეობდა დამოუკიდებლად და მრავალი თხზულება დაწერა: „ადამიანის

* შ. ფურიე, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, გვ. 84 (რუს).

**ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, მ. 1971, გვ. 352 (რუს).

ხასიათის შექმნის შესახებ" (1813). „შენიშვნები სამრეწველო სისტემის გავლენის შესახებ" (1815). „მოხსენება ლენარკის საგრაფოს" (1820). „საზოგადოების რაციონალური სისტემის გადმოცემა" (1830) „წიგნი ახალი მორალური სამყაროს შესახებ" (1836-1844). „რევოლუცია ადამიანთა მოდგმის ცნობიერებასა და პრაქტიკაში"(1849) და სხვ.

რ. ოუენმა ეს ნაწარმოებები თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში დაწერა, დასაწყისში კი იგი წიგნის კითხვას მხოლოდ ხანდახან ახერხებდა. ის მუშაობდა ნოქრად სტემფორდის, ლონდონისა და მანჩესტერის მაღაზიებში. შემდეგ მან ძმისგან სესხად აიღო 100 გირვანქა სტერლინგი და ერთ კომპანიონთან ერთად გახსნა სართავი მანქანების დასამზადებელი პატარა სახელოსნო. შემდგომში გახსნა სართავი მანქანის პატარა საწარმო, სადაც თვითონაც მუშაობდა ორ-სამ მუშასთან ერთად. 20 წლის გახდა მსხვილი სართავი ფაბრიკის მმართველი და მფლობელი.

შოტლანდიაში საქმეზე ყოფნის დროს, გლაზგოს მახლობლად ნიუ-ლენარკის დასახლებაში, რ. ოუენი დაუახლოვდა სართავი ფაბრიკების უფროსის, მდიდარი მეფაბრიკის დევიდ დეილის ქალიშვილს, რომელზედაც იქორწინა 1799 წ. და და გადასახლდა ნიუ-ლენარკში, სადაც იგი რამოდენიმე კაპიტალისტთან ერთად გახდა თავისი სიმამრის ყოფილი ფაბრიკების თანამფლობელი და მმართველი.

ნიუ-ლენარკში რ. ოუენმა უფრო გაშალა ორიგინალური საზოგადოებრივი საქმიანობა. როდესაც იგი ფაბრიკის მმართველი გახდა ნიუ-ლენარკის მოსახლეობა ძალიან ცუდად ცხოვრობდა. ეს იყო დემორალიზებული, ჭრელი და ბნელი მასა, რომელიც იძულებული იყო თავი ნიუ-ლენარკში შეეფარებინა, რათა როგორმე ეარსება. ნიუ-ლენარკის ფაბრიკაში დასაქმებული იყო 2000 მუშა.

რ. ოუენმა მკვეთრად შეცვალა ნიუ-ლენარკის მოსახლეობის ხასიათი. ზარმაცი, ჭუჭყიანი და უზნეო ადამიანებისაგან ისინი იქცნენ ბეჯით, ფხიზელ და მნეობრივ ადამიანებად. ამას რ. ოუენმა იმით მიაღწია, რომ მუშებს ადამიანური ცხოვრების პირობები შეუქმნა, ხოლო მათ ბავშვებს კარგი აღზრდა მისცა. ფაბრიკის მოწყობის დროს სახელდახელოდ შეკოწიწებული ბარაკების ნაცვლად რ. ოუენმა მუშებისათვის ააშენა მოხერხებული და ჰიგიენური ორ-სამოთახიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ქირავდებოდა იმ ფასად, რომ ანაზღაურებული ყოფილიყო მხოლოდ მშენებლობის ხარჯები. რ. ოუენმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა, რათა დასახლება კარგი სანოვაგით მოემარაგებინა. ფაბრიკის ხარჯზე საზოგადოებრივი მაღაზია გახსნა, სადაც მუშებს შეეძლოთ იაფად შეეძინათ კარგი ხარისხის პროდუქტები.

ლოთობის მოსასპობად რ. ოუენმა საკუთარი სამიკიტნო გახსნა,

სადაც კარგი ხარისხის სასმელის ჭიქა შეიძლებოდა უფრო იაფად, ვიდრე კერძო სამიკიტნოებში. კერძო სამიკიტნოების მეპატრონეებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას და იძულებულნი გახდნენ დაეხურათ თავიანთი სამიკიტნოები.

არსებული 13-საათიანი სამუშაო დღის ნაცვლად რ. ოუენმა დააწესა 10.5-საათიანი სამუშაო დღე. მოაწყო ბავშვთა ბაგები, ბაღები, სკოლა სადაც სასწავლო ხარჯებს საწარმო იხდიდა. მოაწყო საავადმყოფო მუშებისათვის, ურთიერთდახმარების სალაროები, დააწესა პენსიები მოხუცებისათვის და ა. შ.

მაგრამ რ. ოუენის მოღვაწეობამ გაანაწყენა მისი კომპანიონი კაპიტალისტები და იგი დირექტორობიდან გადააყენეს. ამან დაარწმუნა რ. ოუენი, რომ ასეთი ლინისძიებით ბურჟუაზიული ურთიერთობების გარდაქმნა შეუძლებელი იყო. შემდეგ იგი გამოვიდა მთელი საზოგადოებრივი სისტემის ძირეული გარდაქმნის იდეით. იგი ფიქრობდა, რომ ნიუ-ლენარკის გამოცდილება შეიძლება გამოყენებული იქნას კაპიტალიზმის ჩარჩოებში კომუნისტური ასოციაციის შესაქმნელად.

1815 წ. რ. ოუენი გამოვიდა სამუშაო დღის შემცირებისა და მოზარდთა დაცვის მოთხოვნით. მან პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომელსაც მმართველი წრეები მტრულად შეხვდნენ. მაგრამ ოთხი წლის შემდეგ იგი შეკვეცილი სახით გამოიცა კანონად. 1817 წ. რ. ოუენმა აქტიური მონაწილეობა მიიღო უმუშევრობის საკითხის გარჩევაში. მან წარმოადგინა კოოპერაციულ დასახლებათა მოწყობის პროექტი. ასეთ დასახლებაში გაერთიანებული იქნებოდა 1500-მდე ადამიანი. წარმოების საშუალებანი საზოგადოებრივ საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. რ. ოუენი ცდილობდა ასეთი გზით არა მარტო უმუშევრობის ლიკვიდაციას, არამედ აღზრდის გაუმჯობესებას და ხასიათის გარდაქმნას. მთავრობამ უარყო ოუენის პროექტი. რ. ოუენი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა მთელი საზოგადოებრივი სისტემის შეცვლა. მან დაიწყო თავისი იდეის პროპაგანდა. რ. ოუენის იდეის მთავგონებით *XIX* საუკუნის 20-იან წლებში ინგლისში დაიწყო კოოპერაციული ორგანიზაციების წარმოშობა.

1824 წელს რ.ოუენი თავისი მიმდევრებითა და ოჯახით აშშ-ში გადასახლდა. იქ მან შეიძინა 30 ათასი აკრი მიწა ნაგებობებით და მოაწყო კოოპერაციული თემი „ახალი ჰარმონია". ამით მან ნაბიჯი გადადგა თავისი იდეის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მაგრამ საბოლოოდ იქაც ვერ მოიპოვა წარმატება. თემმა მხოლოდ ოთხი წელი იარსება. 1829 წელს ოუენი ინგლისში დაბრუნდა, სადაც შეიმუშავა „შრომის სამართლიანი გაცვლის ეროვნული ბაზრის" მოწყობის პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად უნდა

გარდაქმნილიყო საზოგადოება. მან განიზრახა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოესპო ფული და ამ ბაზრის მეშვეობით განხორციელებულიყო საქონლის მწარმოებელთა უშუალო კავშირი.

ასეთი „ბაზარი" ლონდონში გაიხსნა 1832 წელს. „ბაზარს" ჰქონდა ბანკი, სადაც ყველას შეეძლო მოეტანა და ჩაებარებინა თავისი საქონელი. იგი შეფასდებოდა ექსპერტების მიერ და მის პატრონს მიეცემოდა ქვითარი ანუ „შრომითი ფული", რომელშიც აღინიშნებოდა რამდენი შრომა-საათია დახარჯული ჩაბარებული საქონლის წარმოებაზე. ამ ქვითრით მის მფლობელს შეეძლო ბანკში მიეღო სხვა საქონელი, რომლის წარმოებაზეც იმდენივე შრომა საათი იყო დახარჯული[1].

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეკონომიკური უთანასწორობის მთავარ მიზეზად რ. ოუენი თვლიდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას. მისი თქმით კერძო საკუთრება და კონკურენცია იწვევს ადამიანის ზნეობრივ დაცემას, ანგარებას, თაღლითობას და ა. შ. რ. ოუენის მიერ დახატულ ახალ საზოგადოებაში ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა კერძო საკუთრებას.

რ. ოუენი შ. ფურიეს მსგავსად უარყოფითად ახასიათებდა კაპიტალისტურ ვაჭრობასაც. იგი უნაყოფოდ თვლიდა ვაჭრების შრომას და მიაჩნდა, რომ ვაჭრები თავიანთი სავაჭრო ხარჯებით ადიდებდნენ საქონლის ღირებულებას, აძვირებდნენ საქონელს. ამიტომ პარაზიტებს უწოდებდა მათ. რ. ოუენი იმედოვნებდა, რომ „შრომის სამართლიანი ბაზრის" მეშვეობით შეიძლებოდა ვაჭრების თავიდან მოცილება, საქონლის შეუფერხებელი გასაღება, უმუშევრობისა და კრიზისების მოსპობა. მაგრამ ორი წლის ფუნქციონირების შემდეგ ამ ბანკმა კრახი განიცადა და ეს ექსპერიმენტიც ჩაიშალა.

რ. ოუენი მიიჩნევდა, რომ ყველაფერში დამნაშავეა ფული, ღირებულების ეს ხელოვნური საზომი, რომელმაც გამოდევნა ღირებულების ბუნებრივი საზომი-შრომა.

რ. ოუენი იზიარებდა დ. რიკარდოს შრომითი ღირებულების თეორიას და აღნიშნავდა, რომ შრომა არის ღირებულების შემქმნელი და საზომი; საქონელთა გაცვლა უნდა ხორციელდებოდეს შრომის მიხედვით. ეს უნდა გულისხმობდეს იმას, რომ მუშა ღებულობდეს მის მიერ წარმოებული საქონლის სრულ ღირებულებას. რაც ასე არ არისო. ამაში იგი ბრალს სდებდა კაპიტალიზმს და მოითხოვდა მის შეცვლას სოციალიზმით.

რ. ოუენის მიხედვით ახალ საზოგადოებაზე გადასვლა უნდა

-----

[1] ს. ბერაძე, გ. ჭანუყვაძე, ი. კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწ. I. გვ. 175-177.

მომხდარიყო მშვიდობიანი გზით ა. სენ-სიმონისა და შ. ფურიეს მსგავსად, ისიც მიმართავდა სახელმწიფო მოღვაწეებს, კაპიტალისტებს, მემამულეებს და ცდილობდა ისინი დაერწმუნებინა ახალი საზოგადოების უპირატესობაში.

რ. ოუენის პროექტები განუხორციელებელი-უტოპიური დარჩა, ვინაიდან ისინი წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული იყო.

## 5. სოციალისტ-რიკარდოელები. უ. ტომპსონი. ჯ. გრეი, ჯ. ბრეი, თ. ჰოდსკინი.

*XIX* ს. 20- იან წლებში გამოჩნდნენ მოაზროვნეები, რომლებიც ცდილობდნენ დ. რიკარდოს ღირებულებისა და მოგების თეორია გამოეყენებინათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ეკონომისტებმა მიიღეს სოციალისტ-რიკარდოელების სახელწოდება. სოციალისტ-რიკარდოელებმა გააფართოვეს კაპიტალიზმის კრიტიკა. ისინი რიკარდოს თეორიას იყენებდნენ იმისათვის, რომ ეჩვენებინათ მოგების, რენტის და სხვ. შემოსავლების ნამდვილი ბუნება. მათი მტკიცებით მოგება სხვისი აუნაზღაურებელი შრომის პროდუქტია, დაქირავებული მუშათა კლასის ექსპლოატაციის შედეგია.

სოციალისტ-რიკარდოელებმა რიკარდოს თეორიიდან გააკეთეს დასკვნა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სიმდიდრის განაწილებას ეწინააღმდეგება ღირებულების კანონი, რადგან ამ კანონით შრომის მთელი პროდუქტი მუშებს უნდა ეკუთვნოდეს, სინამდვილეში ისინი იღებენ მხოლოდ მის ნაწილს ხელფასის ფორმით. სოციალისტ-რიკარდოელები ბურჟუაზიას ებრძოდნენ მისივე საკუთარი იარაღით,- რიკარდოს ღირებულებისა და მოგების თეორიით. ინგლისელი სოციალისტ რიკარდოელების ყველაზე დიდი წარმომადგენლები იყვნენ: უ. ტომპსონი, ჯ. გრეი, ჯ. ბრეი და თ. ჰოდსკინი.

უილიამ ტომპსონი (1785-1833) მდიდარი მიწათმფლობელი იყო. მან თავისი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი დახარჯა თავისი იდეების პროპაგანდასა და ცხოვრებაში გატარებაზე. 1824 წ. მან გამოსცა თავისი მთავარი თეორიული ნაშრომი „გამოკვლევა სიმდიდრის განაწილების პრინციპების შესახებ, ყველაზე ხელშემწყობი ადამიანური ბედნიერებისათვის."

უ. ტომპსონი აკრიტიკებდა კაპიტალისტურ განაწილებას და აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტი მუშებისაგან ითვისებს მისი შრომის პროდუქტის სულ ცოტა ნახევარს.

უ. ტომპსონს წარმოების ორგანიზაციის ყველაზე ნაყოფიერ შრომად კოოპერაცია მიაჩნდა, რომელიც მწარმოებლებს უზრუნველყოფს მათი შრომის სრული პროდუქტის მიღებით.

ე. ტომპსონი დიდ ყურადღებას უთმობდა ეკვივალენტურ გაცვლას. მასში იგი ეძებდა სამართლიან განაწილებას ღირებულების კანონის მიხედვით და გამოდიოდა რ. ოუენის კოოპერაციული იდეის მომხრედ, რომელშიც გაცვლა არ უნდა ყოფილიყო.

სოციალისტ-რიკარდოელების შემდეგი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ჯონ გრეი (1798-1850). მან მონაწილეობა მიიღო ოუენისტურ მოძრაობაში, მაგრამ რ. ოუენისაგან განსხვავებით იგი გმობდა მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტურ საკუთრებას და იცავდა წვრილ საკუთრებას.

1825 წ. ჯ. გრეიმ გამოაქვეყნა ნაშრომი „ლექციები ადამიანთა ბედნიერების შესახებ“, რომელშიც დიდ ყურადღებას უთმობდა კაპიტალიზმის კრიტიკას.

ჯ. გრეი ბურჟუაზიულ საზოგადოებას სამ ჯგუფად ყოფდა: 1. მწარმოებლური, ყველა მატერიალური დოვლათის შემქმნელი, 2. არამწარმოებლური, მაგრამ საზოგადოების აუცილებელი სამსახურის გამწევი (ექიმები, მასწავლებლები, მხატვრები და ა. შ.) და 3. უნაყოფო. მათ ჯ. გრეი მიაკუთვნებდა კაპიტალისტებს. ის ბრალს სდებდა უკანასკნელებს იმაში, რომ ისინი საზოგადოების სასარგებლო წევრებს მათი შრომის 4/5-ს ართმევენო. მუშებს მხოლოდ საარსებო საშუალებებს უტოვებენო.

ჯ. გრეი ოცნებობდა ახალ საზოგადოებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა შრომის მაღალ ნაყოფიერებას. სიღარიბის მთავარ საფუძვლად იგი აღიარებდა კონკურენციას და მოითხოვდა პირველ რიგში სავაჭრო წესრიგის გარდაქმნას.

ჯ. გრეიმ რ. ოუენის მსგავსად წამოაყენა „მუშა ფულის“ პროექტი. იგი ოცნებობდა მიმოქცევის ისეთ ორგანიზაციაზე, რომელიც შეახამებდა ერთიანი ცენტრის შექმნას. საცვლელი ბანკის ორგანიზაციაში ჯ. გრეი ხედავდა ყველა სოციალური საკითხის გადაჭრის შესაძლებლობას. ბანკი საშუალებას მისცემდა ყოველ მშრომელს მიეღო თავისი შრომის სრული პროდუქტი, კერძო საკუთრების ხელშეუხებლად შენარჩუნებით. თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ჯ. გრეიმ რეფორმისტული პოზიცია დაიკავა. „ლექციებში ფულის ბუნებისა და გამოყენების შესახებ“ ის დაჟინებით ამტკიცებდა, რომ საჭირო არ არის არსებული წყობილების საფუძვლების შერყევაო. იგი გამოდიოდა ადამიანებს შორის ურთიერთ-თანამშრომლობისა და ნდობის მომხრედ.

გაცვლის თავისი ვარიანტით გამოვიდა ჯონ ფრენსის ბრეი (1809-1895) ჯ. ბრეი ავტორია წიგნისა „შრომის მიმართ უსამართლობანი და მათი აცილების საშუალებანი“ამ ნაშრომში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა კერძო საკუთრებას. მას მიაწერდა ყველა

სოციალური და პოლიტიკური უბედურების წარმოშობას. იგი იწვევს უთანაბრო გაცვლას შრომასა და კაპიტალს შორის. ჯ. ბრეის მიაჩნდა, რომ მუშათა ძარცვა შეიძლება აღმოიფხვრას კერძო საკუთრების ლიკვიდაციით. ამ საკითხის გადაჭრას ჯ. ბრეი შესაძლებლად თვლიდა საქციო საზოგადოების ორგანიზაციით. მისი აზრით, საქციო საზოგადოებები თავიანთ პროდუქტებს ერთმანეთს მიჰყიდიან სპეციალური, სამართლიანი გაცვლის ბაზრების დახმარებით, შრომითი ღირებულების თეორიის შესაბამისად.

ამ გზით აქციონერები მიიღებენ მათ მიერ დახარჯული შრომის სრულ ეკვივალენტს. ვინც ბევრს იმუშავებს ის ბევრს მიიღებს. ეს გზა გაათავისუფლებს მუშებს კაპიტალისტის მიერ მათი შრომის არაეკვივალენტური შესყიდვისაგან. ასეთ თანდათანობით შეწყდება შრომის გაცვლა კაპიტალზე და კაპიტალიზმი ლიკვიდირებული იქნება მშვიდობიანი გზით - დაასკვნიდა ჯ. ბრეი.

სოციალისტ-რიკარდოელების შემდეგი წარმომადგენელი იყო თომას ჰოდსკინი (1787-1869). იგი დიდი ეკონომისტი იყო. თ. ჰოდსკინის ნაშრომებია: „შრომის დაცვა კაპიტალის მიჩემებისაგან" და „პოპულარული პოლიტიკური ეკონომია". პირველ წიგნში იგი იცავდა კოალიციის თავისუფლებას და უარყოფდა კაპიტალის მწარმოებლურობის თეორიას. მეორეში კი თ. ჰოდსკინი აღნიშნავს, შრომისა და კაპიტალის ინტერესების წინააღმდეგობას. თ. ჰოდსკინი გამოდიოდა კაპიტალიზმის კრიტიკით და სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდა მუშის შრომას. იგი თვლიდა, რომ ექსპლოატაცია და მოგება კაპიტალისტების მხრიდან არაეკონომიკური იძულების შედეგია. ბურჟუაზიული სახელმწიფო კერძო საკუთრების დაცვით, იცავს კაპიტალისტების მიერ მუშათა ექსპლოატაციის უფლებასო.

თ. ჰოდსკინი უარყოფდა კერძო საკუთრებას და მას ხელოვნურად თვლიდა. ამასთან ის იცავდა მშრომელთა საკუთრებას და მას ბუნებრივს უწოდებდა. თ. ჰოდსკინის მიხედვით, ადამიანთა საზოგადოების განვითარების მსვლელობაში ხდება ბუნებრივი საკუთრების თანდათანობითი განთავისუფლება ხელოვნურისაგან და საბოლოო ჯამში ბუნებრივი საკუთრება გაიმარჯვებსო.

### 6. ხალხოსნობა უტოპიური სოციალიზმის რუსული ნაირსახეობა.

უტოპიური სოციალიზმის, რუსული სახესხვაობის - ხალხოსნობის (ნაროდნიკობის) ფუძემდებელი იყო ა. ი. გერცენი.

ალექსანდრე ივანეს-ძე გერცენი (1812-1870) ეკუთვნოდა *XIX* ს. პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა

თარბას. მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია რომანი „ვინ არის დამნაშავე", მოთხრობები „ქურდბაცაცა კაჭკაჭი", „ექიმი კრუპოვი" და სხვ. რუსეთში ბატონყმობისა და კაპიტალიზმის კრიტიკას, ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის საკითხს ა. გერცენმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა - „რუსული ბატონყმობა", „რუსეთში რევოლუციური განვითარების შესახებ", „რუსი ხალხი და სოციალიზმი", „მონათლული საკუთრება" „წერილები საფრანგეთიდან და იტალიიდან" და სხვ.

ა. გერცენი სოციალიზმს ხედავდა მიწის ფლობის უფლებისა და მიწის გათანაბრებითი განაწილების გლეხურ, რევოლუციურ დემოკრატიულ მისწრაფებაში თანასწორობისაკენ. იგი მიწის მემამულური საკუთრების წინააღმდეგი იყო და ვარაუდობდა, რომ გლეხური რევოლუციის გამარჯვების შედეგად გლეხობა მიიღებდა მიწას და თავისუფლებას. ა. გერცენი სტიქიურ გლეხურ სოციალიზმზე ამყარებდა თავის იმედებს, რომელსაც უპირისპირებდა როგორც ბატონყმობას, ისე კაპიტალიზმსაც.

რუსული გლეხური სოციალიზმის იდეას იცავდა აგრეთვე, ა. გერცენის მეგობარი ნიკოლოზ პლატონის-ძე ოგარიოვი, (1813-1877). თავის ნაშრომებში: „კიდევ გლეხთა განთავისუფლების შესახებ", „წერილები თანამემამულეს", „რა სჭირდება ხალხს?", „რა უნდა გააკეთოს ხალხმა", „ახალი საგლეხო დებულების განხილვა" და სხვ. ნ.ოგარიოვეიც ეწეოდა გლეხური თემის იდეალიზაციას.

ა.გერცენისა და ნ.ოგაროვის შემდეგ რუსეთში ხალხოსნური შეხედულებები განავითარა ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკიმ (1828 -1889). იგი იყო რაზნოჩინული მოძრაობის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე. ისიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე გლეხური თემის საშუალებით.

სოციალისტური საზოგადოების შესახებ თავისი აზრები ნ.ჩერნიშევსკის გადმოცემული აქვს ნაშრომებში: „რა ვაკეთოთ?" „მიწის როგორც სიმდიდრის ელემენტის შესახებ", „თემური მფლობელობის წინააღმდეგ ფილოსოფიური წინაზრახვის კრიტიკა", „ტიურგო", „სალამი საბატონო გლეხებს მათი კეთილისმსურველებისაგან", „წერილები უმისამართოდ", „კაპიტალი და შრომა", „ჯონ სტიუარტ მილის პოლიტიკური ეკონომია", „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიიდან (მილის მიხედვით)" და სხვ.

ნ.ჩერნიშევსკის ნაშრომებს წითელ ზოლად გასდევს ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიტიკული ანალიზი. მან ახსნა ბატონყმობის კრიზისის არსი და დაასაბუთა მისი დაღუპვის გარდუვალობა. ნ.ჩერნიშევსკის ღრმად სწამდა, რომ გლეხთა რევოლუცია, რომელიც მეფის თვითმპყრობელობას დაამხობდა და ბატონყმობას მოსპობდა,

სოციალისტური რევოლუცია იქნებოდა და გლეხური თემის საშუალებით სოციალიზმს განახორციელებდა.

გლეხურ თემში ნ.ჩერნიშევსკი ხედავდა არსებული საზოგადოებრივი ცხოვრებიდან იმ ახალ საზოგადოებაზე გადასვლის საშუალებას, რომელიც უფრო მაღალი იქნებოდა ვიდრე დასავლეთევროპული კაპიტალისტური საზოგადოება.

ნ.ჩერნიშევსკის ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკას. ჩერნიშევსკი ხედავდა კაპიტალიზმის უარყოფით მხარეებს. ამასთან, სცნობდა მის პროგრესულობას ფეოდალურ წყობილებასთან შედარებით. მაგრამ ის ხაზს უსვამდა ამ პროგრესულობის შედარებით ხასიათს, ე.ი. კაპიტალიზმის გარდამავალ ხასიათს და მისი სოციალიზმით შეცვლის აუცილებლობას.

ნ.ჩერნიშევსკიმ გააკრიტიკა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ცალკეული სკოლები და თეორიები. ამ კრიტიკის საფუძველზე მან შექმნა „მშრომელთა პოლიტიკური ეკონომია". ასეთი პოლიტიკური ეკონომიის საგნად ნ.ჩერნიშევსკი მიიჩნევდა სიმდიდრის მწარმოებლების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის შესწავლას. ნ.ჩერნიშევსკიმ აითვისა კლასიკური სკოლის ღირებულების თეორიის რიგი ელემენტები და ისინი განავითარა სოციალისტური მიმართულებით. ღირებულების თეორიით მან დაასაბუთა მწარმოებლების უფლება მიიღონ ნაწარმოები პროდუქტი და ამ გზით ექსპლოატაციის აღმოფხვრის აუცილებლობა.

ნ.ჩერნიშევსკი ფიქრობდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანი მთლიანად დაიპყრობს ბუნებას და ყველაფერს თავისი მოთხოვნილების მიხედვით გადააკეთებს. განათლების განვითარების შედეგად ნელ-ნელა დაევა ყოველგვარი მანკიერება, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას. მოისპობა ყველა ბოროტებათა მთავარი მიზეზი - პატივმოყვარეობა. შრომა უფრო ნაყოფიერი გახდება. ამ ცვლილებათა შედეგად ადამიანთა საარსებო საშუალებანი და მათი მოთხოვნილებანი გაწონასწორდებიან და მაშინ საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვა პირობები შეიქმნებაო.

„გლეხური რევოლუციის" იდეა რუსეთში შემდეგ გააგრძელეს 70-იანი წლების ხალხოსნებმა. ხალხოსნები მოითხოვდნენ მთელი მიწის უსასყიდლოდ გადაცემას გლეხობისათვის, თვითმპყრობელობისა და თავადაზნაურთა პრივილეგიების ლიკვიდაციას. ისინი ოცნებობდნენ მთელი ხალხის თავისუფლებასა და თანასწორობაზე. ხალხოსნები სოციალისტ-უტოპისტები იყვნენ. თავიანთ წინამორბედთა მსგავსად, ისინიც გლეხური თემის მეშვეობით ერთბაშად სოციალისტურ წყობაზე გადასვლაზე ოცნებობდნენ. მათი აზრით,

თემი - ეს „სოციალიზმის ჩანასახია“, „სოციალისტური უჯრედია“, ხოლო რუსი გლეხი თავისი ბუნებითა და ხასიათით სოციალისტია.

რუსული ხალხოსნობის ისტორიაში მკვეთრად გამოიყოფა ორი ეტაპი: რევოლუციური (70-იანი წლები) და ლიბერალური (80-90-იანი წლები).

რევოლუციური ხალხოსნების გამოსვლა მიეკუთვნება რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინულ, ანუ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ეტაპს. ისინი აგრძელებდნენ ნ.ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ ტენდენციებს. ისინი ამხილებდნენ რუსეთში იმ პერიოდში არსებულ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას და გლეხებს ამხედრებდნენ ბატონყმობის ნაშთებისა და კაპიტალისტური ფორმების წინააღმდეგ საბრძოლველად. 70-იანი წლების ხალხოსნობაში მთავარი მიმართულებები იყო ლავრიზმი, ბაკუნიზმი და ტკაჩევიზმი. ყველა მათგანისთვის დამახასიათებელი იყო გლეხური თემის სოციალისტურობის რწმენა.

80-90-იან წლებში ლიბერალური ხალხოსნები გამოდიოდნენ რუსეთში არსებული აგრარული ურთიერთობების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მათ შეცვლას. მაგრამ ისინი რევოლუციური ხალხოსნებისაგან განსხვავებით უარს ამბობდნენ მათ ძირეულ მსხვრევაზე. ლიბერალური ხალხოსნების მთავარი წარმომადგენლები ვორონცოვი, დანიელსონი, მიხაილოვსკი, კრივენკო, იუჟაკოვი და სხვ. მოითხოვდნენ რუსეთის სოციალიზმზე გადასვლას კაპიტალიზმის გვერდის ავლით, არსებულ ურთიერთობების გარდაქმნის გზით. მათი მტკიცებით იმ პერიოდში რუსეთში არ იყო პირობები კაპიტალიზმის განვითარებისათვის, ვინაიდან კაპიტალზმის განვითარება იწვევს საშინაო ბაზრის შეკვეცასო. ამ საკითხში ისინი აგრძელებდნენ ფრანგი წვრილბურჟუაზიული ეკონომისტის ს.სისმონდის აზრს. სინამდვილეში ცნობილია, რომ კაპიტალიზმის განვითარება კი არ კვეცავს, არამედ აფართოებს საშინაო ბაზარს.

## 7. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის დემოკრატიული სოციალიზმის მოდელი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ფართოდ გავრცელდა დემოკრატიული სოციალიზმის თეორია.

დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სოციალიზმად დაყოფა პირველად მოახდინეს II კომუნისტური ინტერნაციონალის ლიდერებმა. მეორე მსოფლიო ომამდე დემოკრატიული სოციალიზმის იდეას იცავდნენ კ.რ.ეტლი (ინგლისში), ვანდერველდე (ბელგიაში),

რ.ჰილფერდინგი და სხვები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიული სოციალიზმის მთავარ თეორეტიკოსებად გამოვიდნენ ხ.გეიტსკელი, ბენედიქტე კაუცკი (კაუცკის შვილი), ჯ.სტრეჩი და სხვ.

დემოკრატიული სოციალიზმის თეორია წარმოადგენს სახალხო კაპიტალიზმის თეორიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მისი დამცველები შესაძლებლად მიიჩნევენ კლასთა ინტერესების ჰარმონიასა და კლასობრივი ზავის შესაძლებლობას. ისინი ამტკიცებენ კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის შესაძლებლობას.

დემოკრატიული სოციალიზმის თეორია სარგებლობს კ.კაუცკის იდეით ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ზეკლასობრივი ხასიათის შესახებ. მისი დამცველების მტკიცების თანახმად, ბურჟუაზიული სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ ფაქტორს და ძირითად მამოძრავებელ ძალას სოციალიზმის მშენებლობაში.

დემოკრატიული სოციალიზმის ავტორების მსჯელობით კ.მარქსმა გასული საუკუნის შუახანებში მოგვცა სოციალიზმის როგორც მუშათა მოძრაობის იდეოლოგიის დახასიათება. მაგრამ სოციალიზმის ასეთი გაგება უკვე მოძველდაო. მათი მტკიცებით, ახლა სოციალიზმი გახდა საზოგადოების ყველა კლასების მიზანი და სოციალისტურმა მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა. ინგლისელი გეიტსკელი აღნიშნავდა: „ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ არსებობს კაპიტალისტთა კლასი და მუშათა კლასი, არ ესმით საგანთა ნამდვილი მდგომარეობა. შრომის უნარის მქონე ადამიანთა 99.9% მუშაობს, ამგვარად კლასი ადამიანებისა, რომლებიც არ მუშაობენ, აღარაა"*

დემოკრატიული სოციალიზმის თეორეტიკოსები მიუთითებენ, რომ სოციალიზმის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრების შეერთება კერძოსთან. არსებითად ისინი იზიარებენ შერეული ეკონომიკის მოძღვრებას.

1961 წელს სოციალისტურმა ინტერნაციონალმა სპეციალური დეკლარაცია მიიღო სათაურით: „დემოკრატიული სოციალიზმის მიზნები და ამოცანები", სადაც ნათქვამია: „სოციალისტები ისწრაფვიან შექმნან ახალი საზოგადოება დემოკრატიული საშუალებებით. არ არსებობს სოციალიზმი თავისუფლების გარეშე. სოციალიზმი შეიძლება განხორციელდეს ცხოვრებაში მხოლოდ დემოკრატიის საშუალებით, ხოლო დმოკრატია შეიძლება დაგვირგვინდეს სოციალიზმის საშუ-

*ციტ. ე.ვარგა, მეოცე საუკუნის კაპიტალიზმი, მ., 1961, გვ. 77 (რუს).
**იხ. ზ.ნ.ბელიაევა, ე.ა.ბუდარინი, თანამედროვე ბურჟუაზიული, რეფორმისტული და რევიზიონისტული ეკონომიკური თეორიების კრიტიკა, მ., 1962, გვ. 60 (რუს).

ალებით"***.

დემოკრატიული სოციალიზმის თეორიის დამცველებს სჯერათ, რომ მათი თეორიის პრაქტიკულ განხორციელებას შეუძლია უზრუნველყოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის საყოველთაო, განუხრელი ამაღლება.

დემოკრატიულ სოციალიზმის თეორიის თანახმად საზოგადოება შეიძლება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე განვითარდეს არა რევოლუციური გადასვლის, არმედ ევოლუციური გადაზრდის გზით. კაპიტალიზმის ევოლუციური განვითარების გზით სოციალიზმზე გადასვლა გულისხმობს სოციალიზმის ელემენტების ჩასახვას კაპიტალიზმში და მათ შემდგომ განვითარებას.

# ნაწილი III

# XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეკონომიკური აზრი

## თავი XII

## მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრება

მარქსიზმის მოძღვრებას ყოველთვის არაერთმნიშვნელოვნად აფასებდნენ. მას ყოველთვის ყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. ორივე მხარეს გააჩნია თავისი პოზიცია და არგუმენტები. მაგრამ ეთანხმებიან თუ არა კ.მარქსს მსოფლიოს გამოჩენილი ეკონომისტები მას, როგორც ეკონომისტს ავტორიტეტად მიიჩნევენ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები რ.ჰეილბრონერი და ლ.გაროუ კ.მარქსს ასახელებენ კაცობრიობის ყველა დროის გამოჩენილ ეკონომისტთა სამეულში. ესენია: ადამ სმიტი, კარლ მარქსი და ჯონ მაინარდ კეინსი. ისინი იქვე მიუთითებენ, რომ ეს სამი სახელი მკითხველებში სისხლის წნევის აწევას იწვევს იმასთან დამოკიდებულებით ისინი კონსერვატორები არიან, რადიკალები თუ ლიბერალები*

რ.ჰეილბრონერი და ლ.გაროუ აღნიშნავენ, რომ „როგორც რევოლუციური ინტელექტუალი მარქსი ალბათ იყო ოდესმე არსებულ აზრთა იღბლიანი მეამბოხე გარემოებათა ძალით ის შეიძლება შეედაროს უდიდეს რელიგიურ ლიდერებს - ქრისტეს, მუჰამედსა და ბუდას"-ო**

თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები კ.სამუელსონი და უ.ნორდჰაუსი წერენ: „მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც „კაპიტალი" ეკონომიკურ სახარებას წარმოადგენსო"***. ეს ეკონომისტებიც კ.მარქსს ასახელებენ მსოფლიოს გამოჩენილ ეკონომისტთა სამეულში****. კ.რ.მაკკონელი და ს.ლ.ბრიუ კ.მარქსს ასახელებენ წარსულის უდიდესი ეკონომისტების ხუთეულში. ესენია: ა.სმიტი, დ.რიკარდო, ჯ.ს. მილი, კ.მარქსი და ჯ.მ.კეინსი*****

მარქსიზმი წარმოიშვა *XIX* საუკუნის 40-იან წლებში. დასავლეთ

*რ.ჰეილბრონერი და ლ.გაროუ, ეკონომიკა ყველასათვის, ლონდონი 1991, გვ. 27, (რუს).

**იქვე, გვ.35

***კ.სამუელსონი, უ.ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, თბ.1992, გვ.10.

****იქვე, გვ.9.

*****კ.რ. მაკკონელი, ს.ლ. ბრიუ, ეკონომიკსი, ნაწ.I, თბ., 1993, გვ.7.

ევროპაში. მარქსიზმის სამშობლო იყო გერმანია. მარქსიზმის ფუძემდებელნი კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი რაინის მხარის მკვიდრნი იყვნენ*

ᲙᲐᲠᲚ ᲰᲔᲜᲠᲘᲮ ᲛᲐᲠᲥᲡᲘ (1818-1883) დაიბადა გერმანიის ქალაქ ტრირში საკმაოდ შეძლებული და განათლებული იურისტის ოჯახში. 1836წ. კ.მარქსი შევიდა ბონის უნივერსიტეტში. ერთი წლის შემდეგ გადავიდა ბერლინის უნივერსიტეტში. იქ ის სწავლობდა იურიდიულ მეცნიერებას, თუმცა უმეტეს დროს ისტორიისა და ფილოსოფიის შესწავლას ანდომებდა. 1841 წ. კ.მარქსმა დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი. მან გადაწყვიტა თავისი ცხოვრება მიეძღვნა მეცნიერებისათვის და დაწერა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განსხვავება დემოკრიტესა და ეპიკურეს ბუნების ფილოსოფიათა შორის". 1841 წ. აპრილში იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ამ დისერტაციის საფუძველზე კ.მარქსს დაუსწრებლად მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘ (1820-1895) დაიბადა რაინის მხარის ქ. ბარმენში მეფაბრიკის ოჯახში. მამამ მას გიმნაზიის დამთავრებაც არ აცალა და 1838წ. ბრემენის ერთ-ერთ სავაჭროში ნოქრად გაამწესა. ამის პარალელურად ფ.ენგელსი თვითგანვითარებას ეწეოდა. 1839 წ. ფ.ენგელსი დაადგა პუბლიცისტური და ლიტერატურული კრიტიკის გზას.

კ.მარქსი და ფ.ენგელსი გამოვიდნენ ბურჟუაზიული წრიდან, რომლის გავლენა მათ თავდაპირველ განვითარებაზე ფრიად მნიშვნელოვანი იყო. კ.მარქსი და ფ.ენგელსი თავდაპირველად იდეალისტები აღმოჩნდნენ ფილოსოფიაში და რევოლუციური დემოკრატები პოლიტიკაში. შემდგომში თანდათანობით მოხდა მათი გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ. მათი საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება მოხდა 1843-1844 წ.წ.-ში. აქამდე ისინი შემოიფარგლებოდნენ სტატიებისა და წერილების გამოქვეყნებით. ფ.ენგელსმა დაწერა: „წერილები ვუპერტალიდან", „შელინგი და გამოცხადება", „შელინგი ჰეგელის შესახებ", „ინგლისური თვალსაზრისი შინაგან კრიზისზე", „წერილი ლონდონიდან" და სხვ. კ.მარქსი თანამშრომლობდა „რაინის გაზეთში", იყო მისი რედაქტორიც. ამ გაზეთში კ.მარქსმა გამოაქვეყნა ექვსი წერილისაგან შემდგარი პირველი სერია, რომელიც მიძღვნილი იყო

- - - - - -

*ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ლექციების კურსი, თბ., 1983, გვ14.

პრესის თავისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ლანდტაგში გამართული კამათის გამოქვეყნების საკითხისადმი. ამავე გაზეთში დაბეჭდა კ.მარქსმა სტატია „მოზელის ველის მევენახე-გლეხთა მდგომარეობის შესახებ".

1844 წ. თებერვალში კ.მარქსმა ფრანც ა.რუგესთან ერთად გამოუშვა „გერმანულ-ფრანგული წელიწდეული". მასში კ.მარქსმა გამოაქვეყნა ორი სტატია: „ებრაელთა საკითხის გამო" და „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი". ამ ნაშრომებში კ.მარქსი უკვე იწყებს იდეალისტური ფილოსოფიის კრიტიკას და გადადის მატერიალიზმის პოზიციაზე. იმავდროულად ხდება მისი გადასვლა რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ.

## I. კ.მარქსისა და ფ.ენგელსის ადრეული ეკონომიკური შრომები

მარქსიზმის დასაწყისი თარიღდება 1844 წლით.

გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულში გამოქვეყნდა ფ.ენგელსის ერთელი ნაშრომი „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის". ეს ნაშრომი ასახავდა ფ.ენგელსის სპეციალურ გამოკვლევას, მიძღვნილს ეკონომიკური პრობლემებისადმი. „ნარკვევებში" ჩამოყალიბებულმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა კ.მარქსზე. გააძლიერა მისი ინტერესი ეკნომიკური პრობლემებისადმი 1844 წ. გაეცნენ ერთმანეთს კ მარქსი და ფ.ენგელსი. ფ.ენგელსთან ურთიერთობამ შეუწყო ხელი იმას, რომ მარქსმა გადაწყვიტა ემუშავა პოლიტიკურ ეკონომიაში.

„ნარკვევები" საინტერესოა იმის გამორკვევისათვის თუ როგორ მიმდინარეობდა მარქსისტული ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბების პროცესი.

„ნარკვევებში" ფ.ენგელსი პოლიტიკური ეკონომიის წინანდელი სკოლების კრიტიკის საფუძველზე აყალიბებს თავის შეხედულებებს პოლიტიკური ეკონომიის რიგ ძირითად პრობლემებზე. მან გაანალიზა პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები და აჩვენა, რომ ისინი გამოხატავენ კერძო საკუთრებისა და მისგან გამომდინარე კონკურენციის ურთიერთობებს. ამ ნაშრომში ენგელსი შეჩერდა შრომისა და კაპიტალის გაგებაზე. მან აღნიშნა, რომ კაპიტალსა და შრომას შორის განხეთქილება გამომდინარეობს კერძო საკუთრებიდან. კერძო საკუთრების ნაყოფს წარმოადგენს კონკურენცია. კონკურენციის გარდუვალი შედეგია - სავაჭრო კრიზისები.

კრიზისები ზრდის იმ ადამიანთა მასას, რომლებიც სამუშაოს საჭიროებენ. უმუშევრობის ზრდა, აღნიშნავს ენგელსი, ხდება სიმდიდრის გადიდებასთან ერთად. „ჭარბი მოსახლეობა, ანუ ჭარბი სამუშაო ძალა ყოველთვის კავშირშია ჭარბ სიმდიდრესთან, ჭარბ კაპიტალსა და ჭარბ მიწის საკუთრებასთან"*

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბების გამორკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კ.მარქსის „ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებს" რომლებიც მომზადებულია 1844 წ. ეს ხელნაწერები შედგება სამი რვეულისაგან. პირველში გამოკვლეულია ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასების შემოსავლები - ხელფასი, მოგება და რენტა; მეორეში გაანალიზებულია კერძო საკუთრების ურთიერთობანი; მესამე რვეული შედგება რამდენიმე ფრაგმენტისაგან, რომლებიც ეხება კერძო საკუთრებისა და შრომის ურთიერთობას.

კ.მარქსი და ფ.ენგელსი თავიანთი მუშაობის პროცესში ერთობლივ ნაშრომებსაც წერდნენ.

კ.მარქსისა და ფ.ენგელსის პირველ ერთობლივ ნაწარმოებს წარმოადგენს წიგნი „წმინდა ოჯახი", ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა ბრუნო ბაუერისა და კომპანიის წინააღმდეგ", რომელიც გამოქვეყნდა 1845 წ. „წმინდა ოჯახი" სახუმარო სახელწოდებაა ფილოსოფოსების - ძმები ბაუერებისა და მათი მიმდევრების. ისინი ქადაგებდნენ კრიტიკას, რომელიც ყოველნაირ სინამდვილეზე, პარტიებსა და პოლიტიკაზე მაღლა დგას, უარყოფს ყოველგვარ პრაქტიკულ მოღვაწეობას და მხოლოდ კრიტიკულად ჭვრეტს გარემო სამყაროს და მის მოვლენებს. ბაუერები არაკრიტიკულ მასად მიიჩნევდნენ პროლეტარიატს. კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა გაილაშქრეს ამ მიმართულების წინააღმდეგ. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასის მდგომარეობის გამორკვევის კვალობაზე კ.მარქსმა და ფ.ენგელსმა ჩამოაყალიბეს შეხედულება პროლეტარიატის რევოლუციურ როლის შესახებ.

„წმინდა ოჯახში" კ.მარქსი და ფ.ენგელსი უფრო ახლოს მიდიან ისტორიის მატერიალისტურ გაგებასთან. ამ ნაშრომში ისინი უკვე მიუახლოვდნენ გაგებას წარმოების საშუალებათა გადამწყვეტი როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაში, როდესაც ამბობენ, რომ ისტორიული განვითარების ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ მატერიალურ წარმოებაში - ეს უკვე ისტორიული მატერიალიზმის ბირთვია.

ამ ნაშრომში ისახება შრომითი ღირებულების თეორიის

*ფ.ენგელსი, ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, კ.მარქსი და ფ.ენგელსი, თხზ. ტI, გვ. 545. (რუს)

კონტურებიც. ლაპარაკია შრომის დანახარჯის მნიშვნელობაზე საქონლის ღირებულების განსაზღვრისას.

მარქსიზმის ეკონომიკური იდეების განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კ.მარქსისა და ფ.ენგელსის მეორე ერთობლივ ნაშრომს „გერმანული იდეოლოგია“ ეს გამოკვლევა დაიწერა 1845-1846 წ.წ. და მაშინ გამოუქვეყნებელი დარჩა. იგი გამოიცა 1932წ. საბჭოთა კავშირში გერმანულ ენაზე და 1933 წ. რუსულ ენაზე.

ამ ნაშრომში კ.მარქსი და ფ.ენგელსი გამოდიოდნენ ჰეგელიანელების წინააღმდეგ, აგრეთვე მაქს შტირნერის, ფოიერბახისა და ჭეშმარიტი სოციალისტების წინააღმდეგ

„გერმანული იდეოლოგია“ ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ნაწარმოებია. მისი მთავარი ამოცანა იყო ისტორიული მატერიალიზმის დასაბუთება. ხოლო მთავარი შედეგი - მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ.

კ.მარქსი და ფ.ენგელსი განასხვავებდნენ ისტორიულად აღმოცენებულ საკუთრების ხუთ ფორმას. ესენია: 1. ტომობრივი საკუთრება; 2. ანტიკური თემური და სახელმწიფოებრივი საკუთრება; 3. ფეოდალური ანუ წოდებრივი საკუთრება; 4. ბურჟუაზიული საკუთრება; 5. სოციალისტური საკუთრება.

ყველა ეს საფეხური ისეთ მიმართებაში არის ერთმანეთთან, რომ მომდევნო საფეხური არა მარტო მოხსნის წინა საფეხურს, არამედ კიდევაც გულისხმობს მას. მომდევნო საფეხური წინა საფეხურის დადებითი მომენტების განვითარებასა და უარყოფითი მომენტების მოხსნას ნიშნავს: ამდენად, მომდევნო საფეხური უწყვეტ კავშირშია წინა საფეხურთან და ამასთანავე თვისობრივად განსხვავდება მისგან. ამიტომ კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს არა ქაოსს, არამედ კანონზომიერ პროცესს.

1845 წ. ფ.ენგელსმა გამოაქვეყნა ნაშრომი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს მარქსიზმის პირველი ერცელ ეკონომიკურ გამოკვლევას. შრომას საფუძვლად უდევს მასალები, რომლებიც ავტორმა შეკრიბა ინგლისში ორ წელს ყოფნის დროს (1839 წ. ნოემბრიდან).

ამ ნაშრომში ენგელსი საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად აცხადებს საწარმო ძალების ზრდას, რომლის შედეგადაც ხელოსნობისა და მანუფაქტურის შემცვლელად მოვიდა ფაბრიკა, გაიხსნა უზარმაზარი ეკონომიკური შესაძლებლობები და დაიწყო ინგლისის ბურჟუაზიის არნახული გამდიდრება.

აღნიშნულ ნაშრომში ფ.ენგელსი იძლევა სამრეწველო რევოლუციის ეკონომიკური შინაარსისა და სოციალური შედეგების

ანალიზს. ამ ფონზე ენგელსი ახდენს მუშათა კლასის გენეზისისა და ისტორიული როლის გამორკვევას.

ფ.ენგელსი მუშათა კლასის ისტორიას უკავშირებს სამრეწველო რევოლუციას, რომელიც *XVIII* საუკუნის მეორე ნახევრისა და *XIX* ს. დასაწყისში განხორციელდა. სამრეწველო რევოლუციის ყველაზე მნიშვნელოვან საყოფად ფ.ენგელსს მუშათა კლასის წარმოშობა მიაჩნდა. იგი მუშათა კლასში ხედავდა დამოუკიდებელ კლასს საკუთარი ინტერესებითა და პრინციპებით, საკუთარი მსოფლმხედველობით. კლასს, რომელიც დაუპირისპირდა ყველა მქონებელ კლასს და შემცველია ერის ძალისა და განვითარების უნარისა.

კ.მარქსისა და ფ.ენგელსის მიერ უკვე შემუშავებული კომუნისტური მსოფლმხედველობის პირველ გადმოცემას წარმოადგენს 1847 წ. გამოქვეყნებული კ.მარქსის ნაშრომი „ფილოსოფიის სიღატაკე' პასუხი პ.პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიაზე".

„ფილოსოფიის სიღატაკეში"* ყველაზე სრულად და ყოველმხრივაა გადმოცემული დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებები საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე, გამოყენებულია წარმოებითი ურთიერთობების შესწავლისათვის, რომლებიც გამოხატულია ეკონომიკურ კატეგორიებში. ამასთან ისტორიული მატერიალიზმი იღებს უფრო სრულ განვითარებას.

ამ ნაშრომში კ.მარქსმა საფუძველი ჩაუყარა ღირებულებისა და ფულის თეორიას. კ.მარქსი იწონებს ღირებულების რიკარდოსეულ განხილვას. მას ახასიათებს, როგორც ნივთების რეალური მდგომარეობის ამსახველს. ამასთან, აკრიტიკებს პრუდონის ხელოვნურ წყობას. კ.მარქსი იწონებს თეზისს, რომ საქონელთა საცვლელი ღირებულება განისაზღვრება შრომით, რომელიც დახარჯულია მათ წარმოებაზე.

ღირებულების შრომითი თეორიის ბაზაზე კ.მარქსი აყალიბებს ფულის თეორიის მნიშვნელოვან დებულებებს. „ფილოსოფიის სიღატაკეში" შეიმჩნევა ფულის მიმოქცევის ორი სახის - მეტალური და ქაღალდის კანონზომიერებათა მკვეთრი გამიჯვნა. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ქაღალდის ფულს არა აქვს თავისი ღირებულება, მაგრამ შეუძლია გაცვლას მოემსახუროს კურსის რყევის გარეშე, თუ მისი რაოდენობა შეესაბამება სასაქონლო მიმოქცევის მოთხოვნილებებს. კ.მარქსი აკრიტიკებს პ.პრუდონს და აღნიშნავს, რომ ყოველგვარი საქონელი არ შეიძლება იყოს ფული. კ.მარქსი ფულს განმარტავს, როგორც განსაკუთრებული საქონლის საზოგადოებრივ

- - - - -

*კ.მარქსი. ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 100.

ფუნქციას.

მარქსიზმის ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ახალს და მნიშვნელოვანს წარმოადგენს „ფილოსოფიის სიღატაკეში" კ.მარქსის მიერ შრომის დანაწილების არსისა და როლის გადმოცემა. იგი აკრიტიკებდა პ.პრუდონის მტკიცებას, რომლის თანახმად შრომის დანაწილება არის მუდმივი კანონი და აღნიშნავდა, რომ შრომის დანაწილება, მისი ხასიათი და სახე ისტორიულად იცვლება. ამ ცვლილებას საფუძვლად უდევს საწარმოო ძალების განვითარება. „შრომა სხვადასხვაგვარად ეწყობა ორგანიზაციულად და ნაწილდება ის სამუშაო იარაღების მიხედვით, რომლებიც მის განკარგულებაშია. ხელის წისქვილი სხვა შრომის დანაწილებას გულისხმობს, ვიდრე ორთქლის წისქვილი„*. საწარმოო ძალების ზრდისა და განვითარების კვალდაკვალ ვითარდება შრომის დანაწილებაც.

„ფილოსოფიის სიღატაკეში" კ.მარქსი მსჯელობს მიწის საკუთრებისა და რენტის შესახებ. ამ ნაშრომში არსებითად უკვე ჩაღებულია რენტის მარქსისტული თეორიის საფუძველი. მისი აზრით, რენტა გამომდინარეობს საზოგადოებრივი ურთიერთობიდან, რომელშიაც მიწათმოქმედება წარმოებს. იგი აჩვენებს რენტის ისტორიულ ხასიათს, მის კავშირს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან.

„ფილოსოფიის სიღატაკეს" უშუალოდ მოჰყვა კ.მარქსის ნაწარმოები „დაქირავებული შრომა და კაპიტალი". ეს ნაშრომი ეძღვნება შრომასა და კაპიტალს შორის - მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის ურთიერთობის გარკვევას. ამ ნაწარმოებში კ.მარქსმა განავითარა მოძღვრება ხელფასისა და კაპიტალის შესახებ. იგი იძლევა ღირებულების კანონის მოქმედების დახასიათებას, იკვლევს კაპიტალის დაგროვების გავლენას მუშათა კლასის მდგომარეობაზე.

კ.მარქსი აღნიშნავდა, რომ ხელფასი არ არის მუშის წილი მის მიერ ნაწარმოებ საქონელში. ხელფასი უკვე არსებული საქონლის ნაწილია, რომლითაც კაპიტალისტი თავისთვის ყიდულობს მწარმოებელი სამუშაო ძალის განსაზღვრულ რაოდენობას.

მაშასადამე, სამუშაო ძალა არის საქონელი, რომელსაც მისი პატრონი, დაქირავებული მუშა, კაპიტალზე ყიდის. რატომ ყიდის მუშა მას? -- რათა იცხოვროს"**. შრომა კაპიტალიზმის დროს გახდა საქონელი, შრომა-საქონლის ფასი განისაზღვრება ღირე-

\- - - - -

*კ.მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე", გვ. 122.

**კ.მარქსი, დაქირავებული შრომა და კაპიტალი, კ.მარქსი, ფ.ენგელსი რჩ. ნაწერები, ტI. თბ., 1950, გვ. 69-70.

ბულების კანონით.

ამასთან კავშირში კ.მარქსი იძლევა ღირებულების კანონის მოქმედების დახასიათებას. არასწორად მიიჩნევს ფასების გადახრას ღირებულებისაგან როგორც ღირებულების კანონის დარღვევებს. პირიქით, მხოლოდ ფასების მუდმივი რყევის შედეგად მოქმედებს ღირებულების კანონიც.

ამ წიგნში კ.მარქსი იძლევა მოძღვრებას კაპიტალის შესახებ. კაპიტალს იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს. „კ ა პ ი ტ ა ლ ი ც საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობაა. ის ბ უ რ ჟ უ ა ზ-ი უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ა"*

კაპიტალი და დაქირავებული შრომა, აღნიშნავს მარქსი, ურთიერთგანპირობებულია. კ ა პ ი ტ ა ლ ი დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ შ რ ო მ ა ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს, ხ ო ლ ო დ ა ქ ი რ-ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ა კ ა პ ი ტ ა ლ ს. ი ს ი ნ ი ე რ თ ი-მ ე ო რ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ პ ი რ ო ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ, ი ს ი ნ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს ქ მ ნ ი ა ნ"**.

ნაშრომში „დაქირავებული შრომა და კაპიტალი" დიდი ადგილი უკავია კაპიტალის დაგროვებისა და ზრდის გავლენას ხელფასზე და მუშათა კლასის მდგომარეობაზე.

მარქსიზმის ეკონომიკური იდეების განვითარებისათვის საყურადღებო მნიშვნელობა ჰქონდა მისი პრგრამული დოკუმენტების შემუშავებას. მათში ჩამოყალიბებულია მუშათა კლასის ამოცანები.

1845 წ. ფ.ენგელსმა დაწერა „ელბერფელდის სიტყვა", რომელშიც წინასწარმეტყველებდა პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობას. მასში ის ხედავდა კომუნიზმის სურათს, რომლის პირობებში გაქრება კონკურენცია, მოისპობა კერძო მითვისება, შეუძლებელი გახდება სავაჭრო კრიზისები, გაქრება ადამიანთა ეკონომიკური გალატაკება. ფ.ენგელსი პირველი რიგის ღონისძიებებად მიიჩნევდა სახელმწიფოს ხარჯზე საყოველთაო სწავლების შემოღებას, კოლონიების შექმნას უმუშევართათვის, საყოველთაო პროგრესული გადასახადის დაწესებას. ამასთანავე აღნიშნავდა, რომ საზოგადოებას უკვე ექნება საწარმოო ძალების განვითარების ის დონე, რომელიც საჭიროა კომუნიზმის განხორციელებისათვის. სოციალური რევოლუცია და კომუნიზმი განხილულია, როგორც

------

*კ.მარქსი, დაქირავებული შრომა და კაპიტალი, კ.მარქსი, ფ.ენგელსი რჩ. ნაწერები, ტI თბ., 1950, გვ.79.

**იქვე, გვ. 81.

გარდუვალობა გერმანიისათვის.*

1847 წ. ენგელსმა დაამუშავა მეორე საპროგრამო დოკუმენტი „კომუნიზმის პრინციპების" სახელწოდებით. აქ განმარტებულია, თუ რა არის კომუნიზმი. ფ. ენგელსის თქმით: „კომუნიზმი არის მოძღვრება პროლეტარიატის განთავისუფლების პირობების შესახებ". ამ საშრომში ფ. ენგელსი თვლიდა, რომ კომუნისტური რევოლუცია იქნება მსოფლიო, „მოხდება ერთსა და იმავე დროს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ე.ი. ყოველ შემთხვევაში ინგლისსა, ამერიკასა, საფრანგეთსა და გერმანიაში"**. ხოლო სოციალიზმის დროს შესაძლებელი შეიქმნება სიღატაკის მოსპობა, გაქრება ეკონომიკური კრიზისები, პროდუქტები განაწილდება მოთხოვნილების მიხედვით და ადამიანთა უნარი ყოველმხრივ განვითარდება.

მარქსიზმის ყველაზე მომწიფებულ საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". იგი დაიწერა კომუნისტური კავშირის მეორე კონგრესის დავალებით (1847 წ. ნოემბერი, ლონდონი), გამოქვეყნდა 1848 წ. თებერვალში ლონდონში.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი" იწყება სიტყვებით „აჩრდილი დადის ევროპაში აჩრდილი კომუნიზმისა. ძველი ევროპის ყველა ძალა საღმრთო კავშირში შეერთდა ამ აჩრდილის სადევნელად: პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო, საფრანგეთის რადიკალები და გერმანელი პოლიციელები"***.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში" მოცემულია ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დახასიათება, გაანალიზებულია საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი.

კაპიტალისტური წარმოების განვითარების კვალობაზე, აღნიშნულია „მანიფესტში" მუშათა კლასის მდგომარეობა უარესდება. შრომის განსაზოგადოების ზრდა ქმნის მატერიალურ წინაპირობებს სოციალიზმზე გადასვლისათვის, ხოლო მუშათა კლასის სახით იქმნება რევოლუციური ძალა, რომელსაც უნარი შესწევს ბოლო მოუღოს კაპიტალის ბატონობას.

*XIX* ს. ეკონომიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1848 წლის რევოლუციამ. მისი ბრძოლების მსელელობაში

*[illegible]

**ფ. ენგელსი, კომუნიზმის პრინციპები, თბ., 1972, გვ. 20.

***კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 154, გვ. 35.

ბევრი ეკონომიკური პროექტი დაიმსხვრა. რევოლუციამ არაჩვეულებრივი სიმწვავით დააყენა ისეთი საკითხები, რომლებიც არ არსებობდა სმიტის, სეისა და ბასტიასათვის. წარმოიშვა ახალი პრობლემები, გამოჩნდა სხვაგვარი ლიტერატურა, რომელიც სხვა პოზიციიდან განიხილავდა თავისი დროის სოციალურ საკითხს. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გაკოტრება თვალსაჩინო გახდა. ფრიტრედერობას შეეძლო დაეკმაყოფილებინა მასების მოთხოვნები. დაშლას განიცდიდა წვრილბურჟუაზიული რეფორმიზმიც.

1848 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ კ.მარქსი და ფ.ენგელსი გადაბარგდნენ ინგლისში, სადაც კ.მარქსი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. ლონდონში ისინი შეუდგნენ „პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიმოხილვის", როგორც „ახალი რაინის გაზეთის" თავისებური გაგრძელების გამოცემას. მაგრამ ამ გამოცემამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა და მალე შეწყვიტა არსებობა. ამის შემდეგ ენგელსი გაემგზავრა მანჩესტერში, სადაც ისევ ნოქარი გახდა, ხოლო შემდეგ თანამფლობელი ფირმისა „ერმენი და ენგელსი". კ.მარქსისათვის თავშესაფარი გახდა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა, სადაც გააგრძელა თავისი ეკონომიკური გამოკვლევები.

კ.მარქსის ეკონომიკური კვლევაძიების ცენტრში მაშინვე აღმოჩნდა ინგლისის კაპიტალიზმი. *XIX* ს. შუალედისათვის ინგლისის კაპიტალიზმი ყველაზე მომწიფებული იყო და ეკონომიკაში ბურჟუაზიული წარმოების წესის კანონზომიერებანი უაღრესად მკაფიოდ ვლინდებოდა. ინგლისური პოლიტიკური ეკონომია ყველაზე უფრო განვითარებული და საინტერესო იყო. მასთან პოლემიკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამოსავალი წერტილს იძლეოდა დამოუკიდებელი გამოკვლევისათვის.

1851 წ. შემოდგომაზე ფ.ენგელსთან ერთობლივი განხილვის შედეგად კ.მარქსმა გადაწყვიტა მოემზადებინა დიდი ეკონომიკური გამოკვლევა მიძღვნილი ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის, უტოპიური სოციალიზმის კრიტიკისა და პოლიტიკური ეკონომიის ისტორიის ანალიზისადმი. ნაშრომი გააზრებული იყო ძირითადად როგორც კრიტიკული ნაწარმოები. მაგრამ სერიოზული კრიტიკა ვარაუდობდა კაპიტალიზმის ეკონომიკის დამოუკიდებლად და ღრმად გამოკვლევას. ამან მოითხოვა 15 წლის დაძაბული შრომა.

1857 წლამდე კ.მარქსი ძირითადად შემოიფარგლა საჭირო მასალის შეკრებით, მისი წინასწარი დამუშავებითა და სისტემატიზაციით. 1857 წ. მიუხედავად მძიმე მატერიალური გაჭირვებისა, კ.მარქსმა შეძლო დაეწყო უკვე შეგროვილი მასალების განზოგადება.

1857-1858 წლების ხელნაწერები კ.მარქსს სურდა გამოეყენებინა დიდი ეკონომიკური ნაწარმოების დასაწერად, რომელიც მისი გეგმით 6 წიგნად უნდა დაყოფილიყო (1. კაპიტალის შესახებ; 2. მიწის საკუთრების შესახებ; 3. დაქირავებული შრომის შესახებ; 4 სახელმწიფოს შესახებ; 5. საერთაშორისო ვაჭრობა; 6. მსოფლიო ბაზარი). ამ საწარმოების გამოცემას იგი გულისხმობდა ცალკე ნაკვეთების სახით. პირველი ნაკვეთი 1859 წ. ივლისში მარქსმა გამოსცა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის" სახელწოდებით.

## 2. კ.მარქსის ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის"

წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" იწყება ავტორის წინასიტყვაობით. ეს წინასიტყვაობა აღსანიშნავია პირველ რიგში იმით, რომ იგი შეიცავს ისტორიის მატერიალისტური გაგების ჩამოყალიბებულ ფორმულირებას. მისი მთავარი ნიშნები შემდეგია: „თავიანთ ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ დ გონებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას"*. ეს უკანასკნელი დებულება წარმოადგენს ისტორიული მატერიალიზმის ძირითად პრინციპს. იგი მატერიალისტურ პასუხს იძლევა ფილოსოფიის ძირითად საკითხზე: რა წარმოადგენს ისტორიულ პროცესის საფუძველს ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერება თუ მათი ცნობიერება.

კ.მარქსი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ სოციალური, პოლიტიკური და სულიერი პროცესების ძირეულ მიზეზს შეადგენს ცვლილება ობიექტურ პირობებში, მატერიალური ცხოვრების წარმოებაში. „ეკონომიკური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად

- - - - - -

*კ.მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ.10

მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში"*

მართალია, კ.მარქსის მიხედვით, ეკონომიკური პირობები საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ საზოგადოების განვითარებას, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ მხოლოდ ერთად-ერთ აქტიურ მიზეზს ისტორიულ პროცესში. კ.მარქსი აღნიშნავს, რომ სხვადასხვაგვარ იდეოლოგიურ ფორმებში (იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური და ა.შ.). ადამიანები შეიცნობენ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებს და იბრძვიან მათი გადაწყვეტისათვის. „როგორც არ შეიძლება ამა თუ იმ ინდივიდის შესახებ ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს იგი თავის თავზე, ასევე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ამგვარი გადატრიალების ეპოქის შესახებ მისი ცნობიერების მიხედვით. პირიქით, ეს ცნობიერება უნდა აეხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით"**

ნაშრომი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის აღნიშნული წინასიტყვაობის შემდეგ მოიცავს ორ თავს. პირველი - „საქონელი" და მეორე - „ფული ანუ მარტივი მიმოქცევა".

პირველი თავის დასაწყისში კ.მარქსი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული სიმდიდრე გამოდის როგორც საქონელთა უზარმაზარი გროვა, ხოლო ცალკეული საქონელი - როგორც ამ სიმდიდრის ელემენტარული ყოფიერება. საქონელს ყიდვისა და გაყიდვის საგანს - კ.მარქსი განსაზღვრავს როგორც სხმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების წინააღმდეგობრივ ერთიანობას. კ.მარქსი ღირებულების პრობლემის გადაწყვეტაში პრინციპულად გაემიჯნა თავის წინამორბედებს (უ.პეტი, პ.ბუაგილბერი, ა.სმიტი, დ.რიკარდო, ჯ.სტიუარტი) და განავითარა ღირებულების ახალი თეორია. მან ახსნა საქონლის, როგორც ბურჟუაზიული სიმდიდრის ელემენტარული ფორმის ეკონომიკური ბუნება, აჩვენა სახმარი და საცვლელი ღირებულების წინააღმდეგობა, გამოავლინა შრომის როლი, გაანალიზა მისი ორადობა. კ.მარქსი საცვლელ ღირებულებას განიხილავდა როგორც განსაზღვრული ისტორიული ეპოქის ოფიციალურ მოვლენას, საქონელმწარმოებელთა წარმოებით ურთიერთობათა გამომხატველს. ამ ურთიერთობათა განივთება, - მისი თქმით, - წარმოადგენს სასაქონლო მეურნეობის სპეციფიკურ ნიშანს.

წიგნის მეორე თავი წარმოადგენს ფულისა და ფულადი

------

*კ.მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ.10.
**იქვე.

მიმოქცევის მარქსისტული თეორიის დაწვრილებით გადმოცემას. კ.მარქსი აღნიშნავს, რომ ფულს წარმოშობს თვით მიმოქცევა. ფულის როლში ფუნქციონირებას იწყებს განსაკუთრებული საქონელი, რომლის ბუნებრივი თვისებები - ადვილი ტრანსპორტაბელურობა, დაყოფადობა და სხვ. საშუალებას აძლევს მას იყოს ღირებულების ადეკვატური, გამოვიდეს გაცვლის პროცესში კერძო საქონელმწარმოებლებს შორის საზოგადოებრივი შრომის სახით. ფული კ.მარქსის მიხედვით, წარმოადგენს აღრე დამთავრებული ღირებულების გამოხატულებას, რომელიც იქმნება საქონელში ჩადებულ კონკრეტულ შრომასა და აბსტრაქტულ შრომას შორის, სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის წინააღმდეგობებიდან. ეს ის ფორმაა, რომელშიც კერძო შრომა გამოდის, როგორც საზოგადოებრივი შრომა. მამასადამე ფული - ესაა საქონელი, რომელიც გამოდის როგორც საყოველთაო ექვივალენტი.

კ.მარქსი ამ ნაშრომში იძლევა ფულის ფუნქციების როგორც ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, სამონეტო საქმის პრინციპებისა და ქაღალდის ფულის ეკონომიკური საფუძვლების ანალიზს.

მეორე თავის სპეციალურ ნარკვევში „მიმოქცევის საშუალებათა და ფულის თეორიები“ კ.მარქსი კრიტიკულად აანალიზებს წინამორბედი ეკონომისტების შეხედულებებს ფულის საკითხში.

## 3. კ.მარქსის „კაპიტალი“

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ გამოსვლის შემდეგ კ.მარქსმა 1861-1863 წლებში შექმნა ვრცელი ხელნაწერები. მასში დაწვრილებითაა გაანალიზებული *XVI, XVII, XVIII* ს.ს. და *XIX* ს. პირველ ნახევრის ეკონომიკური აზრის ყველა მიმართულება. ხელნაწერი მეტ-ნაკლებად ეხება „კაპიტალის“ ოთხივე ტომის პრობლემებს.

1864-1865 წ.წ. კ.მარქსმა შექმნა ახალი ხელნაწერები.

მასში „კაპიტალმა“ შეიძინა თავისი საბოლოო სტრუქტურა. მოგვიანებით, ეყრდნობოდა რა ამ ხელნაწერს ფ.ენგელსმა შეძლო დასაბეჭდად მოემზადებინა „კაპიტალის“ III ტომი.

1867 წ. სექტემბერში კ.მარქსმა ჰამბურგში გამოაქვეყნა „კაპიტალის“ I ტომი. როგორც თვით კ.მარქსი აღნიშნავდა „კაპიტალის“ „გამოკვლევის საგანს შეადგენდა კაპიტალისტური წარმოების წესი

და მისი შესაბამისი წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობანი"* თავისი ნაწარმოების საბოლოო მიზნად კ.მარქსი მიიჩნევდა კაპიტალიზმის მოძრაობის ეკონომიკური კანონის აღმოჩენას**. „კაპიტალის" პირველ ტომში საქონლის, საქონელში განხორციელებული შრომის ორადი ხასიათისა და ღირებულების ახალიზის საფუძველზე კ.მარქსმა აღმოაჩინა ზედმეტი ღირებულების კანონი, რომელიც მისი ეკონომიკური თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. 1867 წ. 24 აგვისტოს ფ.ენგელსისადმი მიწერილ წერილში „კაპიტალის" I ტომის დახასიათებისას წერდა: „ყველაზე უფრო უკეთესი ჩემს წიგნში არის: 1. უკვე პირველ თავში ხაზგასმული შრომის ორადი ხასიათი... 2. ზედმეტი ღირებულების გამოკვლევა მისი განსაკუთრებული ფორმებისაგან: მოგების, პროცენტის, მიწის რენტისა და სხვ. დამოუკიდებლად***. იქვე პირველად არის წარმოდგენილი ხელფასი როგორც მის უკან დაფარული ურთიერთობის გამოვლენის ირაციონალური ფორმა და ეს ზუსტად არის ნაჩვენები ხელფასის ორივე ფორმაზე: დროით ხელფასსა და ცალობით ხელფასზე"****

კაპიტალის I ტომში გამოკვლეულია წარმოების პროცესი, აღებული თავისთავად, როგორც საქონლის ღირებულების, ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესი.

ზედმეტი ღირებულების აღმოჩენით კ.მარქსმა ახსნა კაპიტალის არსი. კაპიტალი, მისი თქმით, „მკვდარი შრომაა, რომელიც ვამპირის მსგავსად მხოლოდ მაშინ ცოცხლდება, როცა ცოცხალ შრომას შეიწოვს, და მით უფრო მეტ ხანს ცოცხლობს, რაც უფრო მეტ ცოცხალ შრომას შეიწოვს"*****

„კაპიტალის" პირველ ტომში კ.მარქსი აჩვენებს კაპიტალიზმის მისიას, განსაზღვრავს მის ისტორიულ ადგილს. მისი თქმით, კაპიტალის დაგროვების პროცესი სულ უფრო აძლიერებს ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელში წარმოების დიდძალ საშუალებათა თავმოყრას; მრავალთა წვრილი საკუთრება მცირერიცხოვანთა მსხვილ საკუთრებად იქცევა, ხდება ხალხის ფართო მასებისათვის მიწის, საარსებო საშუალებათა და შრომის არაღების ჩამორთმევა. ყოველივე ეს კაპიტალის ისტორიის შესავალს წარმოადგენს. მაგრამ მას შემდეგ რაც კაპიტალისტური წარმოება საკუთარ ფეხზე დგება

- - - - -

*კ.მარქსი, „კაპიტალი", ტ.I გვ. 7.

**იქვე, გვ.8.

***კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 203,204.

****იქვე, გვ. 209- 210.

*****იქვე, გვ. 295.

და წარმოების საშუალებათა გასაზოგადოება ფართოვდება. ექსპროპრიაცია მოელის არა მუშას ან წვრილ მწარმოებელს, არამედ კაპიტალისტს „კაპიტალის მონოპოლია, - ამბობს კ.მარქსი, - ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მონოპოლიასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის გასაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი აღარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია"*

ამ სიტყვებით კ.მარქსი ერთგვარად აჯამებს „კაპიტალის“ მთელ შინაარსს და განსაზღვრავს მის ამოცანას. „კაპიტალის“ ძირითადი მიზანია გამოიკვლიოს კაპიტალისტური წარმოების წესი და მისი განვითარების ეკონომიკური კანონები, დაამტკიცოს პროლეტარიატის ძალებით კაპიტალიზმის რევოლუციური მოსპობის აუცილებლობა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების - კომუნიზმის განხორციელების გარდუვალობა.

„კაპიტალის“ I ტომის გამოსვლის შემდეგ კ.მარქსი ვარაუდობდა, რომ ძალიან ჩქარა გამოაქვეყნებდა შემდეგ ტომებსაც. 70-იან წლებში მან შეძლო მხოლოდ რამოდენიმე ხელნაწერი მოემზადებინა. 60-იან წლებში კ.მარქსმა დიდი ენერგია შესწირა 1864 წ მის მიერ დაარსებულ I კომუნისტური ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მუშაობას. მას მუშაობა უხდებოდა ერთბაშად მრავალ საკითხზე. დაძაბულმა მუშაობამ და მატერიალურმა გაჭირვებამ შეარყია კ.მარქსის ჯანმრთელობა. წინანდელი ენერგიით მუშაობა შეუძლებელი აღმოჩნდა.

აღნიშნულთან ერთად, კ.მარქსს უკვე აღარ აკმაყოფილებდა კაპიტალიზმის ძირითადი პრობლემების განხილვა უპირატესად ინგლისის მასალებზე. კაპიტალიზმი სწრაფად ვითარდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და თავისებურ პრობლემებს აყენებდა. ფეოდალური რეჟიმის რღვევა ხდებოდა რუსეთში და ეს უზარმაზარი ქვეყანა კაპიტალიზმის სწრაფი გაძლიერების გზას ადგებოდა. იქ მიწაზე თავადაზნაურული მონოპოლიის პირობებში, თემის შენარჩუნება და ფეოდალური რეჟიმის გადმონაშთები ძალიან ართულებდა კაპიტალისტური წარმოების წესის კლასიკური პრობლემების გადაწყვეტას.

1883 წლის 14 მარტს კ.მარქსი გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, ისე რომ მან ვერ დაამთავრა თავისი გამოკვლევა. კაპიტალის

*კ.მარქსი, კაპიტალი, გვ. 956-857

შესახებ. სიკვდილის წინ კ.მარქსმა თავისი ხელნაწერები ფ.ენგელსს დაუტოვა ანდერძით, რათა მას გამოექვეყნებინა ისინი.

ფ.ენგელსმა თორმეტი წელი დახარჯა კ.მარქსის ლიტერატურული მემკვიდრეობის პუბლიკაციაზე.

1885წ. ფ.ენგელსის რედაქციით გამოქვეყნდა კ.მარქსის „კაპიტალის" II ტომი. ფ.ენგელსმა იგი მოამზადა 1870წ. ხელნაწერისა და 1877-1878 წ.წ. მცირე ხელნაწერების საფუძველზე.

ფ.ენგელსმა ამ ტომისათვის დაწერა ვრცელი წინასიტყვაობა, რომლის დიდი ნაწილი მიეძღვნა როდბერტუსის შესახებ ლეგენდის მხილებას. მან პასუხი გასცა ეკონომიკური თეორიის ფრიად რთულ საკითხებზე.

„კაპიტალის" მეორე ტომის გამოკვლევის საგანს შეადგენს კაპიტალისტური მიმოქცევის პროცესი, რომელიც ავსებს წარმოების პროცესს, ვინაიდან უშუალო წარმოების პროცესი კაპიტალის სიცოცხლის მსვლელობას არ ამოწურავს. კ.მარქსი აღნიშნავს, რომ „კაპიტალისტური წარმოების პროცესი, მთლიანად განხილული, წარმოების და მიმოქცევის პროცესის ერთიანობაა"*. კაპიტალის მიმოქცევის პროცესს განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების თავისებურებანი, მაგრამ თავის მხრივ, მიმოქცევა ზემოქმედებას ახდენს, ართულებს და აღრმავებს კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობებს. „კაპიტალის" I ტომში მიმოქცევის ფაზები შეისწავლება იმ ზომით, რა ზომითაც ეს საჭიროა კაპიტალის წარმოების პროცესის გასარკვევად. „კაპიტალის" II ტომში წარმოების პროცესი შეისწავლება იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია კაპიტალის მიმოქცევის პროცესის, როგორიც კაპიტალის ფორმათა ცვლის პროცესის, გასაგებად.

ფ.ენგელსის დამსახურება იყო აგრეთვე „კაპიტალის" III ტომის მომზადება დასაბეჭდად. მესამე ტომის მასალები საჭიროებდა კიდევ უფრო სერიოზულ დამუშავებას, ვიდრე მეორის. ამიტომ ეს საქმე გაჭიანურდა. „კაპიტალის" III ტომი გამოიცა 1894 წ. „კაპიტალის" მეორე ტომში ნაჩვენები იყო, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი წარმოებისა და მიმოქცევის პროცესს ერთიანობას წარმოადგენს. მესამე ტომის (კაპიტალის წარმოების ერთობლივი პროცესი) ამოცანა - აღნიშნავს კ.მარქსი არ შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ წარმოგვიდგინოს ზოგადი მსჯელობა ამ ერთიანობის შესახებ. პირიქით „აქ უნდა ვიპოვოთ და დავასურათოთ ის კონკრეტული ფორმები, რომელნიც მთლიანობის სახით განხილული კაპიტალის მოძრაობის პროცესიდან აღმოცენ-

- - - - - -

*კ.მარქსი, კაპიტალი, ტIII, ნაწ. I, გვ.31.

დებიან"*

ამ ტომში მთავარი და გადამწყვეტი არის გარდაქმნილი ფორმების ანალიზი. ხარჯითფასი ღირებულების გარდაქმნილი ფორმაა; მოგება ზედმეტი ღირებულების; მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების ნორმის.

ყველა ამ გარდაქმნების საერთო საფუძველი არის ის, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი ისე შეისწავლება როგორც ზედაპირზე გამოდის. ეს ის ფორმებია, რომლებსაც კაპიტალისტი ხედავს.

„კაპიტალის" III ტომში გამოკვლეულია კაპიტალის ის ფორმები, რომლებიც წარმოიშობა მისი მოძრაობიდან და ზედაპირზე მოგვევლინება. აქ გამოკვლეულია არსიც და გამოვლენის ფორმაც.

კ.მარქსის 1857-1858 წწ. ხელნაწერი შეიქმნა როგორც „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა". 1861-1863 წწ. ხელნაწერებში 200 თაბახიდან 110 ამ თემას მიეძღვნა. ამ ხელნაწერებიდან მან შექმნა ნაწარმოები „ზედმეტი ღირებულების თეორიების" სახელწოდებით. მას „კაპიტალის" *IV* ტომსაც უწოდებენ. მაგრამ კ.მარქსმა თავის სიცოცხლეში ვერ შეძლო მისი გამოქვეყნება. ფ.ენგელსმაც ვერ შეძლო ამის გაკეთება. ამიტომ ფ.ენგელსმა 1889 წ. წინადადება მისცა კ.კაუცკის შესდგომოდა ხელნაწერის გარჩევას, რათა მას შესძლებოდა მისი გამოქვეყნება.

კ.კაუცკიმ „ზედმეტი ღირებულების თეორიები" გამოაქვეყნა 1905-1910წწ. ეს ნაწარმოები დაყოფილია სამ ნაწილად.

პირველ ნაწილში უმთავრესად მოცემულია ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის შეხედულებათა ანალიზი და კრიტიკა.

კ.მარქსი აღნიშნავს, რომ კაპიტალის ანალიზი პირველად ფიზიოკრატებმა გააკეთეს. ეს დამსახურება მათ თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის „ნამდვილ მამებად" ხდის. თვით ზედმეტი ღირებულების წარმოშობის გამოკვლევა ფიზიოკრატებმა მიმოქცევის სფეროდან უშუალოდ წარმოების სფეროში გადაიტანეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტური წარმოების ანალიზს**

შემდეგ კ.მარქსი იძლევა ა.სმიტის ეკონომიკური თეორიის ანალიზს. ხაზს უსვამს მის დამსახურებას პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში. ამასთან ერთად, იგი ააშკარავებს წინააღმდეგობებს და ორადობას ა.სმიტის მოძღვრებაში.

- - - -

*კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. III. ნაწ. I, გვ.31.

**კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1966, გვ. 11, 12.

„ზედმეტი ღირებულების თეორიების" მეორე ნაწილში ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს დ. რიკარდოს ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემის კრიტიკულ ანალიზს. მასში მთავარი ადგილი უკავია დ. რიკარდოს რენტის თეორიას და მასთან დაკავშირებულ ღირებულებისა და წარმოების ფასის თანაფარდობის პრობლემას.. კ.მარქსი აღნიშნავს დ. რიკარდოს დიდ თეორიულ დამსახურებას და იმავე დროს ხაზს უსვამს მის ნაკლოვანებებს. რიკარდოს მოძღვრების კრიტიკულ ანალიზთან ერთად კ.მარქსი ავითარებს საკუთარ შეხედულებებს აღნიშნულ საკითხებზე.

„ზედმეტი ღირებულების თეორიების" მესამე ნაწილში კ.მარქსი აგრძელებს დ. რიკარდოს სისტემის კრიტიკას ერთი მხრივ, და მეორე მრივ ააშკარავებს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლების რ.ტორენსის, ჯ.მილის, ჯ.რ.მაკ-კულოხის, ა.შერბულიეს, რ.ჯონსის და სხვათა იდეებს. ამავე ნაწილში კ.მარქსი განიხილავს სოციალისტ-რიკარდოელების შეხედულებებს.

## 4. კ.მარქსისა და ფ.ენგელსის გვიანდელი ნაშრომები („გოთას პროგრამის კრიტიკა", „ანტი-დიურინგი", „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა")

კ.მარქსისა და ფ.ენგელსის გვიანდელ შრომებში დასმულია სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის პრობლემები. ამასთან ერთად, დაყენებულია კაპიტალიზმამდელი ფორმაციების საკითხები.

კ.მარქსის გვიანდელი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „გოთას პროგრამის კრიტიკა". იგი წარმოედგენს მარქსიზმის ერთ-ერთ საპროგრამო დოკუმენტს. ეს ნაწარმოები კ.მარქსმა 1875 წ. დაწერა. ხოლო ფ.ენგელსმა 1891 წ. გამოაქვეყნა. იგი მიმართული იყო 1875 წ. ქ.გოთაში გერმანიის მუშათა ორგანიზაციის ორი პარტიის (1. „გერმანელ მუშათა საყოველთაო კავშირი" და 2. „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია") გაერთიანებულ ყრილობაზე, მიღებული პროგრამის წინააღმდეგ. ეს პროგრამა კ.მარქსის თქმით წარმოადგენდა „ლასალური სარწმუნოების სიმბოლოს კანონიზაციას"*. გერმანელი ეკონომისტი ფ.ლასალი მხარს უჭერდა გერმანიის ზემოდან გაერთიანების ბისმარკისეულ ნაციონალისტურ გეგმას, ავითარებდა წარმოებრივ ამხანაგობათა შექმნის რეფორმისტულ იდეებს, უარყოფდა სოციალისტური რევოლუციისა და

------

*კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩ.ნაწერები, ტ.II, თბ., გვ.9.

პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას.

კ.მარქსმა გააკრიტიკა გოთის პროგრამაში შეტანილი ლასალიანური „ხელფასის რკინის კანონი". ფ. ლასალის მიხედვით მუშა საშუალოდ ღებულობს მხოლოდ ხელფასის მინიმუმს. მისი აზრით, ეს ხდება იმის გამო, რომ მუშები ყოველთვის მეტისმეტად ბევრი არიან. კ.მარქსმა კი მიუთითა რომ მუშა განსაზღვრული დროის განმავლობაში მუქთად მუშაობს და ზედმეტ ღირებულებას ქმნის კაპიტალისტისათვის. „მთელი კაპიტალისტური წარმოების სისტემა მის გარშემო ბრუნავს, რომ ეს მუქთი შრომა გაადიდოს სამუშაო დღის გახანგრძლივებით, ან შრომის ნაყოფიერების გადიდებით, შესაბამისად სამუშაო ძალის მეტი დაძაბვით და ა.შ., რომ, მაშასადამე, დაქირავებული შრომის სისტემა მონობის სისტემაა, სახელდობრ - ისეთი მონობის, რომელიც მით უფრო მკაცრი ხდება, რაც უფრო ვითარდება შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალები, მიუხედავად იმისა, მუშის შრომა მეტად ნაზღაურდება თუ ნაკლებად"*

„გოთის პროგრამის კრიტიკაში" კ.მარქსმა გააკრიტიკა „ზეკლასობრივი სახალხო სახელმწიფოს" ლასალიანური თეორია. კ.მარქსი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო არის „ჩაგრული კლასის დათრგუნვის განსაკუთრებული ძალა" მისი აზრით, თავისუფალი სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ ნამდვილ თავისუფლებათა განხორციელების მატერიალური საშუალებანი მხოლოდ ეკონომიკურად გაბატონებულ ბურჟუაზიას აქვს.

გარდა აღნიშნულისა, „გოთის პროგრამის კრიტიკაში" კ.მარქსმა განიხილა პროლეტარიატის დიქტატურის, რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალი პერიოდის, კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის და სხვა საკითხები.

მარქსიზმის გვიანდელი პერიოდის შრომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1878 წ. გამოქვეყნებულ ფ.ენგელსის ნაშრომს „ანტი-დიურინგი".

„ანტი-დიურინგი" მიმართული იყო ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ევგენი დიურინგის წინააღმდეგ.

ე.დიურინგი პრეტენზიას აცხადებდა ყველა მეცნიერების განსაკუთრებული სისტემის შექმნაზე და გამოაქვეყნა მთელი რიგი მონოგრაფიები: „ფილოსოფიის კურსი"; „პოლიტიკური და სოცი-

- - - - - -

*კ.მარქსი, გოთის პროგრამის კრიტიკა, იხ. კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩ. ნაწერები, ტII, გვ. 24.

ალური ეკონომიკის კურსი"; „პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის ისტორია".

ე. დიურინგის შეხედულებებმა გავრცელება ჰპოვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელებს შორის. დიურინგიანელობის გავლენის ზრდამ კ.მარქსისა და ფ.ენგელსის შეშფოთება გამოიწვია. ამიტომ ფ.ენგელსმა გაილაშქრა ე.დიურინგის წინააღმდეგ.

„ანტი-დიურინგი" შესდგება შესავლისა და სამი განყოფილებისაგან: I. ფილოსოფია, 2. პოლიტიკური ეკონომია, 3. სოციალიზმი. მეორე განყოფილებაში არის თავი რომელიც დაწერილია კ.მარქსის მიერ და ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის ისტორიას. მისი სახელწოდებაა „კრიტიკული ისტორიიდან" და წარმოადგენს „ზედმეტი ღირებულების თეორიების" დამატებას.

„ანტი-დიურინგში" ფ.ენგელსი იძლევა პოლიტიკური ეკონომიის საგნის განსაზღვრას. მისი გაგებით პოლიტიკური ეკონომია არის მეცნიერება ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებითი, ე.ი. ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ. იგი იკვლევს ადამიანთა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების კანონებს.

ფ.ენგელსი იძლევა პოლიტიკური ეკონომიის განსაზღვრას ვიწრო და ფართო გაგებით. მისი თქმით პოლიტიკური ეკონომია ვიწრო გაგებით ესაა მეცნიერება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების შესახებ. ხოლო პოლიტიკური ეკონომია ფართო გაგებით შეისწავლის არა მხოლოდ ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობებს, არამედ ამასთანავე ანტიკური, ფეოდალური და მომავალი კომუნისტური საზოგადოებების წარმოებისა და გაცვლის, მოხმარებისა და განაწილების პრობლემებს.

რაც შეეხება პოლიტიკური ეკონომიის მეთოდს „ანტი-დიურინგში" ფ.ენგელსი აკრიტიკებს ე.დიურინგის მეთოდს და მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის მეთოდად აღიარებს მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდს.

„ანტი-დიურინგში" ფ.ენგელსი აკრიტიკებს ე.დიურინგის პოზიციას ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის საკვანძო საკითხებში. ვინაიდან ჩვენს მიზანს წარმოადგენს მარქსიზმის ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბების პროცესის შესწავლა, ამიტომ ჩვენთვის საინტერესოს წარმოადგენს ამ წიგნის მეორე და მესამე განყოფილება.

„ანტი-დიურინგში" ფ.ენგელსი აქითარებს იდეებს წარმოების, გაცვლისა და განაწილების ურთიერთმოქმედების დიალექტიკის შესახებ. ასაბუთებს საზოგადოებრივი წარმოების პრიმატის

მატერიალისტურ პრინციპს ამასთან აღნიშნავს, რომ თუმცა განაწილების წესი საბოლოო ჯამში განისაზღვრება წარმოებისა და გაცვლის წესით, განაწილება თავის მხრივ უკუგავლენას ახდენს წარმოებასა და გაცვლაზე. ე.დიურინგი, ფ.ენგელსის თქმით, განაწილებას წყვეტდა წარმოებისა და გაცვლისაგან. ამას იგი ხსნიდა ძალმომრეობით. ამასთან დაკავშირებით ფ.ენგელსმა საჭიროდ ჩათვალა გაეკრიტიკებინა ძალმომრეობის დიურინგისეული თეორია.

ფ.ენგელსი აღნიშნავდა, რომ ისტორიულ პროცესის ყველა ეტაპზე ძალმომრეობა გამოდიოდა როგორც ეკონომიკური პროცესების შედეგი და არა როგორც მათი მიზეზი. აანალიზებდა რა კერძო საკუთრების წარმოშობის პროცესს, ფ.ენგელსი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ყველგან, სადაც კერძო საკუთრება იქმნება, ეს ხდება როგორც წარმოებისა და გაცვლის შეცვლილი ურთიერთობის შედეგი, წარმოებისა და აღებმიცემობის გასაძლიერებლად, მაშასადამე, ეკონომიკური მიზეზების გამო. ძალმომრეობა აქ არავითარ როლს არ ასრულებს"[*] იგი იქვე მიუთითებს, რომ პოლიტიკური ძალმომრეობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაში იმყოფება, - ესაა არმია და მისი ორგანიზაცია ყველა ეპოქებში, ისევე როგორც ომის წარმოების საშუალებანი ეკონომიკურ პირობებზეა დამოკიდებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისადმი ურთიერთობაში ძალმომრეობის მეორადი ხასიათის გაგება სრულიად არ ნიშნავს თითქოს ის არავითარ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე. ყოველგვარი პოლიტიკური ხელისუფლება, თავდაპირველად განსაზღვრულ ეკონომიკურ ფუნქციას ემყარება, რომელიც მთელი საზოგადოებისათვის შესასრულებელია, მაგრამ ხდება რა დამოუკიდებელი საზოგადოებისადმი ურთიერთობაში, პოლიტიკური ხელისუფლება შეიძლება ხელს უწყობდეს ეკონომიკურ განვითარებას ანდა შეიძლება ამუხრუჭებდეს კიდეც მას. უკანასკნელ შემთხვევაში საბოლოოდ სულ უფრო თავისთავის იკაფავს გზას და პოლიტიკური ხელისუფლებაც ეცემა მისი ზეგავლენით. ამასთან დაკავშირებით ფ.ენგელსი წერს „ბატონი დიურინგი კრინტსაც არ ძრავს იმის შესახებ, რომ ძალმომრეობა სხვა როლსაც ასრულებს ისტორიაში, რევოლუციურ როლს, რომ იგი, მარქსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ბებია ქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, რომელიც ორსულადაა ახლით, რომ ძალმომრეობა იარაღია, რომლის შემწეობითაც საზოგადოებრივი მოძრაობა გზას იკვლევს

[*] ფ.ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ.192.

და გაქვავებულ. მომავლად პოლიტიკურ ფორმებს ამსხვრევს"**.

„ანტი-დიურინგში" ფ.ენგელსი აკრიტიკებს ე.დიურინგის ღირებულების თეორიას. აღნიშნავს, რომ იგი ღირებულებას აიგივებდა ფასთან. ასეთ გაგებას ფ.ენგელსი უპირისპირებს ღირებულების მარქსისტულ განსაზღვრას.

ფ.ენგელსმა გააკრიტიკა კაპიტალის დიურინგისეული განსაზღვრა. ე.დიურინგს კაპიტალად ესმოდა წარმოების საშუალებათა ყოველგვარი ჯამი. ე.დიურინგთან პოლემიკაში ფ.ენგელსმა დაიცვა კაპიტალის მარქსისტული განსაზღვრა.

„ანტი-დიურინგის" III თავში ფ.ენგელსი აყალიბებს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას როგორც „საზოგადოებრივი წარმოებისა და კაპიტალისტური მითვისების შეუთავსებლობას"***. ეს წინააღმდეგობა კაპიტალიზმის დროს „მჟღავნდება როგორც წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, წარმოების ორგანიზაციასა ცალკე ფაბრიკაში და, მეორე მხრივ, მთელ საზოგადოებაში გაბატონებულ წარმოების ანარქიას შორის"****. ფ.ენგელსი მიუთითებს, რომ წარმოების ძველი ანარქიული განლაგების ნაცვლად სოციალისტური საზოგადოება, „რომელიც თავის საწარმოო ძალებს ერთმანეთს ჰარმონიულად უთანხმებს ერთი დიდი გეგმის მიხედვით, შეეძლია მრეწველობას ნება დართოს ისე გაიშალოს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც ეს ყველაზე უფრო მარჯვე და მოხერხებული იქნება მისი საკუთარი განვითარებისათვის და შენარჩუნებისათვის და აგრეთვე წარმოების სხვა ელემენტების განვითარებისათვის"*****

ფ.ენგელსს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კაპიტალიზმამდელი ფორმაციების ეკონომიკური განვითარების საკითხთა გაშუქების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1884 წ. დაწერილი მისი ნაშრომი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". ის დაიწერა ძველი საზოგადოების შესახებ ლ.მორგანის გამოკვლევასთან დაკავშირებით. ლუი მორგანმა ამერიკაში თავისებურად ხელახლა აღმოაჩინა კ.მარქსის მიერ ორმოცი წლის წინათ აღმოჩენილი ისტორიის მატერიალისტური გაგება.

ლ.მორგანის მასალებზე დაყრდნობით ფ.ენგელსმა თავის წიგნში დააყენა ახალი პრობლემები, ისტორიულ ფაქტებს თავისი ინტერპრეტაცია მისცა. უამრავი ისტორიული მასალების შესწავლისა და

- - - - -

*ფ.ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 217.

**იქვე, გვ.321.

***იქვე, გვ. 324-325.

****იქვე გვ.355.

განზოგადების საფუძველზე ფ.ენგელსი ამ შრომაში აჩვენებს კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებას.

ფ.ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა" იწყება გვაროვნული წყობილების წარმოშობამდე არსებული პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების პირობების განხილვით. ოჯახის ისტორიას ფ.ენგელსი უკავშირებს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას. შემდეგ ფ.ენგელსი დაწვრილებით განიხილავს საზოგადოების გვაროვნულ ორგანიზაციას იროკეზებთან, ძველ ბერძნებთან, რომაელებთან და გერმანელებთან. ის მიუთითებს, რომ გვაროვნული წყობილების დროს არ არსებობდა კერძო საკუთრება, კლასები და სახელმწიფო. შემდგომ აჩვენებს, ეკონომიკური პირობების შეცვლით, რაც გამოიხატებოდა შრომის მწარმოებლურობის ზრდასა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, როგორ ჩაისახა და განვითარდა გაცვლა, ცალკეული კომლების კერძო საკუთრება მიწაზე, ხოლო შემდეგ მოხდა თემის დაშლა და წარმოიშვა კლასები. ქონებრივი უთანასწორობისა და კლასების წარმოშობამ განაპირობა სახელმწიფოს შექმნა. ფ.ენგელსი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო ესაა ერთი კლასის მეორეზე ხელისუფლების დაცვისა და განმტკიცების მანქანა.

ფ.ენგელსი განიხილავს მონათმფლობელურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს და აკეთებს დასკვნას კლასებისა და სახელმწიფოს ისტორიული ხასიათის შესახებ. „კლასები ისეთივე გარდუვალობით გაქრებიან, როგორი გარდუვალობითაც ისინი წარსულში წარმოიშვნენ. კლასების გაქრობასთან ერთად გარდუვალად გაქრება სახელმწიფოც"*, მიუთითებს იგი.

## 5. ლენინიზმის ანუ საბჭოთა მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრება

კ.მარქსისა და ფ.ენგელსის ეკონომიკურმა მოძღვრებამ შემდგომი განვითარება პპოვა ვ.ი.ლენინის შრომებში. ვ.ი.ლენინი (ულიანოვი) (1870-1924) მტკიცე მარქსისტი გახდა. მან ექსტერნად დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ვ.ი.ლენინის ეკონომიკური ნაწარმოებების შინაარსის გათვა-

\- - - - - -

*ფ.ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. იხ. კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩ. ნაწერები, ტ.II, თბ., 1964, გვ. 393-394.

ლისწირებით. მისი მოღვაწეობის მთელი პერიოდი შეიძლება შემდეგ ეტაპებად დაიყოს: 1. XIX ს. 90-იანი წლები, 2. 1901-1914წ.წ., 3. 1914-1917წ.წ., 4. 1917-1924*

## ა. ვ.ი.ლენინის 90-იანი წლების ნაშრომები.

XIXს. 90-იან წლებში დაწერილი ვ.ი.ლენინის პირველი ეკონომიკური ნაშრომები დაკავშირებული იყო ხალხოსნებთან, „ლეგალურ მარქსისტებთან" და „ეკონომისტებთან" ბრძოლასთან.

1993წ. ვ.ი.ლენინმა დაწერა სტატია „ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო"**, რომელშიც მოცემული აქვს XIX ს. დამლევს რუსეთში არსებული ეკონომიკური პირობების მარქსისტული ანალიზი. იმ პერიოდში საკითხმა ბაზრების შესახებ დიდი როლი ითამაშა მარქსისტების დავაში რუსეთში კაპიტალიზმის ბედის შესახებ. ხალხოსნები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება შეუძლებელიაო. ისინი მიუთითებდნენ, რომ რუსეთში არ არის კაპიტალიზმისათვის აუცილებელი ფართო შინაური ბაზარი, მის შექმნას ხელს უშლის ხალხია მასების სულ უფრო მზარდი გაღატაკება.

ვ.ი.ლენინი დადებით პასუხს იძლეოდა კითხვაზე - შეიძლებოდა თუ არა განვითარებულიყო რუსეთში კაპიტლიზმი. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების გარდუვალობა დაუკავშირა შემდეგ ორ ძირითად მომენტს: 1. უშუალო მწარმოებელთა კარჩაკეტილი, თვითკმარი მეურნეობის გარდაქმნას საქონლურ მეურნეობად და 2. საქონლური მეურნეობის ევოლუციას კაპიტალისტურ მეურნეობად.

რუსეთის მრავალრიცხოვანი წვრილმწარმოებელთა კლასის გაჩანაგების პროცესში ვ.ი.ლენინმა შენიშნა კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ფაქტი. წვრილმწარმოებელთა დიფერენციაციის პროცესი, მიუთითებს იგი, „თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ კაპიტალიზმი და მასის გაღარიბება არამც თუ არ გამორიცხავდა, არამედ პირიქით, აპირობებენ ურთიერთს, - და ურყევად ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი უკვე ამჟამად რუსეთის სამეურნეო ცხოვრების ძირითად ფონს წარმოადგენსო"***.

- - - - - -

*რუსული ეკონომიკური აზრის ისტორია, ტ.II, ნაწ.2, 1960, გვ. 423 (რუს).

**ეს ნაშრომი 1937წ. გამოქვეყნდა.

***ვ.ი.ლენინი, ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო, თხზ., ტ.I, გვ. 116-117.

ვ.ი.ლენინის დასახელებულ ნაშრომში შემდგომი განვითარება ჰპოვა კვლავწარმოების მარქსისტულმა თეორიამ. მასში ვ.ი.ლენინმა გაანალიზა მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოების სქემები და აჩვენა, რომ კაპიტალისტური წარმოება თავისი განვითარების პროცესში ქმნის საკუთარ ბაზარს. მან მიუთითა, რომ ხალხის მასების გაღარიბება არათუ ხელს არ უშლის კაპიტალიზმის განვითარებას, არამედ პირიქით, სწორედ მის განვითარებას გამოხატავს, კაპიტალიზმის პირობას წარმოადგენს და აძლიერებს მას. კაპიტალიზმისათვის საჭიროა „თავისუფალი მუშა" და გაღარიბება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წვრილი მწარმოებლები დაქირავებულ მუშებად იქცევიან. წვრილ საწარმოთა გაკოტრებასა და დაქვეითებას თან სდევს უფრო მსხვილ საწარმოთა გაძლიერება და განვითარება; ორივე პროცესი ხელს უწყობს ბაზრის ზრდას: „გაღარიბებული" გლეხი, რომელიც წინათ თავისი მეურნეობით არსებობდა, ახლა ცხოვრობს „საშოვრებით", ე.ი. თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით; მას ახლა მოხმარების აუცილებელი საგნების ყიდვა უხდება (თუნდაც უფრო ნაკლები რაოდენობით და უფრო ცუდი ხარისხისა); მეორე აზრით, წარმოების ის საშუალებები, რომლებისგანაც ეს გლეხი თავისუფლდება, თავს იყრის უმცირესობის ხელში, იქცევა კაპიტალად, და წარმოებული პროდუქტიც უკვე ბაზარზე გადის. მხოლოდ ამით აიხსნება ის მოვლენა, აგრძელებს ვ.ი.ლენინი, რომ რეფორმისშემდგომ ეპოქაში ჩვენი გლეხობის მასობრივ ექსპროპრიაციას თან ახლდა ქვეყნის საერთო ნაყოფიერების არა შემცირება, არამედ გადიდება და შინაური ბაზრის ზრდა"*

საშრომში ეგრეთ წოდებული ბაზრების საკითხის გამო, ვ.ი.ლენინმა განავითარა კ.მარქსის დებულება წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის შესახებ მოხმარების საგნების წარმოებასთან შედარებით. იგი აღნიშნავდა, რომ კაპიტალის ორგანული შედგენილობის ზრდის გათვალისწინებით „წარმოების საშუალებათა წარმოება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოხმარების საშუალებათა წარმოება"**. ამასთან ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება წარმოების საშუალებათა წარმოება წარმოების საშუალებებისათვის, შემდეგ წარმოების საშუალებათა წარმოება მოხმარების საშუალებებისათვის და ყველაზე ნელა - მოხმარების

*ვ.ი.ლენინი, ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო, თხზ., ტ.I, გვ. 108-109.

**იქვე, გვ. 90-91.

საშუალებათა წარმოება*. ეს განპირობებულია იმით, რომ მუდმივ კაპიტალს აქვს უფრო სწრაფი ზრდის ტენდენცია ვიდრე ცვალებადს.

1894 წ. ვ.ი.ლენინმა შექმნა ნაშრომი „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ? (პასუხი „რუსკოე ბოგატსტვოს" სტატიებზე მარქსისტების წინააღმდეგ). ამ ნაწარმოებში ვ.ი.ლენინმა გააკრიტიკა 90-იანი წლების ხალხოსნების მსოფლმხედველობა, ეკონომიკური შეხედულებები, პოლიტიკური პლატფორმა და ტაქტიკა. მან გამოამჟღავნა ლიბერალური ხალხოსნების იდეოლოგიის კლასობრივი სათავეები და არსი. ვ.ი.ლენინი ამტკიცებდა, რომ ლიბერალური ხალხოსნები წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენ. წვრილი მწარმოების ორადი ბუნების შესაბამისად ვ.ი.ლენინი ხალხოსნობაში ორ მარეს განარჩევდა - რეაქციულს და პროგრესულს.

დასახელებულ ნაშრომში ცენტრალურ ადგილს იკავებს საკითხი რუსეთში კაპიტალიზმის ბედის შესახებ. ვრცელ მასალებზე დაყრდნობით ვ.ი.ლენინმა გააკეთა დასკვნა რომ „რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა"***.

იმ ნაშრომებს შორის რომლებიც მიმართულია ლიბერალური ხალხოსნობის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვ.ი.ლენინის ნაწარმოებს „ხალხოსნობის ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (1895წ.). იგი დაიწერა პ.სტრუვეს წიგნის გამო „კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიკური განვითარების საკითხისათვის", რომელიც 1894 წ. გამოვიდა პეტერბურგში.

როგორც ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, პ.სტრუვე პრეტენზიას აცხადებდა ხალხოსნური დოქტრინების გაშლილ კრიტიკაზე. მაგრამ ამ კრიტიკას სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა, რამდენადაც მას აწარმოებდა ის ობიექტივისტური, ე.ი. არსებითად ლიბერალურ-ბურჟუაზიული, პოზიციიდან.

პ.სტრუვე არ განასხვავებდა რევოლუციურ და ლიბერალურ ხალხოსნობას. ამასთან იგი მარქსისტების დავას ხალხოსნებთან განიხილავდა როგორც სლავოფილობასა და დასავლეთელობას შორის უთანხმოების ბუნებრივ გაგრძელებას. პ.სტრუვე უარყოფდა აგრეთვე, ხალხოსნობის პრაქტიკულ პლატფორმას, რომელიც ვ.ი.ლენინის აზრით დემოკრატიულ შინაარსს ატარებდა. ვ.ი.ლენინს სოციალ-დემოკრატების ამოცანად მიაჩნდა არა მარტო მიელოი

- - - - -

***იქვე, გვ. 89.

**ვ.ი.ლენინი, რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?, თხზ. ტ.I, გვ. 246-247.

ხალხოსნობის პროგრამის პროგრესული მხარეები, „არამედ კიდევაც ქვლა გაატარის ისინი ცხოვრებაში უფრო ზუსტად, ღრმად და გაფართოებულად"*

პ.სტრუვეს მიერ დაწყებულმა კრიტიკულმა განხილვამ ვ.ი.ლენინს შესაძლებლობა მისცა კიდევ ერთხელ გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება ხალხოსნობისადმი, დაეხასიათებინა მისი კლასობრივი ბუნება და შეეფასებინა მისი ეკონომიკური შინაარსი.

ვ.ი.ლენინის ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან ყურადღებას იმსახურებს ნაშრომი „ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის". მას აქვს ქვესათაური, რომელიც გამოხატავს ამ თხზულების მიმართულებას, - „სისმონდი და ჩვენებური სისმონდისტები".

ნაშრომში განხილულია წვრილი წარმოების მხურვალე მომხრისა და კაპიტალიზმის მოწინააღმდეგის ფრანგი ს.სისმონდის მთავარი ნაწარმოები - „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები ანუ სიმდიდრე მის დამოკიდებულებაში ხალთმოსახლეობასთან".

ვ.ი.ლენინის ნაშრომის დაწერის უშუალო საბაბი გახდა ბ.ეფრუსის სტატია „სიმონდდე სისმონდის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოში".

ნაშრომში „ეკონომიკური რომანტიზმის დაასიათებისათვის" ვ.ი.ლენინი აწარმოებს ეფრუსის დასკვნების კრიტიკას და არკვევს სისმონდის ადგილს ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

ვ.ი.ლენინი უპირისპირებდა სისმონდისა და რუსი ხალხოსნების შეხედულებებს და აღნიშნავდა რომ ხალოსნების ეკონომიკური მოძღვრება „მხოლოდ რუსული სახესხვაობაა საერთო ევროპული რომანტიზმისა"**.

ვ.ი.ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კაპიტალიზმის დროს ბაზრებისა და კრიზისების პრობლემებს. აქ ახალ მომენტს წარმოადგენდა საგარეო ბაზრის გარეშე ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობის სისმონდისეული თეორიის კრიტიკა, თეორიისა, რომელსაც რუსი ხალხოსნებიც იცავდნენ.

ვ.ი.ლენინის 90-იანი წლების ნაშრომებიდან უმთავრესს წარმოადგენს წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" (1899წ.). წიგნს აქვს ქვესათაური „მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის

- - - - -

*ვ.ი.ლენინი, ხალხოსნობის ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, თხზ. ტ.1. გვ. 613.

**ვ.ი.ლენინი, ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის, თხზ., ტ.2. გვ. 304.

წარმოშობის პროცესი". ამ ისტორიული მიზანს წარმოადგენდა რუსეთის კაპიტალიზმისათვის ბაზრის წარმოქმნის პროცესის გამორკვევა და ლიბერალური ხალხოსნების შესაბამისი შეხედულებების კრიტიკა.

ვ.ი.ლენინმა საბოლოოდ გაუსწორა ანგარიში ხალხოსანთა თეორიულ ეკონომიკურ შეხედულებებს ბაზრების შესახებ. მან დაასაბუთა, რომ რუსეთში საშინაო ბაზრის შექმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის ძირითადად გარანტირებული იყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ზრდით. იგი მიუთითებდა ინდუსტრიული მოსახლეობის ახალი ტემპით მატების ტენდენციაზე. მიწათმოქმედებაში დასაქმებულ მოსახლეობასთან შედარებით, ხაზს უსვამდა ამ ფაქტორის მნიშვნელობას საშინაო ბაზრის საკითხის გადაწყვეტაში.

წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დაიმობილი კაპიტალიზმის განვითარების საკითხს რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის მრეწველობაში. აქ ვ.ი.ლენინი აკრიტიკებდა ხალხოსანთა მტკიცებას რუსეთში მსხვილი კაპიტალისტური წარმოების განვითარების უნიადაგობის შესახებ. ვ.ი.ლენინი დიდ ადგილს უთმობს რუსეთის მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების ფორმებისა და სტადიების ანალიზს. ამასთან ერთად იგი ახასიათებს რუსეთის მიწათმოქმედების კაპიტალისტურ ევოლუციას და არკვევს მის გავლენას საშინაო ბაზრის განვითარებაზე.

რუსეთში კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პროცესი როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაშიც დიდი თავისებურებებით გამოირჩეოდა. კაპიტალიზმის წარმოშობის აუცილებელ წინამძღვრებს მრეწველობაში და მიწათმოქმედებაშიც წარმოადგენდა სასაქონლო წარმოების ზრდა და დაქირავებული შრომის განვითარება. მაგრამ სოფლის მეურნეობაში, როგორც ნაჩვენებია წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", ორიევე ეს პროცესი სხვადასხვა ფორმაში ხდება, ვიდრე მრეწველობაში. მრეწველობაში ამ პროცესს უბრალო სწორხაზობრივი ფორმა აქვს. დამმუშავებელი მრეწველობა იშლება ცალკეულ სრულიად დამოუკიდებელ დარგებად, რომელთა ამოცანასაც შეადგენს მხოლოდ ერთი პროდუქტის ან მისი ნაწილის წარმოება. სხვანაირადაა არის საქმე სოფლის მეურნეობაში, რომელიც არ იშლება ცალკეულ დარგებად, არამედ სპეციალიზირდება ბაზრისთვის ერთი ან მეორე პროდუქტის წარმოებაზე, ამასთან სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგებიც შეგუებულია წარმოების ამ მთავარი სახისადმი.

აღნიშნულის გამო სოფლის მეურნეობაში, მრეწველობისაგან განსხვავებით, ჭარბობს საეაჭრო და არასავაჭრო მიწათმოქმედების არევა, სასაქონლო და ნატურალური მეურნეობის ელემენტების გადახლართვა. გლეხური მეურნეობა ერთის მხრივ არის სასაქონლო, მაგრამ მეორე მხრივ ის ინარჩუნებს თავის ნატურალურ, სამომხმარებლო ხასიათს. სოფლის მეურნეობის ეს თავისებურება განაპირობებს მიწათმოქმედების ფორმების დიდ სხვადასხვაობას.

ვ.ი.ლენინმა მიუთითა, რომ არანაკლები თავისებურებით გამოირჩევა სოფლის მეურნეობაში წვრილი მწარმოებლების დაშლის პროცესში დაქირავებულ მუშათა კლასის ჩამოყალიბება. წვრილი მწარმოებლების დაშლა აქაც ხშირად მიდის წმინდა პროლეტარების წარმოშობისკენ, რომლებიც მოკლებული არიან წარმოების საშუალებას.. მაგრამ როგორც ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე ტიპიურს წარმოადგენს არა სავსებით უმიწო, უქონელი გლეხი, არამედ დაქირავებული მუშა ნადელით. „სულ მცირე მეურნეობა ნაჭერ მიწაზე და ისიც ისეთი მეურნეობა, რომელიც სავსებით დაქვეითებულია.. სამუშაო ძალის გაუყიდავად .. არსებობის შეუძლებლობა, უკიდურესად დაბალი საარსებო დონე, რომელიც, ალბათ, უნადელო მუშის საარსებო დონეზეც დაბლაა"* - წერდა ვ.ი.ლენინი.

ვ.ი.ლენინი ახასიათებდა რა რუსეთში მემამულური და გლეხური მეურნობის კაპიტალისტურ ევოლუციას ფაქტიურად აანალიზებდა მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების ორი ტიპის მემამულურ ბურჟუაზიულის (პრუსიული) და გლეხური ბურჟუაზიულის (ამერიკული) ძირითად ნიშნებს.

რუსულ მასალებზე დაყრდნობით ვ.ი.ლენინმა მიაკვლია მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების ევროპულისაგან განსხვავებულ მეორე გზას. გამოავლინა მრეწველობაში კაპიტალისტური ურთიერთობების წარმოშობა წვრილგლეხური სარეწების (წვრილი სასაქონლო წარმოების) დაშლის ბაზაზე, რომელიც გამოჰყოფს ერთი მხრივ, წვრილი კაპიტალისტების უმცირესობას, ხოლო მეორე ხრივ - დაქირავებულ მუშებს ანდა დაუმოუკიდებელ კუსტარებს, რომლებიც კიდევ უფრო გაჭირვებით ცხოვრობენ ვიდრე დამოუკიდებელი მუშები. დაქირავებული წვრილი წარმოებიდან, - წერდა ვ.ი.ლენინი, - იქმნება კ ა პ ი ტ ა ლი ს ტ უ რ ი მ ა რ ტ ი ვ ი კ ო ო პ ე რ ა ც ი ა"**.

*ვ.ი.ლენინი, კაპიტალიზმს განვითარება რუსეთში, თხზ. ტ3, გვ. 191-192.

**იქვე. გვ.413.

ვ.ი.ლენინმა მიუთითა, რომ რუსეთის კაპიტალისტური მრეწველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე სავაჭრო კაპიტალმა. ვ.ი.ლენინმა გამოიკვლია სავაჭრო კაპიტალის განვითარების ძირითადი ფორმები და აჩვენა სავაჭრო კაპიტალის სამრეწველოდ გადაქცევის თანმიმდევრული ეტაპები.

ვ.ი.ლენინმა გაანალიზა რუსეთის მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების სამი სტადია - კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა და ფაბრიკა.

ვ.ი.ლენინი პოლემიკას აწარმოებდა სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებთან.. მას იდეური უთანხმოება ჰქონდა „ლეგალური მარქსიზმის" ლიდერებთან. 1994 წ. ვ.ი.ლენინმა დაწერა რეფერატი „მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში", რომელშიაც გააკრიტიკა „ლეგალური მარქსიზმის" წარმომადგენლის პ.სტრუვეს შეხედულებათა ლიბერალურ-ბურჟუაზიული არსი. იგი არ ეთანხმებოდა პ.სტრუვეს ამაღლებულიყო განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფებზე მაღლა და საზოგადოებრივ მოვლენებზე „ობიექტური", ზეკლასობრივი თვალსაზრისიდან ემსჯელა. ვ.ი.ლენინი არ ეთანხმებოდა პ.სტრუვეს მოწოდებას: „ვაღიაროთ ჩვენი უკულტურობა და სასწავლად მივებაროთ კაპიტალიზმსო". ვ.ი.ლენინი გადაჭრით იმიჯნებოდა პ.სტრუვეს განცხადებისაგან იმის შესახებ, რომ „მესამე პირთა" თეორია სწორიაო. პ.სტრუვეს ამ განცხადებაზე, იგი წერდა „ყოვლად შეუძლებელია დაეეთანხმოთ ამ განცხადებასო"*.

ვ.ი.ლენინის თქმით, პ.სტრუვე სრულიად უარყოფდა რუსეთში აგრარული ჭარბმოსახლეობის კაპიტალისტურ ხასიათს და უკანასკნელს განმარტავდა შეუთავსებლად არსებობის საშუალებათა გამრავლებასთან. ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, რომ ამ განმარტებით პ.სტრუვემ გადაუხვია თ.მალთუსის ხალხთმოსახლეობის მუდმივი კანონისაკენ და შეეცადა აღედგინა იგი რუსულ ნიადაგზე. ვ.ი.ლენინი მიუთითებდა, რომ პ.სტრუვეს ასეთი მცდელობა განმტკიცებული არაა „არავითარი ცნობებით და დამყარებულია მეთოდოლოგიურად შემცდარ დოგმატურ დებულებებზეო"**.

ვ.ი.ლენინმა გაილაშქრა პ.სტრუვეს ცდის წინააღმდეგ შეესწორებინა მარქსიზმი საკითხში მიწათმოქმედებაში მსხვილი და წვრილი წარმოების შესახებ. პ.სტრუვე აქცენტს აკეთებდა სოფლის მეურნე-

- - - - - -

*ვ.ი.ლენინი, ხალხოსნობის ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, თხზ., ტ.I გვ. 604.

**იქვე, გვ. 582.

ობრივი წარმოების თავისებურებებზე და კ.მარქსის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა წვრილი საწარმოების უპირატესობას მსხვილის წინაშე.

ვ.ი.ლენინი ეკამათებოდა ლეგალურ მარქსისტებს მ.ტუგან-ბარანოვსკისა და ს.ბულგაკოვს კაპიტალის II და III ტომებს შორის წინააღმდეგობის შესახებ. ამ წინააღმდეგობას ისინი იმაში ხედავდნენ, რომ კ.მარქსი „კაპიტალის“ III ტომში II ტომისაგან განსხვავებით რეალიზაციის პირობების სახით პროპორციულობის გვერდით კიდევ აყენებს საზოგადოების სამომხმარებლო ძალასაც. ვ.ი.ლენინი მიუთითებდა, რომ ლეგალური მარქსისტების მოტივი აქ მდგომარეობს „საზოგადოებრივი სამომხმარებლო ძალისა“ და „ერთეული წარმოების განაწილების პროპორციულობის“ დაპირისპირებულობამდე. ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, რომ „მოხმარების გარკვეული მდგომარეობა პროპორციულობის ერთ-ერთი ელემენტია“* და ეს დებულება მთელი განსაზღვრულობით გამომდინარეობს რეალიზაციის ანალიზიდან „კაპიტალს“ II ტომში. ამიტომ დაასკვნის იგი „არავითარი წინააღმდეგობა „კაპიტალის“ II და III ტომებს შორის რეალიზაციის საკითხში (აგრეთვე ბაზრების თეორიის საკითხში) არ არსებობს“**.

ვ.ი.ლენინმა გაილაშქრა აგრარულ საკითხში კ.მარქსის კრიტიკოსების წინააღმდეგ. ამ საკითხში ე.ბერნშტეინთან ერთად აქტიურობდნენ ე. დავიდი და ფ.გერცი. ე.დავიდმა გამოაქვეყნა წიგნი „სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა“, ხოლო ფ.გერცმა „აგრარული საკითხი სოციალიზმთან კავშირში“ (1899).

რუსეთში აგრარულ საკითხში კ.მარქსის კრიტიკოსებად გამოვიდნენ ს.ბულგაკოვი წიგნით „კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება“ (1900), პ.მასლოვი, ვ.ჩერნოვი და სხვ.

აღნიშნული ავტორების წინააღმდეგ ვ.ი.ლენინმა დაწერა რიგი ნაშრომები: „მუშათა პარტია და გლეხობა“(1901), „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა“(1902), „სოფლის ღარიბებს“ (1903), „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“ (1907) და სხვ. მათში ვ.ი.ლენინი აკრიტიკებდა ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს, ილაშქრებდა კ.მარქსის კრიტიკოსების წინააღმდეგ სოფლის მეურნეობაში მანქანების როლის საკითხში, მიწათმოქმედებაში მსხვილი და წვრილი წარმოების შესახებ,

- - - - - - -

*ვ.ი.ლენინი, შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისთვის, თხზ., ტ.4, გვ.6-.

**იქვე, გვ. 62.

კოოპერაციის როლის საკითხში და ა.შ.

ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი პირველად მე-18 საუკუნეში ფრანგმა ეკონომისტმა ა.ტიურგომ ჩამოაყალიბა, ხოლო რამდენადმე მოგვიანებით ინგლისელმა ეკონომისტმა ე.უესტმა. ამ კანონის თანახმად, მიწაზე შრომისა და კაპიტალის დამატებითი დაბანდება გარკვეული მომენტის შემდეგ სულ უფრო ნაკლებ შემოსავალს იძლევა. ეს კანონი პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც ინგლისელმა თომას მალთუსმა გამოიყენა იგი თავისი თეორიის დასასაბუთებლად.

*XIX* ს. დასასრულსა და *XX* ს. დასაწყისში კ.მარქსის აგრარული თეორიის კრიტიკოსებმა თავიანთი კონცეფციების ცენტრში დააყენეს ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი. ისინი მას უნივერსალურ მნიშვნელობას მიაწერდნენ.

ვ.ი.ლენინის მტკიცებით ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი არ შეიძლება მოქმედებდეს მიწათმოქმედების პროგრესის პირობებში. მისი თქმით, ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი ობიექტურად რომ არსებობდეს, გაუმართლებელი იქნებოდა მიწათმოქმედებაში უდიდესი სახსრების დაბანდება, რასაც ყველა ქვეყანაში აქვს ადგილი.

ვ.ი.ლენინი არ ეთანხმებოდა კ.მარქსის კრიტიკოსთა ცდებს, ისე წარმოედგინათ სოფლის მეურნეობის სურათი, თითქოს ტექნიკური პროგრესი მხოლოდ დროებით აჩერებდეს ნიადაგის ნაყოფიერების დაცემას. იგი ასაბუთებდა, რომ პროგრესი სოფლის მეურნეობაში სოფლის შედარებით (ზოგჯერ კი აბსოლუტურადაც) კლებად მოსახლეობას საშუალებას აძლევს სულ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აწარმოოს ქვეყნის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მიწა წარმოების სხვა საშუალებების მსგავსად არ ცვდება და სწორი დამუშავების შემთხვევაში, პირიქით უმჯობესდება, ე.ი. მაღლდება მისი ნაყოფიერება. ამასთან, იგი დიდხანს ინარჩუნებს გაზრდილ ნაყოფიერებას.

ვ.ი.ლენინი თავის ნაშრომებში „კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში", „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები"", „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში" და სხვ. რენტის მარქსისტულ თეორიას იცავდა ბულგაკოვისა და პ.მასლოვის შეტევისაგან.

ბულგაკოვი აღნიშნავდა, რომ კ.მარქსს არაფერი შეუტანია რიკარდოს რენტის თეორიაში რომელიც ყურადღებას იმსახურებდეს. ვ.ი.ლენინი ბულგაკოვის ამ დასკვნას უწოდებდა „ჭეშმა-

რიტების აღმაშფოთებელ დამახინჯებას"*

იგი აღნიშნავდა, რომ კ.მარქსმა გაათავისუფლა რენტის თეორია ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონთან ყოველგვარი კავშირისაგან; დაასაბუთა, რომ დიფერენციული რენტის წარმოქმნისათვის აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ მიწაზე დამატებითი კაპიტალის სხვადასხვა ნაყოფიერების ფაქტი. კ.მარქსმა შექმნა აგრეთვე აბსოლუტური რენტის თეორია.

ბულგაკოვი აბსოლუტურ რენტას განიხილავდა დიფერენციული რენტის განსაკუთრებულ შემთხვევად და მისი განცალკევება ამ უკანასკნელისგან არასწორია, ვინაიდან ემყარება ერთი და იგივე ფაქტის - მიწის მონოპოლური ფლობის ორმაგ განმარტებაზეო. ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, რომ ბულგაკოვი ერთმანეთში ურევდა იმ შედეგებს, რომლებიც გამომდინარეობენ ერთის მხრივ „მიწის რაოდენობის განსაზღვრულობიდან და, მეორე მხრივ, მიწის კერძო საკუთრებიდან"**. ვ.ი.ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უნდა განვასხვაოთ რენტის ორგვარი სახე: არა მარტო დიფერენციული, არამედ აბსოლუტურიც.

კ.მარქსის აბსოლუტური რენტის თეორიას უარყოფდა პ.მასლოვიც. თავის წიგნში „სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები რუსეთში"*** . პ.მასლოვის გადმოცემით, კ.მარქსის მიხედვით აბსოლუტური რენტა მიიღება მხოლოდ სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი შედგენილობის წყალობით. ამის საწინააღმდეგოდ ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა რომ „არ არის მართალი, თითქოს მარქსის მიხედვით აბსოლუტური რენტა ჩნდება სამიწათმოქმედო კაპიტალის დაბალი აგებულების მეოხებით", რომელსაც ქმნის მონოპოლია, რომელიც ხელს უშლის არაპროპორციულად მაღალ მოგების გათანაბრებას. ამიტომ არ შეიძლება რენტა იყოს აგურის წარმოებაში, ვინაიდან მრეწველობაში არაა ისეთი მონოპოლია, რომელიც ხელს უშლიდეს დამატებითი კაპიტალის თავისუფლებას, კონკურენციის თავისუფლებას, რომელიც საჭიროა მოგების ინდივიდუალური ნორმების გათანაბრებისათვის საერთო, საშუალო ნორმად.

პ.მასლოვი აღნიშნავდა, რომ „რენტა „უკანასკნელად" დანახარჯი კაპიტალიდან, როდბერტუსის რენტა და მარქსის აბსოლუტური რენტა ქრება, იმიტომ რომ მოიჯარადრეს ყოველთვის შეუძლია

\- - - - - - -

*ვ.ი.ლენინი, აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები", თხზ., ტ.5, გვ.13.

** იქვე. გვ. 141.

***ვ.ი.ლენინი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ.13, გვ. 372.

„უკანასკნელი" კაპიტალი აქციის „წინაუკანასკნელად", თუ იგი იძლევა რაიმეს, გარდა ჩვეულებრივი მოგებისა"*. ვ.ი.ლენინმა მიუთითა, რომ ეს „მოსაზრება" მარქსის აბსოლუტური რენტის წინააღმდეგ ისევე უაზროა, როგორც პირველი. ეს გვიჩვენებს, რომ მასლოვს „ვერ გაუგია, არათუ მარქსის აბსოლუტური, არამედ დიფერენცირებული რენტაც!"**

კ.მარქსის აგრარული თეორიის კრიტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში ვ.ი.ლენინმა ჩამოაყალიბა დებულება მონოპოლიის ორი სახის შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში მიწის შეზღუდულობას მივყავართ მიწაზე მონოპოლიის როგორც მეურნეობის ობიექტის წარმოშობამდე. ამ მონოპოლიის საფუძველზე წარმოიშობა დიფერენციული რენტა. ვ.ი.ლენინი განასხვავებდა აგრეთვე, მიწაზე კერძო საკუთრების მონოპოლიას, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა აბსოლუტური რენტა. ამ უკანასკნელის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს სამიწათმოქმედო კაპიტალის უფრო დაბალი ორგანული შედგენილობა.

ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, ჩვენ გვაქვს მონოპოლია (კაპიტალისტური) მეურნეობისა მიწაზე, ეს მონოპოლია გამომდინარეობს მიწის განსაზღვრულობიან და ამიტომ აუცილებელი მოვლენაა ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ეს მონოპოლია იმას იწვევს, რომ პურის ფასს განსაზღვრავს უცუდეს მიწაზე წარმოების პირობები, ხოლო ჭარბი ზედმეტი მოგება, რომელიც მოაქვს უკეთეს მიწაზე კაპიტალის დანახარჯს ანუ კაპიტალის უფრო ნაყოფიერ დანახარჯს ჰქმნის დიფერენციულ რენტას. ეს რენტა წარმოდგება სრულიად დამოუკიდებლად მიწის კერძო საკუთრებისაგან, რომელიც მხოლოდ საშუალებას აძლევს მიწათმფლობელს ეს რენტა ჩამოართვას ფერმერს. მეორეც, ჩვენ გვაქვს მიწის კერძო საკუთრების მონოპოლია. არც ლოგიკურად და არც ისტორიულად ეს მონოპოლია არ არის განუყრელად დაკავშირებული ზემოთ აღნიშნულ მონოპოლიასთან– ამ ორგვარი მონოპოლიის გარჩევა ერთიმეორისაგან უთუოდ აუცილებელია, და, მაშასადამე, აუცილებელია დიფერენციალურ რენტასთან ერთად ცნობილ იქნას არსებობა აბსოლუტური რენტისაც, რომელსაც მიწის კერძო საკუთრება წარმოშობს"***

------

*ვ.ი.ლენინი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ.13, გვ. 374.

**იქვე, გვ.375.

***ვ.ი.ლენინი, აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები", თხზ., ტ.5, გვ.148-149.

ური მონოპოლიის შესახებ საკითხის თეორიული დამუშავება წარმოადგენს ვ.ი.ლენინის არსებით წვლილს რენტის მარქსისტულ თეორიაში.

კ.მარქსის აგრარული კრიტიკოსები აღიარებდნენ სოფლის მეურნეობაში წვრილ წარმოების უპირატესობას მსხვილი წარმოების წინაშე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კონცენტრაციის კანონს ბულგაკოვი განმარტავდა როგორც „კონცენტრაციის მისტიკურ კანონს". იგი ამტკიცებდა, რომ მიწათმოქმედებაში, პირიქით, არაჩვეულებრივი ძალით გამოდის დეცენტრალიზაციის ტენდენციაო. ამავე თეზისს ავითარებდა დავიდიც. იგი აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობაში, სადაც მრეწველობისაგან განსხვავებით,წარმოებს საფუძველს შეადგენს ორგანული პროცესი და არა მექანიკური, თავის გადამწყვეტ მნიშვნელობას კარგავენ მსხვილი წარმოების დიდი საყოფიერების ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კოოპერაცია, შრომის დანაწილება, მანქანების გამოყენება.

ვ.ი.ლენინმა მიუთითა, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მანქანების გამოყენება გაჩქარებულად ვითარდება სოფლის მეურნეობაშიც. იგი სპეციალურად ჩერდებოდა სოფლის მეურნეობისათვის ელექტროტექნიკის უდიდეს მნიშვნელობაზე და აღნიშნავდა, რომ უკანასკნელი ახალ ტექნიკურ გადატრიალებას ამზადებსო. ვ.ი.ლენინი წინასწარმეტყველებდა: ელექტროტექნიკის შემოღება მიწათმოქმედებაში იქნება „მსხვილი წარმოების გიგანტური გამარჯვებაო"*

## ბ) ვ.ი.ლენინის მიერ იმპერიალიზმის შესახებ მოძღვრების შექმნა

ვ.ი.ლენინმა შექმნა იმპერიალიზმის თეორია. მან გამოიკვლია იმპერიალიზმის არსი, მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი და განსაზღვრა მისი ისტორიული ადგილი.

ვ.ი.ლენინის მიხედვით XIXს. დამლევს და XXს. დამდეგს ჩამოყალიბდა იმპერიალიზმი ანუ მონოპოლისტური კაპიტალიზმი. რომლის დამახასიათებელი ნიშანია თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიების ბატონობით.

- - - - - -

*ვ.ი.ლენინი, აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები", თხზ., ტ.5, გვ. 173.

იმპერიალიზმის ანალიზს ეძღვნება ვ.ი.ლენინის შრომები: „მარქსიზმი და რევიზიონიზმი", „სხვისი დროშით", II ინტერნაციონალის კრახი", „სოციალიზმი და ომი", „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ", „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა", „სახელმწიფო და რევოლუცია", „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში", „იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა", „თვითგამორკვევაზე დისკუსიის შედეგები", „მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის" შესახებ" და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალურად ამ თემაზე დაწერილი ნაშრომი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", რომელიც გამოიცა 1917წ.

იმპერიალიზმის ლენინური თეორია სისტემური სახით გადმოცემულია წიგნში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". მაგრამ ამ თეორიის დამუშავებას თავისი ისტორია აქვს. მან განვლო თავისი ჩამოყალიბების განსაზღვრული პროცესი.

ჯერ კიდევ 90-იანი წლების ლენინის შრომები შეიცავს მითითებებს რიგ ახალ მოვლენებზე მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარებაში. 1896 წ. დაწერილ სტატიაში „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება" ლენინი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ განსახელმწიფოებრივობის პროცესი სცილდება ეროვნულ საზღვრებს და ეროვნული მონოპოლიების გვერდით წარმოიშობიან კაპიტალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში ლენინი წერდა: „ახლა კი, უეჭველია, ჩვენ ფეხი შევდგით ახალ ეპოქაში"'

1908 წ. დაწერილ სტატიაში „მარქსიზმი და რევიზიონიზმი" ვ.ი.ლენინი წერდა - აერთიანებენ რა საწარმოებს კარტელები იმავე დროს აძლიერებენ წარმოების ანარქიას, პროლეტარიატის არა უზრუნველყოფას და კაპიტალის ელვლს.

სტატიებში „წარმოების კონცენტრაცია რუსეთში" (1912); „ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნების მნიშვნელობა და შედეგები" (1912); „აგრეთვე-ტრუდოვიკი" (1913); „კაპიტალისტური სიმდიდრის ზრდა" (1913) ვ.ი.ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა წარმოების აქციონერულ ფორმას, აღნიშნავდა მათ მზარდ როლს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის სფეროში.

1914 წ. დაწერილ სტატიაში „პროლეტარიატი და ომი" ვ.ი.ლენინი წერდა, რომ იმპერიალიზმი „განსაკუთრებულ ეპოქაა არა სოცი-

- - - - - - -

'ვ.ი.ლენინი, სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში, თხზ., ტ.9, გვ. 21.

ალისტების შეგნებაში, არამედ ფაქტიურ ერთიერთობაში"*.

1915 წ. ვ.ი.ლენინმა დაწერა სტატია „სხვისი დროშით". მასში რუსი ლიკვიდატორის პოტრესოვის შეხედულებების კრიტიკასთან კავშირში ვ.ი.ლენინი კვლავ განიხილავს საკითხს კაპიტალიზმის უახლესი საფეხურის განმასხვავებელ ნიშნებზე საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროიდან ვ.ი.ლენინი განასხვავებს სამ მთავარ ეპოქას: 1) 1789-1871, 2)1871-1914 და 3) 1914 ?

პირველი ეპოქა არის ბურჟუაზიის აღმავლობის, მისი სრული გამარჯვების ეპოქა. მეორე ეპოქა არის ბურჟუაზიის სრული ბატონობის და დაქვეითების, პროგრესული ბურჟუაზიიდან რეაქციული და ურეაქციულეს ფინანსურ კაპიტალზე გადასვლის ეპოქა. მესამე ეპოქა ბურჟუაზიას ისეთ მდგომარეობაში აყენებს, როგორშიც ფეოდალები იყვნენ პირველი ეპოქის განმავლობაში. ეს არის ეპოქა იმპერიალიზმისა და იმპერიალიზმიდან გამომდინარე შერყევებისა**. ამ სტატიაში ვ.ი.ლენინმა პირველად გამოყო თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმიდან იმპერიალიზმზე გადასვლის ისტორიული პერიოდი (*XIX*ს. დამლევი - *XX*საუკუნის დასაწყისი).

ნაშრომში „II ინტერნაციონალის კრახი" ვ.ი.ლენინმა გააკრიტიკა კ.კაუცკის ულტრაიმპერიალიზმის თეორია. ამასთან კავშირში იგი ყურადღებას ამახვილებდა იმპერიალიზმის ძირეულ ეკონომიკურ ნიშანზე - მონოპოლიების ბატონობაზე, ლაპარაკობდა აგრეთვე იმპერიალიზმის რიგ სხვა თავისებურებებზე, კერძოდ კაპიტალის გატანაზე.

ბროშურაში „სოციალიზმი და ომი" ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, რომ „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხური, მიღწეული მხოლოდ *XX* საუკუნეში".

1915 წ. აგვისტოში ვ.ი.ლენინმა დაწერა ცნობილი სტატია „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ". მასში ევროპის შეერთებული შტატების ტროცკისტული ლოზუნგის კრიტიკასთან დაკავშირებით მან ჩამოაყალიბა დასკვნა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ის წერდა: „ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია, აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში". ამ სტატიაში ვ.ი.ლენინმა გამოიკვლია კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური

- - - - - - -

*ვ.ი.ლენინი რეფერატი თემაზე „პროლეტარიატი და ომი", თხზ. ტ.26, გვ. 29-30 (რუს.).

**ვ.ი.ლენინი, სოციალიზმი და ომი, თხზ., ტ.21, გვ. 365.

და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა იმპერიალიზმის ეპოქაში. მასზედ დაყრდნობით ჩამოაყალიბა სოციალისტური რევოლუციის ახალი დებულება.

ვ.ი.ლენინი ასე ახასიათებდა იმპერიალიზმს, როგორც კაპიტალიზმის განსაკუთრებულ სტადიას: „იმპერიალიზმი გაიზარდა როგორც საერთოდ კაპიტალიზმის ძირითად თვისებათა განვითარება და პირდაპირი გაგრძელება. მაგრამ კაპიტალიზმი კაპიტალისტურ იმპერიალიზმად იქცა თავისი განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ მეტად მაღალ საფეხურზე, როდესაც კაპიტალიზმის ზოგიერთმა ძირითადმა თვისებამ იწყო თავის წინააღმდეგობად გადაქცევა, როდესაც მთელი ხაზით ჩამოყალიბდა და გამოაშკარავდა კაპიტალიზმიდან უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობაზე გადამავალი ეპოქის ნიშნები. ამ პროცესში ეკონომიკურად ძირითადი არის კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენციის შეცვლა კაპიტალისტური მონოპოლიებით"*.

ვ.ი.ლენინი, თავის წიგნში, იძლევა იმპერიალიზმის მოკლე და ვრცელ განსაზღვრას. მოკლე განსაზღვრით: „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია"** იმპერიალიზმის ვრცელი განსაზღვრა კი შეიცავს ხუთ ძირითად ნიშანს: 1) წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, განვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე მისული, რომ მან შექმნა მონოპოლიები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2) საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ამ „ფინანსური კაპიტალის" ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიის შექმნა; 3) კაპიტალის გატანას, საქონლის გატანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 4) იქმნება კაპიტალისტების საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებენ, და 5) დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის"***.

ვ.ი.ლენინმა ახსნა იმპერიალიზმის წინააღმდეგობანი და განსაზღვრა მისი როგორც კაპიტალიზმის ისტორიული ადგილი. როგორც ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, „იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ისტორიულ სტადიას. ეს განსაკუთრებულობა სამგვარია: იმპერიალიზმი არის (1) - მონოპოლის-

- - - - - -

*ვ.ი.ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ.22, გვ. 333-334.

**იქვე, გვ. 339.

***იქვე, გვ. 333-334.

ტური კაპიტალიზმი; (2) პარაზიტული კაპიტალიზმი ანუ ლპობადი კაპიტალიზმი; (3) მომაკვდავი კაპიტალიზმი"*.

თავის ნაშრომებში ვ.ი.ლენინი იძლევა აგრეთვე, იმპერიალიზმის ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკას. მან გააკრიტიკა იმპერიალიზმის აშკარა აპოლოგეტები გერმანელები ი.რისერი, გ.შულცე-გევერნიცი, რ.ლიფმანი; ინგლისელები ჯ.ჩემბერლენი, ს.როდსი, დიზრაელი და სხვ. იმპერიალიზმის „რეფორმატორები" კ.კაუცკი, რ.ჰილფერდინგი და სხვ; იმპერიალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსები ა.ლანსბურგი, ვ.ბერარი, ჯ.ჰობსონი, ჟ.აგადი, ლ.ეშვეგე და სხვ. ეს საკითხი ჩვენ სხვა ნაშრომში გვაქვს განხილული**, ამიტომ აქ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

*ვ.ი.ლენინი, იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა, თხზ., ტ.23, გვ. 130.

**იხ. ჯ.ხარიტონაშვილი, ვ.ი.ლენინის მიერ იმპერიალიზმის ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკა და მისი როლი თანამედროვე ბურჟუაზიული კონცეფციების მხილებაში, თბ., 1977 (რუს).

## გ) ვ.ი.ლენინის მიერ სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების შექმნა

ვ.ი.ლენინის შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალიზმის თეორიის საკითხებს.

ვ.ი.ლენინმა განაზოგადა სოციალიზმის მშენებლობის პირველი წლების გამოცდილება, დაამუშავა სოციალიზმის მშენებლობის ძირეული პრობლემები და ამით საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას.

ვ.ი.ლენინს სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ძირეული საკითხები დამუშავებული აქვს ნაშრომებში: „სახელმწიფო და რევოლუცია", „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები", „დიადი თაოსნობა", „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში", „სასურსათო გადასახადის შესახებ", „კოოპერაციის შესახებ" და სხვ.

სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების შექმნისას ვ.ი.ლენინს მოუხდა გარკვეული წინააღმდეგობების დაძლევა. რ. ჰილფერდინგი, მ.ტუგან-ბარანოვსკი, რ.ლუქსემბურგი, ნ.ბუხარინი და სხვები პოლიტიკური ეკონომიის ფართო მნიშვნელობით გაგების წინააღმდეგი იყვნენ და მის ისტორიულ საზღვრებს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესით შემოფარგლავდნენ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური კანონების მოქმედებისათვის ობიექტური პირობები არ იქნებაო, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ეკონომიის საგნის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის შესწავლა, რომელიც სტიქიურად მოქმედ ეკონომიკურ კანონებს ეფუძნებაო. მათი აზრით, კაპიტალისტური სასაქონლო მეურნეობის დასასრული იმავე დროს პოლიტიკური ეკონომიის დასასრულიცაა.

ვ.ი.ლენინმა გაილაშქრა პოლიტიკური ეკონომიის საგნის ასეთი გაგების წინააღმდეგ. მან მიუთითა, რომ ობიექტური ეკონომიკური კანონები მოქმედებს არა მარტო სტიქიური მეურნეობის პირობებში, არამედ სოციალისტურ გეგმაზომიერ მეურნეობაშიც, ვინაიდან საქონელწარმოება იარსებებს ორგანიზებული მეურნეობის პირობებშიც.

ვ.ი.ლენინი ასაბუთებდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის საგანია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები. იგი შეისწავლის სოციალიზმის ეკონომიკურ კანონებს, მათი მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმს.

ვ.ი.ლენინმა კონკრეტული სახე მისცა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის აუცილებლობის მარქსისტულ იდეას. იგი აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია სოციალისტური რევოლუციის მიზნებითა და ამოცანებით. ესენია: საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის გარდაქმნა; წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია და საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დამკვიდრება; ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმის და სისტემის მოსპობა; სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; ეკონომიკის მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია; რევოლუცია იდეოლოგიისა და კულტურის სფეროში. ამ ღონისძიებათა კომპლექსის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია. იგი მოითხოვს მთელ ისტორიულ ეპოქას, მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდს.

კონცეფცია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის შესახებ პირველად კ.მარქსმა ჩამოაყალიბა 1875 წ. დაწერილ ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკა", სადაც წერდა: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებებს შორის არის რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი ერთისა მეორედ. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა"*

ვ.ი.ლენინმა განავითარა კ.მარქსის აღნიშნული კონცეფცია. იგი წერდა „პირველი რაც სავსებით ზუსტად არის დადგენილი განვითარების მთელი თეორიით, საერთოდ მთელი მეცნიერებით... ეს ის გარემოებაა, რომ ისტორიულად ეჭვს გარეშე უნდა არსებობდეს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის განსაკუთრებული სტადია, განსაკუთრებული ეტაპი**".

ვ.ი.ლენინმა დაამუშავა გარდამავალი პერიოდისა და სოციალიზმის დროს საქონელწარმოების პრობლემა.

კ.მარქსი და ფ.ენგელსი თავიანთ ნაშრომებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის არსებობას სოციალიზმის დროს უარყოფდნენ. „გოთას პროგრამის კრიტიკაში" კ.მარქსი წერდა: „კოლექტივიზმზე, წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობაზე დაფუძნებული საზოგადოების შიგნით, მწარმოებლები თავიანთი პროდუქტების

*კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩ.ნაწერები, ტ.II, თბ., 1964, გვ.28.
**ვ.ი.ლენინი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ.25, გვ. 570.

გაცვლას არ აწარმოებენ"*

ფ.ენგელსი „ანტი-დიურინგში" აღნიშნავდა: „როცა საზოგადოება წარმოების საშუალებებს დაეპატრონება, მოისპობა საქონლის წარმოება და ამავე დროს პროდუქტების ბატონობა მწარმოებლებზე"**

მაგრამ ვ.ი.ლენინს თეორია დოგმად არ მიაჩნდა. მან სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ანალიზის საფუძველზე ცხადყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გამოყენების აუცილებლობა როგორც გარდამავალ პერიოდში, ასევე სოციალიზმის დროს. იგი წერდა: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პირველ ხანებში, ვიდრე პროდუქტების კომუნისტური წარმოება და განაწილება ჯერ კიდევ სრულად არ მოწყობილა, ფულის მოსპობა შეუძლებელია"***. შემდგომ ვ.ი.ლენინი წერდა, რომ „საჭიროა მეტად დიდი ტექნიკური და რაც გაცილებით უფრო ძნელია და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ორგანიზაციული მონაპოვარნი, რომ ფული მოვსპოთ... ჩვენ ვამბობთ, ჯერ-ჯერობით ფული რჩება, და საკმაოდ დიხანს დარჩება"****. სოციალიზმის დროს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან ერთად არსებობენ განკერძოებული სოციალისტური მეურნეობის დარგები და საწარმოები. ასეთ პირობებში განკერძოებულ დარგებს შორის, საწარმოებს შორის, ეკონომიკური ურთიერთობა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. სხვა ეკონომიკური კავშირი გლეხობასა და მუშებს შორის, ე.ი. მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის შეუძლებელია, გარდა გაცვლა-გამოცვლისა, გარდა ვაჭრობისა *****"- აღნიშნავდა ლენინი.

ვ.ი.ლენინმა შეადგინა სოციალისტური მშენებლობის დაწყების გეგმა. ამ გეგმის ძირითად რგოლებს შეადგენდა: ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური კოოპერირება, კულტურული რევოლუცია.

*კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.II, თბ., 1964, გვ.16.
**ფ.ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ.337.
***სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ.I, თბ., 1954, გვ.543.
****ვ.ი.ლენინი, სიტყვა სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე, 1919წ. 6-19 მაისი, თხზ. ტ.29, გვ.414.
*****ვ.ი.ლენინი, ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ, თხზ., ტ.33, გვ.116.

აღნიშნული რგოლებიდან ვ.ი.ლენინი წამყვან როლს აკუთვნებდა ინდუსტრიალიზაციას, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სამრეწველო წარმოება, შეექმნა პირობები სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის. „სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად, - აღნიშნავდა ვ.ი.ლენინი, - ნამდვილი და ერთადერთი ბაზა ერთია და მხოლოდ ერთი ესაა მსხვილი მრეწველობა... უამისოდ ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების რაიმე ნამდვილად სოციალისტურ საძირკველზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია"*

ვ.ი.ლენინი მიუთითებდა, რომ შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. შრომის ნაყოფიერების ამაღლების ძირითადი პირობა კი ტექნიკური პროგრესია. სწორედ ამიტომ ვ.ი.ლენინი მრეწველობის წამყვანი დარგების უპირატეს განვითარებას პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევდა.

სოციალისტური წყობილების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ვ.ი.ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ელექტროფიკაციას. იგი აღნიშნავდა: „ჩვენ უნდა გვქონდეს ახალი ტექნიკური ბაზა ახალი ეკონომიკური მშენებლობისათვის. ეს ახალი ტექნიკური ბაზა ელექტრობაა. ჩვენ ამ ბაზაზე უნდა ავაგოთ ყველაფერი"** ეს პოზიცია ნათლად აისახა ცნობილ ლენინურ ფორმულაში: „კომუნიზმი - ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია".

ქვეყნის ელექტროფიკაციის იდეამ კონკრეტული განსახიერება ჰპოვა ვ.ი.ლენინის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შედგენილ რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმაში (გოელრო).

ვ.ი.ლენინი თეორიულად ასაბუთებდა მსხვილ, საზოგადოებრივ მეურნეობაზე წვრილი გლეხური მეურნეობის გადაყვანის აუცილებლობას. მან შეიმუშავა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გეგმა, რომელიც კოოპერაციული გეგმის სახელწოდებითაა ცნობილი.

ვ.ი.ლენინის კოოპერაციულ გეგმის არსი იმაში მდგომარეობს,

- -

*ვ.ი.ლენინი, მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ რკპ(ბ) სრულიად რუსეთის კონფერენციაზე, თხზ., ტ.32, გვ.519.

**ვ.ი.ლენინი, მოხსენება სრ. რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ *VII* მოწვევის სრ. რუსეთის ცაკ-ის პირველ სესიაზე 1920წ. 2 თებერვალს, თხზ., ტ30. გვ. 401.

რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გლეხობის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმა უნდა მიმდინარეობდეს კოოპერაციის საშუალებით. სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზმის საწყისების თანდათანობითი დანერგვის გზით თავდაპირველად გასაღების დარგში, შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგშიც.

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ლენინის კოოპერაციულ გეგმას საფუძვლად უდო მძიმე მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის ყოველმხრივი განვითარება. ვ.ი.ლენინი ამბობდა: „მხოლოდ მაშინ გვექნება საშუალება, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ერთი ცხენიდან მეორეზე გადავჯდეთ, სახელდობრ, გლეხის, ტეტიის გაძვალტყავებული ცხენიდან, იმ მომჭირნეობის ცხენიდან, რაც ნავარაუდევია გაჩანაგებული გლეხური ქვეყნისათვის... მსხვილი მანქანური ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ...ცხენზე და სხვ"*

გლეხების საწარმოო კოოპერირების წარმატების ერთ-ერთ პირობად ლენინი თვლიდა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას. კულტურული რევოლუციის საკითხები განუყრელადაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნასთან.

ვ.ი.ლენინი თავის შრომებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა განაწილების პრინციპებისა და ფორმების საკითხს სოციალიზმის დროს. იგი მოითხოვდა ბევრი იმათგანის გამოყენებას რაც მეცნიერული და პროგრესულია ტეილორის სისტემაში** მაშინვე გამოთქვა ლენინმა აზრი პრემიების შემოღების შესახებ განსაკუთრებით წარმატებით შესრულებული მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და ტექნიკური ამოცანებისათვის.

ვ.ი.ლენინმა ყურადღება მიაპყრო აგრეთვე პრობლემებს რომლებიც დაკავშირებულია ხელფასის დიფერენციალური პრინციპების დამუშავებასთან. იგი ასაბუთებდა ერთიანი სატარიფო სისტემის აგების აუცილებლობას, რომელსაც შეუძლია აღმოფხვრას სხვაობა ერთი და იმავე პროფესიისა და თანრიგის მუშების შრომის ანაზღაურებაში. ვ.ი.ლენინი მოთხოვდა სატარიფო განაკვეთების დიფერენციაციას კვალიფიკაციის მიხედვით, შრომის ხასიათის, მისი მნიშვნელობის, სირთულის ხარისხის, საფრთხის და ა.შ. მიხედვით. დაასაბუთა მსხვილი სპეციალისტების უფრო მაღალი ანაზღაურების

*ვ.ი.ლენინი, უმჯობესია ცოტა და კარგი, თხზ., ტ.33, გვ.593-594.

**ვ.ი.ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, თხზ., ტ.27. გვ. 305.

აუცილებლობა, კვალიფიციური შრომისა არაკვალიფიციურთან შეფარდებით. ვ.ი.ლენინი მიუთითებდა შრომის ანაზღაურებაში უზომო განსხვავების მავნებლობაზე და პერსპექტივაში მოითხოვდა ხელფასის უდაბლესი და უმაღლესი განაკვეთების თანდათანობით გამოთანაბრებას.

ვ.ი.ლენინის ეკონომიკურ მოძღვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარების საკითხებს.

საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერი ორგანიზაციის საკითხებს ვ.ი.ლენინი ეხება ნაშრომებში: „არაკრიტიკული კრიტიკა" (1900წ.); „მანქანის მიერ ადამიანის დამონების ტეილორის სისტემა" (1914 წ.); „კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას". (1917).

ვ.ი.ლენინი ასაბუთებდა აზრს იმის შესახებ, რომ „სოციალიზმი წარმოუდგენელია ისე, თუ არ არის მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკა, რომელიც აგებულია უახლესი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, თუ არ არის გეგმაშეწყობილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანებს უმკაცრესად დაუმორჩილებს ერთიანი ნორმის უმკაცრესად დაცვას პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების საქმეში"' საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერი ორგანიზაცია განხილულია როგორც შეგნებულად ორგანიზებული და საზოგადოების მხარდამჭერის სისტემა, რომელიც შესაძლებლობას ქმნის წარმოება და განაწილება მოხდეს წინასწარ დასახული საერთო სახელმწიფოებრივი გეგმით. ამაზე განსაკუთრებით რელიეფურად წერდა ვ.ი.ლენინი ნაშრომში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები".

ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სამეურნეო გეგმის აუცილებლობის დასაბუთებასთან ერთად ვ.ი.ლენინი ყურადღებას უთმობდა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო-მეურნეობრივი დაგეგმვის უშუალო ორგანიზაციასთან. სახალხო-მეურნეობრივი განვითარების პირველი საბჭოთა გეგმების, უწინარეს ყოვლისა გოელრო-ს გეგმის შედგენის კონკრეტული გამოცდილების თეორიულმა განზოგადებამ, ვ.ი.ლენინს საშუალება მისცა ჩამოეყალიბებინა საზოგადოებრივი წარმოების დაგეგმვის რიგი პრინციპები. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია ვ.ი.ლენინის სტატიები: „მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოთა გეგმის მონახაზი", „სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის

- - - - - -

' ვ.ი.ლენინი. „მემარცხენე" ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ, თხზ., ტ.27, გვ. 406.

საკანონმდებლო ფუნქციის მინიჭების შესახებ", წერილი გკრჟიჟანოვსკის და სხვ.

ვ.ი.ლენინი უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა სახალხო-მეურნეობრივი დაგეგმვის პროცესისადმი ღრმად მეცნიერულ მიდგომას. სახალხო მეურნეობის გეგმების მეცნიერულ დასაბუთებულობასთან დაკავშირებულია მათი რეალობა და ოპტიმალობა. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ სახელმწიფო გეგმები იყოს მამობილიზებელი, მოითხოვდნენ ძალებისა და შესაძლებლობების გარკვეული დაძაბვას, მაგრამ ისინი რეალური გეგმები უნდა იყოს.

ვ.ი.ლენინი მიუთითებდა მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების ორგანულ შეთანაწყობაზე. იგი აღნიშნავდა, რომ წარმოების ცალკეული დარგების ყველა გეგმა მკაცრად კოორდინირებული და შეკავშირებული უნდა იყოს და ერთად უნდა შეადგენდეს ერთიან სამეურნეო გეგმას.

ვ.ი.ლენინმა თეორიულად დაასაბუთა და პრაქტიკულად გამოიყენა სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში ძირითადი რგოლის გამოყოფის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით საგეგმო პერიოდში შეიძლება გამოინახოს სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგები, რომელთა განვითარებაც განაპირობებს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ზრდასა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას. ვ.ი.ლენინი შენიშნავდა: „საჭიროა გქონდეს უნარი - ყოველ განსაკუთრებულ მომენტში მონახო ჯაჭვის ის განსაკუთრებული რგოლი, რომელსაც მთელი ძალ-ღონით უნდა ჩაეჭიდო, რათა შეინარჩუნო მთელი ჯაჭვი და მტკიცედ მოამზადო შემდგომ რგოლზე გადასვლა"[1]

სახალხო მეურნეობის მართვისა და სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერი რეგულირების მნიშვნელოვან პრინციპად ვ.ი.ლენინს მიაჩნდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი ნიშნავს ცენტრალიზებული სახელმწიფო გეგმიანი ხელმძღვანელობის შეხამებას საწარმოების, ადგილობრივი ორგანოების ფართო ინიციატივასთან.

სოციალისტური დაგეგმვა ვარაუდობს საზოგადოებრივი ეკონომიკური ცენტრის არსებობას. ვ.ი.ლენინი მიუთითებდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ეკონომიკური ცენტრის ფუნქციები შეიძლება მხოლოდ სახელმწიფომ შეასრულოს. ვ.ი.ლენინის მიხედვით სოციალიზმი წარმოუდგენელია თუ არ არის საზოგადოებრივი წარმოების „გეგმაშეზომილი სახელმწიფოებრივი

- - - - - -

[1] ვ.ი.ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, თხზ., ტ.27, გვ. 325.

ორგანიზაცია"

ვ.ი.ლენინმა ახსნა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, მისი ფუნქციების მთელი კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების ერთიანი პროცესებთან, შრომის ზომისა და მოხმარების ზომის კონტროლთან.

ვ.ი.ლენინმა მარქსისტული აზრის ისტორიაში პირველმა შექმნა მოძღვრება სამეურნეო ანგარიშის შესახებ სოციალიზმის დროს. ვ.ი.ლენინის შრომებში განსაზღვრულია სამეურნეო ანგარიშის არსი და დასახულია მისი დანერგვის გზები. იგი საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში მოუწოდებდა სამეურნეო მუშაკებს მეურნეობას გაძღოლოდნენ ყაირათიანად, მომგებიანად, წარმოებისა და განაწილების აღრიცხვით, შრომაში მტკიცე დისციპლინის დაცვით. ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენებას უნდა ვცდილობდეთ „არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით"**

სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ გეგმას თავიდანვე გააჩნდა ოპოზიცია. ისინი ტროცკის მეთაურობით ეჭვქვეშ აყენებდნენ ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას.

ახალი ოპოზიცია, ზინოვიევისა და კამენევის ხელმძღვანელობით, ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მრეწველობა სოციალისტური კი არა, სახელწიფო კაპიტალისტური მრეწველობაა.

ოპოზიციონერების წინააღმდეგ გამოვიდა ი.ბ.სტალინი. 1924 წ. მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", ხოლო 1926 წ. „ლენინიზმის საკითხებისათვის". 1952წ. გამოვიდა ი.ბ.სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში", რომელშიც ახლებურად იქნა გაშუქებული ეკონომიკური თეორიის მთელი რიგი საკითხები.

*ვ.ი.ლენინი, მემარცხენე ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ, თხზ., ტ.27, გვ.406.

**ვ.ი.ლენინი, ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავისათვის, რჩ. ნაწერები, ტ.3, გვ. 789-790.

## 6.რეფორმისტული ნეომარქსიზმი. ე.ბერნშტეინი. კ.კაუცკი. რ. ჰილფერდინგი. ჰ.მარკუზე. მაოიზმი.

*XIX* ს. 80-იანი წლებიდან ჩამოყალიბება დაიწყო რეფორმისტულმა ნეომარქსიზმმა. რეფორმისტულ ნეომარქსიზმს და რევიზიონიზმს სათავე დაუდო გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა ედუარდ ბერნშტეინმა (1850-1932). მას მხარში ამოუდგნენ ფოლმარი, კ.შმიდტი, ე.დავიდი, ფ.გერცი და სხვ.

ე.ბერნშტეინი *XIX* ს. 90-იან წლებში გამოვიდა სტატიებით, რომლებშიც მოითხოვდა მარქსიზმის ძირითადი დებულებების გადასინჯვას. ეს სტატიები 1899 წ. შეკრიბა და განაზოგადა წიგნში „სოციალიზმის წინამძღვრები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები"*. ამ წიგნში ე.ბერნშტეინმა გააკრიტიკა კ.მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი. დიალექტიკას იგი უწოდებდა ჰეგელიანურ ნაშიერს. ე.ბერნშტეინი აღნიშნავდა, რომ საზოგადოების განვითარება წმინდა ევოლუციურად მიმდინარეობს და არ იცნობს ნახტომებს. საერთოდ თუ დიალექტიკაზე ვილაპარაკებთ, წერდა ის, შესაძლებელია მხოლოდ იდეალისტური დიალექტიკა და მისი მატერიალისტურად განხილვის ყოველგვარი ცდა განწირულია ჩასაფუშავად.

ბერნშტეინიანული რევიზიონიზმი განუყრელად იყო დაკავშირებული მარქსიზმის ეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანესი დებულებების უარყოფასთან. ე.ბერნშტეინს შესწორებები შეჰქონდა მარქსისტულ მოძღვრებაში და მიიჩნევდა, რომ ისინი საჭიროებს ეკონომიკური განვითარების ახალ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ე.ბერნშტეინი უარყოფდა შრომითი ღირებულების კანონის არსებობას. იგი აღნიშნავდა, რომ შრომითი ღირებულების კანონს არ შეეძლო ემოქმედა ფეოდალიზმის პირობებში, რამდენადაც ამას ხელს უშლიდნენ ფეოდალური ურთიერთობანი, მაიორატის სისტემა, ამქრები, ხოლო კაპიტალიზმის პირობებში გაიმარჯვა წარმოების ფასის კანონმა. ე.ბერნშტეინი წერდა, რომ ანტიკურობისა და შუასაუკუნეების მდიდრებს თავშიც კი არ მოუვიდოდათ თავიანთი სიმდიდრე ჩაეთვალათ მათი შრომის პროდუქტად, თვით ექსპლოატაციის ურთიერთობები აშკარა აღმოჩნდნენ ღირებულების თეორიის გარეშეც. ეყრდნობოდა რა იმაზე, რომ ჯერ კიდევ ა.სმიტი

------

*ე.ბერნშტეინი, სოციალიზმის წინამძღვრები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები, მ., 1901 (რუს).

განმარტავდა შრომით ღირებულებას როგორც აბსტრაქციას. ე.ბერნშტეინი ამტკიცებდა, თითქოს არ არის მეთოდოლოგიური სხვაობა ღირებულების სუბსტანციის შესახებ მოძღვრებას და საზღვრით სარგებლობიანობას შორის.

ე.ბერნშტეინი დაასკვნიდა, რომ თუ შრომით ღირებულებას მნიშვნელობა აქვს როგორც მხოლოდ განყენებულ ფორმულას ანუ მეცნიერულ ჰიპოთეზას, მაშინ ზედმეტი ღირებულებაც მხოლოდ ფორმულა აღმოჩნდება, რომელიც ჰიპოთეზაზე ეყრდნობაო. თუ ფეოდალიზმის პირობებში აუცილებელი და ზედმეტი შრომა დაყოფილი იყო ჩვეულებრივ დროსა და სივრცეში, მაშინ კაპიტალისტურ საწარმოებში ისინი შერწყმულია და ზედმეტი შრომაც აუცილებლად ჩანსო.

ე.ბერნშტეინი ცდილობდა უგულებელყო კ.მარქსის დებულებები კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ტენდენციისა და მისი წინააღმდეგობების გამწვავების შესახებ. იგი ფორმალურად ცნობდა კაპიტალის ცენტრალიზაციის, წარმოების კონცენტრაციის, კრიზისების დროს კაპიტალების განადგურების, მოგების ნორმის დაცემის ფაქტებს და აღნიშნავდა, რომ ყოველივე ეს მოცემულია ტენდენციაშიო. ის მიუთითებდა მის შემზღუდავ ფაქტორებზე, რომელიც კ.მარქსს არ გამოუკვლევიაო.

ამის შედეგად ე.ბერნშტეინი, კ.მარქსის საწინააღმდეგოდ მივიდა კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის კანონის უარყოფამდე და წარმოების აქციონერული სისტემის იდეალიზაციამდე. ებერნშტეინის აზრით კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ზრდისა და წვრილმწარმოებელთა მუდმივი გამოდევნის ნაცვლად ხდება კაპიტალის დემოკრატიზაციის, წვრილბურჟუაზიული კლასების რაოდენობის ზრდის, წინააღმდეგობების მერბილების საწინააღმდეგო პროცესი, რომელიც აღმოფხვრის საფუძველს კლასობრივი კონფლიქტებისათვის.

ე.ბერნშტეინი მიუთითებდა, რომ საადიო საზოგადოებათა წვრილ აქციებს იძენენ მუშები, მოსამსახურეები, წვრილი მწარმოებლები და ამის შედეგად ხდება საკუთრებისა და კაპიტალის დეცენტრალიზაცია, დემოკრატიზაციაო. ეს გარემოება ებერნშტეინის მიხედვით იწვევს უფსკრულის გაქრობას შრომასა და კაპიტალს, მქონებლებსა და უქონლებს შორის.

კარლ კაუცკი (1854-1938) გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ცნობილი ლიდერი იყო. კ.კაუცკი დასაწყისში მარქსიზმის საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა. 1881 წ. იგი გაეცნო კ.მარქსსა და ფ.ენგელსს და მათი უშუალო ზეგავლენით მარქსიზმის პოზიციაზე გადასვლა დაიწყო. იგი გახდა კ.მარქსისა და ფ.ენგელსის

მოძღვრების მომხრე და პოპულარიზატორი. მაგრამ შემდგომში კვლავ განუდგა მარქსიზმს.

კ.კაუცკიმ დაწერა რიგი ნაწარმოებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მარქსიზმის გავრცელების საქმეში. ამ ნაწარმოებების რიცხვს მიეკუთვნება: „კ.მარქსის ეკონომიკური მოძღვრება", „აგრარული საკითხი", „გზა ხელისუფლებისაკენ" და სხვ. მან გამოსაცემად მოამზადა და გამოაქვეყნა კ.მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები" („კაპიტალის" *IV* ტომი).

მარქსიზმიან კ.კაუცკის განსხვავებების საფუძველი მისი იმპერიალიზმის თეორია იყო, რომელიც 1914-1915 წლებში დაწერილი ანშრომებში დაამუშავა. ეს ნაშრომები იყო: სტატია „იმპერიალიზმი" და წიგნი „ეროვნული სახელმწიფო, იმპერიალისტური სახელმწიფო და სახელმწიფოთა კავშირი".

კ.კაუცკი იმპერიალიზმს განმარტავდა, როგორც კაპიტალისტთა განსაკუთრებულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ომებისა და სხვისი მიწების დაპყრობისაკენ. კაუცკის მტკიცებით „იმპერიალიზმი არის არა „მეურნეობის ფაზა", არამედ განსაკუთრებული პოლიტიკა, როგორც მანჩესტერობა"*.

კ.კაუცკის მიხედვით „იმპერიალიზმი არის უაღრესად განვითარებული სამრეწველო კაპიტალიზმის ნაყოფი. იგი მდგომარეობს ყოველი სამრეწველო კაპიტალისტური ერის მისწრაფებაში შემოიერთოს ან დაიმორჩილოს სულ უფრო და უფრო მეტი აგრარული ოლქები, იმისდა მიუხედავად, თუ რა ერებით არიან ისინი დასახლებულნი"** ამ განსაზღვრების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ კ.კაუცკი უგულებელყოფდა იმპერიალიზმის ეკონომიკურ არსს - მონოპოლიების ბატონობას და იმპერიალიზმს აიგივებდა პოლიტიკასთან.

თავის იმპერიალიზმის თეორიაზე დაყრდნობით კ.კაუცკიმ შექმნა „ულტრაიმპერიალიზმის თეორია"***

„ულტრაიმპერიალიზმის" თეორია უარყოფს ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი და უკანასკნელი სტადია. კ.კაუცკი შესაძლებლად მიიჩნევდა იმპერიალიზმის შემდეგ კაპიტალიზმის

*ციტირებულია ვ.ი.ლენინი. რვეულები იმპერიალიზმის შესახებ, თხზ., ტ.39, გვ. 262.

**კ.კაუცკი, ეროვნული სახელმწიფო, იმპერიალისტური სახელმწიფო და სახელმწიფოთა კავშირი, მ., 1917. გვ. 15 (რუს).

***ჯ.ხარიტონაშვილი, „ულტრაიმპერიალიზმის" თეორია, ქსე, ტ.10, გვ. 139-140.

განვითარების შემდეგი ახალი ფაზის, რომელსაც ულტრაიმპერიალიზმი ან ზეიმპერიალიზმი უწოდა. მისი აზრით, ულტრაიმპერიალიზმი არის ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალის ფაზა, როდესაც იქმნება ორგანიზებული მსოფლიო მეურნეობა, ისპობა წარმოების ანარქია, იმპერიალისტური წინააღმდეგობანი, ომები და ხალხებს შორის მტრობა მშვიდობა მყარდება. კაუტსკის თვალსაზრისით, ულტრაიმპერიალიზმი წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკაა, რომლის მიზანია მსოფლიოს ერთობლივი ექსპლოატაცია, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს „ერთიანი მსოფლიო ტრესტის შექმნა“.

რეფორმისტული ნეომარქსიზმის მეორე ცნობილი წარმომადგენელი იყო რუდოლფ ჰილფერდინგი (1877-1941). კაუტსკის მსგავსად ისიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II კომინტერნის თეორეტიკოსი იყო.

რ.ჰილფერდინგის რეფორმისტული პოზიციაც იმპერიალიზმის საკითხების გაშუქებაში გამოვლინდა.

იმპერიალიზმის საკითხებში თავისი თეორიული შეხედულებანი რ.ჰილფერდინგმა ჩამოაყალიბა 1910 წ. გამოქვეყნებულ წიგნში „ფინანსური კაპიტალი“. ქვესათაურით „კაპიტალიზმის განვითარებაში უახლესი ფაზის გამოკვლევა“ ამ ნაშრომში იგი ცდილობდა გამოევლინებია და აეხსნა XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმის განვითარებაში მომხდარი ძირითადი ეკონომიკური ძვრები.

ჰილფერდინგის განმარტებით იმპერიალიზმი არის ფინანსური კაპიტალის პოლიტიკა, ხოლო ფინანსური კაპიტალი კი არის საბანკო კაპიტალი, რომელიც შეჭრილია რომელიმე სამრეწველო დარგში, აწესრიგებს და განაგებს მას. „საბანკო კაპიტალს, - მაშასადამე, კაპიტალს ფულად ფორმაში; - რომელიც ამ გზით ნამდვილად სამრეწველო კაპიტალად არის გადაქცეული, მე ვუწოდებ ფინანსურ კაპიტალს“* წერდა რ.ჰილფერდინგი. „ფინანსური კაპიტალი აღნიშნავდა იგი შემდეგ - არის ის კაპიტალი, რომელიც ბანკების განკარგულებაში იმყოფება და რომელსაც მრეწველები იყენებენ“**

რ.ჰილფერდინგმა თავისი თეორია პრაქტიკულად გამოიყენა, როდესაც იგი ორჯერ იყო ფინანსთა მინისტრი ვაიმარის რესპუბლიკაში. 1923 წ. ფართო ინფლაციისა და ფულის განსაკუთრებული გაუფასურების პერიოდში, როდესაც მარკა ფასს კარგავდა არა მარტო ყოველდღიურად, არამედ ყოველსაათობით და ბოლოს

- - -

*რ.ჰილფერდინგი, ფინანსური კაპიტალი, მ., 1959, გვ. 30, (რუს).

**იქვე.

უმაგალითოდ იქნა გაუფასურებული. რ.ჰილფერდინგმა დიდი კრედიტი მისცა გერმანელ კაპიტალისტებს ოქროთი, საზღვარგარეთული საქონლის საყიდლად. კაპიტალისტებმა კი ეს კრედიტი დააბრუნეს გაუფასურებული მარკებით*

რ.ჰილფერდინგმა „ფინანსურ კაპიტალში“ გამოთქმული მოსაზრებები შემდგომ განავითარა „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორიაში, რომელიც 1927 წ. ჩამოაყალიბა ქ.კილში გამართულ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში.

„ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორიის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმის განვითარების კანონების გავლენით იქმნება მონოპოლიები, რომლებიც თანდათან ფართოდ იპყრობენ კაპიტალისტურ მეურნეობას, ავიწროებენ კონკურენციას და მეურნეობის გასახელმწიფოებრიობის პროცესთან ერთად, კაპიტალისტურ ეკონომიკას ორგანიზებულად აქცევენ.

რ.ჰილფერდინგის რეფორმისტული იდეები შემდეგ გააგრძელეს ნეომარქსისტთა შემდეგმა თაობებმა.

*XX* ს. 60-იანი წლების შუა ხანებში კაპიტალისტური ქვეყნების განსაზღვრულ სოციალურ ფენებში ფართო გავრცელება ჰპოვა ნეომარქსიზმის მიმდინარეობამ. ნეომარქსიზმის თეორეტიკოსებიდან აღსანიშნავია ჰ.მარკუზე, ბარანი, სვეცი, მანდელი, დობი, გორცი და სხვ. ისინი აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმს და მოითხოვდნენ დემოკრატიული პრინციპების რეფორმაციას**.

აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის იტალიის და დასავლეთ გერმანიის კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდობის კერპად იქცა ჰერბერტ მარკუზე.

ჰერბერტ მარკუზე (1898-1979) სწავლობდა ბერლინისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში, სადაც შეითვისა ეკზისტენციალიზმის, ფენომენოლოგიის, ფროიდიზმისა და ნეოჰეგელიანობის მოდური კონცეფციები. შემდეგში პროფესორ მ.ჰაიდეგერთან ასისტენტად ყოფნის დროს ჰ.მარკუზე ცდილობდა ეკზისტენ-

- - - -

*ეკონომიკური აზრის ისტორია, ნაწილი III, ფ.პოლიანსკის რედაქციით, მ., 1970, გვ. 472-473 (რუს).

**ჟურნ. „ვირმაფტსეოხე“, 1972, 12.*V*, № 19, გვ.42 (გერმ).

ციალიზმის პოზიციიდან კრიტიკულად გაეაზრებინა მარქსიზმი* იგი იყენებდა მარქსის მეთოდის ელემენტებს, ეყრდნობოდა მარქსიზმის ზოგიერთ დებულებას, მაგრამ არ იზიარებდა მარქსიზმს როგორც სისტემას.

1918 წ. ჰ.მარკუზე იყო ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა ერთ-ერთი რაიონული საბჭოს წევრი.

გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ ჰ.მარკუზე 1934 წ. ემიგრაციაში წავიდა - ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ საფრანგეთსა და აშშ-ში. რამდენიმე წელი იგი მუშაობდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში. 1950 წ. მან დატოვა სახელმწიფო სამსახური და მთლიანად გადავიდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე; სხვადასხვა დროს კვლევით მუშაობას ეწეოდა კოლუმბიის რუსულ ინსტიტუტსა და ჰარვარდის რუსულ საკვლევ ცენტრში; იყო ბერლინის, ბრიონდეისის, კალიფორნიის უნივერსიტეტების პროფესორი, პარიზის პრაქტიკულ მეცნიერებათა სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

ჰ.მარკუზეს მოძღვრების კარდინალური პრობლემაა მარქსიზმთან დამოკიდებულება. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მისი პოლიტიკური სიმპათია ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ესპანეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მხარეზე იყო. მაგრამ მისი მოძღვრება მნიშვნელოვნად განსხვავდება მარქსისტულისაგან. ჰ.მარკუზეს წარმოდგენები სოციალიზმის შესახებ ეყრდნობოდა მუშათა კლასის პოლიტიკური ხელისუფლების უარყოფაზე. ასეთი უარყოფის ბაზაზე იგი ამტკიცებდა მესამე გზის შესაძლებლობას, რომელიც განსხვავდება როგორც კაპიტალიზმისაგან ისე რეალური სოციალიზმისაგან.

ჰ.მარკუზემ მარქსისტის სახელი მოიხვეჭა 50-იან წლებში გამოცემული ნაშრომისათვის „საბჭოთა მარქსიზმი", რომელშიც იგი ასაბუთებდა, რომ საბჭოთა კავშირში ადგილი ჰქონდა არა სოციალური რეალობის გარდაქმნას თეორიული მარქსიზმის მოთხოვნების შესაბამისად, არამედ პირიქით, საბჭოთა მარქსიზმი თანდათანობით იცვლებოდა და ეგუებოდა თანამედროვე რეალობის მოთხოვნებს; კლასიკური მარქსიზმის ფორმულებს იყენებდა არა ჭეშმარიტების აღიარებისათვის, არამედ კონფორმისტული პრაქტიკისათვის. მარქსის დებულებები, როგორც ასეთნი - წერს მარკუზე, - იმდენად ასახავდნენ ჭეშმარიტებას, რამდენადაც ბრძანებები და რეკლამები; მათი ჭეშმარიტება მდგომარეობდა

- - - - -

*ფ.პოლიანსკი, ჰერბერტ მარკუზეს ფალსიფიკაცია, ჟურნ. „ეკონომიჩესკიე ნაუკი", 1972, №3.(რუს).

მათს ეფექტში.

ჰ.მარკუზე უარყოფით შეფასებას აძლევდა საბჭოთა მარქსისტების დებულებებსა და მოსაზრებებს. იგი ცდილობდა საბჭოთა მარქსიზმის არსის დადგენას და მის გავრცელებას კლასიკური მარქსიზმისაგან დაშორებისათვის.

ჰ.მარკუზეს შემდეგი ნაშრომია „ერთგანზომილებიანი ადამიანი". მასში იგი აკრიტიკებს აზრს, რომელიც ასეთი შინაარსისაა: ჰ.მარკუზეს მიხედვით, მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებათა ტექნიკა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ მოისპობა იმ ძალთა ასიმილაციის გზით, რომლებიც სოციალური წყობის ადრეულ პერიოდში მშფოთვარე ელემენტს წარმოადგენდნენ. ჰ.მარკუზეს მსჯელობით ტექნიკა ამას აღწევს ნაწილობრივი სიუხვის შექმნით. მატერიალური სიდატაკის ლიკვიდაცია რევოლუციონერობის განელების საფუძველი ხდება. როდესაც დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, ადამიანი კარგავს პროტესტის საბაბს და სისტემის პასიურ ელემენტად იქცევა. ჰ.მარკუზეს მტკიცებით, თუ მაინც შეიძლება სისტემის აფეთქება, ამას აკეთებენ მხოლოდ გარეშე ძალები, ე.ი. ის ძალები რომელნიც ინტეგრირებულნი არ არიან სისტემასთან. ასეთ ძალად ჰ.მარკუზეს არც პროლეტარიატი მიაჩნია და არც „თეთრი საყელოები". ინტელიგენცია, სტუდენტობა და ახალგაზრდობა - აი ის რადიკალური, რევოლუციური ძალები, რომლებიც მოახდენენ საზოგადოების გარდაქმნას. მათ ემატებიან აგრესივები, უმუშევრები და სხვა დეკლასირებული ელემენტები, რომლებიც მთლიანად უარყოფენ მათთვის მიუღებელ კეთილდღეობის საზოგადოებას.

ჰ.მარკუზე ამტკიცებდა, რომ მოთხოვნილებათა ცვლამ, სამუშაო ძალის სტრუქტურამ და საქველმოქმედო ინსტიტუტებმა შეძლეს მუშათა კლასისა და მუშათა მოძრაობის მოთვინიერება. მოწინავე ინდუსტრიული საზოგადოება, - წერს ჰ.მარკუზე, - ფაქტიურად ურთიერთმებრძოლ ძალთა სისტემაა. მაგრამ ეს ძალები არსებული წყობილების დაცვისა და გახანგრძლივების ინტერესებში, ისტორიულ გარდაქმნათა შეყოვნების ინტერესებში ანეიტრალებენ ერთმანეთს. ჰ.მარკუზეს თქმით, დადგა შრომასა და კაპიტალს შორის კონფლიქტის დასასრულის, იდეოლოგიური კონფლიქტის დასასრულის დრო. ჰ.მარკუზე გადაჭრით უარყოფს ყოველ იდეოლოგიას, რომელიც სისტემის ჩარჩოებს არ სცილდება და მის უარყოფას არ მოითხოვს.

ჰ.მარკუზე და მათი მიმდევრები მემარცხენე რადიკალური მიმართულების პოზიციაზე დგანან. ჰ.მარკუზე კაცობრიობის მომავლად აცხადებს მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებას,

რომელშიც ორი ძირითადი ამოცანა განხორციელდება:

1. ახალი ადამიანის გამოჩეკა ახალი ბიოლოგიური განზომილებით, რომელსაც შეეძლება სხვა ენაზე ილაპარაკოს, სხვანაირად იმოძრაოს, სხვანაირი იმპულსებით იხელმძღვანელოს, 2. ამ ადამიანის ხსნა დამამცირებელი მიწიერი შრომის, სხვადასხვა ფორმის სოციალური კონტროლისა და იძულებისაგან.

ჰ.მარკუზეს პროექტით ახალი საზოგადოების ძირითად ნიშნებს წარმოადგენს: მეცნიერებისა და ტექნიკის განმსაზღვრელი როლი საზოგადოების გაყიიარებაში (სრული ავტომატიზაცია და ინდუსტრიალიზაცია), ახალი კლასის ტექნიკური ელიტის წარმოშობა, დოვლათის ნაწილობრივი განაწილება, საზოგადოების ჰუმანიზაცია.

ჰ.მარკუზე თავის წიგნში „ესე განთავისუფლების შესახებ" ამტკიცებს, რომ მომავალი არ შეიძლება ეკუთვნოდეს კორპორაციულ კაპიტალიზმს, რადგან ეს უკანასკნელი არ ფლობს იმუნიტეტს ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით დაკავშირებულია უმუშევრობის ზრდასთან, ეკონომიკის თავდაცვითი სექტორის გაფართოებასთან, რომელიც გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობას აუარესებს, ხოლო მომსახურების სფეროს, რომელსაც პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორეტიკოსები ახალი საზოგადოებრივი წყობილების უმნიშვნელოვანეს ნიშნად თვლიან, ის უწოდებს „ეკონომიკის პარაზიტულ სექტორს"*.

ჰ.მარკუზე ეწინააღმდეგება აგრეთვე დებულებას ახალ საზოგადოებაში ინტელექტუალთა ელიტის (ინჟინრების და მეცნიერების) წამყვანი როლის შესახებ. ეს ელიტა, მისი აზრით, იმაზე ნაკლებ საშიში არ იქნება, ვიდრე თანამედროვე მმართველი ფენაა. ჰ.მარკუზესა და მისი მომხრეების აზრით მომავალი უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოების უფრო ფართო ფენებს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები პ.სამუელსონი და უ.ნორდჰაუსი და სხვ. ჰ.მარკუზესა და მის მიმდევრებს ნეომარქსისტებს უწოდებენ. რაც შეეხება თანამედროვე მარქსისტებს, ისინი მათ წვრილბურჟუაზიულ რადიკალებს უწოდებენ.

## მაოიზმის ეკონომიკური პლატფორმა

*XX* ს. 50-60-იან წლებში მარქსიზმის მიმდინარეობაში ჩამო-

---

* ჰ.მარკუზე, ესე განთავისუფლების შესახებ, ბოსტონი 1969, გვ. 71. (ინგლ).

ყალიბდა ახალი მიმართულება, რომელიც მაოიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მიმართულების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საბჭოთა და ჩინელ კომუნისტებს შორის წარმოშობილმა უთანხმოებამ. ჩინეთის კომპარტიის *VIII* და *IX* ყრილობებზე დაგმობილ იქნა საბჭოთა კომუნისტური ლიდერების პოზიცია და ისინი გამოცხადებულ იქნენ რევიზიონისტებად.

60-იანი წლების მეორე ნახევარში ჩინეთში ჩატარდა კულტურული რევოლუცია, რომელსაც შეეწირა რამოდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე. კულტურული რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენდნენ ხუნვეიბინები და ძაოფანები. ისინი შენობათა კედლებზე აკრავდნენ დაძიბაოებს, რომლებშიც მოითხოვდნენ რიგი ხელმძღვანელების დასჯას. მათი მოთხოვნით ფიზიკურად მოსპეს მაო ძე დუნის მემკვიდრედ აღიარებული ლინ ბიაო, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ლიუ შაო ცი და პროვინციების რიგი სხვა ხელმძღვანელები.

80-იანი წლების დასაწყისიდან ჩინეთში დაიწყო ეკონომიკური რეფორმის განხორციელება. მისი ინიციატორი იყო ჯაო ძიანი. მან, ჯერ 100 მლიონიან პროვინციაში, შემდეგ კი მთელ ჩინეთში დაიწყო საბაზრო ელემენტების დანერგვა. ჩინეთში გამოიცა კანონი, რომელიც მეწარმეებს 5კაცამდე დაქირავების უფლებას აძლევდა. ფართო გასაქანი მიეცა კერძო ინიციატივის განვითარებას. 80-იანი წლების შუახანებისათვის მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მოპოვებული ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებაში. მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის ცალკეულ ფენების ცხოვრების დონე. ერთი გერმანელი ჟურნალისტი წერდა, რომ იგი შეესწრო პეკინის ერთ-ერთ რესტორანში პეკინელი გლეხების ქეიფს. რაც მათ ერთი საღამოს ფული გადაიხადეს, ბევრჯერ აღემატებოდა ჩინელ ინტელიგენტის მრავალი თვის ხელფასსი, - აღნიშნავდა გერმანელი ჟურნალისტი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ წვრილმა მეურნეობებმა მიაღწიეს თავიანთი განვითარების ზღვარს და იმაზე შორს ვერ წავიდნენ. 1985დან 1980 წლამდე პერიოდში ერთ ადგილზე გაიყინა ჩინეთში მარცვლეულის წარმოება (400 მილიონი ტონა), რამაც ჩინელი მეცნიერების შეშფოთება გამოიწვია. ისინი აღნიშნავდნენ, რომ თუ საუკუნის დამლევს მარცვლეულის წარმოება 500 მილიონ ტონას არ მიაღწევს ჩინეთში შიმშილობა დაიწყებაო.

ჩინელმა აგარიკოსებმა დაიწყეს გზების ძიება მარცვლეულის გასადიდებლად. მათ დაადგინეს, რომ ამის მიღწევა შეუძლია მხოლოდ მსხვილ მეურნეობას, ეს იქნება კერძო თუ საზოგადოებრივი. ჩინელი მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ძალების

რეფორმების შედეგად 1991 წელს ჩინეთში მარცვლეულის მოსავლიანობა 431 მილიონ ტონამდე გაიზარდა.

ჯაო ძიანის ინიციატივა ჩინეთში შემდგომ გააგრძელა დენ სიაო პინმა. მისი პროექტით ჩინეთში აშენებულ იქნა ახალი თანამედროვე ქალაქი ჯენიანი და სხვა თავისუფალი ზონები. სადაც მიღწეულ იქნა წარმოების დიდი ეფექტურობა. მაგრამ ასეთი ეფექტს არც თუ იშვიათად საფუძვლად უდევს არასრულწლოვანი ჩინელი ბავშვების კატორღული შრომა, რაც ჩინელთა მნიშვნელოვანი ნაწილის შეშფოთებას იწვევს.

ჩინეთში არსებობს ძლიერი სოციალური ძალები, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოში ამყოფებენ საბაზრო ელემენტებს. ჩინეთში მოქმედებს მტკიცე ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობა, რომელიც მსხვილი კაპიტალის შევიწროებისაგან იცავს მოსახლეობის საშუალო და დაბალშემოსავლიან ფენებს.

ჩინელთა საერთო გარჯისა და შრომისმოყვარეობის შედეგად საერთო პროდუქციის წარმოების მხრივ ჩინეთი მოწინავე პოზიციებზე დგას დღევანდელ მსოფლიოში.

# გამოყენებული ლიტერატურა

## თავი I


1. ბაბილონის მეფის ჰამურაბის კოდექსი თბ., 1934.
2. ჯაბაშმაძე, ძველი ქვეყნების სამართალი, თბ., 1975.
3. რამაიანა, ინდური ეპოსი, თბ., 1951.
4. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1971.
5. ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრაქცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
6. ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
7. Закон Ману, М., 1960.
8. Архашастра или наука о политике, М., 1959.
9. История экономической мысли, т.1, М., 1961.
10. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
11. Штеин В.М. "Гуан Дзи", М., 1959.
12. *P. Samuelson und W. Nordhaus, Volks Wirtschaft Lehre, BandI, Keln, 1897.*


## თავი II


1. Ксенофонт Афинский, Домострой, сокр.соч. М;Л;-1935.
2. Платон, Политика или Государство, Соч.,т.3, ч.2. М., 1972.
3. არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981.
4. Аристотель, Политика, Соч., т.4., СПБ, 1911.
5. Катон Марк Порций. Земледелие, М., 1950.
6. Катон Марк Порций. О сельском хозяйстве, М., 1957.
7. Катон, Варрон, Колумела, Плиний. О сельском хозяйстве, М.,1937.
8. Колумела Луций Юний Модерат. О сельском Хозяйстве, М., 1957.
9. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975.
10. Борский Г Тиберий Гракх, 1919.
11. Немировский А.И. Тиберий Гракх, М., 1955.
12. დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938.
13. გქავთარია, ძმები გრაკხუსები, თბ., 1990.

14. ლ.პენიე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1927.
15. ს.ბერაძე, გ.ჯანუყაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
16. ა.სილაგაძე, მოჩამლობელური საზოგადოების ეკონომიკური კონცეფციები, თბ., 1991
17. ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
18. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
19. История экономической мысли, т.1, М., 1961.
20. Всемирная история экономической мысли, т.1. М., 1987.

## თავი III

1. ე.ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992.
2. ე.ჩანტლაძე, ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია, თბ., 1986.
3. ს.ბერაძე, გ.ჯანუყაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I. თბ., 1973.
4. ლ.პენიე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; თბ., 1927.
5. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
6. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, თბ., ნაწ.I, 1990, ნაწII. 1991.
7. ნ.ჩათაძე, თომა აქვინელის ფილოსოფია, თბ., 1973.
8. ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
9. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
10 ყურანი, თბ., 1994.
11. Салическая правда М., 1950.
12. Русская правда, М., 1958.
13. Домострой Сильвестровского извода, М., 1961.
14. Абдуразэах Муслим, Философские и социалогические воззрения Ибн-Хальдума, М., 1965.
15. Тациева С.М. Историко-социологический трактат Ибн-Халдуна "Муккадима", М., 1965.

## თავი IV

1. დ.როზენბერგი. პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938.
2. Крижанич Ю, Политика, М., 1965.
3. Белокуров С.А. Юрий Крижанич в Росии, М., 1907.
4. Дацюк Б.Д. Юрий Крижанич, м., 1948.
5. Вальденберг В., Государпственные идей Крижанича, М., 1912.
6. Посошков И.Т. Книга о скудости и богатстве, М., 1951.
7. Кафенхауз Б., жизнь и деятельость И.Т.Посошкова, М., 1951.
8. История экономической мысли, т.1. М., 1961.
9. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
10. ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრაეცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
11. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
12. ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიას ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
13. ჯ.ხარიტონაშვილი, ჩარჩული ფული ქურდაცაცა, გაზ. „სიმართლე“, №5, 1993.

## თავი V

1. Петти В., Экономические и статистические работы, т.т. 1,2. М., 1940.
2. Афанасов В.С. Этапы развития буржуазной политической экономии (очерк теории), М., 1971.
3. Реуэль А.Л., Разложение меркантилизма и зарождения буржуазной классической политической экономии в Англии (Петти) и во франции (Буагильбер), М., 1957.
4. История экономической мысли, т.1, М., 1961.
5. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
6. Блауг М., экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
7. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
8. ლ.პენეი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1927.
9. ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985.
10. ჯ.ხარიტონაშვილი, გზა თავისუფალი მეწარმის, გაზ. „ხე ცხოვრებისა“, 1990, №1.

11. დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938.
12. ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.

## თავი VI

1. Кенэ Ф. Избранные экономические произведения М., 1960.
2. Тюрго А., Избранные экономические проиведения, М., 1961.
3. Афанасьев В.С. Этапы развития буржуазной политической экономии (очерк теории). М., 1971.
4. Реуэль А.Л., Экономическая теория физиократов, М., 1958.
5. Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.
6. История экономической мысли, т.1, М., 1961.
7. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
8. Ш.Жидь и Ш.Ристь, История экономических учений, М., 1918.
9. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი), ნაწ.I, თბ., 1966.
10. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
11. დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938.
12. ს.ბერაძე, ფრანსუა კენე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი" №8, 1964.
13. ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრაეცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973
14. სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1970.
15. ვ.ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959.
16. ა.წულუკიძე, ეკონომიკური მეცნიერების ისტორიიდან, თხზულებები, თბ., 1967.
17. ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
18. ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985.

# თავი VII


1. ა.სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბ., 1938.

2. დავით რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937.

3. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი). ნაწ.I, თბ., 1966. ნაწ.II, თბ., 1968.

4. კ.მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.

5. კ.მარქსი, კაპიტალი, ტ.III, ნაწ.I, თბ., 1959.

6. პ.სამუელსონი, უ.ნორდჰაუსი, ეკონომიკსი, იხ.ჟურნ, „ეკონომისტი", 1990წ. № 7.

7. ა.პუშკინი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1975.

8. ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრაევცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.

9. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.

10. რ.კაკულია, დავით რიკარდოს ეკონომიკური შეხედულებანი, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა, № 4, 1972.

11. ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.

12. ა.წულუკიძე, ეკონომიკური მეცნიერების ისტორიიდან, თხზულებები, თბ., 1967.

13. ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკური მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985.

14. ი.გორდელაძე, შრომა, სიმდიდრე და ფული ადამ სმიტის სურათით. თბ., 1936.

15. Аникин А., Адам Смит, М., 1968.

16. Афанасьев В.С. Этапы развития буржуазной политической экономии, М., 1971.

17. Хеилбронер Р. и Гароу Л., Экономика для всех, Лондон, 1991.

18. Заррин П.И. Английская классическая буржуазная политическая экономия (А.Смит, Д. Рикардо), М., 1958.

19. Реуэль А.Л., Адам смит, М., 1957.

20. Реуэль А.Л., Давид Рикардо, М., 1957.

21. Штеин В.М. Адам Смит, 1923.

22. Афанасьев В., Д.Рикардо и современная буржуазная экономическая мысль, журн. "Мировая экономика и международные отношения, № 4, 1972.

23. Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.
24. История экономической мысли, т.1, М., 1961.
25. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
26. Ш.Жидь и Ш.Ристь, История экономических учений, М., 1918.

## თავი VIII

1. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ს.ბერაძე, გ.ჭანუყაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1989.
3. Симонд де Сисмонди, Новые начала политической экономий или богатстве в его отношений к народнонаселению, т.1,2, М., 1937.
4. Прудон П.Ж. Что такое собственность или исследование о принципе право и власти, М., 1919.
5. Мордухович, П.М., Мелкобуржуазная политическая экономия Сисмонди, Прудон), М., 1958.
6. История экономической мысли, т.1, М., 1961.
7. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
8. Ш.Жидь и Ш.Ристь, История экономических учений, М., 1918.
9. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.

## თავი IX

1. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ.III, თბ., 1975.
2. ვ.ი.ლენინი, მუშათა კლასი და ნეომალთუსელობა, თხზ. ტ.19.
3. ს.ბერაძე, გ.ჭანუყაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.
4. გ.ჭანუყაძე, ვულგარულ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.I, თბ., 1962.
5. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
6. Блауг М.; Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
7. История экономической мысли, т.1, М., 1961.
8. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
9. Ш.Жидь и Ш.Ристь, История экономических учений, М., 1918.
10. Афанасьев В.С. Этапы развития буржуазной политической

экономии, М.. 1971.
11.Василевский Е.Г Возникновение вульгарной политической экономии, М., 1960.

## თავი X

1. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ.Ш, თბ., 1975.
2. ს.ბერაძე, გ.ჭანუყაძე, ი.კრაეცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწ.I, თბ., 1973.
3. 4. გ.ჭანუყაძე, ვულგარულ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.I, თბ., 1962.
4. ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
5. Бастия Ф., экономические софизмы, М., 1896.
6. Кери Г., Руководство к социальной науке, СПБ, 1889.
7. История экономической мысли, т.1, М.. 1961.
8. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
9. Ш.Жидь и Ш.Ристь, История экономических учений, М., 1918.
10. Афанасьев В.С. Этапы развития буржуазной политической экономии, М., 1971.
11.Василевский Е.Г. Возникновение вульгарной политической экономии, М., 1960.

## თავი XI

1. კ.მარქსი, ფ.ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1854.
2. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ.II, თბ., 1968.
3. ფ.ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952.
4.ვ.ი.ლენინი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ.19.
5. ვ.ი.ლენინი, ორი უტოპია, თხზ., ტ.18.
6. ა.ანიკინი. მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
7. ს.ბერაძე, გ.ჭანუყაძე,. ი.კრაეცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.

8. ა.წულუკიძე, თხზულებები. თბ., 1967.
9. გ.ჭანუყვაძე, სენ-სიმონი, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი" № 10. 1960.
10. გ.თოდუა, შარლ ფურიე, ჟურნ „საქართველოს ეკონომისტი", № 4, 1962.
11. Сен-симон А., Избранные сочинения, т.1-2., М., 1948.
12. Фурье Ш. Избранные сочинения, М., 1950.
13. Грей Д.., Сочинения, М., 1955.
14. Оуен Р., Избранные сочинения, М., 1850.
15. Брей Д. Несправедливости в отношении труда и средства к их устранению или Век сили и Век справедливости, М., 1956.
16. Годскин Т., Сочинения, М., 1938.
17. Вознесенская В.Л., Экономические воззрения великих социалистов утопистов запада, М., 1958.
18. Реуель А.Л., Западноевропейский утопический социализм., М., 1963.
19. Волгин В.П. Сен-Симон и Сен-симонзм, М., 1961.
20. Семенов В.. Сен симон, Фурье и их школы, М.-Л., 1926.
21. Заррин П., Роберт Оуен, журн. "Вопросы экономики", № 12, 1971.
22. Шах Г, Шарль Фурье, Журн. "Проблемы мира и социализма", № 4, 1972.
23. История экономической мысли, т.1, М., 1961.
24. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
25. Ш.Жидь и Ш.Ристь, История экономических учений, М., 1918.
26. Е.Варга, Капитализм двадцатого века, М., 1961.
27. З.Н.Беляева, В.А. Бударин, Критика современных буржуазных, реформистких и ревизионистских экономических теории, М., 1962.

## თავი XII

1. კ.მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი. თბ., 1971.
2. კ.მარქსი, წერილი ანენკოვს, კ.მარქსი, ფ.ენგელსი. რჩ.ნაწერები, ტ.III, თბ., 1989.
3. კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული წერილები, თბ., 1949.
4. ფ.ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, თბ., 1935.

5. კ.მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, თბ., 1938.
6. კ.მარქსი, დაქირავებული შრომა და კაპიტალი, კ.მარქსი და ფ.ენგელსი, რჩ.ნაწერები, ტ.I, თბ., 1950.
7. ფ.ენგელსი, კომუნიზმის პრინციპები, თბ., 1972.
8. კ.მარქსი და ფ.ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1954.
9. კ.მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.
10. კ.მარქსი, კაპიტალი, ტ.I, თბ., 1954.
11. კ.მარქსი, კაპიტალი, ტ.II, თბ., 1957.
12. კ.მარქსი, კაპიტალი, ტ.III, თბ., 1959.
13. კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1966.
14. კ.მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, კ.მარქსი და ფ.ენგელსი, რჩ. ნაწერები, ტ.II, თბ., 1964.
15. ფ.ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952.
16. ფ.ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, კ.მარქსი და ფ.ენგელსი, რჩ.ნაწერები, ტ.II, თბ., 1964.
17. ვ.ი.ლენინი, კარლ მარქსი, თხზ., ტ.21.
18. ვ.ი.ლენინი ფრიდრიხ ენგელსი, თხზ., ტ.2.
19. ვ.ი.ლენინი, კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი, თხზ., ტ.19.
20. ვ.ი.ლენინი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ.19.
21. ვ.ი.ლენინი, ეგრეთ წოდებული ბაზრების საკითხის გამო, თხზ., ტ.1.
22. ვ.ი.ლენინი, რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ? თხზ, ტ.I.
23. ვ.ი.ლენინი, ხალხოსნობის ეკონომიკური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში, თხზ., ტ.1.
24. ვ.ი.ლენინი, ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის, თხზ., ტ.2.
25. ვ.ილენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ, ტ.3.
26. ვ.ი.ლენინი, შენიშენა ბაზრების თეორიის საკითხისათვის, თხზ., ტ.4.
27. ვ.ი.ლენინი, აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები", თხზ.,ტ.5.
28. ვ.ი.ლენინი, სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში, თხზ., ტ.13.
29. ვ.ი.ლენინი, სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში, თხზ., ტ.9.

30. ვ.ი.ლენინი, რეფერატი თემაზე „პროლეტარიატი და ომი“, თხზ., ტ. 26.
31. ვ.ი.ლენინი, სოციალიზმი და ომი, თხზ., ტ.21.
32. ვ.ი.ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., ტ.22.
33. ვ.ი.ლენინი, იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა, თხზ., ტ.23.
34. ვ.ი.ლენინი, რვეულები იმპერიალიზმის შესახებ, თხზ., ტ.39.
35. ვ.ი.ლენინი, სიტყვა რკპ(ბ) VIII ყრილობაზე, 1919 წ. 18-23 მარტი, თხზ., ტ.29.
36. ვ.ი.ლენინი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., ტ.25.
37. ვ.ი.ლენინი, სიტყვა სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე, 1919წ. 6-19 მაისი, თხზ., ტ.29.
38. ვ.ი.ლენინი, ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ, თხზ., ტ.33.
39. ვ.ი.ლენინი, მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენციაზე, თხზ., ტ.32.
40. ვ.ი.ლენინი, მოხსენება სრ.რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ VIII მოწვევის სრ. რუსეთის ცაკ-ის პირველ სესიაზე 1920 წ. 2 თებერვალს, თხზ., ტ.30.
41. ვ.ი.ლენინი, უმჯობესია ცოტა და კარგი, თხზ., ტ.33.
42. ვ.ი.ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, თხზ., ტ.27.
43. ვ.ი.ლენინი, „მემარცხენე“ ბავშვობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ, თხზ., ტ.27.
44. ვ.ი.ლენინი, ოქტომბრის რევოლუციის მეოთხე წლისთავისათვის, რჩ. ნაწერები, ტ.3.
45. ვ.ი.ლენინი, წინასიტყვაობა ბუხარინის ბროშურისა „მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი, თხზ., ტ.22.
46. კ.კაუცკი, კრიზისების თეორიები, თბ., 1922.
47. კ.კაუცკი, კარლ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება, თბ., 1931.
48. კ.კაუცკი, ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, თბ., 1905.
49. კ.კაუცკი, სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1920.
50. კ.კაუცკი, უახლესი სოციალიზმის წინამორბედნი, თბ., 1927.
51. პ.გუგუშვილი, კ.მარქსისა და „კაპიტალის“ შესახებ, იხ. კ.მარქსის ეკონომიკური მოძღვრება, თბ., 1968.
52. პ.გუგუშვილი, კ.მარქსის იდეები მე-19 საუკუნის 60-80-იანი წლების ქართულ საზოგადოებრიობაში, იხ. კ.მარქსის ეკონომიკური მოძღვრება, თბ., 1968.

53. პ.გუგუშვილი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, თბ., 1971.

54. ა.ნუცუბიძე, კ.მარქსის გენიალური ნაწარმოები „კაპიტალი", თბ., 1953.

55. ა.ჟანცხაია, კ.მარქსის „კაპიტალი", თბ., 1971.

56. ვ.გაგოიძე, კარლ მარქსი, თბ., 1968.

57. გ.ჭანუყვაძე, კარლ მარქსის მოძღვრების თანამედროვე „კრიტიკოსები", იხ. მარქსის მოძღვრება ყოვლად ძლიერია, თბ., 1969.

58. რ.კაკულია, ფ.ენგელსი და რევოლუციური გადატრიალება პოლიტიკურ ეკონომიაში, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", №11, 1970.

59. პ.სამუელსონი, უ.ნორდჰაუსი, ეკონომიქსი, თბ., 1992.

60. ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1983.

61. ჯ.ხარიტონაშვილი, ულტრაიმპერიალიზმის თეორია, ქ.ს.ე. ტ.10.

62. К.Маркс и Ф.Энгельс, Из ранных произведений, М., 1956.

63. К.Маркс и Ф.Энгельс, Коммунизм и аугсбургская "*Allgemeine Zeitung*",Соч, т.1, М., 1955.

64. К.Маркс, Письма из " *Deutsch—Franzosische Jahrbucher*", Соч., т.1, М., 1955.

65. Ф.Энгельс, Наброски к критике политической экономии, Соч., т.1.

66. К.Маркс и Ф.Энгельс, Святое семейство, Соч., т.1, М., 1955.

67. История экономической мысли, т.2, М., 1964, т3, М., 1955.

68. История русской экономической мысли, т2, ч.2, т. М., 1970.

69. Всемирная история экономической мысли, т.3. М., 1989.

70. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.

71. Хеилбронер Р; и Гароу Л., Экономика для всех, Лондон, 1991.

72. Бернштеин Э., Предпосилки социализма и задачи социал-демократии, М., 1901.

73. Бернштеин Э., История социализма, СПБ, 1909.

74. Каутский К., Национальное государство, империалистическое государство и союз государств, М., 1917.

75. Гильфердинг Р., Финансовый капитал, М., 1969.

76. Гильфердинг Р., Капитализм, социализм и социал-демократия, М., 1928.

77. Кузнецов В.А., Создание К.Марксом и Ф.Энгельсом пролетарской политической экономии, М., 1958.

78. Малиш А.И., Формулирование марксистской политической

экономии, М., 1966.
79. Леонтьев Л.Ф., Революционный переворот в политической экономии, совершенный К.марксом и Ф.Энгельсом, М., 1955.
80 Розенберг Д.И., Коментарии к первому тому "Капитала" К.Маркса, М., 1961.
81. Розенберг Д.И., Очерки развития экономического учения Маркса и Энгельса в сороковые годы *XIX* века, М., 1954.
82. Розенберг Д.И., Коментарии ко второму и третьему томам "Капитала" К.Маркса, М., 1961.
83. Выгодский, Место "теории прибовочной стоимости" в экономической наслёдии Карла Маркса, М., 1963.
84. Полянский Ф., Фальсификация Герберта Маркузе, журн. "Экомические науки", № 3 1972.
85. Очерки истории идейной борьбы вокруг "Капитала" К.Маркса, 1867-1967, М., 1968.
86. Мансилья А., "Капитал" К.Маркса и его "критики" журн. "Экомические науки", 1972.

# შინაარსი

შესავალი 5

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის დისციპლინის საგანი და მეთოდი

ნაწილი I. მსოფლიო ეკონომიკური აზრი ჩასახვიდან პირველ თეორიულ სისტემებამდე

თავი I. ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრი. 7

1. ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის ეკნომიკური აზრი
2. ძველი ინდოეთის ეკნომიკური აზრი
3. ძველი ჩინეთის ეკონომიკური აზრი

თავი II. ანტიკური საბერძნეთისა და რომის ეკონომიკური აზრი. . . 16

1. საბერძნეთის პოლისის ეკნომიკური აზრი. ქსენოფონტე. პლატონი. არისტოტელე
2. რომის ლატიფუნდიების პრობლემები კატონის, ვარონისა და კოლუმელას აგრონომიულ ტრაქტატებში
3. ტიბერიუს და გაიუს გრაკპუსების აგრარული მოძრაობის ეკონომიკური იდეები
4. მონათა აჯანყებების ეკნომიკური მოთხოვნები
5. ანტიკური ქრისტიანობის ეკონომიკური იდეები

თავი III. შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებანი. . . . . 28

1. ადრეული შუასაუკუნეების ეკონომიკური შეხედულებანი დასავლეთ ევროპაში. „სალიკური კოდექსი". „კაპიტულარები ვილების შესახებ"
2. შუა საუკუნეობრივი კათოლიციზმის ეკონომიკური შეხედულებანი. თომა აქვინელი
3. შუა საუკუნეების ერესის და სახალხო მოძრაობის ეკონომიკური მოტივები
4. შუა საუკუნრეების რუსეთის ეკონომიკური აზრი. „რუსკაია პრავდა". ვ.მონომახის „სწავლება". „დომოსტროის" და „პრატილნიცას" სამეურნეო პრინციპები
5. ეკონომიკური აზრის განვითარება შუა საუკუნეების საქართველოში. შ.რუსთაველი. ბექასა და აღბუღას სამართლის

წიგნი. „ვახტანგის კანონები“ ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“
6. შუა საუკუნეების არაბული ეკონომიკური აზრი. ყურანი. იბნ-ჰალდუნი

თავი IV. მერკანტილიზმი.. 42
1. მერკანტილიზმის წარმოშობა და განვითარების ორი სტადია.
2. მერკანტილიზმის თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყანაში
ა) ესპანური მერკანტილიზმი
ბ) იტალიური მერკანტილიზმი
გ) გერმანული მერკანტილიზმი
დ) ინგლისური მერკანტილიზმი. უ.სტაფორდი. თ.მენი
ე) ფრანგული მერკანტილიზმი. კოლბერტიზმი. ა.მონკრეტიენი
ვ) რუსული მერკანტილიზმი. ი.კრიჟანიჩი. ა. ორდინ-ნაშჩოკინის „ახალი სავაჭრო წესდება“ ი.პოსოშკოვი
ზ) მერკანტილიზმის იდეები XVIII საუკუნის საქართველოში. ა.ამილახვარი

ნაწილი II. ეკონომიკური თეორიის პირველი სისტემების განვითარება
თავი V. კლასიკური სკოლის ეკონომიკური მოძღვრების წარმოშობა ინგლისსა და საფრანგეთში. . . . . 54
1.კლასიკური სკოლის წარმოშობის ისტორიული პირობები და ზოგადი დახასიათება
2. უილიამ პეტი - პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბი. უ.პეტის მეთოდოლოგია. მის მიერ ღირებულების, ხელფასის, მიწის რენტის, მიწის ფასისა და სარგებლის ახსნა
3. ეკონომიკური აზრის განვითარება უ.პეტის შემდეგ. ჯ.ლოკი. დ.ნორსი. დ.იუმი. ჯ.სტიუარტი. ბ.ფრანკლინი
4. საფრანგეთის ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი XVII–XVIII საუკუნეებში და მათი ასახვა პიერ ბუაგილბერის შეხედულებებში
5. „ლესე ფერ“ დოქტრინის წარმოშობა

თავიVI. ფიზიოკრატების ეკონომიკური მოძღვრება . . . . . . 66
1. ფიზიოკრატიზმის წარმოშობა
2.ფრანსუა კენე და მისი კონცეფცია „ბუნებრივი წყობის“ შესახებ. მოძღვრება წმინდა პროდუქტის, ნაყოფიერი და „უნაყოფო“ შრომის, კაპიტალის და კლასების შესახებ. კვლავწარმოების

ანალიზი ფ.კენეს „ეკონომიკურ ცხრილში“
3. ფიზიოკრატიული შეხედულებების შემდგომი განვითარება ა ტიურგოსთან
4. სულხან-საბა ორბელიანის ფიზიოკრატიული ანალოგია
5 ა.წულუკიძე ფიზიოკრატიული შეხედულებების შესახებ

თავი VII. ადამ სმიტისა და დავით რიკარდოს ეკონომიკური მოძღვრება. . . . . . 79
1. კლასიკური სკოლის ეკონომიკური მოძღვრების შემდგომი განვითარება ა.სმიტისა და დ.რიკარდოს ნაწარმოებებში
2. ა.სმიტი. მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტი. ა.სმიტის ნაწარმოები „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“
ა) ა.სმიტის დამოკიდებულება მერკანტილიზმთან და ფიზიოკრატიზმთან
ბ) ა.სმიტის მოძღვრება შრომის დანაწილების, გაცვლისა და ფულის შესახებ
გ) ღირებულების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა
დ) მოძღვრება კლასებისა და შემოსავლების შესახებ
ე) მოძღვრება კაპიტალის, მისი სტრუქტურისა და კვლაკწარმოების შესახებ
ე) ა.სმიტი. ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის შესახებ
3. დ.რიკარდო სარეწველო გადატრიალების ეპოქის ეკონომისტი
ა) ღირებულების თეორია
ბ)კაპიტალის გაგება
გ)მოძღვრება მოგებისა და ხელფასის შესახებ
დ) მოძღვრება ფულისა და კრედიტის შესახებ
ე) მიწის რენტის თეორია
ვ) რეალიზაციისა და კრიზისის პრობლემის გაგება
ზ) შედარებით უპირატესობათა თეორია.

თავი VIII. პრიტიკული სკოლის წარმოშობა. . . . . . . . . . 106
1.ს.სისმონდის ეკონომიკური რომანტიზმი
ა) ღირებულებისა და ფულის განსაზღვრა
ბ) მოგების და ხელფასის თეორია
გ) რეალიზაციისა და კრიზისების თეორია
2. პ.პრუდონის რეფორმიზმი
ა) პ.პრუდონის ეკონომიკური კონცეფცია
ბ) კონსტიტუირებული ღირებულების თეორია

თავი IX. ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲔᲑᲘ. . 115
1. რ.მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორია და თანამედროვე მალთუსიანელობა
ა) ტ.მალთუსი ეკონომიკური კატეგორიების შესახებ
2. ნ.სენიორის დათმენისა და უკანასკნელი საათის თეორიები
3. ჯ.მილისა და ჯ.მაკ-კულოხის შეხედულებები

თავი X. ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲔᲑᲘ. . . . . 124
1. ჟ.-ბ. სეის ოპტიმიზმი. მოძღვრება წარმოების სამი ფაქტორის შესახებ. რეალიზაციის თეორია. ავტომატური წონასწორობის თეორია
2. ფ.ბასტიას მომსახურებისა და ეკონომიკური ჰარმონიების თეორია
3. ჯ.ს. მილის კომპრომისები
4. ჰ.ჩ. კერის ინტერესთა ჰარმონიის თეორია

თავი XI. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲣᲢᲝᲞᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲔᲑᲘ. 134
1. სოციალისტური იდეების წარმოშობა
2. სენ-სიმონიზმი და კოლექტივიზმის წარმოშობა
ა) ა.სენ-სიმონის ისტორიული კონცეფცია
ბ) კაპიტალიზმის კრიტიკა
გ) ახალი ინდუსტრიული სისტემის პროექტი
3. შ.ფურიეს თეორია
ა) შ.ფურიეს ისტორიული კონცეფცია
ბ) კაპიტალიზმის კრიტიკა
გ) მოძღვრება ასოციაციის შესახებ
4. რ.ოუენის პრაქტიკული მოღვაწეობა
5. სოციალისტ-რიკარდოელები. უ.ტომპსონი, ჯ.გრეი, ჯ.ბრეი, თ.ჰოდსკინი
6. ხალხოსნობა - უტოპიური სოციალიზმის რუსული ნაირსახეობა
7. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის დემოკრატიული სოციალიზმის მოდელი

ნაწილი III. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეკონომიკური აზრი

თავი XII. მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრება. . 155
1. კ.მარქსისა და ფ.ენგელსის ადრეული ეკონომიკური ნაშრომები.
2. კ.მარქსის ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის".
3. კ.მარქსის „კაპიტალი".
4. კ.მარქსისა და ფ.ენგელსის გვიანდელი ნაშრომები („გოთას პროგრამის კრიტიკა", „ანტი-დიურინგი"„ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა").
5 ლენინიზმის ანუ საბჭოთა მარქსიზმის ეკონომიკური მოძღვრება.
6. რეფორმისტული ნეომარქსიზმი. ე. ბერნშტეინი. კ.კაუცკი.რ.ჰილფერდინგი. ჰ.მარკუზე. მაოიზმის ეკონომიკური პლატფორმა.